



ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

სიჭინავა ე., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებები საქართველოს წინააღმდეგ (2004-2021), კრებული, მეორე ნაწილი, თბილისი

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი



USAID
აშშ-ის საერთაშორისო
კავშირების განვითარების
აგენცია

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

This publication is made possible by the support of the American People through the United States Agency for International Development (USAID). The contents of this publication are the sole responsibility of the author and do not necessarily reflect the views of East West Management Institute, USAID or the United States Government.

წინასიტყვაობა

ადამიანის უფლებათა ევროპული დაცვის სისტემა საქართველოში აქტუალურია 1999 წლიდან, როდესაც ჩვენი ქვეყანა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე გახდა. დღემდე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განვითარებული აქვს საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით. საქართველოში იურიდიული პროფესიის სხვადასხვა წარმომადგენლებს (მოსამართლეებს, ადვოკატებს, სამართალდამცავებს, საკანონმდებლო მუშაობის ექსპერტებს, მეცნიერებს, მკვლევარებს, უფლებადამცველებს და სხვ.) პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას სულ უფრო და უფრო მეტად სჭირდებათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნა, მეტადრე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია გათვითცნობიერება საქართველოსთან დაკავშირებულ ნაწილში.

წინამდებარე პუბლიკაციაში თავმოყრილია საქართველოს მიმართ 2004-2021 წლებში გამოტანილი განჩინებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-5 მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე.

თითოეული განჩინება მომზადებულია ისეთი ფორმატით, რომ მკითხველს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია ძალიან მოკლე დროში; აგრეთვე, განჩინებები დალაგებულია თემატურად და ქრონოლოგიურად. ამ გზით პუბლიკაცია უადვილებს პროფესიონალებს საქართველოს მიმართ განვითარებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოძიებას, საფუძვლიანად გაცნობას და, რაც მთავარია, ეფექტიან გამოყენებას პროფესიულ საქმიანობაში.

წინამდებარე პუბლიკაცია არის გამოცემის მეორე ნაწილი. 2020 წელს გამოიცა პირველი ნაწილი, რომელიც აერთიანებს საქართველოს მიმართ 2005-2019 წლებში გამოტანილ განჩინებებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6, მე-7 მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-18 მუხლების, 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის და მე-7 ოქმის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე.

სარჩევი

მუხლი 2

ქალის გამოყენება ეფექტიანი გამოძიება

სიცოცხლის მოსპობა პირის დაკავებისას მისი გაქცევის აღსაკვეთად ლეტალური ძალის გამოყენების შედეგად/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა შავაძე საქართველოს წინააღმდეგ/Shavadze v. Georgia N7208/12.....9

სიცოცხლის მოსპობა ციხის ბუნტის ჩასახშობად არაპროპორციული ლეტალური ძალის გამოყენების შედეგად/ამ ინციდენტის ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ/Kukhalashvili and others v. Georgia; N8938/07 და N41891/07..... 11

სიცოცხლის მოსპობა ჯავშანმანქანის დაჯახების შედეგად, რომელსაც სახელმწიფო ოფიცერი მართავდა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ/Sakvarelidze v. Georgia/N40394/10..... 14

სიცოცხლის მოსპობა პოლიციის მიერ წინასწარ დაგეგმილი ოპერაციის ფარგლებში/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა/დამნაშავეებისთვის არაადეკვატური სასჯელის შეფარდება: დარღვევა ვაზაგაშვილი საქართველოს წინააღმდეგ; Vazagashvili. V. Georgia; N50375/07 16

სახელმწიფო უწყებების ორკესტრირებული ქმედებები იმ მიზნისათვის, რომ სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი მკვლელობის საქმეზე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება: დარღვევა E nukidze and Girgvliani v. Georgia/ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ 25091/07;26.04.2011 19

გარდაცვალება პენიტენციურ დაწესებულებაში ეფექტიანი გამოძიება

საეჭვო გარემოებებში პატიმრის გარდაცვალების ფაქტზე თვითმკვლელობის დადგენა გამოძიების შედეგად, რომელიც უამრავ კითხვას აჩენს: დარღვევა ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ/Tsintsabadze v. Georgia N35403/0627

ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრის მკურნალობის გაგრძელება არაადეკვატური სტრატეგიით, მიუხედავად მისი მდგომარეობის გათულებისა/პაციენტის გარდაცვალების ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ/Maisuradze v. Georgia N44973/0931

ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრის არაადეკვატური მკურნალობა დაგვიანებული გამოკვლევების, მედიკამენტების დეფიციტის, სპეციალიზებულ ჰოსპიტალში გადაყვანაზე უარის თქმის გამო/მისი გარდაცვალების ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა Makharadze and Sikharulidze v. Georgia/მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ; N35254/07..... 33

სიცოცხლის მოსპობის საქმის გამოძიება

სახლში არასწორად დამონტაჟებული ბუნებრივი აირის გამათბობლის გამოყენება, გაფრთხილების მიუხედავად, რამაც გამოიწვია პირის გარდაცვალება: არ არის დარღვევა ვარდოსანიძე საქართველოს წინააღმდეგ/Vardosanidze v. Georgia; N43881/10.....	36
პირის სიცოცხლის მოსპობის მცდელობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების ჩაუტარებლობა, დანაშაულის დამკვეთის პასუხისმგებელ საგამოძიებო ორგანოსთან სავარაუდო კავშირის გამო: დარღვევა ხაინდრავა და ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ/Khaindrava and Dzamashvili v. Georgia; N18183/05.....	38

მუხლი 3 პატიმრობის პირობები

არაადამიანური პატიმრობის პირობები თბილისის N5 დაწესებულებაში: დარღვევა გორგილაძე – საქართველო/Gorgiladze – Georgia; №4313/04.....	40
რამიშვილი და კობრიძე საქართველოს წინააღმდეგ/Ramishvili and Kokhreidze v. Georgia; N1704/06	41
ალიევი საქართველოს წინააღმდეგ/Aliev v. Georgia №522/04	46
პატიმრობის არასათანადო პირობები არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის: არ არის დარღვევა ყუფარაძე საქართველოს წინააღმდეგ/Kuparadze v. Georgia; №30743/09.....	48
პატიმრობის არაადამიანური პირობები თბილისის №1 და №7 დაწესებულებებში: დაუშვებელია მინდაძე და ნემსინვერიძე საქართველოს წინააღმდეგ/Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia; №21571/05	50

სამედიცინო დახმარება

ტუბერკულოზის რეციდივი, სავარაუდოდ, მკურნალობის პირველი ფაზის ნაადრევად დასრულების გამო: არ არის დარღვევა ოფთალმოლოგიური პრობლემის სამკურნალოდ ქირურგიული ოპერაციის ჩაუტარებლობა სამი წლის განმავლობაში: დარღვევა კიკალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ/Kikalishvili v. Georgia N51772/08	54
მარჯვენა ქვედა კიდურის ამპუტაცია და მარცხენა ფეხის განგრენის განვითარება სპეციალიზებულ საავადმყოფოში დროული მკურნალობის არარსებობის გამო: დარღვევა მესხიძე საქართველოს წინააღმდეგ/Meskhidze v. Georgia; N55506/08.....	56
ტუბერკულოზის, სავარაუდოდ, დაგვიანებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა/ ნევროლოგიური პრობლემების სავარაუდო არაადეკვატური მკურნალობა: არ არის დარღვევა ქიტიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ/Kitiashvili v. Georgia; №37747/08.....	58
სიმსივნის არაადეკვატური მკურნალობა: პირველ ეტაპზე: დარღვევა; მეორე ეტაპზე: არ არის დარღვევა მირზაშვილი საქართველოს წინააღმდეგ/Mirzashvili v. Georgia; N26657/07	59
ტუბერკულოზის მკურნალობის ადეკვატურობა: პირველ ეტაპზე: დარღვევა; მეორე ეტაპზე: არ არის დარღვევა ილდანი საქართველოს წინააღმდეგ/Ildani v. Georgia N65391/09	62

ფსიქიკური აშლილობის მკურნალობის არაადეკვატურობა და სუიციდის ინციდენტების არასაკმარისი პრევენცია: დარღვევა/გულსისხლძარღვთა და ღვიძლის დაავადებათა მკურნალობის არაადეკვატურობა: არ არის დარღვევა ჯაში საქართველოს წინააღმდეგ; <i>Jashi v. Georgia N10799/06</i>	63
C ჰეპატიტის დაგვიანებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა: პირველ ეტაპზე: დარღვევა; მეორე ეტაპზე: არ არის დარღვევა <i>ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ/Jeladze v. Georgia; N1871/08</i>	65
C ჰეპატიტის, გულ-სისხლძარღვთა და სხვა დაავადებების დაგვიანებული და არაადეკვატური მკურნალობა: დარღვევა <i>მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ/Mindadze v. Georgia; N17012/09</i>	67
სავარაუდოდ, ტუბერკულოზით დაავადება პენიტენციურ დაწესებულებაში და სავარაუდო არაადეკვატური მკურნალობა: არ არის დარღვევა <i>გოლოშვილი – საქართველო/Goloshvili – Georgia; №45566/08</i>	68
პათიმრისთვის, რომელსაც ციხეში მოთავსებისას ჰქონდა თირკმლის დაავადება, სავარაუდო არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების განევა: არ არის დარღვევა <i>გოგინაშვილი – საქართველო/Goginashvili – Georgia; №47729/08</i>	70
C ჰეპატიტი და ტუბერკულოზით დაავადება პენიტენციურ დაწესებულებაში და არაადეკვატური მკურნალობა: დარღვევა <i>ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ/Gavtadze v. Georgia; N23204/07</i>	72
სამედიცინო დაწესებულებიდან გამონერა ჭრილობის შეხორცებამდე: არ არის დარღვევა; /C ჰეპატიტის არაადეკვატური მკურნალობა: დარღვევა <i>პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ/Poghosiani v. Georgia; N9870/07</i>	74

პოლიციის მიერ არაადამიანური მოპყრობა ეფექტიანი გამოძიება

ღებტ თემის მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისის ჩხრეკისას პოლიციელთა ძალადობრივი ქმედებები, მოტივირებული ჰომოფობიური/ტრანსფობიური სიძულვილით: დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ/Aghdgomelashvili and Japaridze v. Georgia; N7224/11</i>	76
არაადამიანური მოპყრობა პირადი ჩხრეკის ჩატარებისას: არ არის დარღვევა/ამ ინციდენტის ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>ბოხონკო საქართველოს წინააღმდეგ/Bokhonko v. Georgia; N6739/11</i>	78
აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით სასტიკი ცემა: დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>არქანია საქართველოს წინააღმდეგ/Arkania v. Georgia; N2625/12</i>	80

პოლიციელების მიერ არაადამიანური მოპყრობა დაკავებულის მიმართ/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>გოგალაძე საქართველოს წინააღმდეგ/Gogaladze v. Georgia ; N8971/10</i>	82
პოლიციელების მიერ არაადამიანური მოპყრობის რამდენიმე ეპიზოდი დაკავების დღეს აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით: დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ/Gogvadze v. Georgia; N40009/12</i>	84
დაკავებისას არაპროპორციული ფიზიკური ძალის გამოყენება: დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>კეკელიძე საქართველოს წინააღმდეგ/Kekelidze v. Georgia N2316/09</i>	86
აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით ელექტროშოკის გამოყენება და ცემა: დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>მინდაძე და ნემსინვერიძე საქართველოს წინააღმდეგ/Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia; №21571/05</i>	88
პოლიციელების მიერ არაადამიანური მოპყრობა პოლიციის სამმართველოში აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით: დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ/Dvalishvili v. Georgia; N19634/07</i>	88
პოლიციელების მიერ არაადამიანური მოპყრობა დაკავებისას/არაადამიანური პატიმრობის პირობები თბილისის №5 და №7 დაწესებულებებში/სათანადო სამედიცინო დახმარების არარსებობა: დაუშვებელია <i>ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ/Janiashvili v. Georgia; N35887/05</i>	90
პოლიციელების მიერ არაადამიანური მოპყრობა დაკავებისას: დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ/Mikiashvili v. Georgia; N18996/06</i>	92
სასამართლო დარბაზში ბრალდებულების მოთავსება „რკინის გალიაში“ ხმაურსა და ნიღბიანი გუშაგების გარემოცვაში: დარღვევა <i>რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ/Ramishvili and Kokhreidze v. Georgia; N1704/06</i>	96
განყოფილებაში არასათანადო მოპყრობა პოლიციელების მხრიდან: არ არის დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>Garibashvili v. Georgia/ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ; №118030/03</i>	96
პოლიციელების მიერ ელექტროშოკის გამოყენებით წამება პოლიციის განყოფილებაში: არ არის დარღვევა/ამ ფაქტის ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>დავთიანი საქართველოს წინააღმდეგ Davtiani v. Georgia N73241/01</i>	99
აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით ელექტროშოკით წამება დროებითი დაკავების იზოლატორში: არ არის დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა <i>დანელია საქართველოს წინააღმდეგ/Danelia v. Georgia; N68622/01</i>	102

არაადამიანური მოპყრობა პენიტენციურ დაწესებულებაში ეფექტიანი გამოძიება

არაპროპორციული ძალის გამოყენება ციხიდან პატიმართა გაქცევის მცდელობის აღსაკვეთად: დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ/ <i>Gablishvili and Others v. Georgia N7088/11</i> 105
ციხის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობა: არ არის დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ/ <i>Mikiashvili v. Georgia; N18996/06</i> 107
პატიმრის მიმართ სავარაუდო არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა ალიევი საქართველოს წინააღმდეგ/ <i>Aliev v. Georgia №522/04</i> 107
თბილისის N1 დაწესებულებაში არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: არ არის დარღვევა დავთიანი საქართველოს წინააღმდეგ <i>Davtiani v. Georgia N73241/01</i> 107
ეროვნებით ჩეჩენ პირთა ექსტრადიცია რუსეთში და არაადამიანური მოპყრობის რისკები ამის შედეგად: არ არის დარღვევა;
ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა ექსტრადიციის აღსასრულებლად გამოყენებული გზის გამო: დარღვევა; <i>Shamayev and 12 others and Russia/შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ; No36378/02</i> 108

წარუმატებლობა უსაფრთხოების უზრუნველყოფისას ეფექტიანი გამოძიება

ხელისუფლების ორგანოების წარუმატებლობა მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვაში, რაც მათში იწვევდა შიშისა და ტანჯვის განცდას და ინციდენტის ეფექტიანი გამოძიების არარსებობა – თავდამსხმელების დისკრიმინაციული მოტივის დაუდგენლობა: დარღვევა <i>იდენტობა და სხვები – საქართველო/Identoba And Others – Georgia; №73235/12</i> 111

მუხლი 5 N1

დაკავება კანონით დადგენილი წესით

პირის დაკავება ოფიციალური დოკუმენტის გაფორმების გარეშე: დარღვევა <i>არქანია საქართველოს წინააღმდეგ/Arkania v. Georgia; N2625/12</i> 115
დაკავება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლისა და დოკუმენტურად გაფორმების გარეშე: დარღვევა <i>ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ/Baisuev and Anzorov v. Georgia; N39804/04</i> 115
სასამართლოს ეზოში მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების დაკავება 3 საათის განმავლობაში და 30-დღიანი პატიმრობის შეფარდება, რომელიც არ ეფუძნებოდა საკმარისად მკაფიო და განჭვრეტად სამართლებრივ ნორმებს: დარღვევა <i>კაკაბაძე და სხვები – საქართველო/Kakabadze And Others – Georgia; №1484/07</i> 117

პატიმრობის კანონიერება

ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა სასამართლოს განჩინების გარეშე იმ მოტივით, რომ დაცვის მხარე ეცნობოდა საქმის მასალებს: დარღვევა გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ/Gigolashvili v. Georgi N18145/05.....	120
ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა სასამართლოს განჩინების გარეშე მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის არის საქმე გადაგზავნილი: დარღვევა	
<i>მინდაძე და ნემსინვერიძე საქართველოს წინააღმდეგ/Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia; №21571/05</i>	121
<i>ჭანკოტაძე – საქართველო; Tchankotadze - Georgia; № 15256/05</i>	122
<i>რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ/Ramishvili and Kokhreidze v. Georgia; N1704/06</i>	123
პატიმრობის გაგრძელება, მიუხედავად საბოლოო და სავალდებულო გამამართლებელი სასამართლო გადაწყვეტილების არსებობისა: დარღვევა ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ/Assanidze v. Georgia; N 71503/01	123
წინასწარი პატიმრობის შეფარდება დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე: არ არის დარღვევა მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ/Mikiashvili v. Georgia; N8996/06	125

მუხლი 5 N2

ბრალდებულისთვის ინფორმაციის მიწოდება

დაკავება თავისუფლების აღკვეთის მიზეზთა განმარტების გარეშე: დარღვევა ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ/Baisuev and Anzorov v. Geogia; N39804/04.....	126
ექსტრადიციის აღსრულება ისე, რომ განმცხადებლებს არ შეატყობინეს ამ ზომის შესახებ: დარღვევა Shamayev and 12 others and Russia/შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ; N36378/02.....	126

მუხლი 5 N3

წინასწარი პატიმრობის გაგრძელება დასაბუთების გარეშე

წინასწარი პატიმრობის გაგრძელება დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე: დარღვევა	
<i>მინდაძე და ნემსინვერიძე საქართველოს წინააღმდეგ/Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia; №21571/05.....</i>	126
<i>ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ/Lasha Tchitchinadze v. Georgia; № 35195/05</i>	126
<i>ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ/Janiashvili v. Georgia; N35887/05.....</i>	128
<i>ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ/Patsuria v. Georgia; N30779/04.....</i>	128

**პატიმრობის შეფარდება დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე:
დარღვევა/პატიმრობის გაგრძელება დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების
გარეშე: დარღვევა**
სალინაძე და სხვები – საქართველო/Saghinadze And Others - Georgia; №18768/05..... 131

**პატიმრობის შეფარდება დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე:
არ არის დარღვევა**
გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ/Galuashvili v. Georgia/N40008/04 133

მუხლი 5 N4 **სასამართლო პროცესის კანონიერება**

**ბრალდებულებისთვის სასამართლო განხილვამდე არ გადაუციათ პროკურატურის
შუამდგომლობა პატიმრობის გაგრძელების შესახებ: არ არის დარღვევა**
*მინდაძე და ნემსინვერიძე საქართველოს წინააღმდეგ/Mindadze and
Nemsitsveridze v. Georgia; №21571/05..... 135*

პატიმრობის საკითხის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე: არ არის დარღვევა

**პატიმრობის გაგრძელება სასამართლო პროცესის შედეგად, რომელიც არ ეფუძნებოდა
შეჯიბრებითობასა და თანასწორობას: დარღვევა**
სალინაძე და სხვები – საქართველო/Saghinadze And Others – Georgia; №18768/05..... 135

**ერთ-ერთი მტკიცებულების, ვიდეოჩანაწერის, ხელმისაწვდომობის პრობლემა
წინასწარი პატიმრობის საკითხის განხილვისას: არ არის დარღვევა**

**პატიმრობის საკითხის განხილვა სასამართლოს მიერ, რომელიც არ არის
დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი/პატიმრობის კანონიერების შესახებ საჩივარზე
დაგვიანებული რეაგირება: დარღვევა**
*რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ/Ramishvili and
Kokhraidze v. Georgia; N1704/06 135*

**განმცხადებლებმა არ იცოდნენ მათ მიმართ ექსტრადიციის გამოყენების შესახებ და,
შესაბამისად, ვერ შეძლეს მისი გასაჩივრება: დარღვევა**
*Shamayev and 12 others and Russia/შამაყვი და სხვები საქართველოსა და რუსეთის
წინააღმდეგ; N36378/02 135*

განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ სამართალდამცველებმა მისი მეუღლე აწამეს, რის შედეგადაც გარდაიცვალა; ამ ფაქტის ეფექტიანი გამოძიება არ ჩატარებულა და ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა ეროვნულ დონეზე.

სამართალი: კონვენციის მე-2 მუხლი: ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მეუღლე 2008 წლის 16 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ხელში გარდაიცვალა. პირველი საგამოძიებო ღონისძიებები ჩატარდა არა პროკურატურის, არამედ იმავე სახელმწიფო ორგანოს – შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიებლების მიერ, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით გამოძიებას პროკურატურა ჩაუდგა სათავეში, პროკურორები ეყრდნობოდნენ წინამორბედების მიერ შეგროვებულ მტკიცებულებებს, რაც მთავრობამაც აღიარა. ეს ვითარება შეუთავსებელია კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილ მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან.

2008 წლის 18 აგვისტოს გამოძიების პროკურატურისთვის გადაბარების შემდეგ ევროპული სასამართლო განსაკუთრებით შეაშფოთა ამ უკანასკნელის აუხსნელმა და კატეგორიულმა უარმა, განმცხადებელი საქმეში ჩაერთო დაზარალებულის სტატუსით, რის გამოც ქ-ნი შავაძე ვერ სარგებლობდა საპროცესო უფლებებით და ხელი არ მიუწვდებოდა საქმის მასალებზე, მათ შორის – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაზეც.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება 2008 წლის 16 აგვისტოს დაიწყო, ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს ჯერ კიდევ არ იყო გამოტანილი რაიმე შემაჯამებელი დასკვნა. ასეთი დაყოვნება მიუთითებს ეროვნული ორგანოების წარუმატებლობაზე – შეასრულონ გამოძიების გონივრულ ვადაში წარმოების მოთხოვნა. ევროპულმა სასამართლომ ვერ დაადგინა რაიმე კონკრეტული საფუძველი, რომლითაც ეს ხანგრძლივობა აიხსნებოდა. აღნიშნულის ერთადერთი მიზეზი იყო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გულისხმიერების ნაკლებობა, რაც, სასამართლოს შეფასებით, გამოძიების განზრახ გაჭიანურებას ჰკავდა. ეს ამტკიცებს,

რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა არ იყო მკაცრი და განმცხადებელს წაართვა ზიანის ანაზღაურების მოპოვების შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარს უდრის, ვინაიდან გაუმართლებელი უმოქმედობის პერიოდებისა და ხელისუფლების მხრიდან გულისხმიერების ნაკლებობის გამო გამოძიება, მისი საბოლოო შედეგების მიუხედავად, ეფექტიანი ვერ იქნება.

აქედან გამომდინარე, გამოძიება განმცხადებლის მეუღლის გარდაცვალების ფაქტზე უშედეგო იყო, რითაც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი.

საჩივრის მატერიალურ-სამართლებრივ ნაწილთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ მხარეთა შორის სადავო არ ყოფილა ის, რომ რ.შ. სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მოკლეს, კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ რ.შ-ს დაკავებასა და ესკორტში. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მთავრობას ეკისრება, რათა წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და სარწმუნო ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა სადავო მოვლენები. აღნიშნული ახსნა-განმარტების წარმოუდგენლობა, სასამართლოს კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევას იწვევს.

ამ მიმართულებით სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ გამოძიება ეროვნულ დონეზე ჯერ არ დასრულებულა, ისევ მიმდინარეობს. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური ვერსიის თანახმად, სამართალდამცველებმა ძალის გამოყენებას რ. შ-ის დაკავებისას მისი გაქცევის აღსაკვეთად მიმართეს; თუმცა ეს ვერსია არ ყოფილა გამყარებული რაიმე მტკიცებულებით; სასამართლო ვერ მიიღებს ამ არგუმენტს, როგორც ლეტალური ძალის გამოყენების გამართლებას; ის მხედველობაში იღებს თვითმხილველთა ჩვენებებს, რომლებიც აღწერენ პოლიციელების სისასტიკეს განმცხადებლის მეუღლის დაკავებისას, ვიდეოჩანაწერზე აღბეჭდილ გარდაცვლილის სხეულის დაზიანებების ხარისხსა და მათ წარმოშობასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ

დამაჯერებელი ახსნა-განმარტების არარსებობას. აღნიშნული დაკვირვებები არ შეესაბამება პოლიციის მტკიცებას იმის შესახებ, რომ რ. შ-ს სიკვდილი დაკავებისას მისი გაქცევის აღსაკვეთად აუცილებელი ძალის გამოყენების შედეგი იყო. შესაბამისად, ევროპული სასამართლო ადგენს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას განმცხადებლის მეუღლის გარდაცვალების ფაქტზე.

დასკვნა:

კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური და პროცედურული ასპექტები: დარღვევა
კონვენციის 41-ე მუხლი: 40 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ KUKHALASHVILI AND OTHERS V. GEORGIA² 8938/07 და 41891/07; 2.4.2020.

სიცოცხლის მოსპობა ციხის ბუნტის ჩასახშობად არაპროპორციული ლეტალური ძალის გამოყენების შედეგად / ამ ინციდენტის ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის 25 მარტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომ მზადდებოდა ამბოხება ქვეყნის სხვადასხვა ციხეში კრიმინალური ავტორიტეტებისთვის ძალაუფლების დასაბრუნებლად. სამმა „კანონიერმა ქურდმა“, რომლებიც ციხის საავადმყოფოში იმყოფებოდნენ, ინსტრუქცია მისცა ამავე საავადმყოფოში მყოფ სამ „მაყურებელს“ – გავლენიან პატიმრებს, რომ დანარჩენი პატიმრებისთვის ნებაყოფლობითი თვითდაზიანებებისკენ მოეწოდებინათ, რათა ციხის ადმინისტრაციას დაეკარგა კონტროლი სიტუაციაზე. ამ გზით ისინი იმედოვნებდნენ, რომ თანამდებობის დატოვება მოუწევდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს, ბ.ა-ს და კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ

მიმდინარე რეფორმები ჩაიშლებოდა. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ დეპარტამენტმა უსაფრთხოების ღონისძიებები გაამკაცრა. გადაწყდა 2006 წლის 27 მარტს ხსენებული ექვსი კრიმინალური ავტორიტეტის გადაყვანა N7 დაწესებულების კარცერებში. გართულებათა თავიდან ასაცილებლად ოპერაცია დაიგეგმა ღამით. ადგილზე მივიდნენ დეპარტამენტის უფროსი ბ.ა. და მისი თანამშრომლები. გადაყვანისას კრიმინალებმა ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს სამართალდამცველებს და მოახერხეს, რომ სხვა პატიმრებისთვისაც მოეწოდებინათ ამბოხებისკენ. ამ უკანასკნელებმა დაიწყეს ყვირილი, ნივთებისთვის ცეცხლის ნაკიდება, ფანჯრების ჩამტვრევა და ა.შ. საპასუხოდ მიმდებარე N1 და N5 დაწესებულებებში პატიმრები აჯანყდნენ. სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა N5 დაწესებულებაში, ამიტომ საჭირო გახდა სპეციალური დანიშნულების რაზმის გამოძახება, რის შედეგადაც შეიარაღებული ოპერაციის დროს შვიდი პატიმარი დაიღუპა, ხოლო ოცდაორი პატიმარი და ციხის ორი თანამშრომელი დაშავდა.

წინამდებარე საქმეზე განმცხადებელი არიან: სოფიო ბუხრაშვილი, მარინა გორდაძე და რუსუდან ჩიტაშვილი. პირველი და მეორე განმცხადებლები გარდაცვლილი პატიმრის – ბურაბ კუხალაშვილის დედა და და არიან, ხოლო მესამე განმცხადებელი გარდაცვლილი პატიმრის – არსენ ბუხრიკაშვილის დედაა. განმცხადებლებმა პროკურატურისგან მოიპოვეს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებდა, რომ ორივე პატიმარი ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის შედეგად გარდაიცვალა. პროკურორმა თითოეულ ოჯახს განუცხადა, რომ ლეტალური ძალა გამოიყენეს უკიდურესი აუცილებლობის პირობებში. ხელისუფლებამ პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენებასა და ე.წ. ციხის ბუნტთან დაკავშირებით ჩაატარა გამოძიება. ექვსი პატიმარი – კრიმინალური ავტორიტეტები და მათთან ასოცირებული პირები – ბუნტის დაწყების გამო ცნეს დამნაშავეებად და შესაბამისი სასჯელი შეუფარდეს. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ N5 დაწესებულების პატიმრებმა პოლიციის ოფიცრებს აგურები ესროლეს, რაზეც სპეციალური დანიშნულების რაზმმა მათ რეზინის ტყვიებით უპასუხა. შემდეგ პატიმრებმა მაკაროვის იარაღიდან ისროლეს და წინააღმდეგობას განაგრძობდნენ ბუნტის ჩახშობამდე. პროკურატურამ აგრეთვე ცალკე

² <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%5B%22001-202115%22%5D%7D>

სამართალწარმოება დაიწყო პოლიციის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ზურაბ კუხალაშვილისა და არსენ ბუხრიკაშვილის სავარაუდო მკვლელობის ფაქტებზე. პირველ საქმესთან მიმართებით გადაიდგა გარკვეული საგამოძიებო ნაბიჯები, თუმცა მეორე საქმესთან დაკავშირებით უცნობია, გატარდა თუ არა რაიმე ღონისძიება.

კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანნი აცხადებდნენ, რომ მათი ახლობლების გარდაცვალებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრებოდა. ისინი ასევე ასაჩივრებდნენ ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების არაეფექტიანობას.

სამართალი – კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი: სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, განახორციელოს ეფექტიანი გამოძიება უკანონო ან საეჭვო გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გამოყენების ფაქტზე გამოძიება ბუნტის მოწყობიდან სამი თვის დაგვიანებით იუსტიციის სამინისტროს იმავე დაწესებულებამ დაიწყო, რომელიც ოპერაციის დროს პირდაპირ ხელმძღვანელობდა სპეციალური დანიშნულების რაზმს. უფრო მეტიც, თავდაპირველად ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები უარს აცხადებდნენ რომ დაწყებულიყო ცალკე გამოძიება ძალის არაპროპორციულ გამოყენებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მათი შეფასებით, უკვე ჩატარებული იყო იგივე საგამოძიებო ზომები ციხის ბუნტის ექვსი ორგანიზატორის წინააღმდეგ დაწყებულ საქმეზე. გამოძიებას არ შეუსწავლია ოპერაციის გეგმა ან ლეტალური და ფიზიკური ძალის გამოყენება, რამაც გამოიწვია პატიმართა გარდაცვალება და დაზიანებები. არსებობდა მკაფიო ნიშნები იმისა, რომ საქმის გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები იმთავითვე იყვნენ გაფრთხილებული, რომ ძალის გამოყენება უნდა გაემართლებინათ. ამაზე მიუთითებდა პრეზიდენტის გამოსვლაც ინციდენტიდან მოკლე დროში. პროკურორი დ.ზ., რომელიც 2006 წლის 27 მარტის ბუნტის გამოძიებას ხელმძღვანელობდა, წინასწარი გამოძიების სანყის ეტაპზევე განწყობილი იყო, რომ გამართლება მოეძებნა ლეტალური ძალის გამოყენებისთვის,

რაც ჩანს მისი 2006 წლის მაისის, ივლისისა და აგვისტოს წერილებიდან.

მას შემდეგაც, რაც დაიწყო დამოუკიდებელი გამოძიება ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, განმცხადებლებს არ მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი, რითაც მათ ჩამოერთვათ მთავარი საპროცესო უფლებები. ამდენად, აღნიშნულ გამოძიებაში ფაქტობრივად არ იყვნენ ჩართული ზურაბ კუხალაშვილისა და არსენ ბუხრიკაშვილის ოჯახის წევრები და დაინტერესებულ საზოგადოებას არ მიეცა პროცესის განსჯის შესაძლებლობა. საბოლოოდ, გამოძიება რაიმე დასკვნამდე არ მისულა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება არაეფექტიანი იყო და არ აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი.

კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური ასპექტი:
(ა) სასამართლო განხილვის მეთოდოლოგია: ეროვნულ სასამართლოებს არ მიეცათ შესაძლებლობა, დაედგინათ შესაბამისი ფაქტები, რადგან ციხის ბუნტის ჩახშობის ოპერაციის დროს სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან, სავარაუდოდ, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე სამართალწარმოება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ასევე არ ჩატარებულა საპარლამენტო გამოძიება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთმა მასშტაბურმა ინციდენტმა შეძრა ქვეყანა და დიდი საერთაშორისო ყურადღება გამოიწვია. ასეთ ვითარებაში, როდესაც ევროპულ სასამართლოს ხელი შეეშალა, მიეღო ინფორმაცია ციხის ბუნტის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის ზუსტ გარემოებათა შესახებ, მოპასუხე სახელმწიფოს უნდა შეესრულებინა თავისი ვალდებულება – დამაკმაყოფილებლად და დამაჯერებლად განემარტა მოვლენათა თანმიმდევრობა და წარმოედგინა მყარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებდა განმცხადებელთა ბრალდებებს. ვინაიდან საბოლოოდ ევროპულმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს დასკვნები, ის უყრდნობა ყველა ხელმისაწვდომ მასალას, მათ შორის ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ

დადგენილ ფაქტებსა და ციხის ბუნტის ექვსი ორგანიზატორის წინააღმდეგ გამოძიების შედეგებს.

(ბ) იყო თუ არა ლეგიტიმური ლეტალური ძალის გამოყენება? მთავრობის განცხადებით, ეს იყო შეტაკება კრიმინალურ სამყაროსა და ციხის ხელმძღვანელობას შორის. ძალის გამოყენება მიზნად ისახავდა მემბრის პატიმრების სამაგალითოდ დასჯას.

მიუხედავად იმისა, რომ ეჭვგარეშეა: სოციალური ხრწნაა ის, რასაც იწვევს ქურდული სამყაროს კრიმინალური ინსტიტუტი საქართველოში, აგრეთვე სირთულეები, რომელთაც ამ უკიდურესად მავნე ფენომენთან ბრძოლისას აწყდება მოპასუხე სახელმწიფო, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ ლეტალური ძალის გამოყენება წმინდა სადამსჯელო მიზნებისთვის მაშინაც კი, თუ ის მიმართულია კრიმინალური სამყაროს სავარაუდო წევრებისადმი, ვერ იქნება გამართლებული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

მთავრობის მეორე არგუმენტი, რომლის თანახმად, ციხის მცველების სიცოცხლისათვის არსებობდა რეალური და გარდაუვალი საფრთხე ბარიკადების მიღმა ზოგიერთი ყველაზე აგრესიული პატიმრის მხრიდან ცეცხლსასროლო იარაღის გამოყენების შედეგად, საკმარისად დამაჯერებელი იყო.

ევროპული სასამართლო იზიარებს პოზიციას, რომ სამართალდამცველებს, რომლებიც კონფრონტირებული იყვნენ პატიმრების მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლითა და ორი ოფიცრის დაჭრით, ჰქონდათ სუბიექტური მიზეზი, ერწმუნათ, რომ აუცილებელი იყო ძალის გამოყენება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე სახელმწიფოს უკანონო ძალისა და ამბოხის რისკის პირობებში შეეძლო მიემართა ზომებისთვის, რომლებიც პოტენციურად მოიცავდა ლეტალური ძალის გამოყენებას, რაც შესაძლოა ეთავსებოდეს კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს. გასარკვევია: იყო თუ არა აბსოლუტურად აუცილებელი ამ ძალის გამოყენება განსაკუთრებით გარდაცვლილთა და დაზიანებულთა რიცხოვნობის გათვალისწინებით?

(გ) იყო თუ არა ლეტალური ძალის გამოყენება პროპორციული? ხელისუფლებამ შემთხვევის

დადგომამდე იცოდა კრიმინალური ავტორიტეტების გეგმის შესახებ – ციხეებში გაელვრებინათ დაუმორჩილებლობა. მიუხედავად ამისა, სპეციალური დანიშნულების რაზმს, რომელიც მონაწილეობდა ციხის ბუნტის ჩახშობაში, ზემდგომი პირებისგან არ მიუღია კონკრეტული მითითებები და ბრძანებები ლეტალური ძალის გამოყენების ფორმასა და ინტენსივობასთან დაკავშირებით, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო მსხვერპლის ალბათობა.

ციხის კედლების სიახლოვეს ავტომატური იარაღის გამოყენება აუცილებლად გულისხმობდა ფატალური შედეგების მაღალ რისკს. მთავრობამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ რაზმი ემორჩილებოდა ბრძანებათა ჯაჭვს და მათი მოქმედები კონტროლირებადი და სისტემატიზებული იყო. საერთაშორისო ორგანიზაციის Human Rights Watch მიერ შეგროვებულ მტკიცებულებათა თანახმად, უწყებათა წარმომადგენლებმა არც კი იცოდნენ, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი აღნიშნულ ოპერაციაზე. ისინი ციხეში მომხდარი ინციდენტის ჩახშობის მიზნით არც კი განიხილავდნენ ალტერნატიულ, ნაკლებად ძალადობრივ საშუალებათა გამოყენებას, მაგალითად, ცრემლსადენი აირის ან წყლის ჭავლისას. აღნიშნული ამკარა შედეგი იყო იმისა, რომ არ არსებობდა ოპერაციის ჩატარების რაიმე სტრატეგია. უფრო მეტიც, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების, Amnesty International-ისა და Human Rights Watch-ის ანგარიშების მიხედვით, შესაბამისი რაზმის წევრებმა პატიმართა მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს არა მხოლოდ შენობის შიგნიდან, არამედ შენობების სახურავებიდანაც, სადაც იყვნენ განლაგებული და ბრმა ტყვიებს ისროდნენ ციხის საკნების მიმართულებით. აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით, ციხის ამბოხის წინააღმდეგ ლეტალური ძალის გამოყენება იყო განურჩეველი და გადაჭარბებული.

ამასთანავე, Human Rights Watch-ის შეფასებით, ბარიკადების მიღმა მყოფ პატიმრებთან მოლაპარაკების მცდელობაც არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებმა ამისთვის მზადყოფნა გამოხატეს. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ პატიმრები ბუნებით მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან დაცვას საჭიროებს.

შესაბამისი საერთაშორისო ანგარიშების მიხედვით, სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს, უზრუნველყოთ პატიმრებისთვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების განწვევა ბუნტის ჩასახშობად ჩატარებული ოპერაციის დასრულების შემდეგ. რადგან რისკის განჭვრეტა შეუძლებელია, კიდევ უფრო ნათელი იყო შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების ვალდებულება, შეემუშავებინათ სათანადო სამედიცინო ევაკუაციის გეგმა; მეტიც, სანდო ანგარიშებზე დაყრდნობით, უკვე პოსტოპერაციულ ვითარებაში მრავალ თავისუფლებააღკვეთილ პირს არასათანადოდ მოეპყრნენ და ესროლეს კიდევ საკნებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წინააღმდეგობას აღარ უწევდნენ.

ბოლოს კი არც პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს ეროვნულ დონეზე და არც მოპასუხე მთავრობას ევროპული სასამართლოს წინაშე არ წარმოუდგენია ინფორმაცია იმის შესახებ, რა ბედი ეწიათ ინდივიდუალურ განმცხადებელთა ოჯახის წევრებს, რომლებიც ოპერაციის მიმდინარეობისას დაიღუპნენ. იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის მოპყრობას დაუქვემდებარეს სახელმწიფოს წარმომადგენლებმა თავისუფლებააღკვეთილი პირები სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ, მთავრობის უუნარობა, კონკრეტული ახსნა მოეძებნა შესაბამის პირთა მკვლელობის ფაქტებისთვის, წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, რომელიც ამტკიცებს ეროვნულ დონეზე გამოძიების არსებითი ხარვეზებით ჩატარებას.

დასკვნა:

კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური ასპექტი: დარღვევა

კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი: დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: არამატერიალური ზიანის გამო პირველსა და მეორე განმცხადებლებს – ერთობლივად 40 000 ევრო, ხოლო მესამე განმცხადებელს – 32 000 ევრო.

განუელი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის პირველსა და მეორე განმცხადებლებს – 5400 ევრო, ხოლო მესამე განმცხადებელს – 3400 ევრო.

შენიშვნა: კონვენციის მე-13 მუხლის ცალკე განხილვის საჭიროება არ არის.

საკვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ

SAKVARELIDZE V. GEORGIA³

40394/10; 6.02.2020

სიცოცხლის მოსპობა ჯავშანმანქანის დაჯახების შედეგად, რომელსაც სახელმწიფო ოფიცერი მართავდა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი მარიამ საყვარელიძე და მისი ოჯახის წევრები 2003 წლის 22 ნოემბერს ვარდების რევოლუციის საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას თბილისის ქუჩაში მანქანით გადაადგილდებოდნენ, როდესაც მათ დაეჯახა სამხედრო ჯავშანმანქანა, რომელსაც პოლიციელი თუ სამხედრო ოფიცერი მართავდა. დაჯახების შედეგად განმცხადებლის შვილი და და დაიღუპნენ, ხოლო განმცხადებელმა და მისმა დისშვილებმა სხეულის დაზიანებები მიიღეს.

აღნიშნულ საქმეს იძიებდა სხვადასხვა სამთავრობო უწყება, მათ შორის: თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ქ. თბილისის პროკურატურა. ამ პერიოდში გამოძიება რამდენჯერმე შეწყდა და ისევ განახლდა. 2010 წელს პროკურატურამ განმცხადებელს აცნობა, რომ ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება, თუმცა შეუძლებელი აღმოჩნდა იმისი დადგენა, რა მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევის დროს. დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო გამოძიება 2017 წლის მარტში შეწყდა.

ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებელი დავობდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, რომლის შედეგადაც მისი შვილი და და გარდაიცვალნენ, პასუხისმგებლობა სახელმწიფოს უნდა დაჰკისრებოდა, გარდა ამისა, ამ ფაქტთან დაკავშირებით არ იყო ჩატარებული ადეკვატური და ეფექტიანი გამოძიება.

სამართალი: კონვენციის მე-2 მუხლი: (ა) მატერიალური ასპექტი: ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი ეხება არა მხოლოდ განზრახ მკვლელობას, არამედ ასევე ისეთ ვითარებებს, როდესაც

³ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:\[%22sakvarelidze%22\],\[%22languageisocode%22:\[%22ENG%22\],\[%22documentcollectionid%22:\[%22JUDGMENTS%22\],\[%22itemid%22:\[%22001-200708%22\]\]](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22sakvarelidze%22],[%22languageisocode%22:[%22ENG%22],[%22documentcollectionid%22:[%22JUDGMENTS%22],[%22itemid%22:[%22001-200708%22]])

სიკვდილი დადგა სახელმწიფო მოხელეების მიერ ძალის უნებლიე გამოყენების შედეგად. 2003 წლის 22 ნოემბრის ავტოსაგზაო შემთხვევის კონკრეტული გარემოებები, კერძოდ, რა სიჩქარით მოძრაობდა სამხედრო ჯავშანმანქანა, გზის რომელ მონაკვეთზე შეეჯახა სამხედრო მანქანა და განმცხადებლის შვილის მართვის ქვეშე მყოფი მანქანა, ასევე გაიქცა თუ არა შემთხვევის ადგილიდან მძღოლი – მხარეებს შორის სადავო საკითხები იყო. ასეთი გადამწყვეტი ფაქტების ცოდნის გარეშე შეუძლებელია განმცხადებლის საჩივრის სათანადო შეფასება, კერძოდ იმისი დადგენა, არის თუ არა მოპასუხე სახელმწიფო პასუხისმგებელი საგზაო მოძრაობის წესების სავარაუდო დარღვევისას პოლიციელის ან სამხედრო პირის ქმედების გამო.

ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეში გაიმეორა, რომ სახელმწიფო ორგანოებს უკეთესი პოზიცია აქვთ ფაქტების დასადგენად. არსებული ვითარება არ შეიძლება გათანაბრებული იყოს პატიმრობაში მყოფი პირის გარდაცვალებასთან, როდესაც მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება, ან სიკვდილთან, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს წარუმატებლობით, შექმნას ადეკვატური მარეგულირებელი ჩარჩო საფრთხის შემცველ საქმიანობასთან დაკავშირებით. განმცხადებელს არასდროს უდავია, რომ მისი ახლობლების სიკვდილი გამოიწვია სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობამ ან სახელმწიფოს მიერ „პრევენციული ოპერატიული ღონისძიების“ გაუტარებლობამ. მიუხედავად იმისა, რომ ფატალური ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია სამხედრო მანქანამ, ფაქტებზე დაყრდნობით არ შეიძლება ითქვას, რომ მძღოლის მიერ გამოყენებულმა ძალამ წარმოშვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის მე-2 მუხლის ქრილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ, მის პოზიციაში მყოფი, ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო პასუხისმგებლობის დადგენის თაობაზე განმცხადებლის შვილისა და დის სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტის საფუძველზე.

(ბ) პროცედურული ასპექტი: ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგა-

ნობმა, მას შემდეგ, რაც ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ შეიტყვეს, დროულად აღძრეს სისხლის სამართლის საქმე და დაუყოვნებლივ გაატარეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება, როგორებიცაა: ეჭვმიტანილთა და მოწმეთა დაკითხვა და სხვადასხვა ექსპერტიზის ჩატარება; თუმცა თავდაპირველად გატარებული ღონისძიებები შემდგომ გამოძიების საერთო ხანგრძლივობამ და საგამოძიებო ორგანოების უმოქმედობამ დაჩრდილა. ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 2003 წლის 22 ნოემბერს, გამოძიება კი დამთავრდა 2017 წლის 1 მარტს, 13 წლის შემდეგ, კონკრეტული შედეგის გარეშე. ქვეყნის ხელისუფლებამ თავად აღიარა, რომ გამოძიებები მტკიცებულებათა შეგროვებისას არ მოქმედებდნენ სათანადო გულისხმიერებით.

გარდა ამისა, ევროპული სასამართლო ვერ ხვდება ეროვნულ დონეზე საქმის გაჭიანურების კონკრეტულ მიზეზს. გამოძიების თავდაპირველ ეტაპზევე ცნობილი იყო იმ პირის ვინაობა, რომელიც ჯავშანმანქანას მართავდა, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებებიც; თუმცა, მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ორგანოებს სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილება არ მიუღიათ. მთავრობა იმასაც არ ამტკიცებდა, რომ გამოძიების გაჭიანურება გამართლებული იყო სხვადასხვა მნიშვნელოვანი საპროცესო ღონისძიების განხორციელების საჭიროებით ან განმცხადებლის ქმედებით, ან სხვა შესაბამისი მიზეზებით. ამასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულებაზე უარის თქმაა; როგორც არაგონივრული ვადით უმოქმედობა, ისე ხელისუფლების მხრიდან გულისხმიერების ნაკლებობა პროცესის წარმართვისას გამოძიებას, საბოლოო შედეგის მიუხედავად, არაეფექტიანს ხდის.

ევროპული სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ გამოძიების გაჭიანურებამ შესაძლებელი გახადა სისხლის სამართლის საქმის წარმოების სტაგნაცია 10 წელზე მეტი ხნით, რამაც განაპირობა კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლა და სამართალწარმოების შეწყვეტა ჯავშანმანქანის მძღოლის პასუხისმგებლობის დადგენის გარეშე. აღნიშნულის ერთადერთი მიზეზი იყო სახელისუფლო ორგანოების მხრიდან გულისხმიერების ნაკლებობა, რაც, სასამართლოს

შეფასებით, გამოძიების განზრახ გაჭიანურებას ჰკავდა. ეს ამტკიცებს იმას, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა არ იყო მკაცრი და განმცხადებელს წაერთვა ზიანის ანაზღაურების მოპოვების შესაძლებლობა. სწორედ ეროვნულ დონეზე გამოძიების არაეფექტიანობის გამო შეეშალა ხელი ევროპულ სასამართლოს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენის თაობაზე კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური ასპექტის საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება.

ზემოხსენებული გარემოებანი საკმარისია, რათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნას, რომ 2003 წლის 22 ნოემბრის ავტოსაგზაო შემთხვევის გამოძიება არ იყო ეფექტიანი.

დასკვნა:

კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული

ასპექტი: დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 25 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის

ვაზაგაშვილი საქართველოს წინააღმდეგ⁴

VAZAGASHVILI. V. GEORGIA

N50375/07; 18.07.2019

სიცოცხლის მოსპობა პოლიციის მიერ წინასწარ დაგეგმილი ოპერაციის ფარგლებში/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა/ დანაშაულებისთვის არაადეკვატური სასჯელის შეფარდება: დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის 2 მაისს, დაახლოებით დილის 9.30 სთ-ზე, განმცხადებლების – იური ვაზაგაშვილისა და ციალა შანავას შვილი, ზ.ვ., 22 წლისა, და მისი მეგობარი ა.ბ., 25 წლისა, ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ თბილისში, როცა ისინი ჩაცხრილეს პოლიციელებმა. ოპერაციაში მონაწილეობდა ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული, სულ მცირე, პოლიციის 50 ოფიცერი,

მათ შორის – შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის მაღალი თანამდებობის პირები. პოლიციელებმა გაისროლეს სამოცდაათზე მეტი ტყვია. განმცხადებლების შვილი და ა.ბ. დაიღუპნენ. ექსპერტებმა დაზიანების სიმძიმის გამო ვერ შეძლეს დაედგინათ ტყვიების ზუსტი რაოდენობა, რომელთაც შეაღწიეს ვ.ზ-ის ტანსა და თავში. ავტომანქანის მესამე მგზავრი – ბ-ნი ბ. ფ. მძიმედ დაიჭრა, მაგრამ გადარჩა.

იმავე დღეს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ი.ქ-მ მედიისთვის გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ 2006 წლის 30 აპრილს განმცხადებლების შვილმა და ორმა სხვა მგზავრმა თბილისში დააყარა ლომბარდი. დეპარტამენტს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა მამაკაცთა ჯგუფი 2006 წლის 2 მაისს მიემართებოდა ბინის დასაყარალებლად. „ფრთხილად დაგეგმილი“ ოპერაციის შედეგად პოლიციამ აღკვეთა კრიმინალური გეგმის განხორციელება.

ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ, 2015 წლის 30 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი ხუთი მსჯავრდებულის მიმართ. სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა ზ.ვ-ისა და მისი ორი მეგობრის წინააღმდეგ ოპერაციის დაგეგმვის კანონიერი საფუძველი, რადგან კრიმინალური პოლიცია არ ფლობდა რაიმე უტყუარ ინფორმაციას, რომელიც გონივრულ ეჭვს გააჩენდა, რომ ახალგაზრდები გეგმავდნენ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას. ი.ფ-მ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დაუდგენელ მაღალჩინოსნებთან ერთად გააყალბა მტკიცებულებები, რათა გაემართლებინა პოლიციის დანაყოფების მობილიზება. ი.ფ-ს ასევე ამოძრავებდა განმცხადებლების შვილის მეგობრის, ა.ბ-ს, მიმართ პირადი შურისძიება (ამ უკანასკნელმა ადრე ამხილა მისი ძმა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში, რის გამოც იყო დაკავებული). სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ მაღალჩინოსანი გ.ც. უშუალოდ იყო ჩართული ორი ახალგაზრდის მკვლელობაში.

გარდა იმისა, რომ ი.ფ-სა და გ.ც-ს აშკარად განზრახული ჰქონდათ მკვლელობა, თბილისის საქალაქო სასამართლომ პოლიციის 2006 წლის 2 მაისის ოპერაციასთან დაკავშირებით დაადგინა ასევე ისიც, რომ მისი მოწყობა

⁴ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-194439%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-194439%22]})

დედაქალაქის დატვირთულ გამზირზე დილის საათებში გამვლელების სიცოცხლესაც უქმნიდა საფრთხეს (ბრმა ტყვია მოხვდა საზოგადოებრივ ტრანსპორტს); თანაც ზ.ვ-ის ავტომანქანის მიმართ ცეცხლი გაიხსნა მოულოდნელად, რაიმე წინასწარი გაფრთხილების ან დამორჩილების ბრძანების გარეშე. სასამართლომ ასევე შეაფასა პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა როგორც აშკარად არაპროპორციული, რადგანაც ზ.ვ-ის ავტომანქანიდან წინააღმდეგობა არავის გაუწევია. კ.ნ-ის პირველი გაუფრთხილებელი სროლის შემდეგ, თხუთმეტი წამის განმავლობაში, ხუთი პოლიციელი მაინც ისროდა კალამნიკოვის ავტომატური იარაღიდან ბოლომდე შევსებული მჭიდებით. თუნდაც იმის დაშვებითაც, რომ ზ.ვ-ის ავტომანქანიდან იყო წინააღმდეგობა პოლიციის მიმართ, ასეთი აბსოლუტური შეიარაღებული ძალის გამოყენება მაინც აშკარად არაპროპორციული იყო.

განმცხადებლები კონვენციის მე-2 მუხლის როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო ასპექტებზე დაყრდნობით ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ 2006 წლის 2 მაისს მათი ვაჟის მკვლელობის ფაქტზე და ამასთან დაკავშირებული ადეკვატური გამოძიების არარსებობის გამო.

2015 წლის 20 იანვარს პირველი განმცხადებელი გარდაიცვალა თავისი შვილის საფლავზე დადებული ხელნაკეთი ბომბის აფეთქების შედეგად. იმავე წლის 7 თებერვალს მისი მკვლელობის ფაქტზე დააკავეს პოლიციის ოფიცერი გ.ს., რომელიც შემდეგ დამნაშავედ ცნო სასამართლომ.

მეორე განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოს აცნობა, რომ სურდა სამართალწარმოების გაგრძელება როგორც თავისი, ასევე მეუღლის სახელით.

სამართალი: კონვენციის მე-2 მუხლი:

(ა) იყო თუ არა ეფექტიანი ზ.ვ-ის მკვლელობის გამოძიება? ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა 2006 წლის 2 მაისის ოპერაციის დასრულებისთანავე შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის იმავე პოლიციელების მიერ, რომლებიც ოპერაციაში მონაწილეობდნენ. მოგვიანებით მათ მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს დაეყრდნო

პროკურატურა პოლიციის მიერ ძალის გამოყენების პროპორციულობის შეფასებისას. შესაბამისად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავარი საგამოძიებო მოქმედებები აშკარად მოკლებული იყო დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას და ასეთ პროცედურულ ნაკლოვანებას არ შეიძლებოდა, გამოძიების მიმართულება არ გაემრუდებინა.

2005 წლის 6 მაისს, საქმის პროკურატურისთვის გადაცემის შემდეგ, გამოძიების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო უწყების უარი – განმცხადებლები ჩაერთოთ საქმეში დაზარალებულის სტატუსით და მათ ესარგებლათ შესაბამისი საპროცესო უფლებებით. ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პროკურატურამ სათანადო მნიშვნელობა არ მიანიჭა ორი დამოუკიდებელი მოწმის ჩვენებებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ზ.ვ-ის ავტომანქანის მგზავრებს არასოდეს გამოუვლენიათ შეიარაღებული წინააღმდეგობა პოლიციის მიმართ. ეს გარემოებები საკმარისია ევროპული სასამართლოსთვის იმის დასადგენად, რომ თბილისის პროკურატურის მიერ ჩატარებულ თავდაპირველ გამოძიებას აშკარად აკლდა ყოველმხრივობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.

მას შემდეგ, რაც 2012 წლის 12 დეკემბერს განახლდა პოლიციის საქმის გამოძიება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხუთ მაღალჩინოსანს მსჯავრი დაედო 2015 წლის 30 ოქტომბერს როგორც ორი პირის დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის, ასევე უფლებამოსილების გადამეტებისა და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის გამო. თუმცა ევროპული სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ სისხლის სამართლის საქმის განახლების შედეგი განმცხადებლებისთვის სათანადო სამართლებრივ დაცვას წარმოადგენდა. განმცხადებლების შვილის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის აღიარება ცხრა წლის შემდეგ საგამოძიებო ორგანოების ტოტალურ უმოქმედობასთან ერთად აშკარად მიანიშნებდა მართლმსაჯულების გაჭიანურებაზე. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულებაზე უარის თქმას უდრის. უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდები და ხელისუფლების მხრიდან

გულისხმირების ნაკლებობა პროცესის წარმართვისას გამოძიებას, მიუხედავად მისი საბოლოო შედეგისა, ხდის არაეფექტიანს.

გამოძიების განახლების შემდეგ, იმ გარემოების მიუხედავად, რომ არსებობდა არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელიც განმცხადებლების შვილის მიმართ ლეტალური ძალის გამოყენებაში შესაბამისი პოლიციელების მონაწილეობაზე მიუთითებდა, ხელისუფლებას მაინც თითქმის სამი წელი დასჭირდა, რომ გამოძიება დაესრულებინა და საქმე სასამართლოსთვის გადაეცა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესწილად, თვითონ პირველი განმცხადებლის მიერ იყო შეკრებილი ის მტკიცებულებები, რომელთაც მოგვიანებით ბრალდება დაეყრდნო.

როგორც შესაბამისმა ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, პირველი განმცხადებლის მკვლელობა შვილის საფლავზე მოთავსებული მონყობილობის აფეთქების შედეგად განპირობებული იყო მისი ინტენსიური საზოგადოებრივი აქტიურობით, რომ გამოეაშკარაებინა იმ პოლიციელების ქმედებები, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ზ.ვ-ის მკვლელობაზე 2006 წლის 2 მაისს. საგამოძიებო როლის კისრებით, რაც, ჩვეულებრივ, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს, პირველმა განმცხადებელმა თავი ჩაიყენა შურისძიების აშკარა საფრთხეში. ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მოცემული საქმის ტრაგიკული გაგრძელება წარმოადგენს იმის ნათელ მაგალითს, რა გამანადგურებელი შეიძლება იყოს ხელისუფლების მხრიდან უგულისყურობა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა საქმეებზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტება.

კიდევ ერთი საფუძველი, თუ რატომ არ იყო გამოძიება ეფექტიანი განახლების შემდეგაც, ის არის, რომ მეორე განმცხადებელს არ მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, რის გამოც ვერ ისარგებლა შესაბამისი უფლებებით, მათ შორის – შვილისა და ქმრის მკვლელობით განცდილი არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სათანადო სანქციების შერჩევის საკითხში ეროვნულ სასამართლოებს აშკარა უპირატესობა ენიჭება; თუმცა სასამართლო ერთვება იმ საქმეებში, რომლებშიც გამოყენებული სანქცია საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან მიმართებით აშკარად არაპროპორციულია. ეს აუცილებელია საზოგადოების ნდობის შენარჩუნების, სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფისა და უკანონო ქმედებებისადმი შემწყნარებლობის პრევენციისათვის.

მოცემულ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ, ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, საქმის განმხილველ სასამართლოს შეეძლო ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა დაენიშნა, მან თავდაპირველად თექვსმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა განმცხადებლების შვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ორ მონაწილეს. მეტიც, როდესაც ამ სასჯელებს უფარდებდა, საქმის განმხილველი სასამართლოსთვის აშკარად ცნობილი იყო, რომ ის არ იყო რეალური, რადგან 1/4-ით შემცირებას დაექვემდებარებოდა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე.

ევროპული სასამართლო სინანულით აღნიშნავს, რომ ეროვნულმა კანონმდებელმა, როდესაც იღებდა „ამნისტიის“ შესახებ კანონს, როგორც ჩანს, სათანადო ყურადღება არ გაამახვილა პოლიციელების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებების კანონის სრული სიმკაცრით დასჯის აუცილებლობაზე. ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ, როდესაც სახელმწიფო მოხელე, კერძოდ სამართალდამცველი, ბრალდებულია დანაშაულში, რომელიც არღვევს კონვენციის მე-2 მუხლს, დაუშვებელია ამნისტიის ან შეწყალების გამოყენება მის მიმართ. რა თქმა უნდა, ევროპული სასამართლო სამართალდამცველებთან მიმართებით სახელმწიფოებისგან მოელის სისხლის სამართლის უფრო მკაცრ პოლიტიკას, ვიდრე ჩვეულებრივი დამნაშავის შემთხვევაში, რადგან გადამწყვეტია არა დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ სახელმწიფოს ვალდებულება, ებრძოდეს დაუსჯელობის განცდას, რომელიც შეიძლება გაუჩნდეს სამარ-

თალდამცველს თავისი სამსახურებრივი სტატუსის გამო, ასევე შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა და პატივისცემა სამართალდამცავი სისტემისადმი.

ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ორ პოლიციელს, რომელთაც მოცემულ საქმეზე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაში დაედოთ მსჯავრი, არ ჩამოერთვათ საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება სასჯელის მოხდის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით სასამართლო ხაზს უსვამს პრინციპს, რომ სრულიად მიუღებელია ასეთი მიდგომა, ამით საზოგადოებას ეგზავნება არასწორი სიგნალი, რომ ძალიან მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო პასუხისმგებელ პირს ექნება შესაძლებლობა, მომავალში დაიკავოს თანამდებობა საჯარო სამსახურში.

ამ თვალსაზრისით ორი პოლიციელისთვის, რომლებმაც აღმაშფოთებელ ვითარებაში ბოროტი განზრახვით მოკლეს განმცხადებლის ვაჟი და მისი მეგობარი და ამ მიზნისთვის სამართალდამცავი სისტემა გამოიყენეს, შეფარდებული სასჯელი არ იყო ადეკვატური.

შესაბამისად, მიუხედავად ხუთი პოლიციელის მსჯავრდებისა 2006 წლის 2 მაისის ოპერაციის გამო, ზემოთ აღწერილი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით სახელმწიფოს რეაგირებას არ ჰქონდა საკმარისი ეფექტი მომავალში მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციისთვის.

ევროპული სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლებს ჰქონდათ მსხვერპლის სტატუსი კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით და დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი.

(ბ) შეერაცხება თუ არა სახელმწიფოს ზ.ვ-ის მკვლელობა? განმცხადებლებმა განმარტეს, რომ პოლიციის 2006 წლის 2 მაისის ოპერაციის ყველა გარემოების გათვალისწინებით მათი ვაჟი მოკლულ იქნა პოლიციის ძალის გამოყენების შედეგად, რომელიც არც კანონიერი იყო და არც მკაცრად აუცილებელი.

ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით ორმა პოლიციელმა განმცხადებლებ-

ბის ვაჟის მკვლელობა ჩაიდინა დამამძიმებელ გარემოებებში. სამ სხვა პოლიციელს მსჯავრი დაედო სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით ჩადენილ 2006 წლის 2 მაისს ზ.ვ-ისა და მისი მეგობრის მკვლელობასთან დაკავშირებულ ზოგ სხვა დანაშაულშიც. ამ დასკვნებმა აბსოლუტურად ნათელი გახადა, რომ საჯარო მოხელეების მიერ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ ზ.ვ-ის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოპასუხე სახელმწიფოს. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტი.

დასკვნა:

კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური და პროცედურული ასპექტი: დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 50 000 ევრო არამატერიალური ზიანის გამო;

შენიშვნა: კონვენციის მე-3, მე-6, მე-7, მე-14 მუხლებისა და პირველი ოქმის პირველი მუხლის ცალკე განხილვის საჭიროება არ არის.

**ენუქიძე და გირგვლიანი
საქართველოს წინააღმდეგ
ENUKIDZE AND GIRGVLIANI V.
GEORGIA⁵
25091/07;26.04.2011**

სახელმწიფო უწყებების ორკესტრირებული ქმედებები იმ მიზნისათვის, რომ სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი მკვლელობის საქმეზე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება: დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის 27 იანვარს, დაახლოებით საღამოს 11 საათისთვის, მეგობრების ჯგუფი თბილისში, კაფე „მარდენში“, შეიკრიბა. ამ ჯგუფში იყვნენ: შს მინისტრის მეუღლე თ.ს-აია, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დ.ა-აია, მისი მოადგილე ო.მ-ოვი, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი ვ.ს-ძე,

⁵ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22enukidze%22%5D,%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-104636%22%5D%7D>

სამინისტროს პრესცენტრის უფროსი და მინისტრის პრესსპიკერი გ.დ-ძე და თ.ს-აიას მეგობარი, ქ-ნი ა.კ-ძე. მათთან ერთად იმყოფებოდა კიდევ ერთი ქ-ნი, თ.მ-ძე, რომელიც ა.კ-ის მეგობარი იყო.

ბ-ნი სანდრო გირგვლიანი, განმცხადებლების 28 წლის ერთადერთი შვილი, და მისი მეგობარი ლ.ბ-ძე იმავე დარბაზში სხვა მაგიდასთან ისხდნენ. განმცხადებლების ვაჟი იმედოვნებდა თ.მ-ძის ნახვას, რომელიც მას, როგორც ჩანს, მოსწონდა. კაფეში შესვლისთანავე იგი მივიდა მაგიდასთან, სადაც თ.ს-აია, შს მინისტრის მეუღლე, და მისი მეგობრები ისხდნენ, რათა თ.მ-ძეს მისალმებოდა. მან გადააკოცნა თ.მ-ძე და შემდეგ ახლომდებარე მაგიდასთან მჯდომ ლ. ბ-ს შეუერთდა. ერთ მომენტში მან თ.მ-ძეს ანიშნა, მათ მაგიდასთან გადასულიყო და თ.მ-ძემაც დროებით შეიცვალა ადგილი. სანდრო გირგვლიანსა და თ.მ-ძეს შორის საუბარი, რომელიც დაახლოებით 20-30 წთ-ს გრძელდებოდა, როგორც ჩანს, საკმაოდ დაძაბული იყო და მკვეთრი უესტიკულაციის თანხლებით მიმდინარეობდა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ისინი რაღაცაზე ვერ თანხმდებოდნენ. როდესაც თ.მ-ძე სუფრას დაუბრუნდა, შს მინისტრის მეუღლემ ჰკითხა, რამე პრობლემა ხომ არ იყო. თ.მ-ძემ თქვა, რომ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ის ესაუბრა, მისი მეგობარი იყო და პრობლემა არ არსებობდა.

2006 წლის 28 იანვარს, დაახლოებით შუადღის 3 საათზე, ს. გირგვლიანის ცხედარი მისმა მეგობრებმა ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრებლის დახმარებით თბილისის შემოგარენში, სოფ. ოქროყანის სასაფლაოსთან ახლოს, კაფე „შარდენიდან“ 6.3 კილომეტრის დაშორებით იპოვეს.

2006 წლის 6 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ კონსტიტუციური დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გ.ა-ია დამნაშავედ ცნო წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სიცოცხლისთვის საშიში ძალადობით თავისუფლების უკანონო აღკვეთაში (სსკ-ის 143§2, მუხლის „ა“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტები), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 117§6 მუხლი), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა (სსკ-ის 333§1 მუხლი) და სხვისი ნივთის განადგურებაში (სსკ-ის 187§1 მუხლი). ამავე უწყების სხვა თანამშრომლები ა.ა-ური,

ა.ღ-ავა და მ.ბ-ძე დამნაშავეებად ცნეს სსკ-ის ზემოაღნიშნული 143§2 მუხლის „ა“, „გ“ და „თ“ ნაწილებით, 117§6 და 187§1 მუხლებით.

გ.ა-იას სასჯელის სახით განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, დანარჩენ სამ განსასჯელს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით.

2008 წლის 24 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვიტა სხვა პატიმართან ერთად შეენყალებინა გ.ა-ია, ა.ა-ური, ა.ღ-ავა და მ.ბ-ძე და გაენახვერებინა სასჯელის მოუხდელი ნაწილი. აღნიშნული შეწყალების აქტი მათთვის პირობით ვადამდე განთავისუფლების მოთხოვნის საფუძველს წარმოშობდა, რადგან შემცირებული სასჯელის 2/3 მოხდილი ჰქონდათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2009 წლის 5 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება ოთხი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

განმცხადებლები ირინა ენუქიძე და გურამ გირგვლიანი ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ მათი შვილი შსს-ს მაღალჩინოსნებმა მოკლეს, ხოლო შესაბამისმა ორგანოებმა არ ჩაატარეს ეფექტიანი გამოძიება.

სამართალი: კონვენციის მე-2 მუხლი: უდავოა, რომ განმცხადებელთა შვილის სიკვდილის გარემოებათა გამოსარკვევად ნამდვილად ჩატარდა გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები, მაგრამ ევროპულ სასამართლოს გაუჩნდა უნდობლობა გამოძიების კეთილსინდისიერებისა და ეფექტიანობის მიმართ, რომლის გაქარწყლებაც მთავრობამ ვერ შეძლო.

(ა) შსს-ს მიერ ჩატარებული გამოძიების შესახებ: ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ შსს-ს მიერ 2006 წლის 28 იანვარს სანდრო გირგვლიანის გვამის აღმოჩენის შემდეგ მიღებულმა ზომებმა ორი შემდეგი ფაქტი გამოავლინა: გარდაცვლილი და ლ.ბ-ძე კაფე „შარდენში“ იმ დროს იმყოფებოდნენ, როდესაც იქ შს მინისტრის მეუღლის მეგობრები იყვნენ შეკრებილნი, რომელთა უმრავლესობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ; კაფედან გარეთ გასვლის შემდეგ ორ მსხვერპლს თავს დაესხნენ უცნობი პირები,

რომლებიც ისე იქცეოდნენ, როგორც პოლიციელები. თ.მ-ძე, სანდრო გირგვლიანის მეგობარი ქალი, წარმოადგენდა უშუალო მეკავშირეს სანდრო გირგვლიანსა და კაფეში მყოფ შს მინისტრის მეუღლის მეგობრებს შორის. არა უგვიანეს 2006 წლის 31 იანვრისა მოწმეთა ჩვენებებისა და განხორციელებული სატელეფონო ზარების საფუძველზე გამოძიებელმა უკვე იცოდა, რომ არსებობდა კავშირი განმცხადებელთა შვილსა და ზემოხსენებულ ჯგუფს შორის და მას ჰქონდა გარკვეული საფუძველი, ეჭვი მიეტანა კუდის უფროსის პირველ მოადგილე გ.ა-იასა და შსს-ს ორ სხვა თანამშრომელზეც, მაგრამ, ამ გარემოებათა მიუხედავად, აღნიშნული უწყება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში – 2006 წლის 5 მარტამდე – კვლავ გამოძიების მწარმოებელ ორგანოდ რჩებოდა. მითითებულ პერიოდში სამინისტრომ არაერთი მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება განახორციელა. ასეთი ინსტიტუციური კავშირი, უფრო მეტიც, იერარქიული სუბორდინაცია, საქმეში მონაწილე შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებსა და საქმის მწარმოებელ გამოძიებლებს შორის კიდევ უფრო გასაოგნებელი ხდება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დ.ა-აია, კაფეში შეკრებილი შს მინისტრის მეუღლის ჯგუფის წევრი და ამავე დროს გ.ა-იას უშუალო უფროსი, მოგვიანებით გახდა პირი, რომელიც სამინისტროში სანდრო გირგვლიანის სიკვდილის გარემოებათა გამოძიებას ხელმძღვანელობდა. ინტერესთა კონფლიქტის ასეთ უმართებულობას, ევროპული სასამართლოს შეფასებით, კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ ეს გარემოება საზოგადოებისთვის დამალული იყო: გამოძიებაში დ.ა-იას მონაწილეობის შესახებ მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები სამინისტროს 2006 წლის 24 თებერვლით დათარიღებულ პატაკში, რომელიც მაშინ საიდუმლო დოკუმენტი იყო.

ევროპული სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ თვით შს მინისტრმაც კი მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ამ საქმესთან გარკვეული კავშირი უნდა ჰქონოდათ მის ხელქვეითებს და შესაძლოა მის მეუღლესაც, დაუყოვნებლივ არ გადასცა სისხლის სამართლის საქმე სხვა უწყებას, რაც შექმნილ სიტუაციაში ერთადერთი პროფესიული და წინდახედული გადაწყვეტილება იქნებოდა, არამედ, პირიქით, დ.ა-იას გამოძიების გაგრძელება დაავალა.

ევროპული სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ 2006 წლის 26 იანვრიდან 5 მარტამდე, მაშინ, როდესაც გამოძიებას აწარმოებდა შსს და შეგროვდა გადამწყვეტი მტკიცებულებები, გამოძიებას აშკარად აკლდა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა გამოძიების შემდგომ მსვლელობაზე.

(ბ) ქ. თბილისის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შესახებ: ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დარღვევა, რომელიც ამ ორგანომ დაუშვა, არის მისი ჭიუტი უარი, ნება დაერთო განმცხადებლებისთვის, მონაწილეობა მიეღოთ მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებებში, მიუხედავად მათი არაერთგზის მოთხოვნისა. მეტიც, მათ არ მიუწვდებოდათ ხელი სისხლის სამართლის საქმის მასალებზე, არავინ ატყობინებდა საგამოძიებო მოქმედებების შედეგებს და წართმეული ჰქონდათ კუთვნილი საპროცესო უფლებების გამოყენების შესაძლებლობა.

არც მეორე დაზარალებულს, ლ.ბ-ძეს, მიეცა შესაძლებლობა, რომ ჩართულიყო საგამოძიებო მოქმედებებში და ეს იმ ფონზე, როდესაც დანაშაულის შემდეგ ის ერთადერთი გადარჩენილი თვითმხილველი იყო და, წესით, უდავოდ წარმოადგენდა ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს.

წინასწარი გამოძიების პროცესში ლ.ბ-ძის მოწყვლადობის თვალსაჩინო მაგალითია შემდეგი ეპიზოდი: მან არ იცოდა, იმ დროისთვის რა მტკიცებულებები მოიპოვებოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებში, კერძოდ, არ იცნობდა ბრალდებულ გ.აია-ს თეორიას, რომ მისი კონფლიქტი სანდრო გირგვლიანთან კაფე „შარდენის“ შესასვლელში დაიწყო; ლ.ბ-ძეს, ცხადია, არ შეიძლებოდა სცოდნოდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ზუსტად გაეხსენებინა, კაფედან იგი სანდრო გირგვლიანთან ერთად გამოვიდა თუ ცალკე და ასევე ისიც, დაინახა თუ არა მან, რომ კაფედან გამოსვლისას მის მეგობარს ვილაცასთან შელაპარაკება მოუვიდა. აქედან გამომდინარე, ლ.ბ-ძე სრულიად მოუმზადებელი იყო ამ თემაზე პროკურორის ბუნდოვანი, მაგრამ მეთოდური შეკითხვების სერიაზე პასუხის გასაცემად. სინამდვილეში ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, საქმის

მასალების გაცნობის შემდეგ, შეიძლებოდა ლ.ბ-ძე მიმხვდარიყო, თუ რატომ უჭერდა მხარს პროკურორი ასე დაუინებით ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ლ.ბ-ძე და სანდრო გირგვლიანი კაფედან ცალ-ცალკე გამოვიდნენ.

ევროპული სასამართლო გვერდს ვერ აუვლის სხვა ეპიზოდებსაც, რომლებიც ადასტურებს, რომ ქ. თბილისის პროკურატურას საგამოძიებო მოქმედებები ამკარად არასწორი მიმართულებით მიჰყავდა, მაგალითად, როგორც 2006 წლის 8 მარტს ჩატარებული ამოცნობის პროცედურის ვიდეოჩანაწერიდან ირკვევა, ლ. ბ-ძემ გარკვეული ყოყმანით ო.მ-ოვი ერთ-ერთ ბოროტმოქმედს მიაშვავა, თუმცა პროკურორმა ეს ფაქტი არ შეიტანა საგამოძიებო მოქმედების ოქმში. ამის შემდეგ, 2006 წლის 10 მარტს, დაკითხვისას, ლ.ბ-ძემ კვლავ გამოთქვა თავისი ეჭვი, რომ შესაძლოა დანაშაულში ო.მ-ოვიც მონაწილეობდა, მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ ამ სერიოზულ განცხადებას ჯეროვანი ყურადღებით მოჰკიდებოდა, პროკურორმა დაზარალებულის დაკითხვის ოქმში მისი სიტყვების პერიფრაზა შეიტანა, თანაც იმგვარად, რომ მთლიანად უგულებელყო მიღებული ინფორმაციის შინაარსი. მსგავსი წინააღმდეგობა არსებობს ლ.ბ-ძისა და სანდრო გირგვლიანის კაფე „შარდენიდან“ გამოსვლის თაობაზე ლ.ბ-ძის სინამდვილეში გაკეთებულ განცხადებებსა და იმ ჩანაწერს შორის, რომელიც პროკურორმა 2006 წლის 6 მარტს ლ.ბ-ძის პირველი დაკითხვის ოქმში შეიტანა. ასევე არ ასახა პროკურორმა ოქმში ლ.ბ-ძის განცხადება, რომლის თანახმადაც, ზუსტად იმ დროს, როდესაც სანდრო გირგვლიანს მკვეთრი მანერების თანხლებით საუბარი ჰქონდა თ.მ-ძესთან, ლ.ბ-ძესთან იმავე მაგიდასთან მისი ერთი მეგობარი გადმოჯდა სალაპარაკოდ. ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ ამით პროკურორმა საგამოძიებო მოქმედების ოქმში დაამახინჯა მოწმის განცხადებები.

ევროპული სასამართლო გმობს იმ ფაქტს, რომ, განმცხადებლების გამუდმებული მოთხოვნების მიუხედავად, პროკურატურამ გამოძიების მიზნებისათვის არ გამოავლინა და არ დაკითხა ის პირები, რომლებთანაც დანაშაულის ღამეს კავშირი ჰქონდა როგორც ოთხ მსჯავრდებულს, ასევე კაფეში მსხდომ შს მინისტრის მეუღლის ჯგუფს. ასეთი ზომების მიღება აუცილებელი იყო, რათა შემოწმებულიყო განმცხადებლების

განცხადებები იმის შესახებ, რომ არსებობდა დანაშაულებრივი კავშირი დანაშაულის უშუალო აღმსრულებლებსა და კაფეში მყოფ შს მინისტრის მეუღლის ჯგუფს შორის, მაგალითად, ერთ კონკრეტულ ნომერზე დანაშაულის ღამეს ყველაზე ხშირად რეკავდა არა მხოლოდ ერთ-ერთი ბოროტმოქმედი – გ.ა-ია, არამედ – კაფეში შეკრებილი შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებიც. დ.ა-აიამ თავის ჩვენებაში აღნიშნა კიდევ, რომ ეს ნომერი მათ საერთო მეგობარ – მ-ელს ეკუთვნოდა. თავის მხრივ, ეს განცხადება ეწინააღმდეგებოდა შესაბამისი მობილური სატელეფონო კომპანიის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც აღნიშნული ნომერი ვინმე კ.ნ-ძეს, შპს „ფალკოს“ თანამშრომელს, ეკუთვნოდა. ამ ამკარა წინააღმდეგობის მიუხედავად, სახელმწიფო ორგანოებმა თავი არ შეინუხეს და არ დაადგინეს, თუ ვინ იყო აღნიშნული ნომრის ნამდვილი მფლობელი და არ უზრუნველყვეს ამ პირის მოყვანა და მოწმის სახით დაკითხვა, რათა პროცესის თითოეულ მონაწილეს შესძლებოდა იმის გამორკვევა, თუ რის შესახებ ესაუბრებოდა აღნიშნული პირი კაფე „შარდენში“ მსხდომ შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებსა და გ.ა-იას სწორედ იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი თავის კოლეგებთან, სამინისტროს სხვა თანამშრომლებთან, ერთად სანდრო გირგვლიანისა და ლ.ბ-ძის წინააღმდეგ დანაშაულს სჩადიოდა.

მთავრობა ამტკიცებდა, რომ რეალურად საგამოძიებო ორგანოებმა დაკითხეს ყველა ის პირი, რომლებთანაც დანაშაულის ღამეს სატელეფონო კავშირი ჰქონდა ოთხ ბოროტმოქმედს, მაგრამ გადაწყვიტეს, ეს ინფორმაცია არ შეეტანათ საქმის მასალებში. ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს მტკიცება, თუკი ის მისაღები იქნებოდა, მხოლოდ დაამძიმებდა არსებულ მდგომარეობას. მართლაც, მთავრობის ასეთი პოზიცია საფუძველს უმაგრებს განმცხადებელთა განცხადებებს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, რომ გამოძიებლებმა გადამალეს ძალზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებები. ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ ყველა იმ პირის ვინაობის დადგენა, რომლებთანაც შესაბამის პერიოდში კავშირი ჰქონდა ოთხ მსჯავრდებულს, ამკარად უკავშირდებოდა საქმის გულმოდგინე და ობიექტურ გამოძიებას. რაც შეეხება ბუნდოვან არგუმენტს ამ პირების პირადი ცხოვრების დაცვის აუცილებლობის შესახებ, ევროპული სასამართლო

აღნიშნავს, რომ შესაძლებელი იყო, ეროვნულ სასამართლოებში ისინი მხარეებს ანონიმური მოწმეების სახით დაეკითხათ.

ევროპული სასამართლო ასევე გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ პროკურატურამ არ გამოიკვლია სანდრო გირგვლიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილში აღმოჩენილი მრავალი ქრილობის, განსაკუთრებით ყელის არეში მიყენებული ქრილობების, გარემოებები. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ქრილობათა უმრავლესობა, მათ შორის საბედისწერო ქრილობა ხახის არეში, მიყენებული იყო მჭრელი, წვეტიანი და ტარიანი საგნით, შესაძლოა დანით, პროკურატურას თავი არ შეუწუხებია, რათა გამოეძიებინა და საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებათა კონტექსტში აეხსნა, თუ როგორ, რომელი მჭრელი იარაღით და ოთხ ბრალდებულთაგან რომელმა მიაყენა ეს ქრილობები. სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ ამ უმნიშვნელოვანესი ელემენტის დადგენა გარკვეული შედეგებს მოიტანდა, მათ შორის – დანაშაულის ჯეროვანი კვალიფიკაციის მხრივაც. ამის სანაცვლოდ პროკურატურამ უბრალოდ გაიზიარა ბრალდებულთა განცხადებები, რომ მათ არ გამოუყენებიათ რაიმე მჭრელი იარაღი, რომ სანდრო გირგვლიანს ეს ქრილობები მავთულის ღობეზე გადასვლისას ან მაყვლის ბუჩქებში გავლისას უნდა მიეღო. ასეთი არადაამაჯერებელი განცხადებები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა კვალიფიციური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნებს ქრილობების წარმოშობის შესახებ.

ევროპული სასამართლო ასევე საგანგაშოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ პროკურატურამ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა – უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის სათავეში დ.ა-აიას ძმა იდგა – არ უზრუნველყვეს ოთხი ბრალდებულის სხვადასხვა საკანში მოთავსება, რასაც იმ დროს ერთმნიშვნელოვნად მოითხოვდა საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ“. მიუხედავად იმისა, შეათანხმეს თუ არა ამის გამოსობით ბრალდებულებმა ერთმანეთთან თავიანთი ჩვენებები, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ კანონის ასეთი აშკარა უგულებელყოფა ვერასდობით ვერ შეუწყობდა ხელს გამოძიების მიმართ განმცხადებლებისა და მთლიანად საზოგადოების ნდობის განმტკიცებას.

ზემოთ აღწერილი ყველა გარემოება საკმარისია სასამართლოსათვის, რათა საქმისათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებათა გამოკვლევის გარეშე დაასკვნას, რომ საქმის გამოძიების იმ ნაწილს, რომელიც ქ. თბილისის პროკურატურაში ჩატარდა, აშკარად აკლდა ჯეროვანი გულმოდგინება, ობიექტურობა და, რაც ყველაზე მთავარია, კეთილსინდისიერება.

(გ) საქმის სასამართლოში განხილვის შესახებ: ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე სამართალწარმოების მთავარი ნაკლოვანება იყო შიდა სასამართლოების სისტემატური უარი, მიეცათ დაცვის მხარისთვის საკმარისი დრო და საშუალებები საქმის მასალების გასაცნობად და პოზიციის მოსამზადებლად; მართლაც, გამოგნებულია ის ფაქტი, რომ ასეთი რთული სისხლის სამართლის საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში მხოლოდ ცხრა დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ განმცხადებლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ იმ თოთხმეტ მტკიცებულებას, რომლებიც საქმის ხერხემალს წარმოადგენდა. ეს მტკიცებულებები ორიგინალის სახით სასამართლო სხდომაზე არასდროს გამოქვეყნებულა და არც შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით გამოუკვლევიათ.

პროცესში პროკურატურის მონაწილეობა ვერ მიიჩნევა დაზარალებულთა საპროცესო უფლებების უქონლობის კომპენსაციად, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნულ ორგანოს გამოძიების ეტაპზე აშკარად აკლდა კეთილსინდისიერება და ინტერესი განმცხადებულთა მოთხოვნების მიმართ.

ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად არ გამოიკვლიეს ზემოხსენებული თოთხმეტი მტკიცებულება; ასევე უგულებელყვეს განმცხადებულთა არაერთი შუამდგომლობა საქმეზე ქეშმარიტების დასადგენად, დამატებითი მტკიცებულებების, მათ შორის აუცილებელი სატელეფონო ზარების, ინფორმაციის მოპოვების შესახებ.

სასამართლო განსაკუთრებით გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ, როდესაც ლ.ბ-ძემ, თავისი

წინანდელი განცხადებების შესაბამისად, სასამართლოშიც გაიმეორა – იმჯერად უკვე სრულიად დარწმუნებულმა – როგორც პროკურატურის, ისე სასამართლოს საყურადღებოდ, რომ მეოთხე ბოროტმოქმედი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა მასაც და სანდრო გირგვლიანსაც, ო.მ-ოვი იყო, აღნიშნულმა სახელმწიფო ორგანოებმა იმის მაგივრად, რომ სიფხიბლე გამოეჩინათ, რაც მათ კანონით ევალებოდათ, თვალი დახუჭეს ამ ძალზე მძიმე და სარწმუნო ბრალდებაზე. ისინი განაგრძობდნენ თავიანთ ყოვლად აუხსნელ უმოქმედობას მაშინაც კი, როდესაც განმცხადებლებმა მკაფიოდ მოითხოვეს ო.მ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მის წინააღმდეგ უშუალო მსხვერპლის – ლ.ბ-ძის მამხილებელი განცხადებების საფუძველზე.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობდა სხვა საექვო გარემოებებიც, რომლებიც, შიდა სასამართლოების მიერ ჯეროვნად რომ ყოფილიყო შეფასებული, ნათელს მოჰყენდა განმცხადებელთა ზემოხსენებულ განცხადებას კაფეში მყოფ მინისტრის მეუღლის მეგობრების ჯგუფთან დანაშაულებრივი კავშირის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ, თუ გ.ა-იამ წინასწარი გამოძიების ეტაპზე განაცხადა, რომ ოქროყანიდან დაბრუნებისას უკანა გზაზე, ანუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მას დაურეკა გ.დ-ქემ, რათა ეკითხა, მოდიოდა თუ არა იგი კაფეში წვეულებაზე დასასწრებად, ამ უკანასკნელმა სასამართლოში დაკითხვის დროს საექვოდ უარყო, რომ მისთვის არაფერი იყო ცნობილი გ.ა-იას კაფეში შესაძლო მისვლის შესახებ. ამავე დროს სასამართლო აღნიშნავს, რომ, როგორც საქმის მასალებში არსებული სატელეფონო ზარების მონაცემები ადასტურებს, დანაშაულის ღამეს – 1.50, 1.56, 2.01 და 2.05 საათზე – გ.დ-ქესა და გ.ა-იას მართლაც ჰქონდათ ერთმანეთთან სატელეფონო კავშირი. ამ ფაქტიდან გამომდინარე, სასამართლოს ძალზე სამწუხაროდ მიაჩნია ის გარემოება, რომ შიდასახელმწიფო ორგანოებმა არ ახსნეს ასეთი აშკარა შეუსაბამობანი.

აღსანიშნავია, რომ პირადად გ.ა-იას მონათხრობიც კი სანდრო გირგვლიანთან მისი კონფლიქტის წარმოშობის თაობაზე იმ ფაქტს ადასტურებს, რომ განმცხადებელთა შვილი იცნობდა და, როგორც ჩანს, კონფლიქტი მოუვიდა შსს-ს რამდენიმე

წარმომადგენელთან, კერძოდ კი გ.დ-ქესთან. როგორც გ.ა-იამ თქვა, მან გაიგო, რომ სანდრო გირგვლიანმა „დედა შეაგინა გ.დ-ქეს“ და ასევე „დედები შეუგინა“ კაფეში მსხდომ „კა-გე-ბე-ს თანამშრომლებს“. გონიერ დამკვირვებელს გ.ა-იას განცხადებების მიხედვით შეეძლო გამოეტანა დასკვნა, რომ სანდრო გირგვლიანი იცნობდა იმ პირებს, რომელთაც შეურაცხყოფას აყენებდა. კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ასევე ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ უნდა არსებულებოდა რაღაც კავშირი და ფარული შუღლი განმცხადებელთა შვილსა და გ.დ-ქეს შორის, ის ფაქტია, რომ პირად საუბარში თ.მ-ქესთან სანდრო გირგვლიანმა შეურაცხმყოფელი სიტყვა „პედერასტი“ გამოიყენა შს მინისტრის პრესმდივნის მისამართით.

საქმის მასალებში არსებული სატელეფონო ზარების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სანდრო გირგვლიანის მიმართ დანაშაულებრივი ქმედებები უნდა ჩადენილიყო ღამის 2.12 სთ-სა და 2.54 სთ-ს შორის შუალედში, რადგან სწორედ ამ პერიოდში იმყოფებოდა გ.ა-ია ოქროყანის სასაფლაოს მიდამოებში. აღნიშნული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ღამის 2.08, 2.17, 2.23-სა და 2.25 სთ-ზე გ.დ-ქეს დ.ა-იას ტელეფონიდან ვილაცამ დაურეკა. ევროპული სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ პროკურატურასა და შიდა სასამართლოებს არც კი უცდიათ გამოერკვიათ, ვინ ურეკავდა შს მინისტრის მეუღლის ჯგუფიდან გ.-იას ასეთი საექვო ინტენსივობით – მხოლოდ 9, 6 და 2 წუთის ინტერვალით – სწორედ იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი სამინისტროს სხვა თანამშრომლებთან ერთად სანდრო გირგვლიანსა და ლ.ბ-ქეს იტაცებდა და იმ მომენტში ან ოქროყანისკენ მიმავალ გზაზე იყო, ანდა უკვე მსხვერპლთა ცემით იყო დაკავებული: იყო ეს დ.ა-აია, რომელიც მობილური ტელეფონის მფლობელი იყო თუ შესაძლოა სულაც ო.მ-ოვი?

ევროპული სასამართლო გმობს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა თვალი დახუჭეს განმცხადებელთა სარწმუნო განცხადებებზე, კაფეში შეკრებილი შს მინისტრის მეუღლის ჯგუფის ზოგიერთ წევრსა და დანაშაულის უშუალო ჩამდენთ შორის დანაშაულებრივი კავშირის არსებობის შესახებ. ასეთი შერჩევითი მიდგომა სასამართლოსთვის მიუღებელია, რადგან გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის

აუცილებელია, რომ მისი დასკვნები ეფუძნებოდეს დანაშაულის ყველა ელემენტის ყოველმხრივ ობიექტურსა და მიუკერძოებელ ანალიზს.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლებს თვითნებურად წაერთვათ უფლება, ეფექტიანი მონაწილეობა მიეღოთ სასამართლო პროცესში, ხოლო თვითონ პროცესმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ შიდასახელმწიფო ორგანოებს ამკარად არ ჰქონდათ სურვილი, ობიექტურად და დამაჯერებლად დაედგინათ ქეშმარიტება 2006 წლის 28 იანვარს სანდრო გირგვლიანის გატაცებისა და სიკვდილის გარემოებათა შესახებ.

(დ) მსჯავრდებულთათვის შეფარდებული სასჯელის საკმარისობის შესახებ: ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ, ჩვეულებრივ, მის ფუნქციებში არ შედის იმისი შემოწმება, თუ რამდენად სწორად არის გამოყენებული სისხლის სამართლის კანონის დებულებები სასჯელის განსაზღვრისას ან კიდევ განსჯა იმისა, თუ რა ხარისხის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა უნდა დაჰკისრებოდეთ სახელმწიფო მოხელეებს; თუმცა, ვინაიდან მხედველობაში იღებს თავის ვალდებულებას, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, რომ განსაკუთრებული გულმოდგინებით შეისწავლოს სახელმწიფოს წარმომადგენლების ხელში ჩადენილი მკვლელობის საქმეები, განურჩევლად იმისა, იმყოფებოდნენ თუ არა ისინი თავიანთი ოფიციალური მოვალეობების შესრულების პროცესში, სასამართლოს არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ ფაქტს, რომ საგამოძიებო ორგანოებმა არ მოამზადეს საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი, ხოლო სასამართლოებმა არ შეინუხეს თავი, გადანყვეტილებათა დროს ზედმინევიანთ ემსჯელათ მოპყრობის ბუნებაზე, რომელმაც პირის სიკვდილი გამოიწვია.

სასამართლო აღნიშნავს, რომ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისა და სხვა მტკიცებულებათა თანახმად, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სანდრო გირგვლიანი წელს ზემოთ გააშიშვლეს და სხეულის სხვადასხვა ნაწილში მჭრელი, წვეტიანი და ტარიანი იარაღით, შესაძლოა დანით, მრავალრიცხოვანი ჭრილობა მიაყენეს. პროკურატურამ და სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ეს ქმედებები ოქროყანის

სასაფლაოზე შს სამინისტროს ოთხმა მოსამსახურემ ჩაიდინა. ერთადერთი შესაძლო ლოგიკური დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს ამ ორი დადგენილი ფაქტიდან გამომდინარე, ის არის, რომ ბოროტმოქმედებმა ოქროყანის სასაფლაოზე ჯერ გააშიშვლეს სანდრო გირგვლიანი, რაც თავისთავად ადამიანის მიმართ განზრახ დამამცირებელი მოპყრობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, ხოლო შემდეგ ჯგუფის შეიძლება მხოლოდ ერთმა წევრმა დაიწყო მისი დაუნდობლად დაჭრა დაუდგენელი მჭრელი იარაღის გამოყენებით.

სასამართლო მხედველობაში იღებს მრავალრიცხოვან ჭრილობას მსხვერპლის მთელ სხეულზე, რომელთა სიგრძე 4-სა და 15 სმ-ს შორის მერყეობს და ასევე მოიცავს ღრმა ჭრილობებს ყელის არეში, რომელთაგან ერთი, რომელმაც მსხვერპლის ხახა გახვრიტა, საბედისწერო აღმოჩნდა, და მას სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ დაასკვნას: სანდრო გირგვლიანი გახდა განსაკუთრებით სასტიკი, სიცოცხლისთვის საშიში არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი; უფრო მეტიც, რადგან ბოროტმოქმედმა (ბოროტმოქმედებმა) მსხვერპლს ესოდენ ფაქიზ ადგილას, როგორცაა ყელის არე, გაურკვეველი მჭრელი იარაღით 12 ჭრილობა მიაყენა/მიაყენეს, ერთადერთი გონივრული ვარაუდი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ბოროტმოქმედს/ბოროტმოქმედებს რეალურად განზრახული ჰქონდა/ჰქონდათ, მოეკლა/მოეკლათ სანდრო გირგვლიანი; კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ხაზს უსვამს ჩადენილი დანაშაულის სიცოცხლისათვის საშიშ ხასიათს, იყო ის, რომ ერთმა ბოროტმოქმედმა მაინც გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი. ყველა ამ ფაქტზე დაყრდნობით სასამართლო სავალალოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ დანაშაულის კვალიფიკაციის შერჩევისას და დამნაშავეთათვის სასჯელის სახით 7-8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას, რისი საკმარისობაც ნამდვილად საეჭვოა, შიდა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ისეთი ამკარად დამამძიმებელი გარემოება, როგორცაა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ მსხვერპლის მიმართ სრულიად შეგნებულად ჩადენილი დამამცირებელი და განსაკუთრებით სასტიკი მოპყრობა.

ნებისმიერ შემთხვევაში პრობლემის არსი არა იმდენად ბოროტმოქმედთათვის თავდაპირველად

შეფარდებული სასჯელის ზომას, რამდენადაც შემდეგ ამ სასჯელის აღსრულების წესი. სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ 2008 წლის 24 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ესოდენ შემზარავ დანაშაულში მსჯავრდებული სახელმწიფო მოხელეების შეწყალება და მათთვის სასჯელის დარჩენილი ვადის განახევრება. ამის შემდეგ, თითქოს შეწყალების ასეთი ზომა არ ყოფილიყო საკმარისად შემწყნარებლური, 2009 წლის 5 სექტემბერს სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის რეკომენდაციითა და შესაბამისი შიდა სასამართლოს გადაწყვეტილებით მსჯავრდებულები პირობით ვადამდე გაათავისუფლეს. ხელისუფლება საქართველოს საზოგადოებისგან მოელოდა, რომ მისთვის მისაღები იქნებოდა ის ფაქტი, რომ სამი წლისა და ექვსი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა საკმარისი სასჯელი იყო შსს-ს ოთხი მაღალი თანამდებობის პირისათვის, რომლებიც, გაშმაგებულები, არაადამიანურად მოეპყრნენ და მოკლეს უდანაშაულო ადამიანი.

ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ, როდესაც სახელმწიფოს მოხელე, კერძოდ სამართალდამცველი, ბრალდებულია დანაშაულში, რაც არღვევს კონვენციის მე-2 მუხლს, ამნისტიის ან შეწყალების გამოყენება მის მიმართ არ ემსახურება ადეკვატური სასჯელის მიზანს. რა თქმა უნდა, ევროპული სასამართლო სახელმწიფოებისგან მოელის სისხლის სამართლის უფრო მკაცრ პოლიტიკას სამართალდამცველებთან მიმართებით, ვიდრე ჩვეულებრივი დამნაშავის შემთხვევაში, რადგან გადამწყვეტია არა დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ სახელმწიფოს ვალდებულება, ებრძოლოს დაუსჯელობის განცდას, რომელიც შეიძლება გაუჩინდეს სამართალდამცველს თავისი სამსახურებრივი სტატუსის გამო, რათა შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა და პატივისცემა სამართალდამცავი სისტემის მიმართ.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ შიდა სასამართლოების მიერ მსჯავრდებულებისათვის გამოტანილი განაჩენი და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ განაჩენის აღსრულების წესი არ წარმოადგენდა საკმარის სასჯელს ჩადენილი

დანაშაულისათვის. ასეთი არაგონივრული ღმობიერების გამო ოთხი მოხელის მიმართ განხორციელებულ სისხლისსამართლებრივ დევნას დაეკარგა დაცვის საშუალების ეფექტი, რომელსაც მოითხოვს კონვენციის მე-2 მუხლი.

(ე) დასკვნითი მოსაზრებები: ევროპული სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სანდრო გირგვლიანის სიკვდილის გარემოებათა გამოძიება მოკლებული იყო დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობასა და გულმოდგინებას. შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა არაკეთილსინდისიერად წარმართეს საქმის გამოძიება. ცალკეული სახელმწიფო ორგანოების არაჯეროვანი ქმედებები, ცალკე აღებული, რომც არ ყოფილიყო საკმარისი გამოძიების არაადეკვატურობის დასადგენად, მათი თანაარსებობა, კუმულაციური ეფექტი ამ თვალსაზრისით საკმარისზე მეტიც კია. ევროპული სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტო – შსს გამოძიების საწყის სტადიაზე დაშვებული დარღვევებით, პროკურატურა გამოძიების დანარჩენი დარღვევებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მსჯავრდებულების ერთ საკანში უკანონოდ მოთავსებით, შიდა სასამართლოები ნაკლოვანი სასამართლო განხილვებითა და მსჯავრდებულების ვადაზე ადრე განთავისუფლებით, საქართველოს პრეზიდენტი მსჯავრდებულთა მიმართ უსაფუძვლო ღმობიერების გამოვლენით და ა.შ. – ყველა ერთად, ორკესტრიერებულად მოქმედებდა, რათა ამ შემზარავი მკვლელობის საქმის მიმართ როგორმე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება.

აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი.

ვ) განმცხადებლების შვილის გარდაცვალება შეერაცხება თუ არა სახელმწიფოს ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, მისი საპროცესო ვალდებულებებით უნდა შემოიფარგლოს. კერძოდ, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ, მართალია, სანდრო გირგვლიანი სახელმწიფოს წარმომადგენლების ხელში

გარდაიცვალა, მაგრამ დამნაშავეები არ მოქმედებდნენ სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში. საქმის გარემოებათა თანახმად, მათ დანაშაული ჩაიდინეს თავიანთი მეგობრის დაბადების დღის კერძო წესით აღნიშვნის კონტექსტში. ისინი არ მონაწილეობდნენ პოლიციის მიერ დაგეგმილ ოპერაციაში ან სპონტანურ დევნაში; რაც შეეხება განმცხადებელთა განცხადებას, რომ მათი შვილი ბოროტმოქმედებმა კაფე „შარდენში“ შეკრებილი შსს-ს მაღალჩინოსნების – თავიანთი უფროსების – ბრძანებით მოკლეს, ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი იმისათვის, რომ ესოდენ შორს მიმავალი დასკვნა ფაქტის შესახებ „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტის დაცვით გაკეთდეს.

ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ გ.ა-იას, ა.ა-ურის, ა.ყ-ავასა და მ.ბ-ძის მიერ ჩადენილი კერძო ქმედებები შეიძლება მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ იმ მიზეზით შეერაცხოს, რომ ეს პირები ამავე დროს სახელმწიფოს წარმომადგენლები იყვნენ. მართლაც, გასაჩივრებული ქმედებები ისეთი შემზარავი იყო თავისი სისასტიკით და ისე შორს იყო დამნაშავეთა ოფიციალური სტატუსისაგან, რომ მათი დანაშაულებრივი ქცევა არ შეიძლება იწვევდეს სახელმწიფოს საერთაშორისო მატერიალურ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა.

დასკვნა:

კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული

ასპექტი: დარღვევა

კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური

ასპექტი: არ არის დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 50 000 ევრო

არამატერიალური ზიანისთვის და 388 ევრო

განუელი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

შენიშვნა: დადგინდა ასევე კონვენციის 38-ე

მუხლის დარღვევა.

იხ. აგრეთვე: *Mojsiejew v. Poland*, no. 11818/02, 24 March 2009; *Esat Bayram v. Turkey*, no. 75535/01, 26 May 2009; *recknell v. the United Kingdom*, no. 32457/04, 27 November 2007; *Kornev and Karpenko*

v. Ukraine, no. 17444/04, 21 October 2010; *Vachkovi v. Bulgaria*, no. 2747/02, 8 July 2010; *Türkmen v. Turkey*, no. 43124/98, 19 December 2006; *etrović v. Serbia*, no. 40485/08, 15 July 2014; *Kulah and Koyuncu v. Turkey*, no. 24827/05, 23 April 2013; *Dimitrova and Others v. Bulgaria*, no. 44862/04, 27 January 2011; and *Özcan and Others v. Turkey*, no. 18893/05, 20 April 2010; *Brecknell v. the United Kingdom*, no. 32457/04, 27 November 2007; *Šilih v. Slovenia*, no. 71463/01, 9 April 2009; *Hugh Jordan v. the United Kingdom*, no. 24746/94, 4 May 2001; *Velcea and Mazăre v. Romania*, no. 64301/01, 1 December 2009; *Merkulova v. Ukraine*, no. 21454/04, 3 March 2011; *Nina Kutsenko v. Ukraine*, no. 25114/11, 18 July 2017; *aAli and Ayşe Duran v. Turkey*, no. 42942/02, 8 April 2008; *Gulyan v. Armenia*, no. 11244/12, 20 September 2018; *Mojsiejew v. Poland*, no. 11818/02, 24 March 2009; *Armani Da Silva v. the United Kingdom*, no. 5878/08, 30 March 2016; *Merkulova v. Ukraine*, no. 21454/04, 3 March 2011.

გარდაცვალება პენიტენციურ დაწესებულებაში ეფექტიანი გამოძიება

**ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ
TSINTSABADZE V. GEORGIA⁶
N35403/06; 15.02.2011**

საეჭვო გარემოებებში პატიმრის გარდაცვალების ფაქტზე თვითმკვლელობის დადგენა გამოძიების შედეგად, რომელიც მრავალ კითხვას აჩენს: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლის ვაჟს, ზურაბ ცინცაბაძეს ბრალად ედებოდა წინააღმდეგობის განწევა პოლიციელებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ აღეკვეთათ მისი ძალადობა და საკუთრების დაზიანება ყოფილი მეუღლის ბინაში. 2005 წლის 2 ივნისს ის დამნაშავედ ცნო სასამართლომ და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

⁶ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-103371%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-103371%22]})

2005 წლის 30 სექტემბერს ბ-ნი ცინცაბაძე ჩამომხრჩვალ იპოვეს ხონის N9 დაწესებულების საკუჭნაოში. მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, 2005 წლის 22 ნოემბერს, საოლქო პროკურორმა საქმე დახურა მტკიცებულებათა ნაკლებობის გამო. მან დაასკვნა, რომ განმცხადებლის ვაჟის თვითმკვლელობა არ იყო მუქარის ან ფიზიკური ზეწოლის შედეგი.

გარდაცვლილის დედამ, განმცხადებელმა სვეტლანა ცინცაბაძემ, ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა, რომ მისი შვილი მოკლეს ციხეში, შემდეგ მკვლელობა თვითმკვლელობად შენიღბეს და საქმეზე არ ჩატარდა ადეკვატური გამოძიება.

სამართალი: კონვენციის მე-2 მუხლი: უდავოა, რომ განმცხადებლის შვილის სიკვდილის გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო და არაერთი გადაუდებელი და საჭირო საგამოძიებო ზომა განხორციელდა: ადგილის დათვალიერება, სამედიცინო ექსპერტიზა და სხვადასხვა მოწმის დაკითხვა. მიუხედავად ამისა, ამ ღონისძიებათა განხორციელებისას სასამართლომ გამოავლინა მრავალი არსებითი შეუსაბამობა და ხარვეზი, შესაბამისად, დარჩა ბევრი აშკარად პასუხგაცემელი შეკითხვა ბ-ნი ცინცაბაძის საეჭვო გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

(ა) თვითმკვლელობის ოფიციალური ვერსიის ნაკლოვანი მხარეები

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის შვილი გარდაცვლილი იპოვეს ხონის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომელიც იუსტიციის სამინისტროს პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშ არის. სიცოცხლის განზრახ ხელყოფის შემთხვევის გამორიცხვის შემთხვევაშიც გასარკვევია, გამოიწვია თუ არა ეს შემთხვევა ციხის ადმინისტრაციის დაუდევრობამ.

ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ყველა საგამოძიებო ღონისძიება იმავე სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ განხორციელდა, ხოლო გამოძიების შედეგები დამატებითი გამოძიების ჩატარების გარეშე პირდაპირ დაამოწმა სახელმწიფო ბრალმძებელმა დამატებითი გამოძიების ჩატარების გარეშე საქმის დახურვის მიზნით. სასამართლოს შეფასებით,

ეს ინსტიტუციური კავშირი გამომძიებლებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებას შორის კანონიერ ეჭვს ბადებს გამოძიების პროცესის დამოუკიდებლობასთან მიმართებით. ეს ეჭვი კიდევ უფრო ძლიერდება ამ საქმეში საგამოძიებო ორგანოს ქმედებებზე დაკვირვებით.

სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიების დეტალური ანალიზი ავლენს რამდენიმე არსებით დარღვევას: კერძოდ, ადგილი, სადაც ზურაბ ცინცაბაძის სხეული აღმოაჩინეს, გამომძიებლების მოსვლამდე არ იყო დალუქული; სასამართლო განსაკუთრებით შეძრა იმ ფაქტმა, რომ ციხის თანამშრომლებს, რომლებიც, ლოგიკურია, შესაძლოა ჩარეული ყოფილიყვნენ ამ საბედისწერო მოვლენებში, უფლება მისცეს, გარდაცვლილისთვის გაეხადათ ფეხსაცმელი, გაეჩხრიკათ მისი ჭიბეები და შემთხვევის ადგილიდან გაეტანათ მტკიცებულებები, ესენია: სკამები და საბნისგან გაკეთებული ბანარი, რომლის მეშვეობითაც, სავარაუდოდ, პატიმარმა თავი მოიკლა. სასამართლო იმ ფაქტსაც აქცევს ყურადღებას, რომ გამომძიებელმა, სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, აუხსნელი მიზეზის გამო არ დალუქა სკამები, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩამომხრჩვალ პატიმრის ფეხქვეშ იყო და ნივთმტკიცებას წარმოადგენდა.

სასამართლო ასევე გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ, განმცხადებლის თქმით, გამომძიებლებმა არ აიღეს თითების ანაბეჭდები სკამებიდან, ბოქლომიდან, კარებიდან ან საკეტიდან, რათა გარდაცვლილის ანაბეჭდებისათვის შეედარებინათ. სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ ასეთი საგამოძიებო ზომა მნიშვნელოვნად შეცვლიდა ფაქტებს იმის შესახებ, როგორ შევიდა ზურაბ ცინცაბაძე დაკეტილ ოთახში და თავად მოამზადა თუ არა ჩამოხრჩობა. სამწუხაროა, რომ, საოლქო პროკურორის ნათელი და გამოსადეგი ინსტრუქციის მიუხედავად, სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა თავი არ შეინუხა, გამოევიდნა და დაეკითხა ხონის ციხის დაცვის თანამშრომელი, რომელიც 2005 წლის 30 სექტემბრის ღამით მორიგეობდა, ზედამხედველობდა საწყობს და, შესაბამისად, შეეძლო მიეცა ჩვენება, როდის და ვისთან ერთად შევიდა პატიმარი ამ ოთახში.

გამომძიების კიდევ ერთ არსებით დარღვევას წარმოადგენს ის, რომ არც განმცხადებელსა და

არც მის ყოფილ მეუღლეს წინასწარ არ ეცნობათ გამომძიებლის გადაწყვეტილება შვილის სხეულის ექსპერტიზის შესახებ. ხელისუფლების ორგანოებმა ამის შესახებ მათ შეატყობინეს Post Factum, სიკვდილის მიზეზის დადგენის შემდეგ. შესაბამისად, განმცხადებელს, როგორც დაზარალებულს, არ მიეცა თავისი საპროცესო უფლებების გამოყენების შესაძლებლობა. ამ ფაქტმა საზოგადოებრივი ჩართულობა გამოძიების პროცესში მინიმუმამდე დაიყვანა, რაც ექსპერტიზის დასკვნის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს.

ევროპული სასამართლო იმასაც შენიშნავს, რომ ერთგვარი შეუსაბამობაა ზემოთ აღნიშნულ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნასა და ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნას შორის, რომელიც სახალხო დამცველის წარმომადგენლების თანდასწრებით გაიმართა და ამდენად საზოგადოებრივი განსჯის შესაძლებლობას მეტად იძლეოდა. უფრო კონკრეტულად: ალტერნატიულმა სამედიცინო დასკვნამ აჩვენა, რომ გარდაცვლილს კისერზე დახრჩობის ნიშნთან ერთად კიდევ ერთი დაზიანება ჰქონდა, რომელიც ბლავვი საგნით იყო მიყენებული. ამ დაზიანების გამოკვლევას შეეძლო ნათელი მოეფინა მომხდარისთვის; სამწუხაროდ, საგამოძიებო ორგანომ ეს შეუსაბამობა არ გამოიკვლია; მაგალითად, საოლქო პროკურორის მითითებების მიხედვით, გამომძიებელს შეეძლო დამოუკიდებელი ექსპერტების დაკითხვა ან თუნდაც მათი დაპირისპირება სახელმწიფო ექსპერტთან მეორე დაზიანების წარმოშობის თაობაზე, თუმცა დაეყრდნო მხოლოდ სახელმწიფო ექსპერტიზას და იმოქმედა ცალმხრივად.

ბოლოს კი 2005 წლის 28 ოქტომბრის წერილთან დაკავშირებით, რომლის აღმოჩენამაც გამომძიებლებს თვითმკვლელობის თეორიის კიდევ ერთი, მანამდე უცნობი მოტივის – ზ. ცინცაბაძის თავისი ყოფილი ცოლის მიმართ სიყვარული – არსებობით დამტკიცების საშუალება მისცა, სასამართლო აცხადებს, რომ ამ მტკიცებულების სანდოობა მცირედენ კრიტიკასაც კი ვერ უძლებს: უპირველეს ყოვლისა, წერილი გარდაცვლილის სიკვდილის დღის – 2005 წლის 30 სექტემბრის – მომდევნო დღით იყო დათარიღებული და გამომძიებლის განმარტება, რომ გარდაცვლილს თურმე „უდავოდ“ შეეშალა

თვეები, მხოლოდ ვარაუდია. თარიღის შეშლის მოსაზრების დაშვების შემთხვევაშიც კი შეუსაბამოა დასკვნა, რომ პატიმარს დაავიწყდა თავისი ყოფილი მეუღლის სახელი და ეს ყველაფერი იმ ფონზე, რომ მისი სიყვარულით ის თვითმკვლელობამდე მივიდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ გარდაცვლილის ყოფილი მეუღლის სახელი იყო „მაკა“. გამომძიებლებმა არც იმის შემონიშნაზე შეინუხეს თავი, თუ რამდენად იყო შესაძლებელი გარდაცვლილი ადამიანის ტანსაცმლიდან ამოვარდნილი წერილი მთელი თვის განმავლობაში – 2005 წლის 1-3 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე – შეუმჩნევლად გდებუიყო მორგის მაცივარში, – ეს მაშინ, როცა მაცივარს თვეში 2-3-ჯერ წმენდენ. უფრო მეტიც, საგამოძიებო ორგანოებმა ვერ მოახერხეს აღნიშნული წერილის შემოწმება ხელწერისა თუ თითების ანაბეჭდების თვალსაზრისით, რაც რამდენჯერმე მოითხოვა განმცხადებელმა.

აღწერილი გარემოებანი საკმარის საფუძველს იძლევა დასკვნისთვის, რომ თვითმკვლელობის ვერსია სარწმუნო არ არის.

(ბ) მკვლელობის შესაძლებლობის ადეკვატური გამოძიების არარსებობა

ევროპული სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გამომძიების ეფექტიანობისთვის მისი დასკვნები ყველა შესაბამისი ელემენტის ამომწურავ, ობიექტურსა და მიუკერძოებელ ანალიზს უნდა ეყრდნობოდეს. გამომძიების აშკარა გადახვევა ხაზიდან ეჭვქვეშ აყენებს გამომძიებლის უნარს, დაადგინოს საქმის გარემოებანი და პასუხისმგებელი პირები.

გამომძიების წინაშე განმცხადებელი ყოველთვის უარყოფდა თავისი შვილის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის ფაქტს და აცხადებდა, რომ შესაძლებელი იყო, ის მოეკლათ და შემდეგ ხონის ციხის ადმინისტრაციას ეს ფაქტი თვითმკვლელობად გაესაღებინა.

გამომძიების დაწყებისთანავე, პირველივე დაკითხვისას, განმცხადებელმა გამომძიებელს აცნობა, რომ მისი შვილი აღელვებული იყო ხონის ციხეში მყოფ პატიმართა მიერ „ობშიაკში“ თანხის შეტანის გამო და ახლობლებისგან მუდმივად თანხის შეგზავნას საჭიროებდა. განმცხადებელმა

მოგვიანებითაც არაერთხელ გაიმეორა ეს ჩვენება და მოსთხოვა პასუხისმგებელ უწყებას, მოკვლევა ამ მიმართულებითაც ეწარმოებინა.

ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმარმა „X“-მა სახალხო დამცველის ოფისსა და სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს სპეციფიკური და თანმხვედრი დეტალები მიაწოდა ზურაბ ცინცაბაძისა და ხონის ციხის სხვა ბინადრებს, „მაყურებლებს“, შორის კონფლიქტის თაობაზე იმ ვალის გამო, რომელიც მას „ობშიაკის“ მიმართ ჰქონდა. უფრო მეტიც, „X“-მა დეტალურად აღწერა, თუ როგორ აყენებდა შეურაცხყოფას ციხის ორი მაყურებელი – ვ.თ-შვილი და ზ.ლ-იანი განმცხადებლის შვილს მას შემდეგ, რაც მან ვერ შეძლო, დაებრუნებინა „ობშიაკიდან“ აღებული სესხი 80 ლარის ოდენობით, რომლითაც მან მობილური ტელეფონი «Ericsson T-10» შეიძინა სხვა პატიმრისგან. „X“-ის თქმით, განმცხადებლის შვილი მანამდე უკვე ორჯერ იყო ნაცემი ამ ვალის გამო „მაყურებლების“ მიერ. პატიმარმა ასევე დეტალურად და დამატურებლად აღწერა მოვლენები, რომელთა თვითმხილველიც ის 2005 წლის 30 სექტემბერს გახდა, კონკრეტულად კი როგორ იხმეს განმცხადებლის შვილი „მაყურებლებმა“ სალაპარაკოდ და რამდენიმე წუთის შემდეგ ეს „მაყურებლები“ და კიდევ ერთი პატიმარი ა.ბ-ია როგორ მიათრევდნენ უგონოდ მყოფს საკუჭნაოში.

სავარაუდოდ, გამოძიების დასაწყისში „X“ არაფერს ამბობდა მკვლელობის ვერსიის შესახებ. თუმცა მისი სიჩუმე შესაძლოა საფუძვლიანად აიხსნას შიშის ფაქტორით, რომელიც იმ დროს გავრცელებული იყო საქართველოს ციხეებში ქურდული სამყაროს წევრებისა თუ ციხის ადმინისტრაციის მიმართ. უფრო მეტიც, ზურაბ ცინცაბაძის მამის თქმით, რომელიც ციხეში შვილის ცხედრის წამოსაღებად 2005 წლის 1 ნოემბერს მივიდა, მას მიუახლოვდა „X“ და თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, თუმცა ეს ვერ მოახერხა, რადგან ამ პროცესს თვალყურს ადევნებდა ერთ-ერთი ეჭვიმტანილი „მაყურებელი“. თავისთავად სასამართლოსათვის გასაგებია ის ფაქტი, რომ „მაყურებლებისა“ და ციხის ადმინისტრაციის ხელში მოქცეულ „X“ პატიმარს, რომელსაც მათი საწინააღმდეგო ინფორმაცია ჰქონდა, შეუშინდა პირდაპირ ესაუბრა, ამიტომ გარდაცვლილის მშობლებს შესაბამის მინიშნებებს მხოლოდ

სატელეფონო საუბრისას აძლევდა. იგივე შიში შეიძლება გამხდარიყო იმისი მიზეზი, რომ კიდევ ერთმა პატიმარმა – ვ.მ-შვილმა, რომელიც ასევე გახდა ზურაბ ცინცაბაძის სიკვდილის თვითმხილველი 2005 წლის 30 სექტემბერს, თავი შეიკავა „მაყურებლებისა“ და ციხის ადმინისტრაციის მამხილებელი განაცხადებისაგან.

ევროპული სასამართლო ვერ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ზურაბ ცინცაბაძის ცხედრის აღმოჩენისთანავე ციხის უფროსმა გამოძიების შედეგისადმი მიუკერძოებლობის შენარჩუნების ნაცვლად საჯაროდ გამოაცხადა თვითმკვლელობის თეორია, როგორც საეჭვო სიკვდილის ერთადერთი შესაძლო განმარტება. საინტერესოა, რომ ამ დროს ციხის უფროსმა შეძლო დაედგინა ზურაბ ცინცაბაძის თვითმკვლელობის მოტივიც – სიყვარული ყოფილი მეუღლის მიმართ. შესაბამისად, ევროპული სასამართლო არ გამორიცხავს, რომ ციხის უფროსის აშკარად მიკერძოებული პოზიცია ზეგავლენას ახდენდა ციხის თანამშრომლებისა და პატიმრების, მათ შორის „X“-ის, განცხადებებზეც, ვინაიდან გამოძიების მიმდინარეობისას ეს მოწმეები მისი უშუალო ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ.

ნებისმიერ შემთხვევაში ის ფაქტი, თუ რატომ მისცა „X“-მა მამხილებელი ჩვენება გამოძიების დასრულების შემდეგ, ნაკლებად მნიშვნელოვანია. უფრო საყურადღებო ის ფაქტია, რომ ეს განაცხადები, რომლებიც მან სასამართლოს მიერ თვითმკვლელობის დაუსაბუთებელი ვერსიით დასრულებული გამოძიებიდან სამი თვის შემდეგ გააკეთა, მოიცავდა არაერთ საგულისხმოსა და სანდო ინფორმაციას ზურაბ ცინცაბაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით. შესაბამისად, ადგილობრივ ორგანოებს ევალუბოდათ ყველა საჭირო ზომის მიღება ამ ბრალდებათა გადასამოწმებლად.

პატიმარი X დაუკავშირდა გარდაცვლილის მამას და მოსთხოვა მისი შვილის ვალის – 80 ლარის დაბრუნება, რომელიც ამ უკანასკნელმა ე.წ. „ობშიაკიდან“ ტელეფონის საყიდლად იხესხა. ამის შესახებ მამამ შეატყობინა გამოძიებას. ის ამტკიცებდა, რომ მისი შვილი მოკლეს იმის გამო, რომ მან ეს 80 ლარი არ გადაიხადა. ხსენებული პატიმრის მიმართ გამოძალვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ცხადია, რომ, თუ

გამოძალვის შესახებ ერთი საჩივარი მაინც გახდა „X“-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრის საფუძველი, მაშინ ისმის ლოგიკური კითხვა: ამდენი სერიოზული ბრალდება „მაყურებლებისა“ და ხონის ციხის ადმინისტრაციის მიმართ, რომლებიც აშკარად მიუთითებს ზურაბ ცინცაბაძის მკვლელობასა და დანაშაულის დაფარვაზე, რატომ არ გახდა სისხლის სამართლის საქმეების აღძვრის საფუძველი?

ევროპული სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ახალი ინფორმაციის მიღების შემდეგ სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ცინცაბაძის სიკვდილის საქმეზე, ახალი და ყოველმხრივი გამოძიების დაწყების ნაცვლად, მხოლოდ ვ.თ-შვილისა და ზ.ლ-იანის მოწმის სახით დაკითხვით შემოიფარგლა. უფრო მეტიც, იმის ნაცვლად, რომ ეს ორი პირი მთავარ ეჭვმიტანილებად დასახელებულიყო, საგამოძიებო ორგანომ, უბრალოდ, მიიღო მათი ჩვენებები, რომლებშიც ვ.თ-შვილი და ზ.ლ-იანი მხოლოდ იმას ამბობდნენ, რომ ისინი არ იყვნენ „მაყურებლები“, აგრეთვე უარყოფდნენ „ობშჩიაკის“ პრაქტიკის არსებობას ციხეში. ხელისუფლებამ არ ჩაატარა რაიმე შემდგომი საგამოძიებო ღონისძიება, რომელიც „X“-ის ბრალდებას დაამტკიცებდა ან გააქარწყლებდა, მაგალითად, მას შეეძლო მისულიყო ადვოკატ ნ.ა-ძესთან, რომელიც ასრულებდა დამაკავშირებელ როლს განმცხადებელსა და „X“-ს შორის და ამიტომ შეიძლებოდა ინფორმაციის დამატებითი წყარო გამხდარიყო. ასევე შესაძლებელი იყო განმცხადებლის დის დაკითხვაც, რომელმაც ასევე იცოდა, რომ მის დისშვილს „ობშჩიაკის“ ვალი ჰქონდა. საგამოძიებო ორგანომ არ შეამოწმა ვერსია, რომ ციხის უფროსი, ა.ლ-იანი, იყო ერთ-ერთი ეჭვმიტანილის, ზ.ლ-იანის, ნათესავი. ამ ფაქტის დადგენაც გამოავლენდა ამ ორ პირს შორის შეთანხმების ფაქტს.

ზემოთ მოცემული დაკვირვებები ევროპულ სასამართლოს საკმარის საფუძველს აძლევს საქმეში არსებული სხვა შესაბამისი გარემოებების ანალიზის გარეშეც დაასკვნას, რომ განმცხადებლის ვერსია მკვლელობის შესახებ, რომელიც შემდგომ თვითმკვლელობით შეინიღბა, მისაღებია და ისეთივე სანდოა, როგორც თვითმკვლელობის ოფიციალური ვერსია. ხელისუფლების ორგანოებმა კარგად ვერ

გამოიძიეს მკვლელობის ვერსია, მიუხედავად მათი ვალდებულებისა, გამოერკვიათ ყველა ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის შვილის სიკვდილის გამოძიება არ იყო დამოუკიდებელი, ობიექტური და ეფექტიანი. მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეძლო, წარმოედგინა დამაჯერებელი ახსნა-განმარტება ზურაბ ცინცაბაძის საეჭვო გარემოში მომხდარ გარდაცვალებასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, პირდაპირ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას აყენებს სიცოცხლის მოსპობის გამო.

დასკვნა: კონვენციის მე-2 მუხლი: დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 15 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 4 047 ევრო განუელი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ MAISURADZE V. GEORGIA⁷ 44973/09; 20.12.2018

ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრის მკურნალობის გაგრძელება არაადეკვატური სტრატეგიით, მიუხედავად მისი მდგომარეობის გართულებისა/ პაციენტის გარდაცვალების ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: 2008 წლის 18 თებერვალს განმცხადებლის ვაჟი გ.ტ. დამნაშავედ ცნო სასამართლომ და მას ათი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2009 წლის 19 მაისს გ.ტ. ფილტვის მასიური ჰემორაგიის დიაგნოზით გარდაიცვალა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

განმცხადებელი ქ-ნი რუსიკო მაისურაძე ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნათა

⁷ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"appno":\["44973/09"\],"itemid":\["001-188400"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

საწინააღმდეგოდ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი შვილის ჯანმრთელობის, ფიზიკური კეთილდღეობისა და სიცოცხლის დაცვა. ის ასევე ამტკიცებდა, რომ მისი შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიება არ იყო ადეკვატური და ეფექტიანი.

სამართალი: კონვენციის მე-2 მუხლი:

(ა) მიიღო თუ არა სახელმწიფომ ყველა გონივრული ზომა დაწესებულებაში განმცხადებლის შვილის ეფექტიანი მკურნალობისთვის?

გ.ტ-ს ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს 2008 წლის 17 დეკემბერს, რის შემდეგაც პირველი ჯგუფის მედიკამენტებზე მგრძნობელობის ტესტი ჩაუტარდა. აღნიშნული ტესტის პასუხების მიღებამდე, 2008 წლის 21 დეკემბერს, ციხის ექიმებმა დაიწყეს პირველი რიგის მედიკამენტებით მკურნალობა, თუმცა შედეგს ვერ მიაღწიეს. 2009 წლის 29 იანვარს გ.ტ. ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე პათიმრებისთვის განკუთვნილ სასჯელაღსრულების სპეციალურ დაწესებულებაში გადაიყვანეს და, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, მკურნალობის სტრატეგიის შეცვლა არც კი განუხილავთ. 2009 წლის 24 თებერვლის მგრძნობელობის ტესტმა გამოავლინა, რომ გ.ტ. რეზისტენტული იყო სტანდარტული მკურნალობის მიმართ, თუმცა დროული ღონისძიებები არ გაუტარებიათ. მოგვიანებით გ.ტ-ს მეორე რიგის მედიკამენტებზე ჩაუტარეს მგრძნობელობის ტესტირება. ამ უკანასკნელი ტესტის პასუხების მიღებამდე განმცხადებლის ვაჟი განაგრძობდა პირველი რიგის მედიკამენტების მიღებას, თუმცა უკვე დადგენილი იყო მათი არაეფექტურობა.

ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, მიუხედავად 2009 წლის 10 აპრილს მიღებული მგრძნობელობის განმსაზღვრელი მეორე ანალიზის პასუხებისა, რომელთა თანახმად დაავადება რეაგირებდა მეორე ჯგუფის ყველა მედიკამენტზე, გარდა ერთისა, მკურნალობა DOTS-ის პროგრამის შესაბამისად 2009 წლის 4 მაისამდე არ დაწყებულა. ამ თარიღიდან ორი კვირის შემდეგ ჯანმრთელობის გაუარესების გამო გ.ტ. გარდაიცვალა. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ გ.ტ-ს ტუბერკულოზის

დიაგნოზი 2008 წლის 17 დეკემბერს დაუსვეს, მას არ უსარგებლია დაავადების შესაბამისი ეფექტიანი მკურნალობით ხანგრძლივი პერიოდის – დაახლოებით 4 თვისა და 2 კვირის – განმავლობაში.

ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეძლეს კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შესრულება – დაეცვათ გ.ტ-ს სიცოცხლე.

(ბ) შეასრულა თუ არა სახელმწიფომ დაკისრებული ვალდებულება, უზრუნველყო სათანადო გამოძიება?

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის ვაჟი ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა. გამოძიების მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო იმისი დადგენა, იყო თუ არა გ.ტ-ს სიკვდილი მის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიღებული არასათანადო მკურნალობის შედეგი და როგორ იმოქმედა ციხის სამედიცინო პერსონალმა ამ თვალსაზრისით; რადგან გამოძიება დაიწყო განზრახ მკვლელობის საქმეზე – დანაშაულზე, რომელიც მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტით ხასიათდება, რასაც შეიძლება არასათანადოდ შეეზღუდა გამოძიების ფარგლები და უარყოფითად ემოქმედა გამოძიების შესაძლებლობაზე, გამოევლინა დამნაშავეები.

უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ გატარდა სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიება, პასუხისმგებელი ორგანოები არ შეეცადნენ, დაედგინათ, იყო თუ არა შესაძლებელი, მგრძნობელობის განმსაზღვრელი მეორე ტესტი უფრო ადრე ჩატარებულიყო, – განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ, მიუხედავად მკურნალობისა, გ.ტ-ს ჯანმრთელობა აშკარად სწრაფად გაუარესდა; ან იყო თუ არა შესაძლებელი მკურნალობის სტრატეგიის გადასინჯვა სტანდარტული მკურნალობის არაეფექტიანობის დადგენისთანავე. შესაბამისმა ორგანოებმა არც ის მიზეზები გამოიძიეს, რომელთაც გამოიწვიეს DOTS-ის პროგრამით მკურნალობის დაწყების 24 დღით დაგვიანება, მას შემდეგ, რაც ციხის სამედიცინო პერსონალმა მოიპოვა მეორე მგრძნობელობის ტესტის შედეგები.

გამოძიების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო შენიშნავს:

მიუხედავად სახელმწიფო პროკურორის გარკვეულწილად ჩართულობისა, ყველა მთავარი საგამოძიებო ღონისძიება სასჯელაღსრულების სისტემის საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ განხორციელდა, ხოლო შესაბამისი დასკვნები შემდეგ დაადასტურა სახელმწიფო პროკურორმა. ამ უკანასკნელს არ გადაუდგამს დამოუკიდებელი ნაბიჯები, გარდა იმისა, რომ გამოძიებელს მიუთითა, დაეკითხა ექსპერტები და მოეპოვებინა გ.ტ-ს სამედიცინო ისტორიის ჩანაწერები. არც ერთი გარემოება არ მიუთითებს იმაზე, რომ პროკურორი მზად იყო, კრიტიკულად განეხილა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგები. საგამოძიებო ორგანოებსა და ინციდენტში მონაწილე პირთა შორის არსებული ინსტიტუციური კავშირი წარმოშობს ეჭვებს ჩატარებული გამოძიების დამოუკიდებლობის მიმართ.

ზემოხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის ვაჟის გარდაცვალების გარემოებათა დასადგენად ჩატარებული გამოძიება არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ ასპექტებს.

დასკვნა:

კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური და

პროცედურული ასპექტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 15 000 ევრო

არამატერიალური ზიანისთვის;

შენიშვნა: კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის ცალკე განხილვის საჭიროება არ არსებობს.

MAKHARADZE AND SIKHARULIDZE V. GEORGIA⁸

**მახარაძე და სიხარულიძე
საქართველოს წინააღმდეგ
N35254/07; 22.10.2011**

ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრის არაადეკვატური მკურნალობა დაგვიანებული გამოკვლევების, მედიკამენტების დეფიციტის, სპეციალიზებულ ჰოსპიტალში გადაყვანაზე უარის თქმის გამო/ მისი გარდაცვალების ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ პირველი განმცხადებელი ნიკო მახარაძე კრიმინალურ სამყაროსთან კავშირისა და ნარკოტიკების შენახვის გამო დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა. 2009 წლის 29 იანვარს განმცხადებელი გარდაიცვალა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ტუბერკულოზით. მის მიერ დაწყებული სამართალწარმოება ევროპულ სასამართლოში განაგრძო მისმა მეუღლემ, ქ-ნმა დალი სიხარულიძემ.

განმცხადებლები დავობდნენ, რომ, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პირველი განმცხადებლის ჯანმრთელობის, ფსიქიკური კეთილდღეობისა და სიცოცხლის დაცვა.

სამართალი – კონვენციის მე-2 მუხლი:

(ა) მიიღო თუ არა სახელმწიფომ ყველა გონივრული ზომა განმცხადებლის სამკურნალოდ?

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებისას პირველი განმცხადებელი უკვე იყო ტუბერკულოზით დაავადებული, შესაბამისად, დაავადების შეყრა არ არის განპირობებული პატიმრობაში ყოფნით. როგორც კი მას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა, მაშინვე გადაიყვანეს ციხის ძველ საავადმყოფოში. პატიმრობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში ავადმყოფმა ჩვეულებრივ დაწესებულებაში მხოლოდ 11 დღე გაატარა, სიცოცხლის დანარჩენი

⁸ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-107546%22%5D%7D>

ნაწილი კი ციხის სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფებოდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რეგულარულად მონმდებოდა ექიმების მიერ, ჩაუტარდა სხვადასხვა სახის ლაბორატორიული ანალიზი და სკრინინგი; იღებდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებს DOTS-ის პროგრამის ფარგლებში, დანიშნული ჰქონდა მდგომარეობის შესაფერისი დიეტა, ანტიოქსიდანტური მედიკამენტები, ვიტამინები, უტარდებოდა სისხლის გადასხმა და ა.შ.

შესაბამისად, შეუძლებელია ითქვას, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაავადებული პაციმარი უყურადღებოდ დატოვა; თუმცა რჩება კითხვა – იყო თუ არა ჩატარებული მკურნალობა მისი მდგომარეობის ადეკვატური?

სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტუბერკულოზის ეფექტური მკურნალობა წარმოადგენს სპეციფიკურსა და კომპლექსურ სამედიცინო პროცესს, რომელიც დამოკიდებულია, სულ მცირე, სამი ძირითადი ელემენტის არსებობაზე, კერძოდ: 1. სათანადოდ აღჭურვილ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებზე ხელმისაწვდომობა; 2. მარაგში მეორე რიგის მედიკამენტების ექვსივე კლასის არსებობა და 3. ექიმების სათანადო გამოცდილება მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტუბერკულოზის მკურნალობის მიმართულებით.

პირველ ელემენტთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ 2006 წლის 26 ივნისისთვის შესაბამისი უწყებებისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ პირველი რიგის მედიკამენტებით განმცხადებლის განკურნება შეუძლებელი იყო. ამიტომაც მათ დაუყოვნებლივ უნდა ჩაეტარებინათ ლაბორატორიული ტესტები, რათა შეემოწმებინათ SLD მედიკამენტების მიმართ მგრძობელობა. თუმცა პირველი ასეთი ტესტი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 2007 წლის 24 სექტემბერს, ჩატარდა. მთავრობას არ წარმოუდგენია ამ დაყოვნების რაიმე გამამართლებელი მიზეზი.

საბოლოოდ ჩატარებული ტესტის შედეგები დამაიმედებელი აღმოჩნდა, რადგან დადგინდა პაციენტის მგრძობელობა ორი სახის SLD-მედიკამენტის მიმართ. ფორმალურად ისინი დაენიშნა კიდევ განმცხადებელს, მაგრამ ვერ

მიიღო იმის გამო, რომ აღნიშნული მედიკამენტები არ იყო ხელმისაწვდომი.

მესამე ელემენტთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მედიკოსები არ იყვნენ აღჭურვილი სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით. ადეკვატური სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე კი მეორე რიგის მედიკამენტების მიღებამ შესაძლოა ზიანი უფრო გამოიწვიოს, ვიდრე სასიკეთო ცვლილება. ექიმების გადამზადების პროგრამა ციხის ახალ საავადმყოფოში მხოლოდ 2009 წლის აპრილში დაინერგა.

ევროპულმა სასამართლომ ასევე შეაფასა მთავრობის არგუმენტი, რომლის თანახმად განმცხადებელმა თავად გამოაცხადა შიმშილობა. ევროპული სასამართლო ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოწვეულია მის მიერ გამოცხადებული შიმშილობით და/ან მკურნალობის მიღებაზე უარის თქმით, შეუძლებელია ჯანმრთელობის გაუარესებაში მთავრობის ავტომატურად დადანაშაულება; თუმცა, ვინაიდან სასამართლო იზიარებს მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის (WMA) მიერ 1991 წლის ნოემბერში 43-ე მსოფლიო სამედიცინო ასამბლეაზე მიღებულსა და 2006 წლის ოქტომბერში WMA-ის 57-ე გენერალურ ასამბლეაზე შესწორებულ „მალტის დეკლარაციის შიმშილობის შესახებ“, მიიჩნევს, რომ ამგვარ რთულ სიტუაციაში ციხის ხელმძღვანელობა ვერ იქნება სრულად გათავისუფლებული პოზიტიური ვალდებულებისგან და პასიურად ვერ დააკვირდება პაციმრის შიმშილით სიკვდილს.

კერძოდ, ციხის სამედიცინო პერსონალი ვალდებულია, სრული ინფორმაცია მიანოდოს პაციმარს იმ სამედიცინო შედეგების შესახებ, რომლებიც შესაძლოა შიმშილობამ გამოიწვიოს; ასევე შეამოწმოს, ნებაყოფლობითია თუ არა გადაწყვეტილება შიმშილობის დაწყების შესახებ, ხომ არ არის ის პაციმრის ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებით ანდა გარეშე ზენოლით გამოწვეული. არანაკლებ მნიშვნელოვანია, შიმშილობის დროს შენარჩუნებულ იქნეს კომუნიკაცია მედიკოსებსა და პაციენტს შორის; ევროპული სასამართლოს შეფასებით, ასევე საყურადღებოა, დადგინდეს პაციმრის პროტესტის ნამდვილი მიზეზები და

რეალური განზრახვა. იმ შემთხვევაში, თუ ეს ახირება კი არ არის, არამედ ამხელს სერიოზულ სამედიცინო დარღვევებს, კომპეტენტურმა უწყებებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მოლაპარაკებები მოშიშხილესთან პრობლემის გადაჭრის მიზნით, რა თქმა უნდა, პატიმრობის ლეგიტიმური შეზღუდვების გათვალისწინებით.

ევროპული სასამართლო დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მედიკოსებმა თავიდანვე გააფრთხილეს განმცხადებელი იმ სავალალო შედეგების შესახებ, რომელთაც შიმშილობა გამოიწვევდა, ხოლო შემდეგ ყოველდღიურად განაგრძობდნენ მისთვის აღნიშნულის შესენებას; მაგრამ პაციენტის სამედიცინო ისტორიიდან ძნელი გასარჩევია, შეეცადა თუ არა სამედიცინო პერსონალი, დაედგინა, ხომ არ იყო პაციენტის ქცევა განპირობებული SLD-ს მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობით.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ 2008 წლის ოქტომბერში დაწყებული პირველი შიმშილობის მიზეზს წარმოადგენდა ხელმძღვანელობის მხრიდან დაუსაბუთებელი უარი მისთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 25 სექტემბრის საბოლოო და კანონიერად ძალაში შესული გადაწყვეტილებით განსაზღვრული დამატებითი სამედიცინო შემოწმების ჩატარებაზე; ხოლო მის მიერ 2008 წლის ნოემბერში გამოცხადებული მეორე შიმშილობის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ციხის ხელმძღვანელობა არ ასრულებდა მედიკოსთა 2008 წლის 31 ოქტომბრის-7 ნოემბრის რეკომენდაციებს ავადმყოფის სპეციალიზებულ, ტუბერკულოზის სამკურნალო, დანესებულებაში გადაყვანის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი აპროტესტებდა მის მიმართ სამედიცინო მომსახურების არაადეკვატურობას. აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის ორი სამოქალაქო პროფილის საავადმყოფო – ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი და აბასთუმნის საავადმყოფო – წარმოადგენდა სპეციალიზებულ სამედიცინო დანესებულებებს, სადაც მიმდინარეობდა DOTS-ის პროგრამა, შესაბამისად, სავსებით შესაძლებელი იყო მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტუბერკულოზის მკურნალობის მიზნით ამ დანესებულებების გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო დაუშვებელ ფაქტად

მიიჩნევს, რომ მთავრობამ არ მიმართა აღნიშნულ სპეციალიზებულ საავადმყოფოებს.

დაბოლოს, ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ ტუბერკულოზის ის ტიპი, რომლითაც განმცხადებელი იყო დაავადებული, ქმნიდა მისი პირობით ვადამდე განთავისუფლების საფუძველს შემდგომი მკურნალობის მიზნით. ცხადია, რომ აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენდა აბსოლუტურ საფუძველს პატიმრობიდან განთავისუფლებისათვის და ეროვნულმა სასამართლოებმა უფლებამოსილება საკუთარი შეხედულებებისამებრ გამოიყენეს, თუმცა მათი გადაწყვეტილებები არ ითვალისწინებდა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის პატიმრობის პირობებთან თავსებადობის ელემენტებს. როგორც თბილისის საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა თვალის დახუჭეს განმცხადებლის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაზე, რომელიც ციხის პირობებში უარესდებოდა, და იმ ფაქტზეც, რომ მას იქ სათანადოდ ვერ მკურნალობდნენ.

2. წარმოადგინა თუ არა სახელმწიფომ საკმარისად დამაჯერებელი არგუმენტაცია პირველი განმცხადებლის ციხეში გარდაცვალების თაობაზე?

ევროპული სასამართლო შეშფოთებულია იმით, რომ ხელისუფლებამ ადეკვატურად არ გამოიძია პირველი განმცხადებლის გარდაცვალების გამომწვევი მიზეზები. როდესაც პატიმარი ავადმყოფობის შედეგად იღუპება, კონვენციის მე-2 მუხლის დებულებების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს მთავრობის მხრიდან ნებაყოფლობითი და დაუყოვნებელი ექსპერტიზის ჩატარება, რათა დადგინდეს, ხომ არ გამოიჩინა გულგრილობა სამედიცინო პერსონალმა. აღნიშნული ვალდებულება არ ითვალისწინებს ყველა შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენებას; გარკვეულ გარემოებათა არსებობისას საკმარისია მხოლოდ დისციპლინური ზომების მიღება, თუმცა მოცემულ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა, პატიმრის მკურნალი ექიმების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი არ გამხდარა დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და საფუძვლიანი გამოძიების საგანი.

საქმეში არსებულ დარღვევათა თანაარსებობა და კუმულაციური ეფექტი საკმარისზე მეტია იმის დასადგენად, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება.

დასკვნა:

კონვენციის მე-2 მუხლი: დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 15 000 ევრო

არამატერიალური ზიანისთვის.

შენიშვნა:

1. **კონვენციის მე-3 მუხლის** სავარაუდო დარღვევის ცალკე განხილვის საჭიროება არ არსებობს.
2. 2008 წლის 10 ნოემბერს მთავრობას სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად მიეცა მითითება, პირველი განმცხადებელი მოეთავსებინა ციხის სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მისთვის ტუბერკულოზის მკურნალობის ჩატარება. აღნიშნული დროებითი ღონისძიება არ შეასრულა ხელისუფლებამ. შესაბამისად, დადგინდა **კონვენციის 34-ე მუხლის** დარღვევა.

იხ. აგრეთვე: *Gül v. Turkey*, no. 22676/93, 14 December 2000; *Esat Bayram v. Turkey*, no. 75535/01, 26 May 2009; *Scavuzzo-Hager and Others v. Switzerland*, no. 41773/98, 7 February 2006; *Beker v. Turkey*, no. 27866/03, 24 March 2009; *Kolevi v. Bulgaria*, no. 1108/02, 5 November 2009; *Brecknell v. the United Kingdom*, no. 32457/04, , 27 November 2007; *Mojsiejew v. Poland*, no. 11818/02, 24 March 2009; *bdullah Yilmaz v. Turkey*, no. 21899/02, 17 June 2008; *Kummer v. the Czech Republic*, no. 32133/11, and 85-86, 25 July 2013; *Melnik v. Ukraine*, no. 72286/01, 28 March 2006; *Hummatov v. Azerbaijan*, nos. 9852/03 and 13413/04, 29 November 2007; *Dybeku v. Albania*, no. 41153/06, 18 December 2007; *Tai's v. France*, no. 39922/03, 1 June 2006; and *Huyly v. Turkey*, no. 52955/99, 16 November 2006; *Farbtuhs v. Latvia*, no. 4672/02, 2 December 2004; *Kats and Others v. Ukraine*, no. 29971/04, 18 December 2008; *Holomiov v. Moldova*, no. 30649/05, 7 November 2006; *Aleksanyan v. Russia*, no. 46468/06, 22 December 2008;

სიცოცხლის მოსპობის საქმის გამოძიება

ვარდოსანიძე საქართველოს წინააღმდეგ

VARDOSANIDZE V. GEORGIA⁹

43881/10; 7.05.2020

სახლში არასწორად დამონტაჟებული ბუნებრივი აირის გამათბობლის გამოყენება, გაფრთხილების მიუხედავად, რამაც გამოიწვია პირის გარდაცვალება: არ არის დარღვევა

ფაქტები – 2007 წლის 1 ივნისს ბუნებრივი აირის მიმწოდებელი კომპანიის წარმომადგენლებმა უსაფრთხოების შემოწმებისას აღმოაჩინეს, რომ წყლის გამათბობელი არასწორად იყო დამონტაჟებული ბინაში, სადაც განმცხადებლის, ლალი ვარდოსანიძის, ვაჟი გ.კ. ბებიასთან ერთად ცხოვრობდა. შედგენილი ოქმის თანახმად, ტექნიკურმა ჯგუფმა გამორთო წყლის გამათბობელი ბუნებრივი აირის მილიდან და მცხოვრებს მისცა შესაბამისი ინსტრუქცია. ოქმს ხელი მოაწერა განმცხადებლის დედამ. 2008 წლის აპრილში განმცხადებლის ვაჟი სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ჩატარებულმა სამედიცინო ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ის მხუთავი აირით მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა. ეროვნულმა სასამართლოებმა ძალაში დატოვეს პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ წყლის გამათბობელი განმცხადებლის ოჯახმა უსაფრთხოების ზომების მიღების გარეშე ჩართო, რამაც საბედისწერო შემთხვევა გამოიწვია.

განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო მისი ვაჟის სიცოცხლის დაცვა, გაზის გამათბობლების უსაფრთხო გამოყენებისთვის ადეკვატური რეგულირება და ვერც ზედამხედველობა ამ რეგულაციების შესრულებაზე; ასევე არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება მისი შვილის გარდაცვალების ფაქტზე.

სამართალი: კონვენციის მე-2 მუხლი:

(ა) მატერიალური ასპექტი: უდავო გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განმცხადებლის

⁹ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"appno":\["43881/10"\],"itemid":\["001-202392"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

ვაჟი გარდაიცვალა მხუთავი აირით მოწამვლის შედეგად, რომელსაც გამოყოფდა არასწორად დამონტაჟებული წყლის გამათბობელი. ამასთან, მხარეები ვერ თანხმდებოდნენ იმაზე, შეიცავდა თუ არა ეროვნული კანონმდებლობა ადეკვატურ გარანტიებს გ.კ-ს სიცოცხლის დასაცავად, რა კონკრეტული რეგულაციები არსებობდა სახლში დამონტაჟებულ ბუნებრივ აირზე მომუშავე მოწყობილობების გამოყენებისას უბედური შემთხვევების პრევენციისთვის და ვის პასუხისმგებლობას წარმოადგენდა მათი შესრულების უზრუნველყოფა.

ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო ჩარჩო ხარვეზებს შეიცავს, არ არის თავისთავად საკმარისი კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის საკითხის წამოსაჭრელად. უნდა ჩანდეს, რომ ამით კონკრეტულ პირს ზიანი მიადგა. შესაბამისად, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს ქ. თბილისში 2007-2015 წლებში მხუთავი აირით მოწამვლასთან დაკავშირებული ინციდენტების მაღალ მაჩვენებელს, თუმცა სასამართლოს ფუნქციას წარმოადგენს არა შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობის აბსტრაქტული შეფასება, არამედ იმისი გადანყვეტა, განაპირობა თუ არა კონვენციის დარღვევა მოცემული რეგულაციების გამოყენების ფორმამ ან მათმა ზეგავლენამ განმცხადებლის ვაჟზე.

იმ დროისათვის არსებობდა სხვადასხვა რეგულაცია, რომლებიც კრძალავდა განმცხადებლის საქმეში არსებული წყლის გამათბობლის ტიპის მოწყობილობის დამონტაჟებას ისეთ შენობაში, რომელიც არ იყო აღჭურვილი ადეკვატური სავენტილაციო სისტემით. უსაფრთხოების დაცვის ასეთი წესები მიზნად ისახავდა საცხოვრებელ ადგილებში გამონაბოლქვი აირის დაგროვების თავიდან აცილებას მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად. რაც შეეხება მოცემული წესების დაცვის ზედამხედველობას, იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა არ აკონკრეტებდა, ბუნებრივი აირის მიმწოდებელ კომპანიას რა სიხშირით უნდა შეემოწმებინა უსაფრთხოება. ეს ვალდებულება განისაზღვრა მხოლოდ მოგვიანებით, 2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით.

მეტიც, არ იკვეთება, რომ უსაფრთხოების წესების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებდა ბინაში მცხოვრები პირის წერილობითი ფორმით გაფრთხილების ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, ხსენებული ხარვეზები არ არის საკმარისი, რათა განმცხადებლის ვაჟის გარდაცვალების თავიდან აცილების შეუძლებლობისთვის პასუხისმგებლობა მოპასუხე მთავრობას დაეკისროს.

სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმ უდავო გარემოებას, რომ უსაფრთხოების შესაბამისი წესების დარღვევის ფაქტი რეალურად განმცხადებლის ვაჟის გარდაცვალებამდე აღმოაჩინეს ბუნებრივი აირის მიმწოდებელი კომპანიის წარმომადგენლებმა და შედეგად გამორთეს წყლის გამათბობელი. თუმცა ის ხელახლა ჩართო განმცხადებლის ოჯახმა. ამ კონტექსტში, იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის ქცევის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული პოზიტიური ვალდებულება ხელისუფლების ორგანოებს ვერ დააკისრებს გადაჭარბებულ ტვირთს. განმცხადებლის ოჯახს მიეცა სიტყვიერი გაფრთხილება, რომ არ გამოეყენებინათ წყლის გამათბობელი. მათი შემდგომი გადანყვეტილება მოწყობილობის ბუნებრივი აირის წყაროსთან მიერთების თაობაზე არ იყო გონივრული, განსაკუთრებით – თანმდევი რისკების თაობაზე ინფორმირებულობის გათვალისწინებით. შესაბამისად, არ დარღვეულა სახელმწიფოს ვალდებულება კონვენციის მე-2 მუხლის ქრილში.

(ბ) პროცედურული ასპექტი: ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ განმცხადებლის შვილის გარდაცვალება წარმოადგენდა უბედურ შემთხვევას, რომელიც გამოიწვია წყლის გამათბობლის ხელახლა მიერთებამ ბუნებრივი აირის წყაროსთან, მიუხედავად გაზის კომპანიის წარმომადგენლების მიერ გაფრთხილებისა. აღნიშნული დასკვნით, კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი არ დარღვეულა.

დასკვნა: კონვენციის მე-2 მუხლი: არ არის დარღვევა

ხაინდრავა და ძამაშვილი
საქართველოს წინააღმდეგ
KHAINDRAVA AND DZAMASHVILI V.
GEORGIA¹⁰
18183/05; 8.06. 2010

პირის სიცოცხლის მოსპობის მცდელობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარებლობა დანაშაულის დამკვეთის პასუხისმგებელ საგამოძიებო ორგანოსთან სავარაუდო კავშირის გამო: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები, ბ-ნი გივი ხაინდრავა და ქ-ნი მარი ძამაშვილი, არიან მეუღლეები. 1997 წელს, დილის 4 საათზე, მარტვილის რაიონში, საკუთარ სახლში, პირველ განმცხადებელს თავს დაესხა და ძლიერ სცემა თავის არეში სამმა (ან ორმა) პირმა ავტომატის კონდახითა და წიხლებით. აღნიშნული პირები, სავარაუდოდ, პოლიციის ორი მაღალჩინოსნის მამის, ა.გ-ს, ინსტრუქციით მოქმედებდნენ და მიზნად ისახავდნენ პირველი განმცხადებლის მკვლელობას.

განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ მათ ეროვნული ხელისუფლებისგან არაერთ საჩივარზე პასუხი არ მიუღიათ და პირველი განმცხადებლის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობის ფაქტზე არც ეფექტიანი გამოძიება ჩატარებულა.

სამართალი: კონვენციის მე-2 მუხლი: წინამდებარე საქმის გარემოებებსა და მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო პირების, დ.პ-სა და გ.ტ-ს, მიერ ბ-ნი ხაინდრავას მიმართ ჩადენილმა მოპყრობამ, ძალადობის ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით, მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ განმცხადებელი გადარჩა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არსებობს კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენების საფუძველი.

ევროპული სასამართლო შეფასებით, პირველი განმცხადებლის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობის ფაქტი ცნობილი გახდა პროკურატურისთვის, რომელიც ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ გადაემოწმებინა ინფორმაცია და,

შესაბამისად, ჭეშმარიტების დადგენის მიზნით სისხლის სამართლის საქმე აღედგრა.

იმის დაშვებითაც კი, თუ განმცხადებლის მტკიცების საპირისპიროდ კომპეტენტურ ორგანოებს 1997 წლიდანვე არ ეცნობათ აღნიშნულის შესახებ, პასუხისმგებელი პირებისთვის ეს ფაქტი ნებისმიერ შემთხვევაში ცხადი გახდებოდა 1998 წლის 24 სექტემბრის შეხვედრაზე, რომელზეც განმცხადებელმა პროკურორებს წარუდგინა სავარაუდო დამნაშავეები, რომლებიც თავად შეიპყრო მათთვის გადაცემის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურორებს ევალებოდათ, განმცხადებლის მიერ წერილობითი საჩივრის ოფიციალურად შეტანაზე უმაღლესი გამოხმაურებოდნენ ამ უკანასკნელის დაუინებულ მოთხოვნას და დაეკავებინათ სავარაუდო დამნაშავეები, მათ ეს ვალდებულება არ შეასრულეს.

საქმის სხვადასხვა მონაწილის 1998 წლის 24 სექტემბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერიდან ირკვევა, რომ განმცხადებელი, სავარაუდო დამნაშავეები, დანაშაულის სავარაუდო დამკვეთი, რაიონის პროკურორი და მისი თანაშემწე ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. ევროპული სასამართლოსთვის უცნობი მიზეზის გამო პროკურორებმა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან ყოველდღიური ცხოვრებით იყვნენ დაკავშირებულნი, თავს უფლება მისცეს, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არჩევანი განმცხადებლის კანონიერი მოთხოვნების იგნორირების სასარგებლოდ გაეკეთებინათ. ევროპული სასამართლო კატეგორიულად გმობს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული უწყებების მიერ მათი უმთავრესი ფუნქციების შეუსრულებლობა წინამდებარე საქმეში კერძო პირთა შორის ანგარიშსწორების საფუძველი გახდა, რომელიც, თვით განმცხადებლის თქმით, მხოლოდ 2000 წლის 12 იანვარს მისმა დაკავებამ დაასრულა.

2000 წლის 7 აპრილს, კ.ო-იას დაკითხვის დროს, პროკურატურის ორგანოებს ხელახლა ეცნობათ განმცხადებლის სიცოცხლის ხელყოფის განზრახვის შესახებ; თუმცა ამას მათი მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. მათ არც უცდიათ შესაბამის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება.

¹⁰ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-99204"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

მეორე განმცხადებლის მიერ შეტანილი საჩივრები გამოძიების დაწყების, ა.გ-ს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, პროკურატურის დანაშაულებრივი უმოქმედობის ფაქტებზე გამოძიების ჩატარების მოთხოვნით ასევე რეაგირების გარეშე დარჩა.

საქმის მასალებიდან არ ირკვევა, ჩატარდა თუ არა საგამოძიებო მოქმედებები 2001 წლის 22 მაისიდან (საჩივრის შეტანიდან) 2001 წლის 30 ივლისამდე, ანუ პირველი უარის პერიოდში, რომ აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე. განმცხადებლის მტკიცების გარდა, რომლის თანახმად, მარტვილის პროკურატურამ სრული უმოქმედობა გამოიჩინა, აღნიშნულ საკითხზე საქმეში სხვა ინფორმაცია არ არსებობს.

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ გენერალურმა პროკურატურამ რამდენჯერმე მოსთხოვა რაიონულ პროკურატურას ანგარიშის ჩაბარება, ამ უკანასკნელმა ის ეფექტური რეაგირების გარეშე დატოვა. გარდა ამისა, განმცხადებლის მოთხოვნა, საქმე ჩამორთმეოდა მარტვილის პროკურატურას, რათა გამოძიება რეალურად დამოუკიდებელ უწყებას ჩაეტარებინა, უპასუხოდ დარჩა.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები შეუთავსებელია იმ სახელმწიფო მოხელეების იერარქიული, ინსტიტუციური და პრაქტიკული დამოუკიდებლობის მოთხოვნასთან, რომლებსაც, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, გამოძიების ჩატარება ევალებოდათ. ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა ეფექტიანი გამოძიების ჩატარების პოზიტიური ვალდებულება.

დასკვნა:

კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული

ასპექტი: დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 12 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

იხ. აგრეთვე: *Nicolae Virgiliu Tănase v. Romani*, no. 41720/13, 25 June 2019; *Cevrioğlu v. Turkey*, no. 69546/12, 4 October 2016; *Ciechońska v. Poland*, no. 19776/04, §§ 61-62, 14 June 2011; *Lopes de Sousa Fernandes v. Portugal* no. 56080/13, 19 December 2017; *Ercankan v. Turkey*, no. 44312/12, 15 May 2018; *Šilih*

c. Slovénie no 71463/01, 9 avril 2009; *Brecknell c. Royaume-Uni*, no 32457/04, 27 novembre 2007.

აღნიშნული დანესებულების საკნებში საერთოდ არ იყო ვენტილაცია და ტუალეტები საკნების დანარჩენი სივრცისგან არ ყოფილა იზოლირებული.

სავენტილაციო სისტემის არარსებობასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ ამ დანაკლისს ვერ აანაზღაურებს საკანში სუფთა ჰაერის არსებობაც კი, თუმცა ესეც პრობლემას წარმოადგენდა: დანესებულებაში ფანჯრებს ეკრა რკინის გისოსები, რომლებიც ხელს უშლიდა ჰაერისა და დღის სინათლის შეღწევას; ნამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2001 წლის რეკომენდაციის მიუხედავად, ფანჯრებიდან რკინის გისოსები არ მოუხსნიათ და კომიტეტის შემდგომი, 2003 და 2004 წწ.-ის ვიზიტების დროს, ისინი ისევ იყო ფანჯრებზე. აღნიშნული მთავრობამ ფინანსების უქონლობით ახსნა.

განმცხადებლის მტკიცება, რომ ის იძულებული იყო, სხვა პატიმრებთან ერთად მორიგეობით დაეძინა, საფუძვლიანია. ნამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნის მიხედვით, ჯერ კიდევ 2001 წელს თბილისის N5 დანესებულება ძალიან იყო გადატვირთული და მისი საკნები როგორც სარდაფში, ასევე სართულებზე ბინძური, ნესტიანი და დაზიანებული იყო. შესაბამისად, სასამართლოს არ მიაჩნია სარწმუნოდ, რომ ასეთ საყოველთაო არასათანადო პირობებში ის ორი საკანი, რომლებშიც განმცხადებელი იმყოფებოდა ხოლმე, გამონაკლისს წარმოადგენდა და, დანესებულების დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებით, იყო სათანადოდ განათებული, განიავებული და მოვლილი. ყოველ შემთხვევაში, საპირისპიროს სამტკიცებლად მთავრობას არ წარმოუდგენია არც აღნიშნული საკნების ფოტოები და არც ტექნიკური მონაცემები. ეს დანესებულება დაანგრიეს 2008 წლის მარტში მისი საშინელი სიძველისა და იქ არსებული მძიმე პირობების გამო.

მთავრობას არ დაუმტკიცებია, რომ განმცხადებელს ჰქონდა შესაძლებლობა, დაეტოვებინა საკანი დღის გარკვეული მონაკვეთში ან სარგებლობდა რეგულარული სეირნობის უფლებით, რაც მას საკანში არსებულ ჰაერის უკმარისობას აუნაზღაურებდა.

განმცხადებელზე მის მიერ გასაჩივრებულმა პატიმრობის პირობებმა მოახდინა ნეგატიური ზეგავლენა, კერძოდ კი, მას მოუწია საკუთარი

სანოლის უქონლობის, სუფთა ჰაერისა და დღის სინათლის მუდმივი ნაკლებობის, ასევე სიბინძურის ატანა თბილისის N5 დანესებულებაში ყოფნის პერიოდში, რომელიც შვიდ თვეს გაგრძელდა.

ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ პატიმრობის ასეთმა პირობებმა განმცხადებელს უდავოდ მიაყენა ისეთი ტანჯვა, რომელიც სცილდებოდა პატიმრობის თანმხლებ აუცილებელ ტანჯვას.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 5000 ევრო

არამატერიალური ზიანისთვის.

შენიშვნა: 1. განმცხადებელი ასევე ასაჩივრებდა ბათუმის N3 და თბილისის N1 დანესებულებებში არსებულ პატიმრობის პირობების ადეკვატურობას, თუმცა საჩივარი ამ ნაწილში დაუშვებლად იქნა ცნობილი; 2. აგრეთვე დადგინდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა. **იხ. წინამდებარე პუბლიკაციის ნაწილი 1.**

რამიშვილი და კოხრეიძე
საქართველოს წინააღმდეგ¹²
RAMISHVILI AND KOKHREIDZE V.
GEORGIA
N1704/06; 27.01.2009

პირველი განმცხადებლის მოთავსება თბილისის N5 დანესებულების კარცერში: დარღვევა

პატიმრობის არაადამიანური პირობები თბილისის N5 დანესებულებაში: დარღვევა

სასამართლო დარბაზში განსასჯელების მოთავსება „რკინის გალიაში“, ხმაურსა და ნიღბიანი გუშაგების გარემოცვაში: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე იყვნენ კერძო კომპანიის თანადადამფუძნებლები და მენილეები. პირველი

¹² [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-90941%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-90941%22]})

განმცხადებელი ასევე იყო იმ პოპულარული ტოქშოუს წამყვანი, რომელიც თითქმის ყოველდღე გადიოდა ეთერში. 2005 წლის მაისში მათ ტელეკომპანიაში მომზადდა დოკუმენტური ფილმი, რომელიც ეხებოდა უმრავლესობის წევრის, ბ-ნი ბ-ის, ბიზნესსაქმიანობას; აღნიშნული დეპუტატის ინიციატივით შედგა შეხვედრა მასა და პირველ განმცხადებელს შორის. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ დეპუტატი მათ გადაუხდიდა 100 000 დოლარს, სანაცვლოდ განმცხადებლები ფილმს ეთერში არ გაუშვებდნენ. ბ-ნმა ბ-მ ამის შესახებ აცნობა სამართალდამცავებს, რის საფუძველზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

2005 წლის 27 აგვისტოს შემდგარ შეხვედრაზე ბ-ნმა ბ-მ პირველ განმცხადებელს საერთო მეგობრის სახლში თანხის პირველი ნაწილი გადასცა. შეხვედრას ესწრებოდა მეორე განმცხადებელიც. საუბარი და თანხის გადაცემა აღბეჭდილია ფარულ ვიდეოფირზე. აღნიშნულის წარმოების უფლება სასამართლოს ნებართვის გარეშე, გენერალური პროკურორის გადაწყვეტილების საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, დეპუტატს მიენიჭა. როდესაც განმცხადებლებმა დატოვეს შეხვედრის ადგილი და ავტომანქანაში ჩასხდნენ, ისინი დააკავეს. მათ მნიშვნელოვანი მოგების მისაღებად გამოძალვის მომზადებაში დასდეს ბრალი.

სამართალი: კონვენციის მე-3 მუხლი: პირველმა განმცხადებელმა გაასაჩივრა პატიმრობა თბილისის N5 დაწესებულების კარცერში, ხოლო მეორე განმცხადებელმა – ციხეში არსებული პირობები პატიმრების გადაჭარბებული რაოდენობის გამო. ორივემ ასევე აღნიშნა, რომ მათდამი მოპყრობა სასამართლოს შენობაში – ნიღბიანი და შეიარაღებული გუშაგებით გარშემორტყმულ „რკინის გალიაში“ მოთავსება და ხალხის თვალში მათი „კრიმინალებად“ წარმოჩენა – იყო დამამცირებელი მოპყრობა.

(ა) პირველი განმცხადებლის პატიმრობის პირობები: მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლის საჩივრები ციხის პირობების შესახებ არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, თუმცა სასამართლო ამ დასკვნამ ვერ დაარწმუნა: ჯერ ერთი, გამოძიება ვერ მიიჩნევა ეფექტიანად, ვინაიდან ის დაიწყო განმცხადებლის საჩივრის წარდგენიდან მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ, ამით ციხის ადმინისტრაციას

მიეცა საკმარისი დრო საკნის გასარემონტებლად, მეორეც, გამოძიება არ ყოფილა ობიექტური, რადგან ის ჩატარდა პირველი განმცხადებლის ადვოკატის მონაწილეობის გარეშე და მისი შედეგები უმთავრესად ციხის ადმინისტრაციის ჩვენებებს ეყრდნობოდა.

მთავრობას არ გაუპროტესტებია ის ფაქტი, რომ პატიმრებს არ ჰქონდათ სუფთა ჰაერზე გასვლის საშუალება და აღიარა, რომ სარდაფში მდებარე კარცერი ვერ იღებდა დღის შუქს. პირველი განმცხადებლის მიერ გაკეთებულ კარცერის აღწერას ადასტურებს ანგარიში, რომელიც მომზადებულია წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა და Human Rights Watch-ის მიერ თბილისის N5 დაწესებულებაში ვიზიტის შედეგად.

ციხის შინაგანაწესის დარღვევისათვის გათვალისწინებული რამდენიმე დისციპლინური საწესიდან ციხის ადმინისტრაციამ აირჩია ყველაზე მკაცრი – პატიმრის მოთავსება კარცერში; ადმინისტრაციამ მხედველობაში არ მიიღო, მაგალითად, განმცხადებლის პიროვნული თვისებები, მის მიერ ჩადენილი დარღვევის სახე და ის ფაქტი, რომ ეს იყო მისი პირველი სამართალდარღვევა.

მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ კარცერის ფართობი შეადგენდა 5.65 კვ. მეტრს ორი პატიმრისთვის. ჯერ კიდევ 2001 წელს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა საქართველოს მთავრობას რეკომენდაციით მიმართა, თითოეული პატიმრისთვის გამოეყო, მინიმუმ, 4 კვ.მ. ფართი. პირველი განმცხადებელი იძულებული იყო 120-სანტიმეტრიანი საწოლი გაეზიარებინა უცხო ადამიანთან და ტუალეტში შესვლაც არ შეეძლო ამ უცხო პირის დაკვირვების გარეშე.

პირველმა განმცხადებელმა უარი თქვა საკვების მიღებაზე არაჰიგიენური პირობების გამო. მთავრობამ აღიარა, რომ კარცერში ყოფნის დროს პირველი განმცხადებელი დამოკიდებული იყო ოჯახისა და ნათესავების მიერ შემოგზავნილ საკვებზე, თუმცა საკუთარი საკვების მიღების ნებართვა ვერ შეცვლის სახელმწიფოს ვალდებულებას, სათანადოდ უზრუნველყოს კვების მომსახურება.

ზემოთ მითითებული ფაქტორები საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ საჩივრის სხვა

ასპექტების განუხილველად დაადგინოს, რომ 2006 წლის 11-15 იანვარს თბილისის N5 დაწესებულების კარცერში პირველი განმცხადებელი იმყოფებოდა არაადამიანურ, დამამცირებელ პირობებში, რაც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

(ბ) მე-2 განმცხადებლის პატიმრობის პირობები: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობას სადავოდ არ გაუხდია მეორე განმცხადებლის საჩივარი თბილისის N5 დაწესებულებაში მისი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელის მიერ მოწოდებული პირობების აღწერა ემთხვევა წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა და Human Rights Watch-ის ანგარიშის შესაბამის პუნქტებს.

2006 წლის 19 იანვრიდან 23 თებერვლამდე მეორე განმცხადებელი იმყოფებოდა გადატვირთულ საკანში, თავიდან საკანში, რომელშიც მხოლოდ 12 საწოლი იდგა, 29 პატიმარი იყო მოთავსებული, შემდეგ საკანს დაემატა კიდევ 6 პირი. პატიმრები იძულებული იყვნენ რიგრიგობით დაეძინათ. ასეთი სიჭარბე, ცხადია, წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობას, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს ის გარემოება, რომ ძილის შეზღუდვა არ კომპენსირდებოდა დღის მანძილზე გადაადგილების თავისუფლებით – ჰაერზე გასეირნებით.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით სასამართლომ დაადგინა, რომ მე-2 განმცხადებლის პატიმრობის პირობები თბილისის N5 დაწესებულებაში არის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

(გ) მოპყრობა სასამართლო დარბაზში: შესაბამისი ფოტომასალისა და ვიდეომასალის ნახვის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2006 წლის 2 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე განმცხადებლები ისხდნენ გისოსებიან საბრალდებო სკამზე, რომელიც ძალიან ჰგავდა რკინის გალიას და იდგა განცალკევებით. ისინი გარშემორტყმული იყვნენ ნიღბიანი გუშაგებით. სასამართლო პროცესის ამგვარი უხეში და მტრული წარმოჩენა რიგით მნახველს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ სასამართლოზე განიხილება უკიდურესად საშიში კრიმინალების საქმე. უდანაშაულობის პრეზუმფციის უგულებელყოფასთან ერთად, განმცხადებლების მიმართ

მოპყრობა სასამართლო დარბაზში იყო დამამცირებელი როგორც მათ საკუთარ, ასევე საზოგადოების თვალშიც. ევროპული სასამართლო იზიარებს განმცხადებლების მტკიცებას იმის თაობაზე, რომ სასამართლო დარბაზში მყოფი სპეცრაზმელები მათში ინვედენენ შიშს, ტანჯვასა და არასრულფასოვნებას. ასეთ მოპყრობას ადვილად შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა განმცხადებლების კონცენტრირების უნარზე პროცესის მსვლელობისას, როდესაც საქმე შეეხებოდა მათს ფიზიკურ თავისუფლებას და აუცილებელი იყო სასამართლო განხილვისათვის დეტალური თვალყურის დევნება.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლების საზოგადოებრივი სტატუსის, წარსული ნასამართლეობის არარსებობისა და პროცესის დროს კანონმორჩილი ქცევების ფონზე მთავრობამ ვერ შეძლო ზემოთ აღწერილი ვითარების ახსნა. საქმის მასალებში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ არსებობდა თუნდაც უმცირესი ეჭვი იმისა, რომ განმცხადებლები, ცნობილი და საკმაოდ უწყინარი ადამიანები, შეიძლება გაქცეულიყვნენ ან ჩაედინათ ძალადობრივი ქმედება სასამართლოში გადმოყვანის ან მოსმენის დროს.

შესაბამისად, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლების მიმართ მოპყრობა 2005 წლის 2 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

კონვენციის მე-5 მუხლი

ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა სასამართლოს განჩინების გარეშე მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის გადაგზავნილია საქმე: დარღვევა

ერთ-ერთი მტკიცებულების – ვიდეორჩანანერის ხელმისაწვდომობის პრობლემა წინასწარი პატიმრობის საკითხის განხილვისას: არ არის დარღვევა

პატიმრობის საკითხის განხილვა სასამართლოს მიერ, რომელიც არ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი/ პატიმრობის კანონიერების

შესახებ საჩივარზე დაგვიანებული რეაგირება: დარღვევა

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: განმცხადებლებმა გააპროტესტეს პატიმრობის კანონიერება 2005 წლის 27 ნოემბრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ამოიწურა 2005 წლის 29 აგვისტოს სასამართლო ბრძანების ვადა.

აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 417-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, მას შემდეგ, რაც პროკურატურა წყვეტს გამოძიებას და საქმის მასალებს გადასცემს შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს, ამ უკანასკნელს უფლება აქვს ჩაატაროს განმწესრიგებელი სხდომა და გადაწყვიტოს მსჯავრდებულის სასამართლოს წინაშე წარდგენისა და აღკვეთის ზომის დაწესების საკითხი.

პრობლემურია მოსმენის ჩატარების დრო. სსსკ-ის 419-ე მუხლის თანახმად, განმწესრიგებელი სხდომა უნდა ჩატარდეს 14 დღის ვადაში ან რთული საქმის შემთხვევაში იმავე მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის ბოლო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუმცა ბოლო საქმეზე გადაწყვეტილების გამოსატანად მოსამართლეს დრო შეზღუდული არ ჰქონდა და არც პატიმრობის მაქსიმალური ვადა იყო განსაზღვრული ასეთი შემთხვევისთვის.

შესაბამისად, 2005 წლის 27 ნოემბრიდან 2006 წლის 13 იანვრამდე, ანუ ერთი თვისა და ჩვიდმეტი დღის განმავლობაში, არ არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც განმცხადებლების პატიმრობას გაამართლებდა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი:

(ა) 2005 წლის 27 აგვისტოს ვიდეოჩანაწერის ხელმისაწვდომობის პრობლემა განმცხადებლების წინასწარი პატიმრობის პირველადი განხილვისას

განმცხადებლები დავობდნენ, რომ პროკურატურას მათი ადვოკატებისთვის არ მიუწოდებია 2005 წლის 27 აგვისტოს მოვლენების ვიდეოჩანაწერი 2005 წლის 27 აგვისტოსა და 2 სექტემბრის სასამართლო განხილვებამდე.

ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისთვის დაკავების კანონიერების კონცეფცია არ შემოიფარგლება ეროვნული კანონმდებლობის საპროცესო მოთხოვნათა შესრულებით, არამედ ის ეხება იმ ეჭვის გონივრულობასაც, რომელიც საფუძვლად დაედო დაკავებას, ასევე – დაკავების მიზნის ლეგიტიმურობასა და შეფარდებული პატიმრობის დასაბუთებულობას. შესაბამისად, ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია პატიმრობის კანონიერების შესაფასებლად, სათანადო წესით უნდა იყოს ხელმისაწვდომი ეჭვიმტანილის ადვოკატისთვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოცემული საქმის მიხედვით, განმცხადებლები დააკავეს დანაშაულის ფაქტზე პარლამენტარის ფულით ხელში. თავად ეს ფაქტი იყო უკვე საკმარისი გონივრული ეჭვისთვის, რომ მოხდა გამოძალვა. გარდა ამისა, 2005 წლის 27 აგვისტოს ვიდეოჩანაწერის გარეშეც სისხლის სამართლის საქმის მასალები შეიცავდა მრავალ სათანადო მტკიცებულებას: აშშ-ის დოლარის კუპონებს, ჩხრეკის ოქმს, მეორე განმცხადებლის ავტომობილს, თითის ანაბეჭდებს და ა.შ. შესაბამისად, ვიდეოჩანაწერის უქონლობა ხელს არ უშლიდა პატიმრობის კანონიერების საკითხის განხილვას.

ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ამ თვალსაზრისით.

(ბ) 2005 წლის 2 სექტემბრის სასამართლო მოსმენა

განმცხადებლები დავობდნენ, რომ მათი პატიმრობის საკითხი არ გამხდარა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს განხილვის საგანი.

სასამართლო იმეორებს, რომ ყოველთვის არ არის აუცილებელი, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცესი მოიცავდეს ყველა იმ საპროცესო გარანტიას, რომლებიც, კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამართალწარმოებისთვის არის საჭირო. იმ დრამატული გავლენის გათვალისწინებით, რომელიც თავისუფლების აღკვეთას აქვს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ფარგლებში

ჩატარებული პროცესი უნდა შეესაბამებოდეს საქმის სამართლიანი განხილვის მოთხოვნებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია მიმდინარე გამოძიების პირობებში პროცესი კი უნდა იყოს შეჭიბველბრებიანი, ხოლო მხარეთა თანასწორობა – უზრუნველყოფილი.

შესაბამისი ფოტომასალისა და ვიდეომასალის შესწავლის შემდეგ სასამართლო გამოხატა 2005 წლის 2 სექტემბერს ჩატარებული სასამართლო მოსმენის ფორმას. განმცხადებლები ისხდნენ გისოსებიან საბრალდებო სკამზე, რომელიც გარშემორტყმული იყო საერთო არეულობითა და შეიარაღებული გუშაგებით. მათ არ შეეძლოთ ადვოკატებთან ურთიერთობა, არ ესმოდათ პროკურორისა და მოსამართლის ხმა და საკუთარ ხმას ვერ აწვდნენ იქ მყოფთ დარბაზში არსებული ხმაურის გამო. პროცესში მონაწილეობის მისაღებად იძულებული იყვნენ, დამდგარიყვნენ სკამზე ან გისოსებზე ჩამოკიდებულიყვნენ და ასე ეყვირათ. დარბაზში კავშირი მუდმივად ფერხდებოდა ჟურნალისტების უნებართვო ჩარევების, მობილური ტელეფონების ზარების, დამსწრეებს შორის ცხარე კამათისა და გინების გამო, ხოლო მოსამართლეს ან არ სურდა, ან არ შეეძლო წესრიგის დამყარება.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ, როდესაც ადვოკატები საუბრობდნენ, მათ ყურადღება ეფანტებოდათ ვიდეოკამერების განათებების გამო. არც მათი ხმა ისმოდა; პროკურორი და მოსამართლე ახლოს ისხდნენ ერთმანეთთან და მათ დიალოგს ხელს არაფერი უშლიდა.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ ქაოსურ პირობებში ჩატარებული ზეპირი მოსმენა არ არის ჭანსადი სასამართლო პროცესი. ევროპული სასამართლო ვერ მიიღებს მთავრობის არგუმენტს, რომ სასამართლო დარბაზში არსებული ხმაურის შესამსუბუქებლად მხარეს შეეძლო წერილობით მიემართა მოსამართლისათვის. ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ ზეპირი მოსმენა უნდა ჩატარდეს ისეთ პირობებში, რომელშიც სიტყვიერი პასუხები და აუდიოვიზუალური კომუნიკაცია მხარეებსა და მოსამართლეს შორის მიმდინარეობს სათანადო დინამიკურსა და შეუფერხებელ რეჟიმში.

სასამართლო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ განმცხადებლების მოთავსება გისოსებიან

საბრალდებო სკამზე, რომელიც ლითონის გალიას წააგავდა, და დარბაზში „სპეცრაზმის“ ყოფნა ხელს უშლიდა ყურადღების კონცენტრირებას, რაც აუცილებელია დაცვის ეფექტური განხორციელებისათვის. სასამართლო ეთანხმება განმცხადებლებს, რომ ასეთი დამამცირებელი და გაუმართლებლად მკაცრი ღონისძიებების გამოყენება საჯარო მოსმენის დროს, რომლის პირდაპირი ტრანსლაციაც ეთერში მიმდინარეობს ქვეყნის მასშტაბით, ბლალავს უდანაშაულობის პრეზუმფციას – სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერი ეტაპის უმთავრეს პრინციპს.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნების დაკონკრეტების გარეშეც კი წარმოუდგენელია დაშვება, რომ დებულება, რომელიც მოიცავს „სასამართლოში სამართალწარმოების“ უფლებას, არ ითვალისწინებდეს იმავე სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ფუნდამენტურ მოთხოვნებს.

მოცემულ საქმეზე 2005 წლის 2 სექტემბრის მოსმენის დროს მოსამართლის პიროვნული ქცევა არ შეიძლება ჩაითვალოს მიუკერძოებლად. სხდომაზე მოსამართლე აშკარად ეხმარებოდა პროკურორს – თავად, პროკურორის ნაცვლად, უპასუხებდა დაცვის მხარის შეკითხვებს ან პროკურორისათვის ხელსაყრელი ფორმით ეწეოდა მათ პერიფრაზირებას.

„დამოუკიდებლობის“ აუცილებელ ელემენტთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ის უდავოდ შეიბღალა 2005 წლის 2 სექტემბერს დიდი ოდენობით ფარული აგენტისა და „სპეცრაზმელის“ დარბაზში ყოფნით. ეროვნული სასამართლო ვერ გამოჩნდებოდა როგორც დამოუკიდებელი, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურის თანამშრომლები უფრო აკონტროლებდნენ სიტუაციას სასამართლო დარბაზში, ვიდრე მოსამართლე, ხოლო მოსამართლის სათათბირო ოთახი, რომელიც უნდა იყოს კერძო და მიუწვდომელი ადგილი, ასეთი არ იყო უცხო პირთათვის.

ზემოაღნიშნული გარემოებები საკმარისად მიაჩნია ევროპულ სასამართლოს დასკვნისათვის, რომ 2005 წლის 2 სექტემბრის სასამართლო განხილვა არ შეესაბამებოდა „სამართლიანი სასამართლოს“

ფუნდამენტურ მოთხოვნებს, შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

(გ) 2006 წლის 13 იანვრის სასამართლო მოსმენა

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ 2005 წლის 6 დეკემბერს განმცხადებლებმა გაასაჩივრეს წინასწარი პატიმრობა სასამართლო ბრძანების გარეშე, რაზეც თბილისის რაიონულმა სასამართლომ პასუხი მხოლოდ 2006 წლის 13 იანვარს, 38 დღის შემდეგ გასცა. მთავრობას არ განუმარტავს ეს უჩვეულო დაყოვნება. არც არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ დაგვიანება შეიძლება გამოეწვია თავად განმცხადებელს.

ასეთ პირობებში ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ 2006 წლის 13 იანვარს გამართული სასამართლო განხილვა არ შეიძლება აღიქმებოდეს როგორც „დაუყოვნებლივი“ პასუხი 2005 წლის 6 დეკემბერს შეტანილ საჩივარზე. აღნიშნული არღვევს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა პირველი განმცხადებლის თბილისის N5 დაწესებულების კარცერში მოთავსების გამო;

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა მეორე განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამო N5 დაწესებულებაში;

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა 2005 წლის 2 სექტემბერს სასამართლო დარბაზში განმცხადებლებისადმი მოპყრობის გამო.

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა 2005 წლის 27 ნოემბრიდან 13 იანვრამდე კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე განმცხადებლების პატიმრობის გამო;

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი: არ არის დარღვევა იმის გამო, რომ არ იყო ხელმისაწვდომი 2005 წლის 27 აგვისტოს ვიდეოჩანაწერი;

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი: დარღვევა 2005 წლის 2 სექტემბერს ჩატარებული სასამართლო განხილვის ფორმატისა და 2005 წლის 6 დეკემბრის საჩივარზე სწრაფი რეაგირების არარსებობის გამო;

კონვენციის 41-ე მუხლი: 6 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 14 694 ევრო განუული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

ALIEV V. GEORGIA¹³

ალიევი საქართველოს წინააღმდეგ №522/04; 13.01.2009

არაადამიანური პატიმრობის პირობები თბილისის N5 დაწესებულებაში: დარღვევა

პატიმრის მიმართ სავარაუდო არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტზე

ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი აბდულჰამიტ ალიევი დააკავეს 2002 წლის 3 მაისს ფოთში რუსული მხარის მიერ 1998 წლის 6 იანვარს მიღებული დადგენილების საფუძველზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისი მიცემის შესახებ. რუსეთში განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე სხეულის განზრახ დაზიანების ფაქტზე. 2003 წლის 17 იანვარს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებლის რუსეთში ექსტრადიციის შესახებ სათანადო დოკუმენტების არარსებობის გამო; თუმცა ბ-ნი ალიევი არ გაუთავისუფლებიათ, რადგან საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა 2003 წლის 10 იანვარს მას ბრალი წაუყენეს ციხის ადმინისტრაციისთვის ძალადობით წინააღმდეგობის განევის ფაქტზე ციხის ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის გამო 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს განვითარებული მოვლენებისას. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 8 თვით. 2002 წლის 23 აგვისტოს განმცხადებელი მოათავსეს თბილისის N5 დაწესებულებაში.

ბ-ნმა ალიევმა მიმართა ევროპულ სასამართლოს და სხვა საკითხებს შორის გაასაჩივრა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. ის აცხადებდა, რომ 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს მან მიიღო სხეულის დაზიანებები მის მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენებისას და აღნიშნულ ინციდენტზე არ ჩატარებულა გამოძიება; განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ N5 დაწესებულებაში არსებული პატიმრობის პირობები ლახავდა მის ღირსებას.

¹³ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%2201-90513%22%5D%7D>

სამართალი: კონვენციის მე-3 მუხლი:

(ა) პატიმრობის პირობები: მხარეთა პოზიციები №5 დანესებულებაში არსებულ პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებულია, კერძოდ, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მას არ ჰქონდა პირადი საწოლი და მის საკანში საწოლების რაოდენობა 10-15 ერთეულით ნაკლები იყო პატიმრების რიცხოვნობაზე. საკანი იყო ბინძური და ნესტიანი და არ ნიავედებოდა; მთავრობამ წარმოადგინა კომპეტენტური უწყების წერილი, რომლის მიხედვითაც 2003 წლის 6 სექტემბრიდან 2005 წლის 6 იანვრამდე განმცხადებელი 10 სხვა პატიმართან ერთად იმყოფებოდა №17 საკანში, სადაც იყო 12 პატიმრის მოთავსების შესაძლებლობა. საკანი აღჭურვილი იყო დანარჩენი სივრცისაგან „ნაწილობრივ განცალკევებული“ ტუალეტით და ნიავედებოდა საშუალო ზომის ფანჯრის მეშვეობით.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მთავრობის ეს პოზიცია არც სათანადოდ არის დასაბუთებული და არც დოკუმენტურად დადასტურებული. განმცხადებლის მტკიცება იმის შესახებ, რომ ის იძულებული იყო სხვა პატიმრებთან ერთად მორიგეობით დაეძინა, არ არის საფუძველს მოკლებული. 2002 წლის 25 ივლისსა და 2005 წლის 30 ივნისს გამოქვეყნებული წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშების მიხედვით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 2001 წელს თბილისის №5 დანესებულება ძალიან იყო გადატვირთული და როგორც მინისქვეშა, ისე მინისზედა სართულებზე განლაგებული საკნები იყო ბინძური, ნესტიანი და დაზიანებული. აღნიშნული სიტუაცია დამძიმდა 2003 წლის ბოლოს, ვინაიდან საქართველოს ციხეებში პატიმრების რაოდენობა 4 თვის განმავლობაში 10%-ით გაიზარდა. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშის თანახმად, №5 დანესებულების გადატვირთულობის დონემ „საგანგაშო“ ზღვარს მიაღწია. აქედან გამომდინარე, იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იყო №17 საკნის ადგილმდებარეობა, იქ არსებული სივრცე ვერ იქნებოდა საკმარისი და არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა პირადი საწოლი, რათა ნორმალურად დაძინება შესძლებოდა.

ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოცემულ დანესებულებაში ფანჯრებს

ჰქონდა რკინის გისოსები, რომლებიც ხელს უშლიდა სუფთა ჰაერისა და დღის სინათლის შეღწევას. არ არსებობდა ვენტილაციის სისტემა, რომელიც ჰაერის უკმარისობას აანაზღაურებდა. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2001 წლის რეკომენდაციის მიუხედავად, რკინის გისოსები არ მოუხსნიათ, ისინი კვლავ რჩებოდა ფანჯრებზე კომიტეტის შემდგომი ვიზიტებისას 2003-2004 წლებში, მთავრობამ ეს ვითარება ფინანსების უქონლობით ახსნა.

შესაბამისად, სასამართლოს სარწმუნოდ არ მიაჩნია არგუმენტი, რომ ისეთ საყოველთაოდ არასათანადო პირობებში ის საკანი, რომელშიც განმცხადებელი იყო მოთავსებული, წარმოადგენდა გამონაკლისს და, დანესებულების დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებით, ის არ იყო სათანადოდ განათებული, განიავებული და მოვლილი. ყოველ შემთხვევაში, მთავრობას არ წარმოუდგენია არც აღნიშნული საკნების ფოტოები და არც ტექნიკური მონაცემები საპირისპიროს დამტკიცების მიზნით. ეს დანესებულება დაანგრევს 2008 წლის მარტში უკიდურესი სიძველისა და იქ არსებული მძიმე პირობების გამო.

განმცხადებელზე მის მიერ გასაჩივრებულმა პატიმრობის პირობებმა მოახდინა ნეგატიური ზეგავლენა, კერძოდ, მას მოუწია საკუთარი საწოლის უქონლობის, სუფთა ჰაერისა და დღის სინათლის მუდმივი ნაკლებობის, ასევე სიბინძურის ატანა თბილისის №5 დანესებულებაში ყოფნის პერიოდში, რაც 1 წელიწადსა და ოთხ თვეს გაგრძელდა. საგულისხმოა, რომ განმცხადებელს აწუხებდა გული და ასთმა.

ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ პატიმრობის ასეთმა პირობებმა განმცხადებელს უდავოდ მიაყენა ისეთი ტანჯვა, რომელიც სცილდებოდა პატიმრობის თანმხლებ აუცილებელ ტანჯვას.

(ბ) 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამის მოვლენების შესახებ: განმცხადებელი თავს მიიჩნევს 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს მის საკანში განვითარებული მოვლენების მსხვერპლად; კერძოდ, ის ამტკიცებს, რომ მისი მოქმედება აუცილებელს არ ხდიდა მის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას. განმცხადებელი ხაზს უსვამს, რომ პატიმრები წინ აღუდგნენ მათ გაყვანას ციხის საკნიდან ექსტრადიციის გადარეგულირების აღსრულების მიზნით; რადგან

ეს გადაწყვეტილება მას არ მიემართებოდა, სხვა პატიმრების ექსტრადიციისთვის ხელის შეშლის მიზნით ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმის არავითარი საბაბი არ ჰქონია.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ 2002 წლის ოქტომბერში კომპეტენტურმა ორგანოებმა ჩაატარეს ორი სამედიცინო ექსპერტიზა განმცხადებლის სხეულზე დაზიანებების დადგენისა და მათი სიმძიმის განსაზღვრის მიზნით. მიღებულ დასკვნებში აღნიშნული იყო, რომ გამოვლინდა დაზიანებები, რომლებიც მსუბუქი ხასიათის იყო და ჯანმრთელობას ზიანს არ აყენებდა; უფრო კონკრეტულად: განმცხადებელს ბარდაყებსა და თავზე აღენიშნებოდა სერიოზული დარტყმების კვალი და ასევე რამდენიმე სისხლიანი ჭრილობა ბარდაყებზე, რომელთაგან ყველაზე დიდი 8x2 სმ. იყო. ევროპული სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული დაზიანებები საკმარისად მძიმე იყო იმისათვის, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების არეალში მოქცეულიყო.

ევროპულ სასამართლოს ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ განმცხადებლის თანამესაკნეებმა, თავიანთივე მტკიცების საწინააღმდეგოდ, ნამდვილად გაუწიეს ფიზიკური წინააღმდეგობა ჯერ დაწესებულების თანამშრომლებს და შემდეგ – სპეცდანიშნულების რაზმს; თუმცა განმცხადებელს არგუმენტად მოჰყავს ციხის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ჩვენება, რომლის მიხედვითაც, „ორი პატიმარი უშედეგოდ ცდილობდა“ დანარჩენი პატიმრების დამშვიდებას, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ განსაკუთრებით აგრესიულად იქცეოდნენ; მაგრამ უცნობია, იყო თუ არა განმცხადებელი აღნიშნულ ორ პატიმართაგან ერთ-ერთი. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადგენა, იყო თუ არა აუცილებელი განმცხადებლის წინააღმდეგ ძალის გამოყენება.

გამოძიების წარმართვასთან დაკავშირებით სასამართლო არ იზიარებს მთავრობის არგუმენტს იმის შესახებ, რომ განმცხადებელს უნდა შეეტანა ოფიციალური საჩივარი, რათა კომპეტენტურ ორგანოებს დაეწყოს გამოძიება განმცხადებლის წინააღმდეგ ძალის გამოყენების ფაქტზე, რაც მის სხეულზე არსებული დაზიანებების მიზეზი გახდა. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ დანაშაულის ნიშნების არსებობის ნებისმიერ

შემთხვევაში პასუხისმგებელ ორგანოებს გამოძიება უნდა დაეწყოს, როგორც მოიქცნენ შამაევის საქმეში. ამისთვის განმცხადებლის მიერ საჩივრის შეტანის ვალდებულება არ იყო გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით.

ასეთ ვითარებაში ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ ძალის გამოყენების პროპორციულობის დასადგენად გამოძიების ჩაუტარებლობით საქართველოს ხელისუფლებამ არ შეასრულა კონვენციის მე-3 მუხლით მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებანი.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა თბილისის №5 დაწესებულებაში განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამო;

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს განმცხადებლის მიმართ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით გამოძიების არარსებობის გამო;

კონვენციის 41-ე მუხლი: 10 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

ყუფარაძე საქართველოს წინააღმდეგ¹⁴
KUPARADZE V. GEORGIA
№30743/09; 21.09.2017

არასრულწლოვანი მსჯავრდებული პატიმრობის არასათანადო პირობებში: არ არის დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი გვანცა ყუფარაძე დაიბადა 1992 წელს. 2007 წლის 12 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო თანაკლასელის განზრახ მკვლელობის მცდელობაში. სამართალწარმოებისას განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სკოლის ეზოში

¹⁴ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-177074%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-177074%22]})

შემოიპარა ოთხი ახალგაზრდა მამაკაცი და ორი მათგანი თავს დაესხა დაზარალებულს, რომელიც ორი დანის გამოყენებით დაჭრეს. დაზარალებული კი აცხადებდა, რომ მას თავს დაესხა განმცხადებელი, რომელმაც ხელები გაუკავა და შემდეგ დანა რამდენჯერმე ჩაართყა. დაზარალებულმა მოახერხა სკოლის საკალათბურთო მოედნისკენ გაქცევა, სადაც ის იპოვეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ინციდენტს სხვა თვითმხილველი არ შესწრებია. განმცხადებელი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და შეუფარდა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა და ხუთი წლით – პირობითი მსჯავრი.

განმცხადებელი ეროვნულ დონეზე მოითხოვდა, რომ არასრულწლოვანი და სრულწლოვანი მსჯავრდებულების ერთმანეთისგან გამიჯვნის მიზნით არასრულწლოვანი მდედრობითი სქესის დამნაშავეებისთვის შექმნილიყო განცალკევებული პენიტენციური დაწესებულება ან მანამდე მისთვის სასჯელი გადაევადადებინათ. ხელისუფლების უარი განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი ვერ განიმარტებოდა იმგვარად, თითქოს ის ადგენს დაკავებულის განთავისუფლების ზოგად ვალდებულებას. გარდა ამისა, კონვენცია არ უკრძალავს ხელშემკვრელ მხარეებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარებას.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროს მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტები ითვალისწინებდა გარკვეული ხარისხის შემწყნარებლობას მსჯავრდებული არასრულწლოვანების სრულწლოვანი პატიმრებისგან განცალკევების უზრუნველყოფის საკითხის მიმართ; ეს მიდგომა ვრცელდებოდა ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც არასრულწლოვანი დამნაშავეებს ათავსებდნენ ცალკე, ზრდასრულთათვის განკუთვნილი დაწესებულებიდან მოშორებით. აღსანიშნავია, რომ განმცხადებლის მოთავსება პენიტენციური დაწესებულების იმ ნაწილში, რომელიც განკუთვნილი იყო ზრდასრული პატიმრებისთვის, თავისთავად არ წარმოშობს პასუხისმგებლობას კონვენციის მე-3 მუხლის ქრილში, შესაბამისად,

ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, მდედრობითი სქესის არასრულწლოვანი მსჯავრდებულთა ნაწილში პატიმრობის პირობები, მთლიანობაში, რამდენად თანხვედბოდა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს ვალდებულებას – პატიმარი უზრუნველყოფს ადამიანის ღირსების შესაფერისი პირობებით.

განმცხადებელი ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებთან დაკავშირებულ რამდენიმე ასპექტს: ქ-ნმა ყუფარაძემ სასამართლოს განუცხადა, რომ მთლიანად ჩამოერთვა ყოველდღიური გასეირნების უფლება; თუმცა საქმის მასალებით ირკვევა, რომ მან ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას საპირისპირო ჩვენება მისცა. განმცხადებლის ერთ-ერთი პრეტენზია, რომელიც ეხებოდა პირსაბნის გაფუჭების გამო საკანში ჰაერის ტენიანობის დარღვევას, ასევე დროებითი პრობლემა აღმოჩნდა. გარდა ამისა, განმცხადებლის საჩივარი საკანში პირადი სივრცის ნაკლებობასთან დაკავშირებით არ წარმოშობს პასუხისმგებლობას კონვენციის მე-3 მუხლის ქრილში. დაახლოებით 12-15 კვ.მ.-ის საკანს არაუმეტეს 3 არასრულწლოვანისა, მათ შორის განმცხადებელი, იყოფდა; შესაბამისად, მას რჩებოდა არანაკლებ 4 კვადრატული მეტრისა პირადი სივრცისთვის. პატიმრობის საერთო პირობების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი პატიმრებს თავისუფლად შეეძლოთ დაწესებულების ფსიქოლოგებთან კონსულტაციის გავლა და შხაპის მიღება, ასევე – განათლების მიღების გაგრძელება.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის საჩივარი N5 ციხის გადატვირთულობისა და საკანში მოზრდილებთან ერთად ყოფნის თაობაზე არ იყო გამყარებული რაიმე მტკიცებულებით და არ შეესაბამებოდა თავად განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ იგი ხუთი თვის განმავლობაში საკანში მართო იმყოფებოდა, ასევე – სახალხო დამცველის მიერ პატიმრობის პირობების აღწერილობას. შესაბამისად, ამ კუთხით საჩივარი არ იყო დასაბუთებული. დაბოლოს, ვენტილაციის სისტემის გაუმართაობის გასაჩივრებისას განმცხადებელს არ წარმოუდგენია დეტალები პრობლემის სერიოზულობის ან ხანგრძლივობის შესახებ. ამ ინფორმაციის არარსებობის პირობებში (რომც

დავუშვათ, რომ ციხის ვენტილაციის სისტემა გაუმართავი იყო, რაც სამწუხაროა) მხოლოდ აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

დასკვნა: კონვენციის მე-3 მუხლი: არ არის დარღვევა

შენიშვნა: არ დადგინდა აგრეთვე კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის როგორც ცალკე, ისე მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში დარღვევა. **იხ. წინამდებარე პუბლიკაციის 1-ლი ნაწილი.**

**მინდაძე და ნემსიტსვერიძე
საქართველოს წინააღმდეგ¹⁵
MINDADZE AND NEMTSITSVERIDZE V.
GEORGIA
№21571/05; 01.06.2017**

პატიმრობის პირობები თბილისის №1 ან №7 დაწესებულებებში: დაუშვებელია

აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით ელექტროშოკის გამოყენება და ცემა: დარღვევა/ ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: 2004 წლის 20 იანვარს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დაუდგენელი პირების წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტის წევრ კ.გ-ზე შეიარაღებული თავდასხმის ფაქტზე.

2004 წლის 13 მაისს პირველი განმცხადებელი, დავით მინდაძე, ორჯერ ნასამართლეთი ყაჩაღობისა და ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მკვლელობის მცდელობის გამო ქუჩაში დააკავეს.

პოლიციის განყოფილებაში მან დაადასტურა, რომ მეორე განმცხადებელმა, ვალერიან

ნემსიტსვერიძემ, მას შეუკვეთა პარლამენტის წევრის მოკვლა 10000 დოლარის სანაცვლოდ.

2004 წლის 13 მაისს დააკავეს მეორე განმცხადებელიც, რომელიც პარლამენტის ხსენებული წევრის შორეული ნათესავი იყო, და ბრალი წაუყენეს მკვლელობის მცდელობაში.

2004 წლის 4 ივნისს პირველმა განმცხადებელმა ოჯახის მიერ კერძო ადვოკატის დაქირავების-თანავე პროკურატურას წარუდგინა საჩივარი, რომლის მიხედვით მან აღიარებითი ჩვენება წამების შედეგად მისცა და ის სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, კერძოდ, მის მიმართ რამდენჯერმე გამოიყენეს ელექტროშოკი და სასტიკად სცემეს.

2004 წლის 22 ივნისს პირველმა განმცხადებელმა გამოძიებელს წარუდგინა ალიბი – დაასახელა ექვსი ადამიანის ვინაობა, რომლებთან ერთადაც ის იმყოფებოდა პარლამენტის წევრის დაჭრის დროს. მან მოითხოვა ამ პირების მოწმეების სახით დაკითხვა. სასამართლომ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან ბრალდება საკმარისად დასტურდებოდა განმცხადებლის აღიარებითი ჩვენებებითა და დაზარალებულის ამოცნობის ოქმითა და ჩვენებით.

2004 წლის 13 ივლისს მეორე განმცხადებელმა მთავარ პროკურატურას შეატყობინა, რომ პარლამენტის წევრმა ის ფარულად მოინახულა ციხეში და მოსთხოვა აღიარებითი ჩვენების დადასტურება, სანაცვლოდ კი ფული შესთავაზა. 2004 წლის 27 სექტემბერს პირველი განმცხადებლის მეუღლემაც შეატყობინა პროკურატურას, რომ დაზარალებული მას ფულს სთავაზობდა, თუკი დაარწმუნებდა ქმარს, რომ ეღიარებინა დანაშაული. ამისთვის პარლამენტის წევრმა მას წინასწარ გადაუხადა 1.500 აშშ დოლარი.

ორივე განმცხადებლის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. პირველსა და მეორე განმცხადებლებს შესაბამისად მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა: ერთს – ოცდაერთი წლით და მეორეს – თექვსმეტი წლით.

სამართალი: კონვენციის მე-3 მუხლი: ორივე განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა პატიმრობის პირობები; პირველი

¹⁵ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-173766%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-173766%22]})

განმცხადებელი ასევე დავობდა, რომ დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას პოლიციის თანამშრომლების მხრიდან 2004 წლის 13 მაისს თბილისის პოლიციის სამმართველოში. შესაბამის ეროვნულ ორგანოებს არ ჩაუტარებიათ ამ ინციდენტის გამოძიება.

(ა) პატიმრობის პირობები: საქმის მასალებზე დაფუძნებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ არც ერთ განმცხადებელს არასდროს უცნობებია რომელიმე შესაბამისი ორგანოსთვის თბილისის №1 ან №7 დანუსებულებათა საკნებში მათი წინასწარი პატიმრობის პირობების რომელიმე ასპექტით უკმაყოფილების შესახებ. მათ არც ევროპული სასამართლოს წინაშე მიუთითებიათ კონკრეტულ გარემოებაზე, რომელიც მათ ღირსებას ლახავდა. მათ წარმოადგინეს მხოლოდ ამონარიდები ციხეების მონიტორინგის საერთაშორისო და ეროვნული ორგანოების დასკვნებიდან. მთავრობამ სასამართლოს მიაწოდა დოკუმენტები, რომელთა თანახმადაც განმცხადებელთა პატიმრობის პირობები ადეკვატური იყო. ამასთან დაკავშირებით განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ რაიმე ტიპის საპირისპირო მტკიცება, შესაბამისად, საჩივარი ამ ნაწილში აშკარად დაუსაბუთებელია.

(ბ) არასათანადო მოპყრობა: მთავრობა აცხადებდა, რომ პირველი განმცხადებლის შეცდომა იყო, რომ მან არ იჩივლა პოლიციის მხრიდან სავარაუდო ძალადობის გამო და ვერ მოახერხა სამედიცინო ცნობის დროულად მიღება. ამის პასუხად ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წლის 4 ივნისამდე განმცხადებელი არ სარგებლობდა ოჯახის მიერ დანიშნული ადვოკატის მომსახურებით. ამდენად, სარწმუნოა, რომ ამ თარიღამდე ის თავს იკავებდა რაიმე საჩივრის გახმაურებისაგან, რადგან იმ პოლიციელების პირისპირ დარჩა, რომელთაც ბრალს სდებდა წამებაში, და აგრეთვე ციხის იმ თანამშრომლების, რომლებსაც, მისი აზრით, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დამნაშავეებთან. პირველმა განმცხადებელმა ადვოკატის აყვანისთანავე და შემდეგაც რამდენჯერმე მიმართა პროკურატურას. ყველა საჩივარში ის ინარჩუნებდა თანმიმდევრულობას ინციდენტის დეტალური აღწერისას: ასახელებდა იმ პოლიციელთა ვინაობას, რომლებიც არასათანადოდ ეპყრობოდნენ, ჰყვებოდა, რომ გამოიყენეს ელექტროშოკი და სცემდნენ კვადრატის ფორმის რკინის ბოქლომით და სხვ.

ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე, 2004 წლის 4 ივნისს, მისმა არჩეულმა ადვოკატმა მოითხოვა სამედიცინო გამოკვლევა პირველი განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობის ნიშნების გამოვლენის მიზნით. გამოკვლევა ჩატარდა დაგვიანებით და ზედაპირულად. სახელმწიფო ექსპერტმა თავი არც კი შეინუხა პირველი განმცხადებლის მონახულებითა და მისი მდგომარეობის შემოწმებით. ამის ნაცვლად ის შემოიფარგლა მისი რენტგენის ორი სურათის გაცნობით, რომელთაგან ერთზე გამოსახული იყო განმცხადებლის გულ-მკერდის არე, ხოლო მეორეზე – მისი თავის ცალი მხარე. იმის გამო, რომ შესაბამისმა სამედიცინო პერსონალმა ვერ უზრუნველყო განმცხადებლის დაზიანებათა დროული და ადეკვატური გამოკვლევა და დოკუმენტირება, მას წაერთვა მნიშვნელოვანი გარანტია იმისა, რომ არ დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.

ამ გარემოებათა მიუხედავად, თვით დაგვიანებულმა სამედიცინო შემოწმებამაც კი, რომელიც პირველი განმცხადებლის ოჯახის თხოვნით ჩატარდა 2004 წლის 29 სექტემბერს კერძო ექსპერტების მიერ და მოიცავდა განმცხადებლის პირად ყოვლისმომცველ გამოკვლევას, გამოავლინა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ეფექტების არსებობა, რომლებიც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო იმ ტიპის არასათანადო მოპყრობის შედეგად, რომელზეც საჩივარში იყო მითითებული. აღნიშნული სამედიცინო დასკვნა შემდგომ მეტწილად დადასტურდა სახელმწიფო ექსპერტების მიერ ჩატარებული ორი დამატებითი სამედიცინო გამოკვლევით და გაიზიარა სასამართლომ როგორც ფიზიკური ძალადობის მტკიცებულება. ფიზიკური დაზიანებების არსებობა დაადასტურეს ასევე მონშეებმა, რომლებმაც პირველი განმცხადებელი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის დღეს ან მოკლე ხანში ნახეს. თავად მთავრობას არასდროს წარუდგენია სასამართლოში რაიმე ალტერნატიული განმარტება განმცხადებლის სხეულზე დაზიანებების წარმოშობასთან დაკავშირებით. სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ გაეროს სპეციალური მომხსენებელი შეხვდა რამდენიმე დაკავებულ პირს, მათ შორის პირველ განმცხადებელსაც, და ზოგადად განაცხადა, რომ აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით ეჭვმიტანილთა და

ბრალდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან იმ დროისთვის ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობდა.

ევროპული სასამართლოსთვის ასევე ძნელი გასაგებია, თუ რატომ არ მიანიჭეს პირველ განმცხადებელს დაზარალებულის სტატუსი, ამის შედეგად მან ვერ შეძლო, ესარგებლა შესაბამისი საპროცესო უფლებებით.

ამკარაა, რომ ხელისუფლებამ არ ჩაატარა განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული ფაქტის საფუძვლიანი და ეფექტიანი გამოძიება. ევროპული სასამართლო ითვალისწინებს ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებას, პასუხი აგონ მათ კონტროლქვეშ პატიმრობაში მყოფ პირთათვის მიყენებულ დაზიანებებზე; შესაბამისად, გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით დასაბუთებულად მიაჩნია, რომ პირველი განმცხადებელი ექვემდებარება პოლიციელების სისასტიკეს 2004 წლის 13 მაისს თბილისის პოლიციის სამმართველოში; ითვალისწინებს არასათანადო მოპყრობის კონკრეტულ ტიპს – ელექტროშოკის გამოყენებასა და რკინის ბოქლომით ცემას – ჩადენილს პირველი განმცხადებლის მიმართ მისგან აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით და ადგენს, რომ ეს წარმოადგენს განმცხადებლის ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ღირსების არსებით შელახვას და შეადგენს წამებას კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის როგორც არსებითი, ასევე პროცედურული ასპექტები.

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: ორივე განმცხადებელი აცხადებდა, რომ მათი პატიმრობა 8-თვიანი ვადის ამოწურვის თარიღიდან (2005 წლის 13 იანვრიდან) სასამართლოსთვის მათი საქმის გადაცემის თარიღამდე (2005 წლის 7 ივნისამდე) იყო უკანონო.

მთავრობამ განაცხადა, რომ იმ დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და პრაქტიკის თანახმად, ის ფაქტი, რომ საქმე გადაეგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოს, საკმარისი იყო იმისთვის, რომ პატიმრობა მიჩნეულიყო როგორც „სასამართლო ზედამხედველობისთვის“ დაქვემდებარებული.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მან რამდენიმე, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ, საქმეზე უკვე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, რომელიც უკავშირდებოდა ბრალდებულთა პატიმრობაში ყოფნის პრაქტიკას სასამართლოს განჩინების გარეშე, მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ საქმე გადაგზავნილია პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის.

აქედან გამომდინარე, ოთხი თვისა და ოცდახუთი დღის განმავლობაში, 2005 წლის 13 იანვრიდან და 7 ივნისამდე, არ არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც სანქცირებული იქნებოდა განმცხადებელთა პატიმრობაში ყოფნა. სისხლის სამართლის საქმის მასალებისა და საბრალდებო დასკვნის პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის გადაცემის ფაქტი არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ პატიმრობის დარჩენილი ვადა მიჩნეულიყო „კანონიერად“ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისთვის.

კონვენციის მე-5 მუხლი:

ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა სასამართლოს განჩინების გარეშე მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვისაა გადაგზავნილი საქმე: დარღვევა

წინასწარი პატიმრობის გაგრძელება დასაბუთების გარეშე: დარღვევა

პატიმრობის გაგრძელების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულებისთვის არ გადაუციათ სასამართლო განხილვამდე: არ არის დარღვევა

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: განმცხადებლები აცხადებდნენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები მათი წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე არ იყო სათანადოდ დასაბუთებული.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ არ შეიძლება პატიმრობის პერიოდის დასაბუთებულობა განყენებულად შეფასდეს. ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა შეიცავდეს „სათანადო“ და „საკმარის“

მიზნებს და ითვალისწინებდა მოცემული საქმის კონკრეტულ თავისებურებებს.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლები დააკავეს 2004 წლის 13 მაისს და დამნაშავედ ცნეს 2007 წლის 26 თებერვალს. შესაბამისად, კონვენციის მე-5 მუხლის 1 (გ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის პატიმრობის საერთო ვადა შეადგენს ოცდაცამეტ თვესა და ცამეტ დღეს. განმცხადებელთა წინასწარი პატიმრობა თავდაპირველად სანქცირებული იყო სასამართლოს 2004 წლის 16 მაისის, 27 მაისისა და 11 აგვისტოს გადაწყვეტილებებით, 2004 წლის 13 ნოემბერი კი დადგინდა განსახილველი აღკვეთის ღონისძიების შეწყვეტის თარიღად. თუმცა განმცხადებლები ეჭვქვეშ აყენებენ მათი პატიმრობის ვადის გაგრძელებას ამ უკანასკნელი თარიღის გადაცილებით სასამართლოს 2004 წლის 10 ნოემბრისა და 2005 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებების საფუძველზე. შესაბამისად, ევროპულ სასამართლოს მოეთხოვება მხოლოდ ამ ბოლო ორი გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შეფასება.

2004 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ გაამართლა განმცხადებელთა პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობა შემდეგი მიზეზებით: (I) განაჩენის სიმძიმიდან გამომდინარე, არსებობდა მათი მიმალვის საფრთხე და (II), როგორც საქმის მასალებიდან ჩანდა, განმცხადებლებს შეეძლოთ, ხელი შეეშალათ გამოძიებისთვის. ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ არ შეიძლება მიმალვის საფრთხის შეფასება მხოლოდ და მხოლოდ განაჩენის შესაძლო სიმძიმის საფუძველზე და მისი შეფასება დამოკიდებულია სხვა ფაქტორებზეც. რაც შეეხება სიმართლის დადგენისთვის ხელის შეშლის საფრთხეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საფრთხე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ელემენტი თავისუფლების აღკვეთის დასაბუთებულობის შეფასებისას, მისი არსებობა არ შეიძლება დადგინდეს აბსტრაქტული მსჯელობის საფუძველზე, რომელიც გამყარებული არ იქნება არგუმენტებით. 2004 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაში ამ საფრთხის არსებობის შესახებ საქმის კონკრეტულ გარემოებებთან ყოველგვარი კავშირის გარეშეა მითითებული.

ევროპული სასამართლო განსაკუთრებულად შეშფოთებულია იმით, თუ როგორ განიხილა და გაახანგრძლივა თბილისის საოლქო სასამართლომ 2005 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით განმცხადებელთა წინასწარი პატიმრობა. იმის ნაცვლად, რომ ეჩვენებინა „სათანადო გულმოდგინების“ უფრო მაღალი ხარისხი პატიმრობის ასეთი ხანგრძლივობის ფონზე, რომელმაც იმ დროისთვის შეადგინა 12 თვეზე მეტი, ეროვნულმა სასამართლომ გამოიტანა სტანდარტული, შაბლონური, გადაწყვეტილება და გამოიყენა აბსტრაქტული ტერმინები. მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ არსებობდა განმცხადებელთა გაახანგრძლივებული თავისუფლების აღკვეთის გამამართლებელი, კონკრეტული და მნიშვნელოვანი ფაქტები, ისინი არ ყოფილა ჩამოყალიბებული ამ გადაწყვეტილებაში. ევროპული სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს ეროვნული ხელისუფლების ჩანაცვლება და მის მაგივრად ასეთი ფაქტების დადგენა.

შესაბამისად, 2004 წლის 10 ნოემბრისა და 2005 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებები ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ ბრალდების სიმძიმეს, როგორც ფაქტორს, და იმ მიზეზებს, რომლებიც, მიუხედავად მათი „მნიშვნელოვნებისა“, არ არის „საკმარისი“.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი: განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ პროკურატურის 2004 წლის 5 ნოემბრის შუამდგომლობა პატიმრობის გაგრძელების შესახებ მათთვის 2004 წლის 10 ნოემბრის სასამართლო განხილვამდე არ გადაუციათ. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, განმცხადებლების წინასწარი პატიმრობის საკითხის გადაწყვეტა გადაუდებელი ხასიათისა იყო და უნდა განხილულიყო სასწრაფოდ. პატიმრობის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად ეროვნულ სასამართლოს ჰქონდა 5-დღიანი ვადა. სისწრაფის მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელიც ასევე კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ერთ-ერთ ძირითად პრინციპსაც წარმოადგენს, თბილისის საოლქო სასამართლო 2004 წლის 10 ნოემბერს განმცხადებელთა წინასწარი პატიმრობის საკითხის შესწავლისას არ იყო ვალდებული, უზრუნველყო ყველა მხარის დოკუმენტების წინასწარი

გაცვლა ფოსტის საშუალებით, რასაც მეტი დრო სჭირდებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში ეს სიტუაცია შეამსუბუქა იმ გარემოებამ, რომ სასამართლო განხილვა ჩატარდა 2004 წლის 10 ნოემბერს ზეპირი მოსმენით, რომელსაც ესწრებოდნენ განმცხადებლები და მათი ადვოკატები, რომელთაც ჰქონდათ დიდი შესაძლებლობა, მიეღოთ ინფორმაცია და გაეკეთებინათ კომენტარები. შესაბამისად, საჩივარი ამ ნაწილში აშკარად დაუსაბუთებელია.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: (ა) პატიმრობის პირობების ნაწილში: დაუშვებელია; **(ბ) არასათანადო მოპყრობის ნაწილში:** მატერიალური და პროცედურული ასპექტის დარღვევა;

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი: დაუშვებელია.

კონვენციის 41-ე მუხლი: 28000 ევრო და 16000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის, შესაბამისად, პირველსა და მეორე განმცხადებელს; 4800 ევრო ორივე განმცხადებელს ერთობლივად განეული ხარჯებისთვის.

შენიშვნა: დადგინდა აგრეთვე კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა **იხ. წინამდებარე პუბლიკაციის ნაწილი 1.**

იხ. აგრეთვე: *Pitalev v. Russia*, no. 34393/03, 30 July 2009; *Golubenko v. Ukraine*, no. 36327/06, 5 November 2013; *Insanov v. Azerbaijan*, no. 16133/08, 14 March 2013; *Zakharin and Others v. Russia*, no. 22458/04, 12 November 2015; *Ananyev and Others v. Russia*, nos. 42525/07 and 60800/08, 10 January 2012; *Dennis and Others v. the United Kingdom*, no. 76573/01, 2 July 2002; *Koval v. Ukraine*, no. 65550/01, 30 March 2004; *Nikolov v. Bulgaria*, no. 38884/97, 30 January 2003; *Farhad Aliyev v. Azerbaijan*, no. 37138/06, 9 November 2010; *Panchenko v. Russia*, no. 45100/98, 8 February 2005, and *Rokhlina v. Russia*, no. 54071/00, 7 April 2005; *Michta v. Poland*, no. 13425/02, 4 May 2006; *G.K. v. Poland*, no. 38816/97, 20 January 2004; *Farhad Aliyev v. Azerbaijan*, no. 37138/06, 9 November 2010; *Yavuz v. Austria* (dec.), no. 32800/96, 18 January 2000) *Nechiporuk and Yonkalo v. Ukraine*, no. 42310/04, 21 April 2011.

Barbu Anghelescu v. Romania, no. 46430/99, 5 October 2004; *Corsacov v. Moldova*, no. 18944/02, §70, 4 April 2006; *Kehayov v. Bulgaria*, no. 41035/98, 18 January 2005; *Ostrovar v. Moldova*, no. 35207/03, 13 September 2005) *Rohde v. Denmark*, no. 69332/01, 21 July 2005, and *Mikadze v. Russia*, no. 52697/99, 7 June 2007; *Renolde v. France*, no. 5608/05, 16 October 2008, *Lind v. Russia*, no. 25664/05, 6 December 2007; *Kantjyrev v. Russia*, no. 37213/02, §§50-51, 21 June 2007; *Andrey Frolov v. Russia*, no. 205/02, 29 March 2007; *Labzov v. Russia*, no. 62208/00, 16 June 2005; *Mayzit v. Russia*, no. 63378/00, 20 January 2005; *Trepashkin v. Russia*, no. 36898/03, 19 July 2007; *Karalevičius v. Lithuania*, no. 53254/99, 7 April 2005; *Stepuleac v. Moldova*, no. 8207/06, 6 November 2007; *Kadiķis v. Latvia* no. 62393/00, 4 May 2006;

სამედიცინო დახმარება

კიკალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ¹⁶
KIKALISHVILI V. GEORGIA
N51772/08; 20.12.2018

ტუბერკულოზის რეციდივი, სავარაუდოდ, მკურნალობის პირველი ფაზის ადრეულად დასრულების გამო: არ არის დარღვევა

ოფთალმოლოგიური პრობლემის სამკურნალოდ ქირურგიული ოპერაციის ჩატარებლობა სამი წლის განმავლობაში: დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის 13 ივნისს გამოძიება დაიწყო ძარცვის ფაქტზე. მოგვიანებით დააკავეს განმცხადებელი გიორგი კიკალიშვილი, რადგან, გამოძიებლის შეფასებით, მას ჰქონდა კავშირი კრიმინალურ სამყაროსთან და ის ამოიცნო დაზარალებულმა. 2007 წლის 21 სექტემბერს განმცხადებელი დამნაშავედ ცნო სააპელაციო სასამართლომ და სასჯელის სახით 3 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. 2009 წლის 24 მარტს კი პირობით

¹⁶ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%5B%22001-188399%22%5D%7D>

ვადამდე გაათავისუფლეს. ბ-ნმა კიკალიშვილმა მიმართა ევროპულ სასამართლოს იმ საფუძვლით, რომ ტუბერკულოზის დიაგნოზი დაგვიანებით დაუდგინეს და, შესაბამისად, მკურნალობაც დაგვიანებით ჩაუტარეს. ის აგრეთვე ამტკიცებდა, რომ, DOTS-ის პროგრამით მკურნალობის პირველი ფაზის ნაადრევად დასრულებისა და ჯანმრთელობის სავალალო მდგომარეობის მიუხედავად, მისი ჩვეულებრივ დაწესებულებაში დაბრუნების შედეგი იყო ტუბერკულოზის რეციდივი. ამასთან, თითქმის სამი წლის განმავლობაში მას აწუხებდა მხედველობის მწვავე დაქვეითება მარცხენა თვალში და, მიუხედავად იმისა, რომ სჭირდებოდა ქირურგიული ჩარევა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჩარევამდე (2008 წლის ნოემბერი) მისთვის ოპერაცია არ შეუთავაზებიათ. საბოლოოდ განმცხადებელმა უარი თქვა ოპერაციის გაკეთებაზე ციხეში, ვინაიდან სასჯელაღსრულების სისტემის მიმართ უნდობლად იყო განწყობილი.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი:

(ა) ტუბერკულოზის მკურნალობა: უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ 2006 წლის ივნისიდან 2007 წლის ივნისამდე პერიოდში ბ-ნმა კიკალიშვილმა საჩივარი შეიტანა თავის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ან მოითხოვა რაიმე სახის მკურნალობა, რომელიც მას არ გაუწიეს. ის ჩიოდა მხოლოდ კატარაქტის პრობლემაზე. საქმის გარემოებების თანახმად, იმ პერიოდში მას ჩაუტარდა სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევა, მათ შორის რეგულარული სისხლის ანალიზი; მისი მდგომარეობის ზოგადი გაუარესება აღინიშნა მხოლოდ 2007 წლის ზაფხულში. ის მალევე გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც დაუსვეს ტუბერკულოზის დიაგნოზი. განმცხადებელი დაუყოვნებლივ ჩართეს DOTS-ის პროგრამაში, რომლის პირველი ფაზაც წარმატებით დასრულდა 2008 წლის მაისში. მაგრამ ოთხი თვის შემდეგ მას განმეორებით დაუდგინდა ტუბერკულოზის დიაგნოზი და კვლავ ჩართეს DOTS-ის პროგრამაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, საქმის გარემოებათა მიხედვით, მისი სამედიცინო შემონმება უზრუნველყვეს მხოლოდ დედის განმეორებითი მოთხოვნების შემდეგ. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ოთ-

ხთვისანი პაუზა განმცხადებლის სამედიცინო მეთვალყურეობის პროცესში, ევროპული სასამართლო დანამდვილებით ვერ იმსჯელებს იმ მიზეზებზე, რატომ გამოვლინდა ტუბერკულოზი განმეორებით. შემდეგ ბ-ნი კიკალიშვილი მოათავსეს ქსნის დაწესებულებაში, სადაც მან განაგრძო ტუბერკულოზის მკურნალობა შესაბამის სპეციალისტთა მეთვალყურეობით პირობით ვადამდე განთავისუფლებამდე. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მკურნალობის ადეკვატურობის შესაფასებლად ის ხელმძღვანელობს ტესტით – გამოიჩინა თუ არა სახელმწიფომ სათანადო გულისხმიერება, ვინაიდან მძიმე ავადმყოფი პაციენტის მკურნალობის ვალდებულების შესრულება ფასდება მიღებული ზომებით და არა დამდგარი შედეგით. შესაბამისი პრეცედენტული სამართლისა და ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს პოზიცია არ არის დასკვნა, რომ მთლიანობაში განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი ტუბერკულოზის სანინააღმდეგო მკურნალობა არასაკმარისი ან დაბალი ხარისხისა იყო. აქედან გამომდინარე, ამ თვალსაზრისით კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

(ბ) კატარაქტაზე მკურნალობა: ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლისას მწვავე კატარაქტის დიაგნოზი ჰქონდა დასმული და გაცემული იყო რეკომენდაცია ქირურგიული ჩარევის საჭიროების შესახებ. დაკავებიდან ხუთი თვის შემდეგ განმცხადებელი პირველად გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მას მხოლოდ მედიკამენტოზური მკურნალობა ჩაუტარდა. 2007 წლის მაისში დადასტურდა კატარაქტის დიაგნოზი და ოპერაციის საჭიროება, თუმცა განმცხადებლის სამედიცინო ისტორია ცხადყოფს, რომ მას შემდეგ, რაც მას დაუსვეს ტუბერკულოზის დიაგნოზი, კატარაქტაზე მისი მკურნალობა შეჩერდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის არ უნახავს ოფთალმოლოგს. განმცხადებელი მოათავსეს ციხის საავადმყოფოში, სადაც ოფთალმოლოგმა მოინახულა მხოლოდ 2008 წლის ნოემბერში, მას შემდეგ, რაც ევროპულმა სასამართლომ მთავრობას მოსთხოვა, წარედგინა მისი მკურნალობის კონკრეტული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა პაციენტის მხედველობის შენარჩუნებასა და დაცვას. ბ-ნ კიკალიშვილს შესთავაზეს ოპერაციის გაკეთება, რაზეც მან უარი განაცხადა.

ევროპული სასამართლოსთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ განმცხადებელს ორწლიანდ-ნახევარი მოუწია ციხეში ყოფნამ მხედველობის სერიოზული დაზიანებით – მანამ, სანამ მას შესთავაზებდნენ სამედიცინო პროცედურის ჩატარებას. მთავრობამ ვერ შეძლო ამ ვითარების ასახსნელად დამაჯერებელი განმარტების წარმოდგენა. არც განმცხადებლის სამედიცინო ისტორია და არც მთავრობის არგუმენტაცია არ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ტუბერკულოზის მკურნალობა საჭიროებდა კატარაქტის მკურნალობის შეჩერებასა და ოპერაციის გადადებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა განმცხადებელს არ გაუწიეს საჭირო სამედიცინო მომსახურება, შედეგად, ვერ შეძლეს, პათიმრობის განმავლობაში უზრუნველყოთ მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა ოფთალ-მოლოგიური პრობლემის არაადეკვატური მკურნალობის გამო;

კონვენციის მე-3 მუხლი: არ არის დარღვევა ტუბერკულოზის მკურნალობის გამო;

კონვენციის 41-ე მუხლი: 4500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

შენიშვნა: არ დადგინდა აგრეთვე კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 (c) პუნქტის დარღვევა.

მესხიძე საქართველოს წინააღმდეგ¹⁷
MESKHIDZE V. GEORGIA
N55506/08; 21.12.2017

მარჯვენა ქვედა კიდურის ამპუტაცია და მარცხენა ფეხის განგრენის განვითარება სპეციალიზებულ საავადმყოფოში დროული მკურნალობის არარსებობის გამო: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი როლანდ მესხიძე დააკავეს 2003 წლის 20 ივლისს მკვლელობის ფაქტზე და 2004 წლის 19 მაისს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის ზომად თორმეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. 2004 წლის 19 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ განაჩენი უცვლელად დატოვა.

2008 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებამდე გადაავადა განმცხადებლის სასჯელი და დაუყოვნებლივ გაათავისუფლა.

2011 წლის 21 ივნისის დასკვნით გამოვლინდა, რომ 2011 წლის 6 თებერვალს განმცხადებელს ჩაუტარდა მარჯვენა ქვედა კიდურის ამპუტაცია. ამავე დროს მას დაესვა მარცხენა ტერფის პირველი თითის განგრენის დიაგნოზი.

ბ-ნმა მესხიძემ მიმართა ევროპულ სასამართლოს იმ საფუძვლით, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არსებითად ციხეში ყოფნისას გაუარესდა და მას არ გაენია ადეკვატური სამედიცინო დახმარება; მისი თქმით, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა აღიარეს, რომ მათ არ შეეძლოთ მისთვის საჭირო მომსახურება აღმოეჩინათ, თუმცა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უარს ეუბნებოდნენ ციხის გარეთ შესაბამისი მკურნალობის მიღების შესაძლებლობის გამოყენებაზე.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი: უპირველეს ყოვლისა, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, განისაზღვროს განმცხადებლის საჩივრის ფარგლები კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად. განმცხადებელი არ გამოთქვამდა

¹⁷ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-179559%22%5D%7D>

პრეტენზიას 2007 წლის ოქტომბრამდე მისთვის ციხეში განუღებო მკურნალობასთან დაკავშირებით. ასევე მას არ განუცხადებია, რომ სხვადასხვა ავადმყოფობა ციხეში ყოფნისას განუვითარდა. მის საჩივარში ყურადღება გამახვილებული იყო იმ ფაქტზე, რომ, სავარაუდოდ, 2007 წლის ოქტომბრიდან განვითარებული განგრენის არასათანადოდ მკურნალობის პირობებში პათიმრობა საზიანო აღმოჩნდა მისი ჯანმრთელობისთვის, შესაბამისად, სასამართლო შეაფასებს 2007 წლის ოქტომბრიდან 2008 წლის სექტემბრამდე პერიოდში განმცხადებლისთვის ციხეში ხელმისაწვდომი მკურნალობის ადეკვატურობას.

ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების პროცესში ორივე მკურნალმა ექიმმა დაადასტურა, რომ 2007 წლის დეკემბერში განმცხადებელს უკვე ეტყობოდა მარჯვენა ფეხის თითის მდგომარეობის გაუარესების პირველი ნიშნები. ციხის ექიმის განცხადებით, იმ დროისთვის არ დაფიქსირებულა „სერიოზული ნეკროზი“, თუმცა სპეციალისტმა დაასკვნა, რომ „განგრენას უკვე დაზიანებული ჰქონდა მარჯვენა ტერფის პირველი თითი“. ნებისმიერ შემთხვევაში ამკარაა, რომ 2007 წლის დეკემბერში შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს უკვე ჰქონდათ ინფორმაცია განმცხადებლის დიაგნოზის შესახებ და ვალდებულნი იყვნენ, ჩაეტარებინათ სამედიცინო გამოკვლევები მკურნალობის გეგმის შესამუშავებლად; მაგრამ პასუხისმგებელი პირები ნელა მოქმედებდნენ, რადგან მხოლოდ 2008 წლის 25 იანვარს გადაიყვანეს განმცხადებელი ციხის საავადმყოფოში ფეხის თითის გამძაფრებული ტკივილით. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ერთთვიანი დაგვიანება წარმოადგენდა სერიოზულ უმოქმედობას, რადგან განგრენა არის სამედიცინო მდგომარეობა, რომელიც პოტენციურად სახიფათოა სიცოცხლისთვის და საჭიროებს დაუყოვნებლივ მკურნალობას.

ციხის საავადმყოფოში განმცხადებლის მოთავსების შემდეგ მას დაესვა ფრჩხილქვეშა პანარტიუმის დიაგნოზი და 2008 წლის 29 იანვარს ჩაუტარდა ოპერაცია; თუმცა, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ტკივილი არ შეწყვეტილა. 2008 წლის 25 თებერვალს განმცხადებელი გასინჯა სპეციალისტმა, რომელმაც გასცა რეკომენდაცია დოპლეროგრაფიისა და Tc PO2 ანალიზის ჩატარების შესახებ. იმ ეტაპზე სპეციალისტმა

აღნიშნა, რომ მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელი იყო მარჯვენა ტერფის პირველი თითის ამპუტაციის საჭიროების განხილვა. ერთი თვის შემდეგ, 2008 წლის 27 მარტს, ციხის საავადმყოფოს ექიმმა სპეციალისტის რეკომენდაციის გაუთვალისწინებლად და განმცხადებლისთვის შესაბამისი გამოკვლევების ჩატარების გარეშე უბრალოდ დაასკვნა, რომ არ არსებობდა ოპერაციის ჩატარების „აბსოლუტური ჩვენებები“. აქედან გამომდინარე, ბ-ნი მესხიძე განერეს ციხის საავადმყოფოდან ე.წ. „გაუმჯობესებულ მდგომარეობაში“ მსგავსი დასკვნის გაკეთებისათვის საჭირო რაიმე სამედიცინო მტკიცებულების არსებობის გარეშე.

მომდევნო პერიოდი (ორ თვეზე ცოტა მეტი) განმცხადებელმა თბილისის №1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაატარა. მთავრობა აცხადებდა, რომ ციხეში ბ-ნი მესხიძე მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა ვერ შეძლო ამ პერიოდის ამსახველი სამედიცინო ისტორიის ევროპული სასამართლოსთვის წარდგენა. განმცხადებლის დიაგნოზის სერიოზულობის გათვალისწინებით, ციხის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები ვალდებული იყვნენ, რეგულარულად (ყოველდღიურად თუ არა) ედევნებინათ თვალი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის და უზრუნველყოთ შესაბამისი მკურნალობით. ისინი ამგვარად ვერ მოიქცეოდნენ მკურნალობის პერიოდში შესაბამისი სამედიცინო ისტორიის წარმოების გარეშე.

2008 წლის 5 ივნისიდან 8 სექტემბრამდე პერიოდთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ ამ დროისთვის ციხის ექიმს უკვე ჰქონდა გაკეთებული ერთმნიშვნელოვანი დასკვნა სპეციალიზებული მკურნალობის აუცილებლობის, მათ შორის ტერფის თითის ამპუტაციის, შესახებ; თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია ასევე უგულებელყოფილ იქნა ციხის საავადმყოფოს პასუხისმგებელი პერსონალის მიერ.

იმის განხილვის გარეშეც, იყო თუ არა შესაძლებელი, თავიდან აეცილებინათ განმცხადებლის მარჯვენა ქვედა კიდურის ამპუტაცია და მარცხენა ფეხის განგრენის განვითარება სპეციალიზებულ საავადმყოფოში დროული და შესაბამისი მკურნალობის პირობებში, ევროპული

სასამართლო ადგენს, რომ ციხის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა გულგრილობა გამოიჩინეს განმცხადებლის ჯანმრთელობის სერიოზული მდგომარეობის მიმართ. ბ-ნი მესხიძის განთავისუფლებამდე ცხრათვიანი პროცესის განმავლობაში მათ ვერ მოახერხეს დიაგნოზის დროულად დასმა, შესაბამისად, არ გაითვალისწინეს სპეციალისტების რეკომენდაციები, განმცხადებელს არ ჩაუტარეს საჭირო შემოწმება და განერეს ციხის საავადმყოფოდან. რაც შეეხება დანარჩენ ორ თვეზე ოდნავ ხანგრძლივ პერიოდს, მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში ევროპული სასამართლო არ არის მზად, დაეთანხმოს იმის მტკიცებას, რომ განმცხადებელი რეგულარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და უტარდებოდა მკურნალობა. პასუხისმგებელი პირების ეს აშკარა წარუმატებლობა განსაკუთრებით სამწუხაროა იმ ფონზე, რომ განმცხადებლის დაავადების განვითარების იმ ეტაპზე არსებობდა მის ფეხსა და სიცოცხლესთან დაკავშირებული საფრთხის თანმიმდევრული ნიშნები.

ზემოთ აღნიშნულ სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებული დაგვიანებისა და შეცდომების ერთობლიობას ევროპული სასამართლო მიჰყავს დასკვნამდე, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა არაადეკვატური სამედიცინო დახმარების გამო;

კონვენციის 41-ე მუხლი: 150 ევრო მატერიალური ზიანისა და 4500 ევრო არამატერიალური ზიანის გამო.

ქიტიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

KITIASHVILI V. GEORGIA¹⁸

№37747/08; 23.11.2017

ტუბერკულოზის სავარაუდო დაგვიანებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა/ ნევროლოგიური პრობლემების სავარაუდო არაადეკვატური მკურნალობა: არ არის დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ზაქარია ქიტიაშვილი სასამართლომ რამდენიმე საქმეზე, მათ შორის ყაჩაღობის ბრალდებით, ცნო დამნაშავედ. 2007 წლის 14 ივნისის განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ოცდაათი წლის ვადით; თუმცა 2012 წლის 1 ნოემბერს ვადამდე გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

ბ-ნი ქიტიაშვილი ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მას დაგვიანებით დაუსვეს ტუბერკულოზის დიაგნოზი და, შესაბამისად, დაავადებდათ მისი მკურნალობა. ის ასევე აცხადებდა, რომ მისი ნევროლოგიური პრობლემების მკურნალობა არასოდეს იყო ადეკვატური.

განმცხადებლის საჩივარში გამოიყოფა სამი კომპონენტი: (1) ტუბერკულოზის მკურნალობის დაგვიანება; (2) ტვინის პოსტტრავმული მდგომარეობისა და თავის ტკივილის მკურნალობის არაადეკვატურობა; (3) სხვა საჭირო სამედიცინო მომსახურებათა არარსებობა.

ბოლო ელემენტთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ 2008 წლის 4 მაისს განმცხადებელს ოპერაცია ჩაუტარდა კისტის მარჯვენა სათესლე ჭირკვალზე და შემდეგი ოცი დღე ციხის საავადმყოფოში გაატარა. საქმის მასალები არ მიუთითებს, რომ მას ჰქონდა ოპერაციასთან დაკავშირებული ან პოსტოპერაციული ჩივილი.

2008 წლის 10 ივლისს განმცხადებელი კვლავ მოათავსეს საავადმყოფოში ქვედა ყბის აბსცესის გამო. აქ ჩაუტარეს ოპერაცია და 2008 წლის 30 ივლისს განერეს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

¹⁸ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Kitiashvili%22%2C%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%5D%2C%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%5D%2C%22itemid%22:%5B%22001-178698%22%5D%7D>

2008 წლის 6 მაისს შეამოწმეს C ჰეპატიტის ანტიხეულზე, რომელიც იმ დროისთვის არ დადასტურდა. 2009 წლის თებერვალსა და ივლისში კვლავ ჩაუტარდა სისხლის ანალიზი, რომელსაც ასევე არ გამოუვლენია ვირუსის არსებობა.

ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმიდან ერთ თვეში, 2009 წლის 23 იანვარს, განმცხადებელი ჩართეს DOTS-ის პროგრამაში. იმავე წლის 6 მარტს გადაიყვანეს ქსნის დაწესებულებაში. საქმის მასალების მიხედვით, განმცხადებელს ციხის ადმინისტრაციასთან რაიმე პრეტენზია არ წარუდგენია. ტუბერკულოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობასთან დაკავშირებით, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, სასამართლო ვერ ხედავს ციხის ადმინისტრაციის მხრიდან განმცხადებლის მიმართ რაიმე უყურადღებობას.

ბ-ი ქიტიანშვილი ასევე ჩიოდა ტვინის პოსტრავმული მდგომარეობის გამო და ამტკიცებდა, რომ მას არ მიეწოდებოდა ზოგიერთი მედიკამენტი და ასევე არ ჩასტარებია ტვინის სათანადო გამოკვლევა. განმცხადებელმა ორჯერ გამოაცხადა შიმშილობა სასჯელაღსრულების დაწესებულების წარმომადგენელთა უყურადღებობის გასაპროტესტებლად, რათა მის თავის ტკივილებს სერიოზულად მოჰკიდებოდა; მას ამ საკითხის დასმამ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთანაც მოუწია, რათა გაეძლიერებინათ ზეწოლა ციხის ადმინისტრაციაზე; მიუხედავად ამისა, ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ ფაქტს, რომ განმცხადებლისთვის რეგულარულად ხელმისაწვდომი იყო ნევროლოგი, რომელმაც ის გასინჯა დაუყოვნებლივ, როგორც კი გამოხატა თავის ტკივილის შესახებ პირველივე ჩივილი. მას უტარდებოდა სხვადასხვა სახის მკურნალობა, თუმცა – უშედეგოდ. სასამართლო წუხილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელს თითქმის სამთვიანი დაგვიანებით ჩაუტარდა ტომოგრაფიული გამოკვლევა; თუმცა ინტრაკრანიალური ჰიპერტენზიის სინდრომით მისი დიაგნოსტიკის შემდეგ, 2009 წლის თებერვალში, დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა და მას არასოდეს გამოუთქვამს უკმაყოფილება ამასთან დაკავშირებით.

აღნიშნული მსჯელობა საკმარისია დასკვნისათვის,

რომ, მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებებისა და დაგვიანებებისა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბ-ნი ქიტიანშვილისათვის განწეული მკურნალობა მთლიანობაში იყო ადეკვატური.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: არ არის დარღვევა
შენიშვნა: განმცხადებელი ასევე ასაჩივრებდა რუსთავის №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრობის პირობებს კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე; საჩივარი ამ ნაწილში დაუშვებლად იქნა ცნობილი დაუსაბუთებლობის გამო.

მირზაშვილი საქართველოს წინააღმდეგ¹⁹
MIRZASHVILI V. GEORGIA
N26657/07; 7.09.2017

სიმსივნის არაადეკვატური მკურნალობა: პირველ ეტაპზე: დარღვევა; მეორე ეტაპზე: არ არის დარღვევა.

ფაქტები: 2005 წლის 9 აგვისტოს განმცხადებელი ნიკოლოზ მირზაშვილი ყაჩაღობის ფაქტზე დააკავეს; ბრალდების თანახმად, მან პირს იარაღის მუქარით გამოსტაცა სატრანსპორტო საშუალება, მობილური ტელეფონი და გარკვეული ოდენობის ფული. 2006 წლის 18 ოქტომბერს ის დამნაშავედ ცნო სასამართლომ და მიუსაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა. ბ-ნმა მირზაშვილმა ევროპულ სასამართლოს მიმართა საჩივრით, რომელშიც აცხადებდა, რომ მას არ ჩასტარებია ადეკვატური მკურნალობა სასჯელაღსრულების არც ერთ დაწესებულებაში, მათ შორის არც სამედიცინო დაწესებულებაში.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი: ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის საჩივრები

¹⁹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22mirzashvili%22%5D%2C%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%5D%2C%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%5D%2C%22itemid%22:%5B%22001-176827%22%5D%7D>

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სავარაუდო არასათანადო მკურნალობასთან დაკავშირებით დაყო ორ პერიოდად: ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის გამოყენებამდე და მას შემდეგ.

(ა) სამედიცინო მომსახურება 2008 წლის 28 მარტამდე

განმცხადებელი 2005 წლის აგვისტოს პენიტენციურ სისტემაში შევიდა მძიმე სამედიცინო მდგომარეობით – მას ადრე ცოტა ხნის განმავლობაში მკურნალობდნენ სათესლე ჭირკვლის სიმსივნეს და ჰქონდა ქრონიკული HCV. ამ დაავადებათა ხასიათისა და შესაბამისი სამედიცინო დასკვნების გათვალისწინებით, მინიმალური სამედიცინო დახმარება, რომელიც მას ესაჭიროებოდა, მოიცავდა ონკოლოგთან წვდომასა და სპეციფიკურ სამედიცინო შემონმებებს დროული დიაგნოსტიკისთვის, სიმსივნისა და შესაძლო გართულებების მკურნალობას. ევროპული სასამართლო შეაფასებს, იღებდა თუ არა განმცხადებელი ხსენებულ სამედიცინო მომსახურებას.

უდავოა, რომ შესაბამისმა უფლებამოსილმა პირებმა დროულად გაამახვილეს ყურადღება ბ-ნი მირზაშვილის მდგომარეობაზე. ჯერ კიდევ 2005 წლის 20 აგვისტოს, დაპატიმრებიდან სულ რამდენიმე დღეში, ის გადაიყვანეს სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც იმყოფებოდა 2006 წლის 4 თებერვლამდე; თუმცა ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია, უგულებელყოს შესაბამისი სამედიცინო ჩანაწერები, რომელთა მიხედვით დროის ამ მონაკვეთში განმცხადებელს მხოლოდ ტკივილგამაყუჩებლებით მკურნალობდნენ. მხოლოდ 2006 წლის 7 მარტს მიეცა მას შესაძლებლობა, პირველად შეხვედროდა ონკოლოგს, ანუ თითქმის შვიდი თვის დაგვიანებით. ასეთი უმოქმედობა აშკარად ეწინააღმდეგებოდა მისი მკურნალი ექიმის მიერ არაერთხელ გაცემულ რეკომენდაციას, რომლის თანახმად მას ესაჭიროებოდა ონკოლოგის სასწრაფო კონსულტაცია და შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევა.

ონკოლოგის გამოკვლევის შედეგად 2006 წლის 7 მარტს განმცხადებელს დაუდგინდა სიმსივნის

რეციდივი და HCV-ის გაუარესება. ეს დიაგნოზები დადასტურდა 2006 წლის აგვისტოში მედიკოსთა ჯგუფის მიერ. ისინი რეკომენდაციას იძლეოდნენ, განმცხადებლისთვის ამოეკვეთათ დარჩენილი სიმსივნე და ჩაეტარებინათ ინტენსიური ქიმიოთერაპია, თუმცა ეს მითითებები არ შესრულებულა. მხოლოდ 2006 წლის 17 ნოემბრის შემდეგ, არაერთგზის მოთხოვნის შედეგად, გადაიყვანეს ბ-ნი მირზაშვილი ქიმიოთერაპიის ჩასატარებლად. ევროპული სასამართლო ვერ დაარწმუნა მთავრობის არგუმენტმა, რომ პაციენტის მდგომარეობა სტაბილური იყო და არ არსებობდა სასწრაფო სამედიცინო ზომების გამოყენების საჭიროება.

2006 წლის 5 დეკემბერს ონკოლოგმა რეკომენდაცია გაუწია განმცხადებელს, რომ სამი კვირის შემდეგ მისთვის კვლავ ჩაეტარებინათ ქიმიოთერაპია და უწყვეტი სამედიცინო დაკვირვებისთვის სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებაში მოეთავსებინათ. ამ რეკომენდაციის საპირისპიროდ, პაციენტი მოათავსეს ჩვეულებრივ საკანში და არ გადაიყვანეს გრაფიკით გათვალისწინებული ქიმიოთერაპიის ჩასატარებლად. მას ქიმიოთერაპია მიეწოდა მხოლოდ 2007 წლის ივლისში, თითქმის ნახევარი წლის დაგვიანებით. ევროპული სასამართლოს შეაფასებთ, სავალალოა განმცხადებლის მკურნალობის შეჩერება, განსაკუთრებით – მისი მდგომარეობის გაუარესების გათვალისწინებით.

ქიმიოთერაპიის კურსის გავლის შემდეგ ბ-ნი მირზაშვილს უნდა ჩასტარებოდა ყოველკვარტალური სამედიცინო გამოკვლევა, მაგრამ არც ეს რეკომენდაცია შესრულებულა, რადგან განმცხადებელი მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში მოთავსებული იყო რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. 2008 წლის 31 იანვარს ის შესამოწმებლად გადაიყვანეს სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებაში. მიუხედავად არაერთი ჩივილისა არასათანადო მკურნალობის გამო, მათ შორის HCV-ზე, ის მაინც განერეს და დააბრუნეს რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე კიდევ ერთი თვით დატოვეს, სანამ ევროპულმა სასამართლომ არ გამოიყენა სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესი.

საგულისხმოა, რომ განმცხადებლის ქიმიოთერაპიის ხარჯები ოჯახმა გაიღო. თუმცა მთავრობა ამტკიცებდა, რომ უფლებამოსილმა პირებმა შესთავაზეს მკურნალობის დაფინანსება სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებაში, მაგრამ მათ ვერ წარადგინეს რაიმე მტკიცებულება ამ განცხადების დასასაბუთებლად. შესაბამისად, იკვეთება, რომ, განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმისა და ქეიმის რეკომენდაციის მიუხედავად, მას ქიმიოთერაპია რეგულარულად უნდა ჩასტარებოდა, განმცხადებელი დატოვებს გადაუდებლად საჭირო ქიმიოთერაპიის გარეშე, მიუხედავად მისი მზადყოფნისა, მკურნალობა საკუთარი ხარჯით ჩაეტარებინა.

საბოლოოდ ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი დასაბუთება იმ არარეგულარული და არათანამიმდევრული სამედიცინო მეთვალყურეობისა და მკურნალობის ასახსნელად, რომელიც მაშინ განმცხადებლის სიმსივნესთან დაკავშირებით პროფესიული სამედიცინო რჩევის უგულებელყოფით მიმდინარეობდა.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ევროპული სასამართლო ადგენს, რომ 2005 წლის 9 აგვისტოდან 2008 წლის 28 მარტამდე პერიოდში ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის არარსებობის გამო დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

(ბ) სამედიცინო დახმარება 2008 წლის 28 მარტის შემდეგ

2008 წლის 28 მარტს ევროპულმა სასამართლომ მთავრობას 39-ე წესის მიხედვით მიუთითა, რომ ბ-ნი მირზაშვილი უნდა მოეთავსებინათ სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა სიმსივნისა და ქრონიკული HCV-ის ადეკვატური მკურნალობით. მთავრობამ შესაბამისად იმოქმედა და მეორე დღესვე განმცხადებელი მითითებულ დაწესებულებაში გადაიყვანეს და უზრუნველყვეს ყველა საჭირო სამედიცინო გამოკვლევით. 2008 წლის აპრილის შუა რიცხვებში მას პირველად შესთავაზეს ქიმიოთერაპიის ჩატარება სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებაში,

თუმცა მან შეთავაზებაზე უარი განაცხადა, ვინაიდან სასჯელაღსრულების დაწესებულების საავადმყოფო არ იყო სათანადოდ აღჭურვილი და არ ჰყავდა ონკოლოგი. ამას მოჰყვა მომდევნო შეთავაზება 2008 წლის მაისში, რომელიც განმცხადებელმა ისევ უარყო.

შეუძლებელია გვერდის ავლა იმ ფაქტისთვის, რომ 2008 წელს სასჯელაღსრულების სისტემის ახალი სამედიცინო დაწესებულება გაიხსნა, რომელიც CPT-ის აღწერით უკეთ იყო აღჭურვილი, რათა მძიმედ დაავადებული პაციენტებისთვის ემკურნალათ; ზემოთ აღნიშნული ყველა გარემოების გათვალისწინებით, არ შეიძლება მთავრობას დაეკისროს პასუხისმგებლობა განმცხადებლისთვის ქიმიოთერაპიის სამთვენახევრიან წყვეტაზე, რომელიც მის ორ უართან იყო დაკავშირებული – მიეღო ასეთი მკურნალობა სასჯელაღსრულების სისტემის შიგნით. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოსთვის გასაგებია, რატომ შეიკავა თავი ბ-ნმა მირზაშვილმა, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით არ მიიჩნევს, რომ მთავრობამ გულგრილობა გამოიჩინა მკურნალობის იმ კონკრეტულ ეტაპზე.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ 2008 წლის აპრილ-მაისში სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებაში სრულყოფილი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების შემდეგ ყველა მედიკოსმა, მათ შორის ღვიძლის სპეციალისტმა, დაასკვნა, რომ უნდა გადადებულიყო ანტივირუსული მკურნალობის ჩატარება. მოგვიანებით, 2008 წლის ოქტომბერსა და 2009 წლის იანვარში, სამედიცინო გამოკვლევებით დადგინდა, რომ HCV-ის რეპლიკაცია არ მომხდარა. 2009 წლის აპრილში არ გამოვლენილა ღვიძლის პათოლოგია. სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ განმცხადებელს არ ესაჭიროებოდა ანტივირუსული მკურნალობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო არ ადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას 2008 წლის 28 მარტის შემდეგ ბ-ნი მირზაშვილისთვის განუულ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა პენიტენციურ დაწესებულებაში განმცხადებლის სიმსივნის

არაადეკვატური მკურნალობის გამო 2008 წლის 28 მარტამდე;

კონვენციის მე-3 მუხლი: არ არის დარღვევა პენიტენციურ დაწესებულებაში განმცხადებლის სიმსივნის არაადეკვატური მკურნალობის გამო 2008 წლის 28 მარტის შემდეგ;

კონვენციის 41-ე მუხლი: 333 ევრო მატერიალური ზიანისთვის და 4500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

ილდანი საქართველოს წინააღმდეგ

ILDANI V. GEORGIA²⁰
N65391/09; 23.07.2013

ტუბერკულოზის მკურნალობის

ადეკვატურობა: პირველ ეტაპზე: დარღვევა;
მეორე ეტაპზე: არ არის დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი გიორგი ილდანი დააკავეს 2007 წლის 4 ოქტომბერს იარაღის უკანონო შეძენისა და შენახვისთვის. შემდეგ მას წაუყენეს ბრალდება ყაჩაღობის რამდენიმე ეპიზოდის გამო. საბოლოოდ დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს 17 წლითა და შვიდი თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა.

2008 წლის 18 ივლისს განმცხადებელი მოათავსეს რუსთავის N6 დაწესებულებაში. სამედიცინო დასკვნის მიხედვით, მას დაუსვეს ქრონიკული ბრონქიტისა და ნეიროციტოლოგიური დისტონიის დიაგნოზი. ბ-ნი ილდანის განცხადებით, იმ დროისათვის მას უარი უთხრეს სამედიცინო დახმარებაზე, საჭირო მედიკამენტებს ოჯახი აწვდიდა. ამის დასადასტურებლად მან წარმოადგინა აფთიაქის მიერ გაცემული ორი ქვითარი. განმცხადებელი ასევე მიუთითებდა, რომ ციხეში არასათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები იყო. დაუდგენელ დღეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით დედამისმა რუსთავის N6 დაწესებულების უფროსს მიმართა და მოითხოვა შვილის გადაყვანა ციხის სამედიცინო დაწე-

სებულებაში. 2009 წლის 13 აგვისტოს დედამ პასუხად მიიღო, რომ ამის საჭიროება არ იდგა. 2010 წლის 30 იანვარს განმცხადებლის წარმომადგენელმა მიმართა დაწესებულების უფროსსა და მთავარ ექიმს და აცნობა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს არასათანადო მოპყრობის შედეგად დაუზიანდა თავი, აწუხებდა ეპილეფსიური შეტევები და დაუქვეითდა სმენა. განმცხადებლის თქმით, მას ჰქონდა მოძრაობისა და მეტყველების პრობლემები, მაგრამ შესაბამისი მკურნალობა მაინც არ დაუნიშნეს. 2010 წლის 17 თებერვალს ბ-ნი ილდანს დაუსვეს ტუბერკულოზის დიაგნოზი და ჩართეს DOTS-ის ორეტაპიან პროგრამაში, რომელიც მან წარმატებით გაიარა.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი:

(ა) 2010 წლის თებერვლამდე პერიოდი: ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებელს დაკავებიდან პირველი 2.5 წლის განმავლობაში ტუბერკულოზის სკრინინგტესტი არ ჩასტარებია. ქრონიკული ბრონქიტის დიაგნოზის დასმის შემდეგაც კი მისი მოთხოვნა სამედიცინო დახმარების განწვევის შესახებ უყურადღებოდ დარჩა. ევროპული სასამართლო ციხის ადმინისტრაციის ამ დაუდევრობას აფასებს როგორც შეუთავსებელს სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან, უზრუნველყო ციხეებში ტუბერკულოზისა და სხვა გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენცია. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა რაიმე სამედიცინო დოკუმენტი დაკავების საწყის პერიოდში განმცხადებლის სამედიცინო მდგომარეობასთან ან ჩატარებულ მკურნალობასთან დაკავშირებით; ციხის უფროსის წერილი ან დაუთარილებელი ერთგვერდიანი ამონაწერი სამედიცინო საქმიდან საკმარის მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა. შესაბამისად, 2010 წლის თებერვლამდე განმცხადებელი დარჩა სათანადო სამედიცინო დახმარების გარეშე, რითაც დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

(ბ) 2010 წლის თებერვლის შემდგომი პერიოდი: 2010 წლის თებერვალში განმცხადებელს დაუსვეს ტუბერკულოზის დიაგნოზი. ის მაშინვე ჩართეს DOTS-ის პროგრამაში და მკურნალობის პირველი ეტაპი ქსნის N8 დაწესებულებაში გაიარა. 2010 წლის 23 ივლისს ის გადაიყვანეს რუსთავის N1 დაწესებულების სამედიცინო განყოფილებაში, სადაც ჩაუტარეს მკურნალობის მეორე ეტაპი.

²⁰ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-118646%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-118646%22]})

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი ჩვეულებრივ ციხეში მხოლოდ მას შემდეგ გადაიყვანეს, რაც ანტიტუბერკულოზური მკურნალობის პირველი ფაზა წარმატებით დასრულდა; აქედან გამომდინარე, ერთადერთი განსახილველი საკითხი სასამართლოს წინაშე არის, იყო თუ არა სათანადოდ აღჭურვილი რუსთავის N1 დაწესებულება მკურნალობის მეორე ფაზის ჩასატარებლად.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ :1. DOTS-ის პროგრამა რუსთავის N1 დაწესებულებაში ხორციელდებოდა 2010 წლის 10 ივნისიდან, ხოლო ბ-ნი ილდანი 2010 წლის 23 ივლისს გადაიყვანეს იქ; 2. ხელმისაწვდომი სამედიცინო დასკვნის თანახმად, მედიკამენტების მიღება გაგრძელდა DOTS-ის სტანდარტების შესაბამისად; 3. ხელმისაწვდომი სამედიცინო დასკვნა აჩვენებს, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა მუდმივი სამედიცინო დაკვირვების ქვეშ. დასასრულ, ბ-ნი ილდანისთვის ჩატარებულმა ბოლო ბექტერიოლოგიურმა გამოკვლევამ უარყოფითი შედეგი აჩვენა.

მთავრობის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე განმცხადებლის სხვა დაავადებებთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო ასევე ადგენს, რომ ის იმყოფებოდა მუდმივი სამედიცინო დაკვირვების ქვეშ, იღებდა შესაბამის მედიკამენტებს და ეპილეფსიური შეტევები არ დაფიქსირებულა.

შესაბამისად, არ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ბ-ნი ილდანისთვის განუვლი სამედიცინო დახმარების ადეკვატურობა 2010 წლის თებერვლის შემდგომ.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა 2010 წლის თებერვლამდე ადეკვატური მკურნალობის არარსებობის გამო; არ არის დარღვევა 2010 წლის თებერვლის შემდეგ ჩატარებული მკურნალობის ნაწილში.

კონვენციის 41-ე მუხლი: 4500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის

შენიშვნა: კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევის ცალკე განხილვის საჭიროება არ არის.

ჯაში საქართველოს წინააღმდეგ

JASHI V. GEORGIA²¹

N10799/06; 08.04.2013

ფსიქიკური აშლილობის მკურნალობის არაადეკვატურობა და სუიციდის ინციდენტების არასაკმარისი პრევენცია: დარღვევა / გულსისხლძარღვთა და ღვიძლის დაავადებების მკურნალობის არაადეკვატურობა: არ არის დარღვევა

ფაქტები: 2005 წლის 30 მარტს განმცხადებელი დავით ჯაში დამნაშავედ ცნეს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების გამო, მიუსაჯეს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გაათავისუფლეს.

2005 წლის 28 სექტემბერს კვლავ დააკავეს ნარკოტიკული საშუალებების შენახვისთვის. განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ იმავე წლის 28 დეკემბერს გამოცემულ სამედიცინო დასკვნაში აღინიშნა, რომ ზუსტი დიაგნოზის დასმა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში სრული ფსიქიატრიული გამოკვლევის ჩატარების გარეშე შეუძლებელი იყო. 2006 წლის 20 იანვარს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ბრძანება გასცა ბ-ნი ჯაშის ერთი თვით ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების შესახებ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად; აღნიშნული გადანყვეტილება პასუხისმგებელმა ორგანოებმა არ აღასრულეს, მიუხედავად განმცხადებლისა და მისი წარმომადგენლების არაერთგზისი მოთხოვნისა და საჩივრისა. 2006 წლის 23 მაისს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ბრძანება გასცა განმცხადებლის ფსიქიატრიული გამოკვლევისთვის მისი ერთი თვით ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიულ პალატაში მოთავსების შესახებ. ამჯერად გადანყვეტილება აღსრულდა და 2006 წლის 14 ივნისს სახელმწიფო კომისიამ გამოსცა დასკვნა ბ-ნი ჯაშის ფსიქიკური მდგომარეობაზე, რომლის მიხედვით მას ჰქონდა პიროვნული აშლილობა. ეს მდგომარეობა არ ახდენდა გავლენას მის უნარზე, გაეცნობიერებინა საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობა.

განმცხადებელმა რამდენჯერმე ცადა თვითმკვლელობა ზუგდიდის დაწესებულებაში: 2006

²¹ [https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:\[%22001-115850%22\]](https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:[%22001-115850%22])

წლის 15 ივნისს გადაიჭრა ვენები, იმავე წლის 12 ივლისს მიიღო მედიკამენტების ზედმეტი დოზა, ხოლო 22 ივლისს ელექტროსადენების გამოყენებით ისევ გადაიჭრა ვენები. ბოლო ინციდენტთან დაკავშირებით ჩატარდა გამოძიება და დადგინდა, რომ დაწესებულების პერსონალი არ იყო პასუხისმგებელი მომხდარზე, ვინაიდან ელექტროსადენი არ წარმოადგენდა აკრძალულ საგანს. 2006 წლის 25 აგვისტოს ბ-ნი ჯაში კვლავ ეცადა თვითმკვლელობას ციხის საავადმყოფოში მედიკამენტების ზედმეტი დოზის მიღების გზით.

2007 წლის 24 ივნისს განმცხადებელთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. ის დათანხმდა ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთაზე, 100.000 ლარის ჯარიმის სახით გადახდასა და ნარკომანიით დაავადებულთათვის სავალდებულო მკურნალობის გავლაზე.

განმცხადებელს სხვადასხვა დროს ასევე ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმებები, რომლებმაც გამოავლინა გულსისხლძარღვთა დაავადებები და C ჰეპატიტი. აღნიშნულთან დაკავშირებით მას ჩაუტარდა მკურნალობა.

ბ-ნმა ჯაშმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა ადეკვატური სამედიცინო მომსახურების არარსებობა მისი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების საპასუხოდ.

სამართალი – კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები: დაკავებული განმცხადებელი, რომელსაც აქვს ფსიქიკური დარღვევა, შესაძლოა უფრო მეტად იყოს მოწყვლადი არასრულფასოვნებისა და უსუსურობის გამო; ეს კი მოითხოვს განსაკუთრებულ სიფხიზლეს სასჯელადსრულების დაწესებულებაში ფსიქიატრიული მკურნალობის ადეკვატურობის შეფასებისას. მოპასუხე სახელმწიფოს განსჯისას, რომელიც უკავშირდება მის პასუხისმგებლობას სუიციდისკენ მიდრეკილი პატიმრის კეთილდღეობაზე, ევროპულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ განმცხადებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ და, თუკი ასეა, ეს მოცემულობა ნიშნავს, რომ მათ ვერ შეძლეს უსაფრთხოების სათანადო ზომების მიღება თვითდაზიანების შესაძლებლობების შესამცირებლად.

(ა) განმცხადებლის ფსიქიკური ჯანმრთელობა: ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა განმცხადებლის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ არაუგვიანეს 2006 წლის 20 იანვრისა შეიტყვეს, როდესაც ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს სპეციალისტებმა რეკომენდაცია გაუწიეს, რომ განმცხადებელს უნდა გაეკვლინა სრული ფსიქიატრიული შემოწმება სწორი დიაგნოზის დასასმელად; მაგრამ ასეთი გამოკვლევა განმცხადებელს მხოლოდ 2006 წლის 14 ივნისს ჩაუტარდა და დადგინდა, რომ მას აქვს პიროვნული აშლილობა. ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პასუხისმგებელი ორგანოების უარს, აღესრულებინათ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება და განმცხადებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად ფსიქიატრიულ კლინიკაში მოეთავსებინათ. დიაგნოსტიკის დაგვიანებამ განაპირობა, რომ განმცხადებლისთვის შესაფერისი მკურნალობის გეგმის შედგენა და მკურნალობა ძალიან გვიან დაიწყო, 2006 წლის 18 აგვისტოს, როცა ის ბოლოს და ბოლოს ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ფსიქიატრიული ან ფსიქოლოგიური მკურნალობის მინიმალურ დონეზე მიღების ერთადერთი გზა ფსიქიკურად არამდგრადი პატიმრისთვის იყო მისი გადაყვანა ციხის საავადმყოფოში, რაც განმცხადებლის შემთხვევაში არ ყოფილა უზრუნველყოფილი მითითებულ თარიღამდე. ამ ხნის განმავლობაში ბ-ნი ჯაშის ფსიქიკურმა აშლილობამ და დეპრესიამ, რომელსაც არ მკურნალობდნენ, გამოიწვია სუიციდის არაერთი მცდელობა ვენების გადაჭრისა თუ სხვადასხვა მედიკამენტის ზედმეტი დოზით მიღებით. აღნიშნული ინციდენტები, რომლებიც მეორედებოდა რეგულარული და მოკლე ინტერვალებით, იწვევს ლეგიტიმურ ეჭვებს განმცხადებლის თვითდაზიანებელი ქცევების მიმართ ციხის ადმინისტრაციის კეთილსინდისიერ და ყურადღებიან დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. მათ არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება, მაქსიმალურად შეემცირებინათ ციხეში სუიციდის რისკი, მაგალითად, ევროპული სასამართლოსთვის ძნელია იმისი გაგება, თუ რატომ არ გააკონტროლა ციხის ადმინისტრაციამ განმცხადებლისთვის მედიკამენტების ხელმისაწვდომობა. შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი,

რომ მოჰასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის სუიციდური მცდელობების აღკვეთა, რაც შესაძლებელი იყო ცალკეული შემთხვევების დროული და ეფექტიანი გამოძიების გზით. ყველა ამ გარემოების მხედველობაში მიღებით ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან პატიმრობაში მყოფ განმცხადებელს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების სამკურნალოდ არ აღმოუჩინეს დროული და ადეკვატური სამედიცინო დახმარება.

(ბ) გულსა და ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემები: სამედიცინო დოკუმენტაციის გათვალისწინებით ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებლის გულსისხლძარღვთა დაავადებებთან მიმართებით ციხის ხელმძღვანელობამ დროულად უზრუნველყო გამოკვლევების ჩატარება, დიაგნოსტიკა და მკურნალობა 2006 წლის 18 აგვისტოდან 2008 წლის 31 ივლისამდე. საგულისხმოა, რომ ბ-ნ ჯაშს მკურნალობა შესთავაზეს კერძო კლინიკაში, რომელიც სპეციალიზებული იყო კარდიოლოგიის მიმართულებით. განმცხადებელი არ დათანხმდა ამ შეთავაზებაზე და წამოაყენა დამატებითი პირობები. კონვენციის მე-3 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს როგორც განმცხადებლის ყველა სურვილისა და პრეფერენციის გათვალისწინება სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით. კანონიერი პატიმრობის პრაქტიკული საჭიროებანი განაპირობებს გარკვეულ შეზღუდვას, რომელიც უნდა მიიღოს პატიმარმა. საბოლოოდ ციხის თანამშრომლებმა მოახერხეს ბ-ნი ჯაშის გადაყვანა კერძო კლინიკაში, სადაც მას სახელმწიფო ხარჯზე ჩაუტარდა მკურნალობა, რომელმაც არსებითად გააუმჯობესა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

განმცხადებელს C ჰეპატიტის წინააღმდეგაც გაუწიეს სამედიცინო დახმარება; მართალია, მკურნალობა დიაგნოზის დასმისთანავე არ დაწყებულა, მაგრამ ეს დაყოვნება განპირობებული იყო ექიმის პროფესიული სიფრთხილით, კერძოდ იმის გათვალისწინებით, რომ ანტივირუსულ მედიკამენტებს შესაძლოა ჰქონოდა ძლიერი გვერდითი ჩვენება განმცხადებლის მენტალური სტაბილურობის მიმართ. შესაბამისად, თავდაპირველად საჭირო იყო პიროვნული აშლილობისა და დეპრესიის სიმპტომების მკურნალობა, რომელიც ჩაუტარეს განმცხადებელს.

ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ ციხის ხელმძღვანელობამ გამოავლინა სათანადო კეთილსინდისიერება და უზრუნველყო განმცხადებლის გულსისხლძარღვთა და ღვიძლის დაავადებათა დროული და სტრატეგიულად დაგეგმილი მკურნალობა. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა განმცხადებლის ფსიქიკური აშლილობის მკურნალობის ნაწილში; არ არის დარღვევა გულსისხლძარღვთა და ღვიძლის დაავადებების მკურნალობის ნაწილში.

კონვენციის 41-ე მუხლი: 3000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

შენიშვნა: კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის ცალკე განხილვის საჭიროება არ არის.

ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ
JELADZE V. GEORGIA²²
N1871/08; 18.12.2012

C ჰეპატიტის დაგვიანებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა: პირველ ეტაპზე: დარღვევა; მეორე ეტაპზე: არ არის დარღვევა

ფაქტები: 2004 წლის 21 ივლისს განმცხადებელი გენადი ჯელაძე დააკავეს დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის ჩადენისა და სხეულის დაზიანების ბრალდებით. 2006 წლის 30 ივნისს ის დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით. განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოს მიმართა საჩივრით, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მისთვის საჭირო სამედიცინო გამოკვლევებისა და შესაბამისი ანტივირუსული მკურნალობის დროულად ჩატარება; ასევე არაადეკვატური იყო შეთავაზებული ანტივირუსული მკურნალობის გეგმა.

²² [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-115313%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-115313%22]})

სამართალი: კონვენციის მე-3 მუხლი: (ა) მკურნალობა 2008 წლის 30 ოქტომბრამდე ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ ჩასტარებია C ჰეპატიტის სკრინინგტესტი პათიმრობის პირველი სამი წლის განმავლობაში. C ჰეპატიტის სიმპტომების გამოვლენის შემდეგაც დაწესებულების ხელმძღვანელობამ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების შესახებ. განმცხადებელი იძულებული გახდა, საკუთარი ხარჯებით ჩაეტარებინა სამედიცინო გამოკვლევა. ევროპული სასამართლო ადგენს, რომ პასუხისმგებელი პირების მხრიდან მსგავსი დაუდევრობა შეუთავსებელია მოპასუხე სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან, მიიღოს ეფექტიანი ზომები სასჯელალსრულების სისტემაში C ჰეპატიტისა და სხვა გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით. დიაგნოზის დასმის შემდგომ პერიოდთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ განმცხადებელს C ჰეპატიტის დიაგნოზი 2007 წლის ივლისში დაუსვეს, ხოლო გამოკვლევა პირველად ციხის საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ, 2008 წლის 30 ოქტომბერს ჩაუტარდა. მთავრობამ განაცხადა, რომ იმ პერიოდში განმცხადებელს ჩაუტარეს რამდენიმე სამედიცინო შემოწმება, მაგრამ ამის დასამტკიცებლადაც არ წარმოუდგენია შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ-ნი ჯელაძე 15 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დატოვეს მკურნალობის გარეშე.

ევროპული სასამართლო დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და ყურადღება არ მიაქციეს განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობას; მას აგრეთვე არ ჩაუტარეს სკრინინგტესტი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მთავრობის რეაგირება განმცხადებლის დიაგნოზის მიმართ იყო დაგვიანებული და არაადეკვატური. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი 2008 წლის 30 ოქტომბრამდე განმცხადებლისთვის ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის გაუწევლობის გამო.

(ბ) მკურნალობა 2008 წლის 30 ოქტომბრის შემდეგ: 2008 წლის 30 ოქტომბერს ბ-ნი ჯელაძე გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მას ჩაუტარეს საჭირო დიაგნოსტიკური გამოკვლევა

და შესთავაზეს ანტივირუსული მკურნალობის შესაბამისი გეგმა. განმცხადებელმა უარი განაცხადა ამ გეგმაზე, რადგან არასრულად მიიჩნია და განაცხადა, რომ მკურნალობისას არც სათანადო კვება და არც ადეკვატური საცხოვრებელი პირობები არ არსებობდა. განმცხადებელმა ევროპული სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ მისი უარი ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს – ეიძულებინა დაწესებულების ხელმძღვანელობა გადაეყვანათ იგი „შესაბამის“ დაწესებულებაში. აქედან გამომდინარე, რჩება კითხვა: შეეძლო თუ არა რუსთავის №6 სასჯელალსრულების დაწესებულებას, უზრუნველყო ანტივირუსული მკურნალობა ადეკვატურ კვებასა და საცხოვრებელ პირობებთან ერთად? მთავრობის განცხადებით, ბ-ნი ჯელაძეს დაჰპირდნენ, რომ მას გაუწევდნენ მუდმივ სამედიცინო მეთვალყურეობას; ანტივირუსულ მკურნალობასთან ერთად უზრუნველყოფილი იქნებოდა კვებითა და მედიკამენტებით და ნებას დართავდნენ, რომ ყოველდღე გარეთ ევარჯიშა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ განმცხადებელი დაეთანხმა მკურნალობის გეგმას 2009 წლის დეკემბერში. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის პრეტენზია მკურნალობის გეგმის არაადეკვატურობასა და არასრულყოფილებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია. შესაბამისად, კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა 2008 წლის 30 ოქტომბერს, ციხის საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ, განმცხადებლისთვის სამედიცინო მომსახურების გაუწევლობის გამო.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა არაადეკვატური მკურნალობის გამო 2008 წლის 30 ოქტომბრამდე;

კონვენციის მე-3 მუხლი: არ არის დარღვევა არაადეკვატური მკურნალობის გამო 2008 წლის 30 ოქტომბრის შემდეგ;

კონვენციის 41-ე მუხლი: 75 ევრო მატერიალური ზიანისთვის; 5000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის; 615 ევრო ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

შენიშვნა: განმცხადებელი ასაჩივრებდა აგრეთვე კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების დარღვევას უკანონო დაკავებისა და წინასწარი პათიმრობის გამო და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას სისხლის სამართლის

საქმის განხილვის შედეგის გამო; საჩივარი ამ ნაწილში დაუშვებლად იქნა ცნობილი, როგორც ამკარად დაუსაბუთებელი.

MINDADZE V. GEORGIA²³
მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ
N17012/09; 18.12.2012

C ჰეპატიტის, გულ-სისხლძარღვთა და სხვა დაავადებების დაგვიანებული და არაადეკვატური მკურნალობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ირაკლი მინდაძე სხვა პირთან ერთად დააკავეს ამ უკანასკნელის ბინაში 2007 წლის 31 მარტს დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ შექენა-შენახვისთვის; ბრალდების თანახმად, მათ განზრახული ჰქონდათ ნარკოტიკების რეალიზაცია. 2008 წლის 12 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა განმცხადებელს 1.6150 გ ჰეროინის უკანონო შექენა-შენახვისთვის და სასჯელის სახით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, დაკავებამდე, 2006 წელს, განმცხადებელს დაუდგინეს ვირუსული C და B ჰეპატიტის, მწვავე ეროზიული კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, მეორე ხარისხის არტერიული ჰიპერტენზიის, გულის იშემიური დაავადებისა და სტენოკარდიის, ასევე დისბაქტერიოზის დიაგნოზი. ის ჩართული იყო ნარკომანიის მკურნალობისა და შემდგომი რეაბილიტაციის პროგრამაში.

კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე ბ-ნმა მინდაძემ ევროპულ სასამართლოს მიმართა ციხის ადმინისტრაციის მიერ მისი ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის ადეკვატური მკურნალობისა და საავადმყოფოში მისი დროულად გადაყვანის ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი: საქმის მასალების მიხედვით, განმცხადებელი 2007 წლის 31 მარტს მოათავსეს თბილისის №5 დაწესებულებაში. ადმინისტრაციის განცხადებით, იმავე წლის 14 აგვისტოს ბ-ნი მინდაძე მისი მოთხოვნის საფუძველზე გასინჯა სპეციალისტთა ჯგუფმა, რომელმაც დაასკვნა, რომ ის არ საჭიროებდა სტაციონარულ მკურნალობას. სასამართლო შენიშნავს, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელშიც მითითებული იქნებოდა აღნიშნული სამედიცინო გამოკვლევების დასახელებანი, ზუსტი თარიღები და ინფორმაცია განმცხადებლის არასტაციონარულ მკურნალობასთან დაკავშირებით.

2008 წლის 18 ივლისს განმცხადებელი გადაიყვანეს რუსთავის №6 დაწესებულებაში. მთავრობამ განმარტა, რომ ის იმყოფებოდა მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ და უტარებოდა საჭირო მკურნალობა დაწესებულების სამედიცინო ნაწილში. ამ არგუმენტის გასამყარებლად მთავრობამ წარმოადგინა მთავარი ექიმის დასკვნა, დათარიღებული 2011 წლის 29 ივნისით. სასამართლო საფუძვლიანად ეჭვობს ამ დასკვნის სიზუსტესთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტში რუსთავის №6 დაწესებულების სამედიცინო ნაწილის შესაძლებლობების დეტალური აღწერის ნაცვლად წარმოდგენილია ბუნდოვანი ინფორმაცია განმცხადებლის სამედიცინო მეთვალყურეობისა და მკურნალობის შესახებ. უფრო მეტიც, არ არის სხვა ხელნაწერი სამედიცინო დოკუმენტი, რომელიც აღწერდა ამ დაწესებულებაში განმცხადებლისთვის 2008 წლის 18 ივლისსა და 2010 წლის 16 ივნისს შორის პერიოდში ჩატარებულ მკურნალობას. დეტალური სამედიცინო ისტორიის არარსებობის პირობებში ძალზე საეჭვოა ის ფაქტი, რომ მთავარ ექიმს შეეძლო, მოკლედ ჩამოეყალიბებინა ორწლიანი პათიმრობის პერიოდში განმცხადებლისთვის დანიშნული მკურნალობა.

აქედან გამომდინარე, ევროპულ სასამართლოს უჭირს, გაიზიაროს მთავრობის არგუმენტი, რომ ბ-ნ მინდაძეს ჩაუტარდა სრული სამედიცინო გამოკვლევა მისი მოთხოვნის საფუძველზე. სასამართლო შენიშნავს, რომ მთავრობამ თავისი არგუმენტის გასამყარებლად წარმოადგინა

²³ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22mindadze%22%5D%2C%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%5D%2C%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%5D%2C%22itemid%22:%5B%22001-115172%22%5D%7D>

ერთადერთი მტკიცებულება 2011 წლის 29 ივნისის სამედიცინო დასკვნის სახით. სამედიცინო გამოკვლევების სირთულის, კომპლექსურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით სასამართლოსთვის გაუგებარია, რატომ ჩაუტარა ციხის ადმინისტრაციამ ეს გამოკვლევები განმცხადებელს ისე, რომ არ დაურთო შესაბამისი ჩანაწერები მის სამედიცინო ისტორიას.

C ჰეპატიტთან დაკავშირებით სასამართლო შენიშნავს, რომ, დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით, შესაბამისი მკურნალობის ჩასატარებლად მნიშვნელოვანია პათიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ადეკვატური შეფასება. აღნიშნულ საქმეში მსგავსი შეფასების მიღება შესაძლებელი გახდებოდა ღვიძლის ბიოფსიისა და საჭირო სისხლის ანალიზების აღების გზით, რომლებიც დაადგინდა ვირუსის გენოტიპსა და კონცენტრაციას სისხლში. მთავრობამ ვერ დაამტკიცა, რომ განმცხადებელს ხსენებული სამედიცინო გამოკვლევები შესაბამის პერიოდში ჩაუტარდა. აქედან გამომდინარე, C ჰეპატიტის დიაგნოზის მიუხედავად, ინფიცირებული განმცხადებლის შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევების გარეშე დატოვებით პასუხისმგებელმა ორგანოებმა მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა რისკის ქვეშ დააყენეს. განმცხადებელი ასევე დარჩა თავისი დაავადების შესახებ საჭირო ინფორმაციის გარეშე და მას წაერთვა ამ დაავადების კონტროლის საშუალება. ამასთან მიმართებით სასამართლო შეუსაბამოდ მიიჩნევს მთავრობის არგუმენტს იმის შესახებ, რომ ბ-ნი მინდაძე იღებდა ჰეპატოპროტექტორებს, ვინაიდან ეს არ არის გამყარებული შესაბამისი სამედიცინო მტკიცებულებით. ადეკვატური სამედიცინო გამოკვლევების გარეშე ქრონიკული ჰეპატიტის ზუსტი გავლენა განმცხადებლის ჯანმრთელობაზე ვერ დადგინდებოდა და, შესაბამისად, მას საჭირო მკურნალობა ვერ ჩაუტარდებოდა.

ბოლოს სასამართლო შენიშნავს, რომ მხარეები ვერ თანხმდებიან განმცხადებლის სხვა დაავადებებთან დაკავშირებით: მთავრობის განცხადებით, გულის იშემიური დაავადება, სტენოკარდია და ვირუსული B ჰეპატიტის დიაგნოზი არ დადასტურდა. სასამართლოს დაკვირვებით, გულის პრობლემებთან დაკავშირებით განმცხადებელი კარდიოლოგმა პირველად

გასინჯა 2010 წლის 23 იანვარს, მისი დაკავებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ. სტენოკარდიასა და ვირუსულ B ჰეპატიტთან მიმართებით ნათელი ხდება, რომ სამედიცინო გამოკვლევები არ ჩატარებულა შესაბამის პერიოდში. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი შევიდა ციხეში მძიმე დიაგნოზით. ასეთ ვითარებაში ციხის ხელმძღვანელობა ვალდებული იყო, ის დროულად დაედასტურებინა, რათა შესაბამისი მკურნალობის გეგმა შემუშავებულიყო.

დასკვნის სახით: სასამართლო მიიჩნევს, რომ, ორი სამედიცინო ჩანაწერის გარდა, რომლებიც ასახავს კონსულტაციებს კარდიოლოგთან 2010 წლის 23 იანვარსა და 30 ივლისს, განმცხადებლის სამედიცინო ისტორია არ მოიცავს ჩანაწერებს. ხელისუფლებამ ვერ შეძლო, შეესრულებინა თავისი ვალდებულება ციხეში ადეკვატური სამედიცინო მეთვალყურეობისა და მკურნალობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა ადეკვატური სამედიცინო მომსახურების არარსებობის გამო;
კონვენციის 41-ე მუხლი: 5 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

გოლოშვილი – საქართველო²⁴
GOLOSHVILI – GEORGIA
№45566/08; 20.11.2012

ტუბერკულოზის სავარაუდო შეყრა პენიტენციურ დაწესებულებაში და სავარაუდო არაადეკვატური მკურნალობა: არ არის დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის 8 მარტს განმცხადებელი გიორგი გოლოშვილი დააკავეს ძარცვის ფაქტზე. იმავე წლის 16 ოქტომბერს კასპის რაიონულმა სასამართლომ ის დამნაშავედ

²⁴ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Go-loshvili%22,%22documentcollectionid%22:%5B%22GRAND-CHAMBER%22,%22CHAMBER%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-114652%22%5D%7D>

ცნო და მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. განმცხადებელმა მიმართა ევროპულ სასამართლოს და სხვა საკითხებთან ერთად მიუთითა, რომ ტუბერკულოზით დაინფიცირდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისთვის დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების განწევა.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი: საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ უზრუნველყო განმცხადებლის სამედიცინო დახმარება. ბ-ნი გოლოშვილი არ დაეთანხმა ამ მტკიცებას. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო დახმარების ადეკვატურობის შეფასებისას საჭიროა საკმარისი მოქნილობა სამედიცინო დახმარების სტანდარტის განსასაზღვრავად, რომელიც უნდა მოერგოს პატიმრობის ლეგიტიმურ მოთხოვნებს, ასევე შეეთავსებოდეს ადამიანის ღირსებას; სახელმწიფომ აგრეთვე უნდა შეასრულოს ნაკისრი პოზიტიური ვალდებულებები. ამგვარად, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ დიაგნოზის დასმა და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი, აგრეთვე მონიტორინგი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მხრიდან იყოს რეგულარული და სისტემატური და მოიცავდეს მკურნალობის სრულ სტრატეგიას. მხოლოდ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ფაქტი, რომელმაც შესაძლებელია დასაწყისში სხვადასხვა ეჭვი წარმოშვას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩატარებული მკურნალობის ადეკვატურობასთან დაკავშირებით, ვერ იქნება საკმარისი სახელმწიფოსთვის დაკისრებული ვალდებულებების დარღვევის დასადგენად, კონვენციის მე-3 მუხლის ძირითადი თუ სხვა მხრივ გამოვლინდა, რომ პასუხისმგებელმა ორგანოებმა დროულად მიმართეს ყველა საჭირო სამედიცინო ზომას, რათა ხელი შეეშალათ დაავადების პროგრესირებისთვის. რასაკვირველია, სახელმწიფოს ვალდებულება, უმკურნალოს მძიმედ დაავადებულ პატიმრებს, არის ერთ-ერთი საშუალება და არა ერთ-ერთი შედეგი.

სამედიცინო ისტორიის მიხედვით, როგორც კი განმცხადებლის დედამ მიმართა პენიტენციურ დაწესებულებას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის

თაობაზე 2008 წლის 18 ივნისს, ადმინისტრაციამ მეორე დღესვე იკისრა პასუხისმგებლობა ტუბერკულოზის მკურნალობაზე. 2008 წლის 26 ივნისს ბ-ნმა გოლოშვილმა დაიწყო შესაბამისი ანტიბიოტიკების მიღება DOTS-ის პროგრამის ფარგლებში. მას აგრეთვე უტარებოდა რეგულარული და სრული სამედიცინო გამოკვლევები და კონსულტაციები სპეციალისტებთან. ამ მხრივ, ევროპული სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ანტიბიოტიკებზე, რომლებიც საკმარისი ოდენობით ჰქონდა მომარაგებული ციხის ხელმძღვანელობას მკურნალობის მთელი პერიოდის (რვა თვის) განმავლობაში, დაწესებული იყო კვალიფიციური პერსონალის მონიტორინგი; ასევე სრულად ხელმისაწვდომი იყო სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში მდებარე ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები.

აქედან გამომდინარე, განმცხადებლისთვის ტუბერკულოზის დიაგნოზის დროული და ზუსტი დასმის, მისი მდგომარეობის რეგულარული და სისტემატური კლინიკური შეფასებისა და ბაქტერიოლოგიური მონიტორინგის, შესაბამისი მედიკამენტების საჭირო დოზებით დანიშვნის შედეგად ჩამოყალიბდა სრული თერაპიული სტრატეგია, რომელმაც შედეგად მოიტანა განმცხადებლის განკურნება ტუბერკულოზისგან 2009 წლის თებერვალში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ 2010 წლის აპრილში უზრუნველყო ფლუოროგრაფიული გამოკვლევების ჩატარება, რომელმაც დაადასტურა, რომ რეციდივი არ ყოფილა.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ პასუხისმგებელი უწყების წარმომადგენლებმა გამოიჩინეს საკმარისი ძალისხმევა განმცხადებლისთვის დროული და ადეკვატური სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: არ არის დარღვევა.

შენიშვნა: ამ საქმეზე საჩივარი **კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-13 მუხლის ნაწილში** დაუშვებელია, როგორც ამჟამად დაუსაბუთებელი. **იხ. წინამდებარე პუბლიკაციის ნაწილი 1.**

გოგინაშვილი – საქართველო²⁵
GOGINASHVILI - GEORGIA
№47729/08; 04.10.2011

პატიმრისთვის, რომელსაც ციხეში მოთავსებისას ჰქონდა თირკმლის დაავადება, სავარაუდო არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების განვება: არ არის დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის 21 მაისს განმცხადებელი, ყოფილი პოლიციელი ვასილ გოგინაშვილი, საქართველო-თურქეთის საზღვარზე დააკავეს, როგორც ექვმიტანილი საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების კონტრაბანდული გზით შემოტანაში. ადგილზე ჩატარებული ჩხრეკის ოქმის მიხედვით, განმცხადებლის ქურთუკის ჯიბეში სუბოტექსის 650 აბი აღმოაჩინეს. ბ-ნმა გოგინაშვილმა აღიარა დანაშაული და დაასახელა თანამონაწილეები, მათ შორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტინარკოტიკული განყოფილების მაღალი რანგის მოხელე, რომელიც, მისი თქმით, მფარველობდა მათს უკანონო საქმიანობას. სასამართლო განხილვისას ბ-ნმა გოგინაშვილმა უარყო თავდაპირველი აღიარებითი ჩვენება და განაცხადა, რომ მას უკანონო ნივთიერება პოლიციელებმა ჩაუდეს. სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო და შეუფარდა ოცდაერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. ციხეში მოთავსებისას მას უკვე ჰქონდა თირკმლის მძიმე დაავადება, ამიტომ სამედიცინო მეთვალყურეობას საჭიროებდა. ბ-ნმა გოგინაშვილმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა სავარაუდო ფაქტი, რომ სახელმწიფომ არ უზრუნველყო მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვა სასჯელაღსრულების სისტემაში.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი: ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მთავარია გარკვევა საკითხისა: შეძლო თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ შეენარჩუნებინა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილურობა ციხეში მისი ყოფნისას თირკმლის დაავადების ადეკვატური მკურნალობის გზით? საკითხის შეფასებისას სასამართლო

ხელმძღვანელობს ტექსტით – გამოიჩინა თუ არა ხელისუფლებამ სათანადო გულისხმიერება, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ მძიმე ავადმყოფი პატიმრის მკურნალობის ვალდებულების შესრულება განისაზღვრება მიღებული ზომებით და არა დამდგარი შედეგით. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რომელიც თავდაპირველად შესაძლოა კითხვებს ბადებდეს ციხეში მკურნალობის ადეკვატურობის შესახებ, საკმარისი არ არის სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-3 მუხლის ვალდებულებების დარღვევის დასადგენად, თუ მეორე მხრივ გამოვლინდება, რომ უფლებამოსილმა ორგანოებმა დროულად მიიღეს ყველა შესაძლო სამედიცინო ზომა დაავადების განვითარებისათვის ხელის შესაშლელად.

ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოცემული საჩივრის კომუნიციურების შემდეგ მთავრობამ განმცხადებლის მკურნალობის სრული ისტორია წარმოადგინა – დაკავების დღიდან მოცემულ მომენტამდე. ამ გზით ხელისუფლებამ მოიხსნა მტკიცების ტვირთი და სათანადოდ დაეხმარა სასამართლოს ფაქტობრივ გარემოებათა დადგენაში.

ციხის ადმინისტრაცია განმცხადებლის ჯანმრთელობის პრობლემას პირველად 2006 წლის 8 ივლისს გამოეხმაურა, როდესაც ის ციხის საავადმყოფოში გადაიყვანა; ეს მოხდა 2 დღის შემდეგ, იმის შემდეგ, როდესაც ადმინისტრაციამ სამედიცინო-ლაბორატორიული ანალიზების შედეგებით შეიტყო შესაბამისი სამედიცინო რისკების არსებობა. განმცხადებელი თითქმის 4 თვის განმავლობაში იმყოფებოდა ციხის საავადმყოფოში, სადაც შესაბამის სტაციონარულ მკურნალობას გადიოდა ნეფროლოგიურ/უროლოგიური კუთხით. მომდევნო სამედიცინო შემოწმებისას, რომელიც 2007 წლის პირველ ნახევარში შედგა, გამოვლინდა, რომ განმცხადებლის მდგომარეობა სტაბილური იყო და მას შესაბამისი მკურნალობის გაგრძელება ამბულატორიულადაც შეეძლო.

2007 წლის აგვისტოში განმცხადებელი კვლავ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მან მკურნალობის დამატებითი კურსი გაიარა. 2008 წლის 29 იანვარს კი პაციენტს აღენიშნა რეციდივი, რომელიც საკვებით მოწამვლით იყო გამოწვეული, და ის დაუყოვნებლივ გადაიყვანეს

²⁵ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Goginashvili%22%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22itemid%22:%5B%222001-106587%22%22%7D>

ციხის საავადმყოფოში, სადაც დარჩა სრულ გამოჯანმრთელებამდე.

2008 წლის 30 ოქტომბერს, რეგლამენტის 39-ე წესის მიხედვით ევროპული სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიების დაკისრების შემდეგ, ციხის ადმინისტრაციამ განმცხადებელი საავადმყოფოში მეოთხედ მოათავსა. აღნიშნული ღონისძიება 2010 წლის 30 აგვისტოს მოიხსნა; თუმცა ადმინისტრაცია ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროსაც თავისი ინიციატივით განაგრძობდა განმცხადებლის სტაციონარულ მკურნალობას ციხის საავადმყოფოში. ამ პერიოდის განმავლობაში განმცხადებელმა კიდევ ერთხელ გაიარა სრულფასოვანი მკურნალობა. ევროპული სასამართლო ითვალისწინებს მთავრობისა და ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის აღწერას და განმცხადებლის მხრიდან რაიმე საწინააღმდეგო მტკიცების არარსებობას და ადგენს, რომ ციხის საავადმყოფოში არსებული მდგომარეობა ნამდვილად შეესაბამება სამოქალაქო საავადმყოფოებისათვის დაწესებულ საშუალო სტანდარტს. თანაბრობის ეს დონე საკმარისია კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისათვის, ვინაიდან არ შეიძლება ამ წესის იმგვარად ინტერპრეტაცია, თითქოს ის პატიმრებისათვის იმ დონის სამედიცინო მომსახურების განევას გულისხმობდეს, როგორც ამას საუკეთესო სამოქალაქო კლინიკები სთავაზობენ.

ევროპული სასამართლო იმ გარემოებასაც შეეხო, რომ ციხის საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალს შორის არ იყო ნეფროლოგი, რაც გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა ექსპერტების რეკომენდაციას ნეფროლოგის მუდმივი მეთვალყურეობის საჭიროების შესახებ; თუმცა ციხის საავადმყოფოს რესურსების შეზღუდულობა საკმარისი არ არის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის ფაქტის არსებობისათვის, ვინაიდან ციხის ადმინისტრაცია განმცხადებლის გასასინჯად იწვევდა ნეფროლოგს სამოქალაქო ჰოსპიტლიდან. ევროპული სასამართლოს შეფასებით, სანაქებოა, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა მიმართეს სამოქალაქო სექტორის სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებათა მომსახურების გამოყენებას. მოწვეული ნეფროლოგის ვიზიტების სიხშირე დამაკმაყოფილებელია, ხოლო განმცხადებლის

მოლოდინი – გადაჭარბებული. ეს დასტურდება იმითაც, რომ, განმცხადებლის სამედიცინო ისტორიაზე დაყრდნობით, ნეფროლოგის მიერ ჩატარებული არც ერთი გასინჯვის შედეგად არ ყოფილა დაფიქსირებული ჰაციენტის მდგომარეობის გაუარესების ფაქტი; როგორც წესი, განაგრძობდა მანამდე დანიშნულ მკურნალობას ან ოდნავ ცვლიდა მედიკამენტოზური მკურნალობის რეჟიმს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, არის განმცხადებლის წარმომადგენლების განცხადება იმის შესახებ, რომ მათს კლიენტს ციხის ადმინისტრაცია გარკვეულ მედიკამენტებს არ აძლევდა; ევროპული სასამართლო, რომელიც განმცხადებლის სამედიცინო ისტორიას ეყრდნობა, უარყოფს ამ სრულიად დაუსაბუთებელ ბრალდებას. სამედიცინო ისტორია აჩვენებს, რომ ციხის საავადმყოფოში, ისევე როგორც რუსთავის ციხეში, ამბულატორიული მკურნალობისას განმცხადებელს არაერთი მედიკამენტი მიეწოდა და ორივე შემთხვევაში ხარჯებს სახელმწიფო გასცემდა.

ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ციხის ადმინისტრაციამ საჭირო ზომები მიიღო განმცხადებლისთვის ჰეპატიტის სამკურნალოდ. შექებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ, როდესაც განმცხადებელს საექვო ხველა დაეწყო, ციხის ადმინისტრაციამ ის მაშინვე შეამოწმა ტუბერკულოზზე, რომელიც არ დადასტურდა. ექიმებმა განმცხადებელს ქრონიკული ბრონქიტის დიაგნოზი დაუსვეს და შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარეს; მედიკამენტებიც დაუნიშნეს, რომლებიც, სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით, მან დროულად მიიღო ციხის საავადმყოფოში.

ევროპულმა სასამართლომ ასევე შეაფასა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ბ-ნი გოგინაშვილის პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხი; სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ უნდა იქნეს მიჩნეული როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პატიმრების განთავისუფლების ზოგადი ვალდებულების მდგენელი. პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობა მის განგრძობით პატიმრობასთან მძიმე ავადმყოფობის დროსაც კი დამოკიდებულია სახელმწიფოს შესაძლებლობაზე, უზრუნველყოს იგი შესაბამისი

ხარისხის მკურნალობით ციხეში; მოცემული საქმის გარემოებები აჩვენებს, რომ ციხის ადმინისტრაციამ შეძლო განმცხადებლის თირკმლის სერიოზულ პრობლემებთან გამკლავება ციხის საავადმყოფოში მისი გადაყვანის გზით და ამგვარად პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ციხის ადმინისტრაციამ გამოავლინა გულისხმიერება და უზრუნველყო სახელმწიფოს ხარჯებით განმცხადებლისთვის დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების განწევა.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: არ არის დარღვევა.

შენიშვნა: კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები: დაუშვებელია, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. **იხ. წინამდებარე პუბლიკაციის ნაწილი 1.**

ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ²⁶ GAVTADZE V. GEORGIA N23204/07; 03.06.2009

C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის შეყრა პენიტენციურ დაწესებულებაში და არაადეკვატური მკურნალობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ირაკლი ღავთაძე დააკავეს 2006 წლის 19 ოქტომბერს და 21 ოქტომბერს მოათავსეს თბილისის №5 დაწესებულებაში. 2007 წლის 4 აპრილს ის დამნაშავედ ცნო სასამართლომ იარაღის უკანონო ტარებისა და ყაჩაღობის გამო და მიუსაჯა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო სასამართლომ სასჯელის ხანგრძლივობა შეამცირა და 8 წლითა და 6 თვით განსაზღვრა.

ბ-ნი ღავთაძე ამტკიცებს, რომ დაპატიმრებამდე ჯანმრთელი იყო და ამის დასადასტურებლად

მოჰყავს 2006 წლის 10 ოქტომბერს ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, რომლებიც ადასტურებს მის სისხლში B და C ჰეპატიტის ანტიხეულების არარსებობას. განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე ჩივის, რომ ციხეში მას რამდენიმე დაავადება შეეყარა და საჭირო მკურნალობის ჩაუტარებლობამ და პატიმრობის პირობებმა მისი ჯანმრთელობა შეარყია.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი: აღნიშნული დებულება სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს ავადმყოფი პატიმრის ჯანმრთელობის დაცვა პატიმრობის რეჟიმის თანმდევი და გონივრული მოთხოვნების გათვალისწინებით. მოცემულ საქმეში მხარეები ეჭვქვეშ არ აყენებენ იმ ფაქტს, რომ განმცხადებელს ესაჭიროებოდა მკურნალობა, ვინაიდან მას არაერთი დაავადება აწუხებდა. შესაბამისად, სასამართლომ უნდა განიხილოს, გაენია თუ არა პატიმრობის სხვადასხვა პერიოდში ბ-ნ ღავთაძეს საკმარისი და ადეკვატური სამედიცინო დახმარება და შეესაბამებოდა თუ არა №5 დაწესებულებაში მისი ორჯერ გადაყვანა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს.

განმცხადებელი აცხადებდა, რომ C ჰეპატიტით პირველად ის ციხეში დაავადდა, თუმცა მან ეს ვერ დაამტკიცა. მას მწვავე ქრონიკული C ჰეპატიტი მხოლოდ 2007 წლის იანვრის შემდეგ დაუდგინდა. მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ ამ თარიღამდე, 3 თვის განმავლობაში, განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ვერ შეფასდებოდა, ვინაიდან მას მუდმივად აღენიშნებოდა მაღალი ტემპერატურა. მთავრობას არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ ამ პერიოდში მას სათანადო ყურადღებას აქცევდნენ.

სასამართლო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ჰოსპიტალიზაციის შემდეგ, 2007 წლის 22 იანვარსა და 20 თებერვალს, ბ-ნ ღავთაძეს ციხის საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის მიერ მოკლე დროში ჩაუტარდა შესაბამისი გამოკვლევები და დაენიშნა მკურნალობა იმუნური სისტემის გასაძლიერებლად; თუმცა ჰეპატოლოგის რეკომენდაციით საჭირო იყო ტუბერკულოზის მკურნალობა ისე, რომ ამას ღვიძლზე უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა. საქმის მასალებიდან არ

²⁶ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-91550%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-91550%22]})

ჩანს, რომ მთავრობამ შეიმუშავა მრავალმხრივი და კოორდინირებული მკურნალობის გეგმა. ამის ნაცვლად, გადაწყვიტეს, ემკურნალათ ტუბერკულოზისთვის და შეეჩერებინათ C ჰეპატიტის მკურნალობა. ასეთმა მიდგომამ გამოიწვია ის, რომ C ჰეპატიტმა ქრონიკული დაავადების სახე მიიღო.

სასურველი იქნებოდა, რომ მთავრობას განმცხადებლისთვის ციხეში შესვლისთანავე ჩაეტარებინა Mantoux-ის ტესტი, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, ფილტვების რენტგენოგრაფია ან სხვა შესაბამისი აუცილებელი გამოკვლევები. მაგრამ, როგორც ირკვევა, საქართველოს პენიტენციური სისტემის ადმინისტრაცია პატიმრების ციხეში შესვლისას ასეთ გამოკვლევებს არ ატარებს. სასამართლო მხედველობაში იღებს, რომ თბილისის №5 დაწესებულება უკიდურესად გადატვირთულია და ჰიგიენისა და ექიმის მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის, ასევე იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ციხის ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფდა ჯანმრთელი და ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების განცალკევებას; ითვალისწინებს იმასაც, რომ 2007 წლის მარტში ჩატარებულმა გულ-მკერდის რენტგენოგრაფიამ ფილტვების პათოლოგია არ გამოავლინა და ასკვნის, რომ განმცხადებელი ტუბერკულოზით თბილისის №5 დაწესებულებაში დაავადდა.

განმცხადებელს ტუბერკულოზის დადგენის შემდეგ პლევრის ღრუდან სითხე დროულად ამოუღეს, თუმცა არ ჩაუტარეს უფრო გაძლიერებული მკურნალობა პლევრის ღრუში სითხის ხელახალი დაგროვების თავიდან ასაცილებლად, რაც სუნთქვის გაძნელებას იწვევდა.

ციხეში ყოფნისას განმცხადებელს შეეყარა მუნი. ამ დაავადებისგან განკურნეს, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისის №5 დაწესებულებაში ის მოთავსებული იყო სიბინძურესა და ისეთ პირობებში, რომლებიც ჰიგიენის ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებდა.

განმცხადებლის ორჯერ მოკლე დროით ყოფნა ციხის საავადმყოფოში არ იყო საკმარისი მისი ჯანმრთელობის პრობლემების გადასაწყვეტად და ჰოსპიტალიზაციისა და, შესაბამისად, მკურნალობის ორჯერ შეწყვეტა არ ყოფილა

დასაბუთებული; კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი მაღალი სიცხიანობის გამომწვევი მიზეზები და განმცხადებელს აწუხებდა მწვავე ჰეპატიტი და სხვა დაავადებები, 2007 წლის 10 თებერვალს ის გადაიყვანეს თბილისის №5 დაწესებულებაში და მოათავსეს ჩვეულებრივ საკანში. გადაყვანამდე რამდენიმე დღით ადრე ექიმებმა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეაფასეს, როგორც მძიმე. მთავრობის მტკიცების საწინააღმდეგოდ, მათ არ მიუციათ განმცხადებლის ციხეში გადაყვანის ნებართვა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ციხეში გადაყვანა განსაკუთრებით გაუმართლებელი იყო იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის №5 დაწესებულება განიცდიდა მედპერსონალის ნაკლებობას და არ არსებობდა ასეთი დაავადებული პატიმრების მოთავსების არავითარი პირობა.

სასამართლო არ იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომელიც განმცხადებლის პირობებით დაავადების მიზეზად მის მიერ ციხეში არსებული ჰიგიენის წესების დაუცველობას ასახელებს. თუ პატიმარი ვალდებულია, დაიცვას აღნიშნული წესები, მაშინ მას შესაბამისი საშუალებებიც უნდა ჰქონდეს და უნდა იმყოფებოდეს სათანადო ჰიგიენურ პირობებში; მაგრამ, როგორც წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშიდან ირკვევა, რომელიც ამ მიმართულებით სარწმუნო წყაროს წარმოადგენს, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგომის პერიოდში თბილისის №5 დაწესებულებაში ერთ ადგილზე 4 პატიმარი მოდიოდა და საკნები ბინძური და ნესტიანი იყო. გარდა ამისა, საკნების დაზიანების დონე „აღწერას“ არ ექვემდებარებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ საყოველთაო სიბინძურის, ნესტისა და დაზიანებების პირობებში განმცხადებლის საკანი, სადაც უნდა ყოფილიყო ის, მთელ დაწესებულებაში გამონაკლისს წარმოადგენდა და, დანარჩენი სივრცისგან განსხვავებით, მოვლილი და განიავებული იყო. ყოველ შემთხვევაში, მთავრობას აღნიშნულის საპირისპიროდ არავითარი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

რაც შეეხება ბ-ნი ღავთაძის მეორედ განწერას საავადმყოფოდან 2007 წლის 31 მარტს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მას ამ დროისათვის კვლავ აწუხებდა მწვავე ჰეპატიტი, უჩიოდა ტკივილებს ნეკნის არეში და მაღალ სიცხიანობას.

სამედიცინო მასალებიდან არ ირკვევა, რომ ასეთ მდგომარეობაში ექიმებმა მას ციხეში გადაყვანის ნებართვა მისცეს. №5 დანესებულებაში მეორედ გადაყვანამ 2007 წლის აპრილში გამოიწვია მისი დაავადება ტუბერკულოზით და გამონერიდან სამი კვირის შემდეგ კვლავ ციხის საავადმყოფოში დააბრუნეს. მთავრობის მიერ მოყვანილი არგუმენტი იმუნოდეფიციტის შესახებ, რომელმაც აღნიშნული დაავადება გამოიწვია, სასამართლოს შეფასებით, უნდა ყოფილიყო დამატებითი მიზეზი იმისათვის, რომ სასჯელაღსრულების ადმინისტრაციას ექიმებთან კოორდინირებულად ემოქმედა და გაეთვალისწინებინა მათი მოსაზრებები პატიმრის იმ ციხეში გადაყვანამდე, რომელიც ყოველმხრივ აუტანელი პირობებით იყო ცნობილი.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშიდან ირკვევა, რომ აღნიშნული დანესებულების სამედიცინო ბლოკს ჰეპატოლოგი არ ჰყავდა. მთავრობა ვერ ამტკიცებს, რომ 2007 წლის 10 თებერვალსა და 31 მარტს განმცხადებლის №5 დანესებულებაში ხელახლა გადაყვანის შემდეგ მას ამ კუთხით რაიმე სახის მკურნალობა ჩაუტარდა.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო ის ფაქტია, რომ ბ-ნი ღავთაძე ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის მწვავე გართულების შემდეგ და განკურნებამდე დააბრუნეს ციხეში, სადაც არ ჩაუტარდა მკურნალობა. შესაბამისად, მისი გამონერა ციხის საავადმყოფოდან 2007 წლის 10 თებერვალსა და 31 მარტს წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებას.

ზემოხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ პასუხისმგებელმა ორგანოებმა არ შეასრულეს განმცხადებლის ჯანმრთელობის დაცვის, ასევე საკმარისი და ადეკვატური მკურნალობის ჩატარების პოზიტიური ვალდებულება C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის მკურნალობის თვალსაზრისით.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა
კონვენციის 41-ე მუხლი: 9 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 1.639 ევრო განუვლი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის

პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ²⁷ **POGHOSIANI V. GEORGIA** **N9870/07;24.02.2009**

სამედიცინო დანესებულებიდან გამონერა წრილობის შეხორცებამდე: არ არის დარღვევა; C ჰეპატიტის არაადეკვატური მკურნალობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ხვირა პოღოსიანი დააკავეს 2005 წ. 6 დეკემბერს ყაჩაღობის ბრალდებით. 2006 წლის 1 აგვისტოს სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და განუსაზღვრა 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; თუმცა საბოლოოდ ის 2008 წელს გაათავისუფლეს.

განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე დავობს, რომ საავადმყოფოდან სასჯელაღსრულების დანესებულებაში ოპერაციის შემდგომი წრილობის შეხორცებამდე გადაიყვანეს და ასევე არ ჩაუტარეს C ჰეპატიტის ადეკვატური მკურნალობა.

სამართალი: კონვენციის მე-3 მუხლი

(ა) ოპერაციის შემდგომ მკურნალობასთან დაკავშირებით

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ციხის სამედიცინო დანესებულებაში მოთავსებული დაავადებული პატიმრის მხოლოდ ციხეში გადაყვანის ფაქტი თავისთავად არ წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. საჭიროა დადგინდეს, ჩაუტარდა თუ არა ციხეში გადაყვანამდე განმცხადებელს აუცილებელი და ადეკვატური მკურნალობა, იყო თუ არა ეს გადაყვანა გამართლებული მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და გაუგრძელდა თუ არა მას სამედიცინო მეთვალყურეობა ციხეში გადაყვანის შემდეგ.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში განმცხადებელი ჰოსპიტალიზებულ იქნა 2006 წლის 30 სექტემბერს გავა-კუდუსუნის დერმოიდული კისტის გამო; რამდენიმე დღიანი გასინჯვისა და დაკვირვებების შემდეგ ექიმებმა საჭიროდ მიიჩნიეს ქირურგიული ჩარევა.

²⁷ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/poghosiani.pdf>

განმცხადებელს ოპერაცია ჩაუტარდა 2006 წლის 12 ოქტომბერს. მას არ გამოუთქვამს პრეტენზია ოპერაციის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. 2006 წლის 11 ნოემბერს, შაბათს, ბ-ნი პოლოსიანი ციხის საავადმყოფოდან განერეს ისე, რომ არ დაელოდნენ ორშაბათს, როდესაც მკურნალ ექიმს შესაძლებლობა ექნებოდა, შეემონებინა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და გამოეთქვა მოსაზრება საავადმყოფოდან მისი განერის გონივრულობასთან დაკავშირებით. ამ დროისთვის განმცხადებლის ქრილობა არ იყო სრულად შეხორცებული. იმავე დღეს რუსთავის №6 დაწესებულების ექიმმა დაადგინა ქრილობაზე მსუბუქი ინფექცია. აღნიშნულს წარმატებით უმკურნალეს. 2006 წლის 3 დეკემბერს შეხორცების პროცესი დასრულდა და განმცხადებელს ამასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამს. ასეთ პირობებში ევროპული სასამართლო არ მიიჩნევს აუცილებლად იმის გარკვევას, განმცხადებელს მკურნალობა ციხის სამედიცინო ნაწილში ჩაუტარდა თუ ჩვეულებრივ საკანში.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი ციხის საავადმყოფოსა და რუსთავის №6 დაწესებულებაში ოპერაციის შემდგომი მკურნალობის ჩატარების თვალსაზრისით.

(ბ) C ჰეპატიტის მკურნალობასთან დაკავშირებით

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ 2006 წლის 27 ნოემბერსა და 13 დეკემბერს ჩატარებული ანალიზების სამმა სერიამ დაადასტურა, რომ განმცხადებელი C ჰეპატიტით იყო დაავადებული; სამედიცინო მასალებიდან არ ირკვევა, რომ მას ჩაუტარდა სხვა აუცილებელი ანალიზები, რომლებიც საშუალებას მისცემდა მედიკოსებს, განესაზღვრათ ჩასატარებელი თერაპიული მკურნალობა და შეეფასებინათ განკურნების შესაძლებლობა.

იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს არ ჩასტარებია შესაბამისი გამოკვლევები, სასამართლო ვერ გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, განმცხადებელს შესაბამისი მკურნალობა უტარდებოდა. მთავრობას ასევე არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ განმცხადებელი სათანადოდ იკვებებოდა.

კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილურობის შესანარჩუნებლად არ არის საკმარისი მხოლოდ მისი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა. მნიშვნელოვანია, რომ დასმული დიაგნოზის შესაბამისი თერაპია და ადეკვატური მკურნალობა ჩატარდეს.

მთავრობამ ასევე ვერ შეძლო სასამართლოს დარწმუნება იმ არგუმენტით, რომ 2006 წლის ნოემბერსა და 2007 წლის ივნისში ექოსკოპიის ჩატარება საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ განმცხადებელს არ აწუხებდა ღვიძლის პათოლოგია, რომლის მკურნალობაც მოცემულ მომენტში აუცილებელი იყო.

განმცხადებელი არაერთ საჩივარში მკაფიოდ მოითხოვდა „აუცილებელი და ეფექტური“ მკურნალობის ჩატარებას. ევროპული სასამართლოსთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ ეს მოთხოვნები უპასუხოდ დარჩა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ პატიმრობის პერიოდში ბ-ნი პოლოსიანს არ ჩასტარებია C ჰეპატიტის მკურნალობა; შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: არ არის დარღვევა ოპერაციის შემდგომი მკურნალობის გამო;

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა C ჰეპატიტის არასათანადო მკურნალობის გამო;

კონვენციის 41-ე მუხლი: არ ყოფილა მოთხოვნილი სათანადო წესით.

პოლიციის მიერ არაადამიანური მოპყრობა ეფექტიანი გამოძიება

**აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე
საქართველოს წინააღმდეგ
AGHDGOMELASHVILI AND JAPARIDZE
V. GEORGIA²⁸
7224/11;08.01.2021**

ლგბტ თემის მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისის ჩხრეკისას პოლიციელთა ძალადობრივი ქმედებები, მოტივირებული ჰომოფობიური/ ტრანსფობიური სიძულვილით: დარღვევა /ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: 2009 წლის 15 დეკემბერს ფონდ „ინკლუზივის“ ოფისში დაახლოებით 8-10 ქალი მუშაობდა დაგეგმილი სამხატვრო გამოფენის მოსამზადებლად. საღამოს 6-7 საათზე ოფისში შეიჭრა 17 ქალი და კაცი, რომელთაც სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ. მათ ოფისში მყოფებს თავი წარუდგინეს პოლიციის თანამშრომლებად და განუცხადეს, რომ აპირებდნენ ადგილზე ჩხრეკის ჩატარებას. ოფისში მყოფმა ქალებმა მათგან არაერთხელ მოითხოვეს ჩხრეკის ორდერი, მაგრამ – უშედეგოდ. პოლიციელებმა ჩხრეკის პროცესში შეიტყვეს ორგანიზაციის საქმიანობის სფერო, რის შემდეგაც გახდნენ აგრესიულები და იქცეოდნენ ჰომოფობიურად. პოლიციელებმა ორგანიზაციის თანამშრომლებს უწოდეს „არა-ქართველები“, „ავადმყოფი ადამიანები“ და „გარყვნილები, რომელთაც სამედიცინო მკურნალობა ესაჭიროებათ“. ზოგიერთი პოლიციელი ოფისში მყოფ ქალებს საზოგადოებასთან, მშობლებსა და ნათესავებთან მათი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებით ემუქრებოდა. პოლიციელთა თქმით, ოფისში მყოფი პირები მამაკაცები რომ ყოფილიყვნენ, მათ მიმართ ფიზიკურ ძალას გამოიყენებდნენ. ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე ჩაატარეს ქალების ჩხრეკა გამიშვლების მეთოდით ოფისის ტუალეტში ორი ქალი პოლიციელის მიერ. ქალები აცხადებდნენ, რომ რეალურად ჩხრეკას მათი დამცირების მიზანი ჰქონდა, ვინაიდან პოლიციელები ტანსაცმელს, რომლის გახდასაც მათ სთხოვდნენ, ყურადღებას თითქმის არ აქცევდნენ.

2010 წლის 9 იანვარს განმცხადებლებმა საჩივრით მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს და მოითხოვეს მათ ოფისში ჩატარებული ჩხრეკის დროს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამოძიება და შესაბამისი რეაგირება. მიუხედავად არაერთგზისი მოთხოვნისა, მათ პასუხი არ მიუღიათ. მხოლოდ 2011 წლის 14 აპრილს მიიღეს წერილი ქ. თბილისის პროკურორისგან, რომელიც მათ ატყობინებდა, რომ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. წერილში არ იყო მითითებული, თუ როდის დაიწყო გამოძიება და რა საგამომძიებო ღონისძიებები ჩატარდა.

ევროპული სასამართლოსთვის წარდგენილი საქმის მასალების თანახმად, პოლიციელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სავარაუდო შემთხვევა არ დადასტურებულა.

განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე მიუთითებდნენ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას როგორც ცალკე, ისე მე-14 მუხლთან ერთობლიობაში და აცხადებდნენ, რომ 2009 წლის 15 დეკემბერს, ფონდის ოფისში ჩატარებული ჩხრეკის დროს, პოლიციელებმა მათ მიმართ განახორციელეს არასათანადო მოპყრობა; პოლიციელთა მიერ ძალის ბოროტად გამოყენების სათანადო გამოძიება არ ჩატარებულა, სახელმწიფოს მიერ ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა კი განპირობებული იყო შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების დისკრიმინაციული დამოკიდებულებებით განმცხადებელთა რეალური და/ან აღქმული სექსუალური ორიენტაციის და/ან ლგბტ თემთან დაკავშირებული საქმიანობის მიმართ.

სამართალი: კონვენციის მე-3 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში: ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ფონდ „ინკლუზივის“ ოფისში 2009 წლის 15 დეკემბერს პოლიციის მიერ ჩატარებული ჩხრეკის დროს განვითარებული მოვლენების ის ვერსია, რომელიც განმცხადებლებმა წარმოადგინეს, მთავრობას არათუ არ გაუხდია სადავოდ, არამედ არაპირდაპირ დაეთანხმა კიდევ. მთავრობა მხოლოდ შეუწინააღმდეგა ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებას. აღნიშნულის გამო და იმის გათვალისწინებით, რომ მოვლე-

²⁸ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"appno":\["7224/11"\],"itemid":\["001-204815"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

ნების განმცხადებელთა ვერსია ასევე დადასტურებული იყო სხვა თვითმხილველთა მკაფიო და თანმიმდევრული ჩვენებებით, ხოლო სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს ინციდენტის გამოძიება, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ გასაჩივრებული ფაქტები საკმარისად დამაჯერებელია, დადგენილი გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს, დაეკისროს თუ არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის გამო მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, რადგან 2009 წლის 15 დეკემბრის ინციდენტის დროს პოლიციის მიერ ძალა ბოროტად იყო გამოყენებული.

სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ კითხვას: (ა) პოლიციელთა სადავო ქმედებებმა მიაღწია თუ არა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული სიმწვავის მინიმალურ ზღვარს; (ბ) ჰომოფობიური და/ან ტრანსფობიური სიძულვილი წარმოადგენდა თუ არა პოლიციელთა სადავო ქმედებების განმაპირობებელ ფაქტორს.

სასამართლო ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დადებით პასუხს გასცემს ორივე კითხვას. 2009 წლის 15 დეკემბერს ფონდ „ინკლუზივის“ ჩხრეკის დროს პოლიციელთა ქმედების გათვალისწინებით, პოლიციელებმა განზრახ შეულახეს ღირსება და დაამცირეს განმცხადებლები და მათი კოლეგები სიძულვილის ენის გამოყენებით, ოფისში მყოფ პირთა გასაგონად ისეთი შეურაცხმყოფელი ფრაზებით, როგორებიცაა: „ავადმყოფი ხალხი“, „გარყვნილები“ და „ლესბოსელები.“ ამასთან, განმცხადებელთა პირად შეურაცხყოფასთან ერთად ზოგიერთი პოლიციელის ქმედება შეიცავდა მუქარის ელემენტებს. პოლიციელები უხეშად, არასათანადოდ ეპყრობოდნენ „ინკლუზივის“ ოფისში შეკრებილ ადამიანებს, მათ შორის ორ განმცხადებელს, რომლებიც, სავარაუდოდ, ლგბტ თემს განეკუთვნებოდნენ და იმ დროს ქვეყანაში თავს დაუცველად გრძნობდნენ. პოლიციელები ემუქრებოდნენ, რომ საზოგადოებას შეატყობინებდნენ მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და ასევე ამბობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ფიზიკური ძალადობის გამოყენების ზღვარზე იყვნენ. ფიზიკური ძალადობის მუქარას მოჰყვა ერთ-ერთი პოლიციელის ნათქვამი, რომ მას სურდა იმ ადგილის დაწვა, სადაც იმყოფებოდნენ.

ამასთანავე მეორე პოლიციელმა პირველ განმცხადებელს იძულებით ჩამოართვა მობილური ტელეფონი.

სასამართლოსათვის განსაკუთრებით შესაშფოთებელია ის ფაქტი, რომ განმცხადებლები და ზოგიერთი მათი კოლეგა საპირფარეშოში გააშიშვლეს და ისე გაჩხრიკეს. ამ საგამოძიებო ტექნიკის გამოყენების შესახებ ოქმი ან რაიმე დოკუმენტი არ შეუდგენიათ; პოლიციელებს განმცხადებლებისთვის არ აუხსნიათ ამ ფორმით ჩხრეკის ჩატარების საფუძვლები და ამ მიზეზების შესახებ არც მთავრობას წარმოუდგენია რაიმე ინფორმაცია ევროპული სასამართლოს წინაშე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ დაასკვნა, რომ ზემოხსენებულ ჩხრეკას არ ჰქონდა საგამოძიებო ღირებულება და მისი ერთადერთი მიზანი განმცხადებელთა და სხვა ქალების შერცხვენა და დასჯა იყო ლგბტ თემთან მათი ასოცირების გამო; ჩხრეკის ჩატარების დროს ქალი პოლიციელების მიერ გაკეთებული ჰომოფობიური განცხადებები შესაძლოა ამ ქმედებების რეალური მიზნის დამატებით მტკიცებულებად იქნეს მიჩნეული.

საბოლოოდ, ფონდ „ინკლუზივის“ ოფისში ჩხრეკის დროს პოლიციელთა არასათანადო ქმედებები მოტივირებული იყო ჰომოფობიური ან/და ტრანსფობიური სიძულვილით და განმცხადებლებში აუცილებლად გამოიწვევდა ტანჯვასა და შიშისა და დაუცველობის განცდას, რაც არ შეესაბამება ადამიანის ღირსების პატივისცემას.

აღნიშნული გარემოებები საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ დაადგინოს მე-3 მუხლის მატერიალური ასპექტის დარღვევა, ნაკითხული კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში: მატერიალური ასპექტის დარღვევა;
კონვენციის მე-3 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში: პროცედურული ასპექტის დარღვევა;
კონვენციის 41-ე მუხლი: 2 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

შენიშვნა: კონვენციის მე-8 მუხლისა და მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ცალკე განხილვის საჭიროება არ არის.

ბოხონკო საქართველოს წინააღმდეგ
BOKHONKO V. GEORGIA²⁹
N6739/11; 22.10.2020

არაადამიანური მოპყრობა პირადი ჩხრეკის ჩატარებისას: არ არის დარღვევა

ამ ინციდენტის ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ორესტ ბოხონკო, უკრაინის მოქალაქე, 2008 წლის 27 სექტემბერს დააკავეს თბილისის აეროპორტში. მას ბრალი წარუდგინეს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვისა და გადაზიდვის გამო. გამოძიების ეტაპზე და სასამართლოს წინაშე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ უდანაშაულო იყო და ნარკოტიკები მას „ჩაუდეს“. ასევე აცხადებდა, რომ სცემეს და აიძულეს, გაშიშვლებულიყო და გაეკეთებინა სხეულის აზიდვა, რასაც პოლიციელები მობილური ტელეფონებით იღებდნენ. განმცხადებლის განცხადებით, პოლიციელებმა მას უკანა ტანი ორჯერ შეუმონმეს გაშიშვლებულ მდგომარეობაში და მას შემდეგ, რაც მეორე შემონმებისას გონების დაკარგვის შემდეგ გამოფხიზლდა, უთხრეს, რომ ნარკოტიკები აღმოუჩინეს. განმცხადებელი სასამართლომ დამნაშავედ ცნო 2009 წლის ივნისში და 23 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

სასამართლოები უმთავრესად დაეყრდნენ ჩხრეკის ოქმსა და სამი პოლიციელისა და ჩხრეკის შემსწრე თარჯიმნის ჩვენებებს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ პოლიციამ ნარკოტიკული ნივთიერება განმცხადებლის მიერ აზიდვის შესრულებისას აღმოაჩინა. ეროვნულმა სასამართლოებმა ბ-ნი ბოხონკოს საჩივრები არასათანადო მოპყრობისა და პროცედურული დარღვევების თაობაზე უარყვეს, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, და განმცხადებლის მოთხოვნა საგამოძიებო ორგანოებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულების მიმართ მისი სამედიცინო შემონმების ჩატარების შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამასთან, 2008 წლის 17 ოქტომბერს პროკურატურამ არ გაიზიარა მისი მოთხოვნა პოლიციელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების

შესახებ. პროკურატურის მიერ 2013 წელს დაწყებული გამოძიება უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროისთვისაც მიმდინარეობდა.

ევროპული სასამართლოს წინაშე ბ-ნი ბოხონკო სხვა საკითხებთან ერთად, კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, ასაჩივრებდა პოლიციის მიერ მისი დაკავებისა და ჩხრეკის ფორმას; აგრეთვე – ხელისუფლების წარუმატებლობას, გამოეძიებინა ზემოხსენებული გარემოებანი.

მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა – (ა) გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობა:

ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ სხეულის ერთხელ შემონმებასაც კი შეეძლო გამოეწვია დამამცირებელი მოპყრობა, მისი ჩატარების წესის გათვალისწინებით, თუ ის მიზნად ისახავდა პირის დამცირებასა და ღირსების შელახვას.

განმცხადებლის სისხლის სამართლის საჩივრის საპასუხოდ არ ჩატარებულა გამოძიება, რომელიც დააკმაყოფილებდა კონვენციის მოთხოვნებს ეფექტიანობის შესახებ. 2013 წლის 23 იანვარს საქმის განახლების შესახებ ინფორმაცია და მთავრობის განცხადებები, რომ გამოძიება კვლავ მიმდინარეობს, ვერ მოახდენს გავლენას ამ დასკვნაზე, რადგან აღნიშნული დამატებითი გამოძიება დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი დაგვიანებით დაიწყო და არ ჰქონია კონკრეტული შედეგები. შესაბამისად, გამოძიების პირველი ეტაპის უშედეგობამ და საერთო ხანგრძლივობამ უკვე ზიანი მიაყენა ხელახალი სამართალწარმოების პოტენციურ ეფექტიანობას.

სასამართლო პროცესის ფარგლებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს შემდეგს: ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ არსებული სამედიცინო მტკიცებულებები არ ადასტურებს ბ-ნი ბოხონკოს ბრალდებებს ძალადობის შესახებ. მათ, უბრალოდ, არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მიერ, სულ მცირე, ორჯერ წამოყენებული მოთხოვნა სათანადო სამედიცინო შემონმების შესახებ უარყვეს პასუხისმგებელმა ორგანოებმა. ასევე ეროვნული სასამართლოები ყურადღებას ამახვილებდნენ

²⁹ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22item id%22:\[%22001-205226%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22item id%22:[%22001-205226%22]})

სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფიზიკურ ასპექტზე და არ ითვალისწინებდნენ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, რომელიც შეეძლო გამოენვია სავარაუდო მოპყრობას. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა არც ერთ ეტაპზე არ განიხილეს, იყო თუ არა სხეულის შემონმება გამოყენებული როგორც უკიდურესი ღონისძიება, ჩატარდა თუ არა ის მომზადებული კადრების მიერ და განმცხადებლის პირადი ცხოვრებისა და ღირსების დაცვის გათვალისწინებით. ეს ელემენტები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა განმცხადებლის მიმართ მოპყრობის მე-3 მუხლთან შესაბამისობის დასადგენად. ამიტომ საჭირო იყო მათი კრიტიკული შეფასება, მით უმეტეს იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ჩხრეკა ჩატარდა წინასწარი სასამართლო ბრძანების გარეშე.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის ოფიცრების მიერ ჩხრეკის გარემოებათა ვერსიის განხილვისას, კერძოდ ანალურ შემონმებასთან დაკავშირებით, ეროვნულმა სასამართლოებმა არ განიხილეს წინასასამართლო და სასამართლო მტკიცებულებების შეუსაბამობანი. პოლიციის ოფიცრებს არც ერთ წინასასამართლო განცხადებაში არ უხსენებიათ შავი ბანარი და ყვითელი გასაბერი ბალონის ამოღება უკანა ტანში შეღწევის გარეშე. ჩხრეკის შესახებ ოქმში ნახსენები იყო მხოლოდ ყვითელი გასაბერი ბალონი.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს საკითხი საჭიროებდა შემდგომ გამოკვლევას, ვინაიდან ბანრის გარეშე მისი გამოტანა განმცხადებლის ანუსიდან პენეტრაციის გარეშე უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, ყვითელი გასაბერი ბალონი, შავი ბანრით თუ მის გარეშე, გაქრა საქმის მასალებიდან, რამაც ახალი სირთულე შექმნა და ნებისმიერ შემთხვევაში ეს მოითხოვდა დელიკატურ შეფასებას.

პასუხისმგებელი უწყებების ოფიციალური პოზიციით, ბ-ნმა ბოხონკომ ვერ დაადასტურა თავისი ბრალდებები დამამცირებელი და ღირსების შემლახველი ჩხრეკის თაობაზე. ეროვნულმა სასამართლოებმაც მტკიცების ტვირთი მთლიანად მას დააკისრეს, მიუხედავად მისი საკმაოდ დეტალური და თანმიმდევრული განცხადებებისა ჩხრეკის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით, და არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ მისი განმეორებითი მოთხოვნები სამედიცინო

გამოკვლევისა და სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების შესახებ არ იქნა დაკმაყოფილებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ხელი_სუფლებამ არ შეასრულა ვალდებულება, გამოეძიებინა განმცხადებლის ბრალდებები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი.

(ბ) სხეულის შემონმების ჩატარების მეთოდი:

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდებები კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან შეუთავსებელ, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით. ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტით დაადგინოს, რომ განმცხადებლის ანალური შემონმება ჩატარდა მის მიერ აღწერილ გარემოებებში და ის მიზნად ისახავდა განმცხადებლის შეშინებას ან დამცირებას, ან/და მისი ჩატარების მეთოდით მან განიცადა ტანჯვა, რომელიც აღწევს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სიმწვავის მინიმალურ ზღვარს. თუმცა სასამართლო მიიჩნევს, აუცილებლად ხაზგასმით აღნიშნოს, რომ იმის დადგენის შეუძლებლობა, იყო თუ არა ჩხრეკის დროს განმცხადებლის მიმართ გამოყენებული მოპყრობა მე-3 მუხლის საწინააღმდეგო, მომდინარეობს ეროვნული ხელისუფლების წარუმატებლობისგან, ეფექტურად გამოეძიებინა განმცხადებლის ბრალდებები.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: არ არის დარღვევა მატერიალური ასპექტისა;

კონვენციის მე-3 მუხლი: პროცედურული ასპექტის დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 9 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 1.639 ევრო განუღი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის;

შენიშვნა: დადგინდა აგრეთვე **კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის** დარღვევა; **მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის** ერთობლივი დარღვევა არ არის.

არქანია საქართველოს წინააღმდეგ³⁰
ARKANIA V. GEORGIA
N2625/12 ; 25.06.2020

ალიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით სასტიკი ცემა: დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ლაშა არქანია დააკავეს 2011 წლის 15 ივნისს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ექვის საფუძველზე წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში. ჩხრეკის ოქმის მიხედვით, განმცხადებელს სახისა და თავის არეში აღნიშნებოდა მრავალი ნაკანრი, რომლებიც მას დაკავებამდე ჰქონდა. ბ-ნი არქანია გადაიყვანეს ქ.ზუგდიდში, დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც შესვლისთანავე ჩაუტარეს ვიზუალური დათვალიერება. შედეგად, მას აღმოაჩინდა სისხლჩაქცევები და მოწითალო ლაქები ზურგზე და ყურების უკან, აგრეთვე ჰემატომა მარცხენა თვალზე. შესაბამის ოქმში, რომელსაც სათანადოდ აწერს ხელს განმცხადებელი, აღნიშნულია, რომ მან ეს დაზიანებები დაკავებამდე მიიღო და ამასთან დაკავშირებით პრეტენზია არ ჰქონია. მეორე დღეს განმცხადებლის ჯანმრთელობის გაუარესების გამო გამოიძახეს სასწრაფო დახმარება. ექიმმა მას ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვა. იმავე დღეს განმცხადებელს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს იარაღსა და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულების გამო.

ბ-ნმა არქანიამ ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში შეიტანა საჩივარი, რომელშიც აცხადებდა, რომ 2011 წლის 14 ივნისს, დაახლოებით 22:00 სთ-ზე, ის დააკავა რამდენიმე პოლიციელმა, რომლებიც მას სასტიკად გაუსწორდნენ; სერიოზული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალდატანების შემდეგ იგი აიძულეს ხელი მოეწერა და ელიარებინა დანაშაული. მან განაცხადა, რომ უდანაშაულო იყო და მოითხოვა სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება. განმცხადებელმა ორივე ინსტანციის სასამართლოს წინაშე დეტალურად აღწერა მისი დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის გარემოებანი, კერძოდ: ის დააკავეს სამოქალაქო ტანსაცმელში მყოფმა პოლიციელებმა და წაიყვანეს მითოვებულ ქარხანაში, სადაც სასტიკად სცემეს

იარაღის კონდახით. შემდეგ გადაიყვანეს ჯვრის პოლიციის განყოფილებაში, სადაც განაგრძეს არასათანადო მოპყრობა. განმცხადებელს გაუპატიურებით ემუქრებოდნენ და მან რამდენჯერმე დაკარგა გონება. დილით წაიყვანეს წალენჯიხის პოლიციის განყოფილებაში, სადაც სცემეს და ასევე დაუქვემდებარეს არასათანადო მოპყრობის სხვადასხვა ფორმას. განმცხადებლის ზემოხსენებული განცხადებები არ შეისწავლეს ეროვნულმა სასამართლოებმა.

2001 წლის 23 აგვისტოს განმცხადებელი დამნაშავედ ცნეს და მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით. 2013 წლის 16 იანვარს გაათავისუფლეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა მის მიმართ არაადამიანური მოპყრობა და არაეფექტური გამოძიება. ამ უკანასკნელის მიერ საჩივრის განხილვის დროისთვის ამ საქმეზე სამართალწარმოება კვლავ მიმდინარეობდა ეროვნულ დონეზე.

(ა) საჩივრის პროცედურული ასპექტი: ევროპული სასამართლოს დაკვირვებით, არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის ბრალდებები საკმარისად სერიოზული იყო და, შესაბამისად, აღწევდა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. მაშასადამე, სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი იყვნენ, აღნიშნულთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიება ჩაეტარებინათ. მთავრობამ წარმოადგინა ინფორმაცია თითქმის ცხრანლიანი გამოძიების ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შესახებ, თუმცა მან ვერ მოახერხა, წარმოედგინა რაიმე ახსნა-განმარტება, თუ რატომ დასჭირდა ორი თვე გამოძიების ინიცირებისთვის და რატომ არ ჩატარებულა საგამოძიებო მოქმედებები 2013 წლის ივნისის შემდეგ.

მოპასუხე მთავრობის მიერ ამ დრომდე გამოყენებული თითოეული საგამოძიებო ღონისძიების დეტალური განხილვის გარეშე სასამართლო შენიშნავს: თითქმის ცხრა წლის განმავლობაში მიმდინარე გამოძიების შედეგად შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეძლეს,

³⁰ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"appno":\["2625/12"\],"itemid":\["001-203187"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

წარმოდგინათ განმცხადებლისთვის მიყენებული დაზიანებების ალტერნატიული ახსნა-განმარტება, რომელიც იქნებოდა ლოგიკური და საფუძვლიანი. სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას ისინი მიუთითებდნენ განმცხადებლის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმზე, ასევე – მის თვითმამხილებელ ჩვენებაზე, რომელშიც ის აცხადებდა, რომ აღნიშნული დაზიანებები დაკავებამდე მიიღო. იმ ფაქტების მხედველობაში მიღების გარეშეც კი, რომელთა მიხედვითაც მოცემული ორი დოკუმენტი ადვოკატის დაუსწრებლად შეადგინეს, და, როგორც განმცხადებელი ამტკიცებს, ის მაშინ ძლიერი ფიზიკური და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დოკუმენტები არ არის საკმარისი იმ მრავალი დაზიანების ასახვას, რომლებიც განმცხადებელს თავის არეში, სახესა და სხეულზე აღნიშნებოდა.

მთავრობამ ასევე მიუთითა, რომ განმცხადებელი თვითდაზიანებისკენ იყო მიდრეკილი. აღნიშნულის შესახებ რაიმე მტკიცებულების არარსებობის გამო ევროპული სასამართლო მზად არ არის, მიიღოს ეს არგუმენტი.

შეჯამების სახით, გამოძიების დაწყების დაუსაბუთებელმა გადადებამ და მისმა გაუმართლებელმა ხანგრძლივობამ, ზოგადად, ხელისუფლების მხრიდან დამაჯერებელი და გონივრული ახსნა-განმარტების არარსებობამ, სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი.

(ბ) საჩივრის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტი: ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი შესაბამისი სამართალწარმოების დაწყების დღიდან და მას შემდეგაც დეტალურად აღწერდა იმ გარემოებებს, თუ როგორ განხორციელდა მის მიმართ არასათანადო მოპყრობა. განმცხადებლის მიერ მოვლენათა განვითარების აღწერა მოიცავდა თანმიმდევრულ ინფორმაციას არასათანადო მოპყრობის განხორციელების დროის, ადგილისა და ფორმის შესახებ, აგრეთვე – მათ სახელებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ამ პროცესში. სამედიცინო მტკიცებულებებთან ერთად მის მონათხრობს ასევე ნაწილობრივ ადასტურებდა პოლიციის სამი თანამშრომლის ჩვენება მოვლენათა განვითარების შესახებ. ასევე რელევანტურია განმცხადებლის მეზობლისა

და მეგობრის მიერ მიცემული ჩვენებები. წარმოდგენილი მტკიცებულებები გამორიცხავს სავარაუდო სპეკულაციას იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელმა ხსენებული დაზიანებები დაკავებამდე მიიღო. რადგან მთავრობამ სასამართლოს ვერ მიაწოდა მოვლენათა განვითარების შესახებ სარწმუნო ვერსია, ევროპული სასამართლო გონივრულ ეჭვის მიღმა სტანდარტით ადგენს განმცხადებლის მიმართ სადავო მოპყრობის განხორციელების ფაქტს. ამის შემდეგ უნდა შეფასდეს, გამოწვია თუ არა აღნიშნულმა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა მიიღო არაერთი დაზიანება თავის, სახისა და ტანის არეში. მიუხედავად იმისა, რომ გაჭიანურდა მისთვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, მისი ბრალდებები ილღიაში სიგარეტის ნამწვავებით წამების თაობაზე მაინც დადასტურდა. მთავრობამ ვერ წარმოადგინა განმარტება ამ დაზიანებების ასახვას. ევროპულმა სასამართლომ კუმულატიურად გაითვალისწინა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, განმცხადებლის დეტალური და თანმიმდევრული ახსნა-განმარტება და დაადგინა, რომ მის სხეულზე არსებული დაზიანებები პოლიციის განყოფილებაში განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შედეგი იყო. შესაბამისად, დაირღვა საქმის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტი.

მუხლი 5

პირის დაკავება ოფიციალური დოკუმენტის გაფორმების გარეშე: დარღვევა

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: განმცხადებელი კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე დავობდა, რომ ის de facto დააკავეს 2011 წლის 14 ივნისს საღამოს 22:00-დან 23:00 საათამდე პერიოდში, თუმცა მისი დაკავების ოფიციალური ოქმი გაფორმდა 2011 წლის 15 ივნისს, ღამის 03:00 საათზე.

სასამართლო ვერ დაარწმუნა მთავრობის განცხადებამ, რომ განმცხადებელი 2011 წლის 15 ივნისს, ღამის 03:00 საათზე, დააკავეს. მოვლენათა განვითარების შესახებ ბ-ნი არქანის ვერსიას ადასტურებს, სულ მცირე, ხუთი მოწმე. მთავრობამ

არ ჩაატარა დროული, ადეკვატური და ეფექტიანი გამოძიება მის ბრალდებებთან მიმართებით და აგრეთვე არ წარმოადგინა დამაკმაყოფილებელი და სარწმუნო ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განვითარდა მოვლენები.

ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ პირის დაკავება ოფიციალური დოკუმენტის გაფორმების გარეშე არღვევს კონვენციის მე-5 მუხლით უზრუნველყოფილ ფუნდამენტურ გარანტიებს და წარმოადგენს ამ დებულების ყველაზე უხეშ დარღვევას. დაკავების ოქმში ისეთი მონაცემების არარსებობა, როგორებიცაა: დაკავების თარიღი, დრო და ადგილი, დაკავებულის სახელი და გვარი, დაკავების საფუძვლები და იმ პირის სახელი და გვარი, რომელიც ახორციელებს დაკავებას, შეუთავსებელია კონვენციის მე-5 მუხლის მიზანსა და ამ მუხლით განსაზღვრულ კანონიერების პრინციპთან.

მთავრობის მხრიდან დამაჯერებელი არგუმენტის არარსებობის გათვალისწინებით ევროპული სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის დაკავება ოთხი ან ხუთი საათით ადრე, მანამდე, ვიდრე ეს მოცემული იყო დაკავების ოფიციალურ ოქმში, არღვევს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივი და პროცედურული ასპექტი: დარღვევა; კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 16 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

GOGALADZE V. GEORGIA³¹
გოგალაძე საქართველოს წინააღმდეგ
N8971/10; 18.07.2019

პოლიციელების მიერ არაადამიანური მოპყრობა დაკავებულის მიმართ/ ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ნოდარ გოგალაძე დააკავეს 2008 წლის 13 თებერვალს არასრულწლოვანი პირის გაუპატიურების მცდელობის საფუძველზე. იმავე წლის 15 თებერვალს ის გადაიყვანეს თბილისის N5 დაწესებულებაში, იქ მას თავსა და ცხვირზე დაზიანებები აღმოაჩნდა. თავდაპირველად განმცხადებელი აცხადებდა, რომ ეს დაზიანებები არ უკავშირდებოდა პოლიციას; ხოლო 2008 წლის აპრილში, თბილისის N8 დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, მან პროკურორთან განაცხადა, რომ პოლიციის განყოფილებაში მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და ხუთი პოლიციელი ურტყამდა თავში. საქმეზე დაიწყო გამოძიება, რომელიც შეწყდა 2016 წლის იანვარში დანაშაულის არარსებობის გამო. ევროპული სასამართლოს წინაშე ბ-ნი გოგალაძე დავობდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და არაეფექტიანი გამოძიების გამო, ასევე – სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების არარსებობასთან დაკავშირებით.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი: მხარეები არ ხდიდნენ სადავოდ იმ ფაქტს, რომ განმცხადებელს აღენიშნებოდა კოპი თავზე და ცხვირის ფუძის მაცერაცია. თუმცა ისინი ვერ თანხმდებოდნენ აღნიშნული დაზიანებების სიმძიმესთან, მათი მიღების შესაძლო დროსა და გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, ასევე – ჩატარებული გამოძიების ეფექტიანობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის პოზიცია ევროპული სასამართლოს წინაშე განსხვავდებოდა იმისგან, რაც მან გამოხატა ეროვნულ დონეზე, ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს კონვენციის მე-3 მუხლით დაცულ ღირებულებებს და სახელმწიფოთა ვალდებულებას – დამაჯერებლად განმარტონ, თუ როგორ მიადგა დაზიანებები

³¹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-194440%22%5D%7D>

პირს, რომელიც პოლიციის განყოფილებაში მოთავსებისას ჯანმრთელი იყო. დაზიანებების არსებობა დადასტურდა იმ ექიმის მიერ შედგენილი სამედიცინო დასკვნით, რომელმაც ის დაკავებიდან 2 დღის შემდეგ გასინჯა. პოლიციელები, რომლებმაც განმცხადებელი დააკავეს, ადასტურებდნენ, რომ მას დაზიანებები დაკავებამდე არ აღენიშნებოდა. ამას ამყარებდა სხვა მტკიცებულებებიც. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას მოეთხოვებოდა ეფექტიანი გამოძიების წარმართვა.

სისხლის სამართლის გამოძიება პოლიციელების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე დაიწყო განმცხადებლის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ განაცხადის გაკეთებიდან სამი დღის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი გოგალაძე პასუხისმგებელია გამოძიების დაგვიანებით დაწყებაზე, რადგან მან მიღებულ დაზიანებათა შესახებ სადავო ფაქტის დადგომიდან დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ განაცხადა, ევროპული სასამართლო უყურადღებოდ არ ტოვებს იმ ფაქტს, რომ გამოძიება არსებითი ხარვეზებით წარიმართა: პირველი სასამართლო ექსპერტიზა განაცხადის გაკეთებიდან ექვს თვეზე მეტი ხნის შემდეგ ჩატარდა და შემოიფარგლა მხოლოდ არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლით; ექსპერტის რეკომენდაციით, ექსპერტთა ჯგუფს უნდა დაედგინა, რამდენად იყო შესაძლებელი, სამედიცინო დოკუმენტაციაში აღწერილი დაზიანებები შეფასებულიყო როგორც თვითდაზიანება. მეორე ექსპერტიზა ამ მიზნით ჩატარდა, თუმცა – ოთხ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით. დროის ფაქტორი იყო ის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო მის წინაშე არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

გარდა ამისა, ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს გამოძიების უჩვეულო ხანგრძლივობაზე, რომელზეც მთავრობას განმარტება არ წარმოუდგენია. კერძოდ, გამოძიება დაიწყო 2008 წლის 4 აპრილს და შეწყდა 2016 წლის 29 იანვარს; შესაბამისად, გამოძიება მიმდინარეობდა თითქმის რვა წელი. შესაძლოა, არსებობდეს დაბრკოლებები ან სირთულეები, რომლებიც ხელს უშლის გამოძიებას, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან სწრაფ რეაგირებას არასათანადო მოპყრობის განაცხადებზე არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ ჰქონდეს საზოგადოების ნდობა, რომ ის აღასრულებს სამართლის უზენაესობას,

ახდენს ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო შეთანხმების პრევენციას და არ იწყნარებს უკანონო აქტებს.

გამოძიების ფარგლებთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ მეორე ექსპერტიზა შეზღუდული იყო გამოძიებლის მიერ დასმული კითხვებით, რომლებიც არ შეიცავდა შეკითხვას თვითდაზიანების შესაძლო არსებობაზე; ასევე არ დასმულა შეკითხვა იმის შესახებ, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ დაზიანება მიეყენებინათ დაკავებამდე და გამოვლენილიყო მოგვიანებით.

ექსპერტი, რომელმაც პოლიციის განყოფილებაში განმცხადებელს ნარკოტესტი ჩაუტარა, აცხადებდა, რომ მან ამ უკანასკნელს სამი ფოტო გადაუღო იმ განზრახვით, რომ შემდეგ ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაეცა. მიუხედავად ამისა, საგამოძიებო ორგანოებს არც უცდიათ ამ ფოტოების მოპოვება. იმის დაშვებითაც, რომ ეს ფოტოები უარყოფდა განმცხადებლის ვერსიას მოვლენებზე, კერძოდ დროსა და გარემოებებზე, როცა განხორციელდა დაზიანებები, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ საგამოძიებო ორგანოებს არ უცდიათ, შეესწავლათ დაზიანებების გამომწვევი შესაძლო მიზეზები.

მტკიცებულებანი, მათ შორის დაკავებისა და ჩხრეკის ოქმები, რომლებიც ადასტურებს, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა დაზიანებები დაკავებამდე, ხელს უწყობს პრეზუმფციის გაჩენას, რომ დაზიანებები მას მაშინ მიადგა, როდესაც იმყოფებოდა პოლიციის კონტროლის ქვეშ. მთავრობამ წარმოადგინა მხოლოდ ერთი შესაძლო განმარტება, რომ ისინი შესაძლოა მიყენებული იყოს დაზარალებულის ნათესავების მიერ დაკავებამდე. ეს ჰიპოთეზა არ არის დამაჯერებელი, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიებამ არ გასცა პასუხი კითხვას: იყო თუ არა შესაძლებელი დაზიანების კვალი გამოვლენილიყო მხოლოდ ორი დღის გასვლის შემდეგ?

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობამ თავი აარიდა თავის ვალდებულებას, წარმოედგინა დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, თუ როგორ გაჩნდა ეს დაზიანებანი, რაც შეუთავსებელია კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 6000 ევრო

არამატერიალური ზიანის გამო.

შენიშვნა: კონვენციის მე-13 მუხლის

სავარაუდო დარღვევის ცალკე განხილვის

საჭიროება არ არის.

გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ

GOGUADZE V. GEORGIA³²

N40009/12; 27.06.2019

პოლიციელების მიერ არაადამიანური მოპყრობის რამდენიმე ეპიზოდი დაკავების დღეს აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით: დარღვევა/ ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ნიკოლოზ გოგუაძე იყო ეროვნულ-რელიგიური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 2011 წლის 26 მაისს პოლიციის ოფიცერმა შეადგინა ოქმი, რომელშიც აცხადებდა, რომ, მის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ოცდაოთხი პირი, მათ შორის განმცხადებელი, გეგმავდა საქართველოს მთავრობის დამხობას. ოფიციალური ვერსიით, 2011 წლის 30 მაისს ბ-ნი გოგუაძე დააკავეს ყინწვისში, როგორც აღნიშნული შეიარაღებული დაჯგუფების წევრი. დაკავების ოქმში მითითებული იყო, რომ მას სახესა და სხეულზე აღენიშნებოდა რამდენიმე ჭრილობა და ჩაღურჭება. განმცხადებლის თქმით, დაკავებისას მას ჯერ ერთ-ერთმა ოფიცერმა ჩაართყა სახეში მუშტი, შემდეგ მოათავსეს ქარელის პოლიციის განყოფილებაში, სადაც სცემეს, მერე გადაიყვანეს თბილისის N8 დანესებულებაში, სადაც კვლავ ფიზიკურად გაუსწორდნენ და ამ ინციდენტიდან ექვსი საათის შემდეგ დაკითხეს აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად. ბ-ნი გოგუაძე აცხადებდა, რომ მისი დაკავების ნამდვილი დრო განსხვავდებოდა ოფიციალურ დოკუმენტში არსებული ჩანაწერისგან. თბილისში განმცხადებლის გარეგნობის

დათვალიერებით დადასტურდა სხეულზე მრავლობითი დაღურჭება. დაიწყო გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. ბ-ნმა გოგუაძემ მის მიმართ არასათანადო მოპყრობის დეტალურ ახსნა-განმარტებასთან ერთად გამომძიებელს წარუდგინა რამდენიმე ფოტოსურათი და ვიდეომასალა დანაშაულის მონაწილე ერთ-ერთი ოფიცრის გამოსახულებით. ამასთან, განმცხადებელთან ერთად დაკავებული ჯგუფის სხვა წევრებმა დეტალურად აღწერეს პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც არასათანადოდ მოეპყრნენ დაკავებულს. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნმა გოგუაძემ არაერთხელ გაასაჩივრა ამ საქმის გამოძიების გაჭიანურება, ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას ის კვლავ მიმდინარეობდა. განმცხადებელი აცხადებდა, რომ შეეძლო დამნაშავე პოლიციის ოფიცრების იდენტიფიცირება, თუმცა ამოცნობა შვიდი წლის მანძილზე არავის უცდია. მან ასევე მოითხოვა დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა წამებით. მოთხოვნები უპასუხოდ დარჩა. განმცხადებელი ციხიდან განთავისუფლდა 2013 წლის 13 იანვარს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ბ-ნმა გოგუაძემ მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტი და მასზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი:

(ა) საჩივრის პროცედურული ასპექტი: კონვენციის მე-3 მუხლი ხელისუფლებას ავალდებულებს, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება. ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას გამოძიება ეროვნულ დონეზე თითქმის რვა წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მთავრობამ ვერ შეძლო, წარმოედგინა უმოქმედობის რამდენიმე ეპიზოდის დეტალური ახსნა-განმარტება. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოება დროულად დაიწყო, სადავო ფაქტის დადგომიდან რამდენიმე დღეში, ერთადერთი საგამომძიებო მოქმედება პირველი თვრამეტი თვის განმავლობაში არის განმცხადებლის დაკითხვა 2011 წლის 2 სექტემბერს. მიუხედავად თვალსაჩინო დაზიანებებისა, რომლებიც განმცხადებელს აღენიშნებოდა, ექსპერტიზა არ ჩატარებულა. ერთადერთი სამედიცინო შემოწმება

³² [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-193997%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-193997%22]})

განმცხადებლის ინიციატივითა და ხარჯებით ჩატარდა. შესაბამისად, საქმის გამოძიების დასაწყისი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ხასიათდებოდა სრული უმოქმედობით. ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის დასკვნას, რომლის თანახმად, სამედიცინო შემოწმება, ისევე როგორც ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება და დაკავების თაობაზე მესამე პირისთვის ინფორმაციის მიწოდების უფლება, წარმოადგენს არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ დაკავებულ პირთა ფუნდამენტურ გარანტიას, რომელიც ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან. დაახლოებით თექვსმეტი თვის გასვლის შემდეგ, 2012 წლის დეკემბერში, გამოძიება განახლდა: დაიკითხა განმცხადებელი და სხვა მრავალი მოწმე. გამოძიების ეს აქტიური ფაზა დასრულდა 2013 წლის აპრილში და კვლავ შეიცვალა უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდით, 2016 წლის მაისამდე. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე ახსნა-განმარტება საქმის წარმოებაში სამწლიან პაუზასთან დაკავშირებით. 2016 წლის მაისში საქმე გადაეცა მთავარ პროკურატურას; თუმცა სამართალწარმოება კვლავ ერთი წლით შეჩერდა. 2017 წლის ივნის-სექტემბერში გადაიდგა რამდენიმე საგამოძიებო ნაბიჯი, რომელთაც მოჰყვა გამოძიების ინტენსიური ფაზა 2018 წლის აპრილ-სექტემბერში. საქმის მასალების მიხედვით, გამოძიება კვლავ მიმდინარეობს და ამ დრომდე ეჭვმიტანილი არ არის იდენტიფიცირებული.

ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არსებობდეს დაბრკოლებანი ან სირთულეები, რომლებიც ხელს უშლის გამოძიების წინსვლას, ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ბრალდებაზე დროული პასუხი, ზოგადად, მიიჩნევა სამართლის უზენაესობის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების არსებით ნაწილად. მოპასუხე მთავრობის მიერ განხორციელებული თითოეული საგამოძიებო მოქმედების შინაარსის გაცნობის გარეშე ევროპული სასამართლო ასკვნის შემდეგ: საქმის მასალების თანახმად, დაახლოებით რვა წლის განმავლობაში ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო, დაედგინა, სპეციალური ოპერაციული ძალების რომელმა დანაყოფმა ჩაატარა განმცხადებლისა და მისი ჯგუფის დაკავების ოპერაცია. არც ერთი ოფიცერი, რომელმაც მონაწილეობა

მიიღო ყინწვისის ოპერაციაში, ამ დრომდე არ დაკითხულა. ეს გარემოება თავისთავად საკმარისია სასამართლოსთვის, რათა ეჭვქვეშ დააყენოს მიმდინარე გამოძიების მიზანი და მიმართულება. მოპასუხე მთავრობამ ვერ უზრუნველყო სარწმუნო მიზეზების წარმოდგენა, რომლებიც გაამართლებდა სამართალწარმოების ხანგრძლივობას წინამდებარე საქმეში. გაუმართლებელმა გაჭიანურებებმა, რომლებსაც ერთოდა ზემოთ განხილული ხარვეზები, მნიშვნელოვნად დააზიანა გამოძიების ეფექტიანობა. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს, დაელოდოს სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებას, ვინაიდან მისი შედეგი ნებისმიერ შემთხვევაში ვერ გამოასწორებს მთლიანობაში არსებულ ხანგრძლივობას.

(ბ) საჩივრის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტი: ევროპული სასამართლოს შეფასებით, არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ დაკავების დღეს განმცხადებელს აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანება სახესა და სხეულზე, რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. პროკურატურის დასკვნით, განმცხადებელმა ეს დაზიანებები დაკავების ოპერაციის დროს მიიღო, უფრო მეტიც, მთავრობამ წარმოადგინა სხვადასხვა მოწმის ჩვენება, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ამყარებდა განმცხადებლის ვერსიას განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირთან ან იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც, ზოგადად, დაპირისპირებულნი არიან სამართალდამცავ ორგანოებთან, ფიზიკური ძალის ნებისმიერი გამოყენება, რომელიც მკაცრად აუცილებელი არ არის მისი ქცევიდან გამომდინარე, აკნინებს ადამიანის ღირსებას და არღვევს კონვენციის მე-3 მუხლით დაცულ უფლებას. ამის გათვალისწინებით, მთავრობის არგუმენტი, რომ არ არსებობს სამედიცინო მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს განმცხადებლის დაზიანების მასშტაბსა და სიმძიმეზე, არარელევანტურია. მტკიცების თვალსაზრისით ნებისმიერ შემთხვევაში საქმეში არსებული მდგომარეობა არის ხარვეზიანი გამოძიების შედეგი, რომელზე პასუხისმგებლობაც მთლიანად მთავრობას ეკისრება.

შეჯამების სახით, მთავრობამ აღიარა, რომ 2011 წლის 26-27 მაისს ბ-ნი გოგუაძე მათ დაქვემ-

დებარებაში იმყოფებოდა და, შესაბამისად, მან დაზიანებები სწორედ ამ პერიოდში მიიღო. ხელისუფლებამ ვერ შეძლო წარმოედგინა დამაჯერებელი ახსნა-განმარტება მიყენებული დაზიანების წარმოშობასთან დაკავშირებით. განმცხადებლის მიერ არასათანადო მოპყრობის აღწერილობისა და საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით ევროპული სასამართლო ადგენს, რომ აღნიშნული დაზიანებები შედეგია არასათანადო მოპყრობისა, რომელშიც განმცხადებელი დაკავების დღეს აღმოჩნდა.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: პროცედურული ნაწილის დარღვევა;

კონვენციის მე-3 მუხლი: მატერიალური ნაწილის დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 10 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

**კეკელიძე საქართველოს წინააღმდეგ
KEKELIDZE V. GEORGIA³³
N2316/09; 17.01.2019**

დაკავებისას არაპროპორციული ფიზიკური ძალის გამოყენება/ ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი გოჩა კეკელიძე (მეგობართან ერთად) 2008 წლის 2 სექტემბერს დააკავეს შსს-ის სოდის სამმართველოს თანამშრომლებმა ბათუმში ნარკოტიკული საშუალების შენახვის ეჭვის საფუძველზე. დაკავების ოქმის მიხედვით, მან ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია სამართალდამცველებს; შედეგად მიიღო დაზიანებები სახის არეში და ორივე ფეხზე. განმცხადებელს შენიშვნა არ გაუკეთებია ოქმზე. დროებითი დაკავების იზოლატორში მოთავსებისას საჭირო გახდა სასწრაფო დახმარების გამოცხება. ბ-ნი კეკელიძე გადაიყვანეს ბათუმის

საავადმყოფოში; შემონების შედეგად დაუდგინეს ზედა ყბის მოტეხილობა და ტვინის შერყევა, ასევე – მრავლობითი ჩალურჭება და დაბეუილობა სახეზე, გულმკერდისა და წელის არეში; განმცხადებელს რეკომენდაცია გაენია, გადაუდებელი მკურნალობა მიეღო ნეიროქირურგიულ დეპარტამენტში. იმავე ღამეს მისმა ადვოკატმა მიმართა გენერალურ პროკურატურას არაადამიანური მოპყრობის ფაქტის გამო. გამომძიებელმა დაკითხა დროებითი დაკავების იზოლატორის ორი თანამშრომელი, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ბ-ნი კეკელიძე მათთან მრავალი დაზიანებით მიიყვანეს; თუმცა დამატებითი დეტალების გამორკვევა და დაკავებაში მონაწილე პოლიციის თანამშრომლების იდენტიფიცირება გამომძიებელს არ უცდია. განმცხადებლის ადვოკატმა გაასაჩივრა გამოძიების არაეფექტიანობა და მოითხოვა ამოცნობის ჩატარება და მიმდებარე ტერიტორიაზე ვიდეოკამერების ჩანაწერების გამოთხოვა. მას განუცხადეს, რომ ვიდეოჩანაწერების მოპოვება შეუძლებელი იყო, ვინაიდან იმ დღეს კამერები არ ფუნქციონირებდა. ბ-ნმა კეკელიძემ ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა მის მიმართ არაადამიანური მოპყრობა და ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა. ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოებისას გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა ეროვნულ დონეზე.

სამართალი: კონვენციის მე-3 მუხლი:

(ა) საჩივრის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტი: ევროპული სასამართლოს წინაშე მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა თავად მიიყენა დაზიანებები დაკავებისას, პოლიციის თანამშრომლებს დაკავების შემდეგ მის მიმართ ძალა არ გამოუყენებიათ. წარმოდგენილი ობიექტური სამედიცინო მტკიცებულებანი ადასტურებდა მრავლობითი დაზიანების არსებობას განმცხადებლის სხეულსა და სახეზე. მხარეები არ დავობდნენ იმაზე, რომ ისინი მიღებული იყო დაკავებისას. ევროპული სასამართლოს წინაშე არსებულ ამოცანას წარმოადგენდა იმის შეფასება, იყო თუ არა ფიზიკური ძალის გამოყენება „მკაცრად აუცილებელი“ მოცემულ ვითარებაში. ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ პოლიცია მოქმედებდა წინასწარ დაგეგმილი ოპერაციის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობდა ათზე მეტი შეიარაღებული ოფიცერი. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ განმცხადებელი პოლიციელებისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა, მეტიც,

³³ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-189084%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-189084%22]})

პოლიციის ოქმებზე დაყრდნობით, მას გაქცევაც არ უცდია. ის გადმოიყვანეს მანქანიდან და დაუყოვნებლივ ძირს დაანვინეს. არც ერთ ეტაპზე არ ამტკიცებდნენ, რომ პოლიციის რომელიმე ოფიცერი დაშავდა, რაც შესაძლოა გამოსადეგი ყოფილიყო იმის შესაფასებლად, მიმართა თუ არა სინამდვილეში განმცხადებელმა ძალადობას. ასეთ ვითარებაში, იმის გათვალისწინებით, რომ ოპერაცია წინასწარ იყო დაგეგმილი და ოფიცრები რაოდენობრივად ბევრად აღემატებოდნენ შეუიარაღებელ განმცხადებელსა და მის მეგობარს, მიღებული დაზიანებების რაგვარობა და სიმრავლე არ ეთავსება დაკავების გარემოებებს.

სამი დაკითხული ოფიცერი ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი მათ წინააღმდეგობას უწევდა, თუმცა არც ერთ მათგანს არ აღუწერია დეტალები, თუ რით გამოიხატებოდა წინააღმდეგობა. ისინი აცხადებდნენ, რომ ძირს დანოლილი განმცხადებელი განაგრძობდა მათთან დაპირისპირებას; ეს უკანასკნელი იქნებოდა დამაჯერებელი ახსნა-განმარტება მუხლებსა და იდაყვებზე არსებული ჩაღურჯებისა და ნაკანრების ასახსნელად, თუმცა კითხვები რჩება განმცხადებლის ჩაშავებულ და შეშუპებულ თვალებსა და სახის მოტეხილობასთან დაკავშირებით. ამ კონტექსტში ევროპული სასამართლო ასევე ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის მიმართ არასოდეს წარუდგენიათ წინააღმდეგობის განვების ბრალდება. შესაბამისად, ოფიციალური ვერსია, რომლის თანახმად მან დაზიანება მიიღო მისი წინააღმდეგობის ჩასახშობად გამოყენებული პროპორციული ძალის შედეგად, დამაჯერებელი არ არის. ბ-ნმა კეკელიძემ მის წინააღმდეგ გამოყენებული ფიზიკური ძალის შედეგად განიცადა ტანჯვა, რაც წარმოადგენს არაადამიანურ მოპყრობას.

(ბ) საჩივრის პროცედურული ასპექტი: ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებლის დაზიანებანი აღწევს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სიმწვავის მინიმალურ ზღვარს. უფრო მეტიც, იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო მოხელეების მიერ პირის დაკავებისას ნებისმიერი ძალის გამოყენება არასოდეს უნდა იყოს გადაჭარბებული და კონკრეტულ გარემოებებში აუცილებელი უნდა იყოს, ხელისუფლებას მოეთხოვებოდა განმცხადებლის ბრალდებების საფუძვლიანი გამოძიება.

აღსანიშნავია, რომ გამოძიება დაიწყო განმცხადებლის ადვოკატის მიერ საჩივრის შეტანისთანავე: რამდენიმე დღეში ჩატარდა სამედიცინო ექსპერტიზა და დაიკითხა პოლიციის სამი თანამშრომელი; გამოძიება ჩაატარა გენერალურმა პროკურატურამ, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსგან დამოუკიდებელი ორგანოა; თუმცა არსებობს არაერთი კითხვა გამოძიების ყოველმხრივობასთან დაკავშირებით: პასუხისმგებელ უწყებას არ გამოუჩენია ძალისხმევა დამატებითი მტკიცებულებების მოსაპოვებლად და სხვა მოწმეების მოსაძიებლად. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტი მოხდა დღის სინათლეზე ბათუმის ცენტრალურ ნაწილში, გამოძიებელი შემოიფარგლა იმით, რომ დაკითხა მხოლოდ განმცხადებელი, მისი მეგობარი, დაკავების მონაწილე პოლიციის სამი ოფიცერი და დროებითი იზოლატორის ორი თანამშრომელი. პოლიციის არც ერთი სხვა თანამშრომელი, რომლებიც მონაწილეობდნენ ოპერაციაში, პოტენციური თვითმხილველები არ ყოფილან გამოვლენილი და დაკითხული. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი იმთავითვე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა გამოძიების ოფიციალურ ვერსიას, ხელისუფლების ასეთი უმოქმედობანი აუხსნელი რჩება. გამოძიებას მიზნად არ დაუსახავს, აეხსნა კავშირი მიღებულ დაზიანებებსა და განმცხადებლის მიერ განუული წინააღმდეგობის ინტენსივობას შორის. ჩატარებულმა სამედიცინო ექსპერტიზამ მხოლოდ აღწერა არსებული დაზიანებანი და დაასკვნა, რომ ისინი შესაძლოა მიყენებული იყოს ბლავგი საგნის გამოყენების შედეგად. ექსპერტიზას არ შეუძლონებია, შესაძლებელი იყო თუ არა, განმცხადებელს ყველა ეს დაზიანება მიეღო მინაზე პირქვე წოლისას. გამოძიების ყურადღების მიღმა დარჩა ასევე განმცხადებლის განცხადება იმის შესახებ, რომ მისი ცემა გაგრძელდა სოდ-ის განყოფილებაში, სადაც ის შვიდი საათის განმავლობაში იმყოფებოდა. საბოლოოდ, გამოძიება განმცხადებლის დაკავებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. აღნიშნულზე მთავრობას ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია. ევროპული სასამართლო ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ 2008 წლის ნოემბრის შემდეგ ღონისძიებები არ გატარებულა. ნათელია, რომ გასული დროის გათვალისწინებით შეუძლებელია, ზემოთ იდენტიფიცირებული ხარვეზების გამოსწორება. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოძიება არ იყო სრულყოფილი, ადეკვატური და ეფექტური.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: პროცედურული ასპექტის დარღვევა;

კონვენციის მე-3 მუხლი: მატერიალური ასპექტის დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: არ ყოფილა მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურება.

შენიშვნა: განმცხადებელი ასაჩივრებდა აგრეთვე **კონვენციის მე-5 მუხლის** დარღვევას უკანონო წინასწარი პატიმრობის გამო და **კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი მუხლის** დარღვევას სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგის გამო; საჩივარი ამ ნაწილში დაუშვებლად იქნა ცნობილი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

**მინდაძე და ნემსიტსვერიძე
საქართველოს წინააღმდეგ
MINDADZE AND NEMSITSVERIDZE V.
GEORGIA
№21571/05; 01.06.2017**

აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით ელექტროშოკის გამოყენება და ცემა: დარღვევა/ ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

იხ. გვ. X

**დვალიშვილი საქართველოს
წინააღმდეგ
DVALISHVILI V. GEORGIA³⁴
N19634/07; 18.12.2012**

პოლიციელების მიერ არაადამიანური მოპყრობა პოლიციის სამმართველოში აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად: დარღვევა /ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: 2005 წლის 27 დეკემბერს განმცხადებელი რევაზ დვალიშვილი სამმა პოლიციელმა ქ.

წყალტუბოში დააკავა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და ტაქსის მძღოლისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე; იმავე წლის 29 დეკემბერს იგი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს; მეორე დღეს მოათავსეს ქუთაისის საავადმყოფოში, რადგან ანუხებდა თავის ტკივილი, ზოგადი სისუსტე და გულისრევა; საავადმყოფოში მიღებისას მან განაცხადა, რომ პოლიციელებმა სცემეს. სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ დაუსვეს დიაგნოზი: თავის შიდა ტრავმა, ტვინის შერყევა, ჰემატომა ზომით 2x2.5 სმ მარჯვენა თვალზე, აგრეთვე მცირე სისხლჩაქცევა მარჯვენა ბარძაყზე, მარცხენა მხარსა და მარჯვენა ხელზე, მცირედი შეშუპება მარჯვენა საფეთქლის მიდამოში და ქვედა ყბაზეც. განმცხადებელი საავადმყოფოში 2006 წლის 20 იანვრამდე მკურნალობდა. იმავე წლის 10 თებერვალს მან შეიტანა საჩივარი პოლიციელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე; ეს მოთხოვნა იმ დღესვე დაკმაყოფილდა, გატარდა გარკვეული საგამოძიებო ღონისძიებები, თუმცა არასაკმარისი მტკიცებულებების გამო 2006 წლის 24 მაისის დადგენილებით პროკურორმა საქმის გამოძიება შეწყვიტა. აღნიშნული დადგენილება განმცხადებელმა ეროვნულ სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ – უშედეგოდ. ბ-ნმა დვალიშვილმა ევროპულ სასამართლოს მიმართა მის მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობის გამო.

(ა) სავარაუდო არასათანადო მოპყრობა: ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებლის დაზიანებებთან დაკავშირებით მხარეებმა განსხვავებული განმარტებები წარმოადგინეს: ბ-ნი დვალიშვილი სამედიცინო მტკიცებულებებზე დაყრდნობით თანმიმდევრულად ამტკიცებდა, რომ მას სცემეს წყალტუბოს პოლიციის განყოფილებაში. პასუხისმგებელი ორგანოების ვერსიით კი, რომელიც განმტკიცებულია პოლიციელებისა და დაზარალებულის ჩვენებებით, დაზიანება გამონვეულია განმცხადებლის ბეტონის ფილებზე დაცემით შემთხვევის ადგილიდან გაქცევისას ან დაკავებისას.

ევროპული სასამართლო განმცხადებლის დაზიანებებს საკმარისად სერიოზულად მიიჩნევს, რომ ისინი მოექცეს კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ეკისრება

³⁴ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%222001-115307%22%5D%7D>

მთავრობას, რათა მან წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და სარწმუნო ახსნა-განმარტება დაზიანებათა მიზეზებთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლო შენიშნავს: მთავრობა შეჩერდა განმცხადებლის სახის დაზიანებაზე და ყურადღება არ გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებლის დაზიანებული ჯანმრთელობის მდგომარეობა გაგრძელდა: მას ჰქონდა თავის შიდა ტრავმა, ტვინის შერყევა და ჩალურჯება სხეულის სხვადასხვა ნაწილზე. ეროვნულმა ორგანოებმა ყურადღება არ გაამახვილეს 2006 წლის 21 მარტისა და 25 ოქტომბრის სამედიცინო დასკვნებზე, რომლებიც მთავრობამ ევროპული სასამართლოს წინაშე მხოლოდ უგულებელყო ისე, რომ არც კი უცდია, შესწინააღმდეგებოდა ექსპერტთა დასკვნას იმის შესახებ, რომ განმცხადებლის სხვადასხვა დაზიანებას ერთხელ დაცემა ვერ გამოიწვევდა.

ევროპული სასამართლოსთვის არადამაჯერებელია მთავრობის არგუმენტი, რომლის მიხედვით მოვლენათა განვითარების ვერსია დაადასტურეს დამოუკიდებელმა მოწმეებმა, რომელთაც განმცხადებელთან ურთიერთობა ჰქონდათ მისი დაკავებისთანავე. აღსანიშნავია, რომ ამ მოწმეებმა მონაწილეობა მიიღეს განმცხადებლის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობამდე ჩატარებულ ამოცნობის პროცედურაში. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მათ ვერ შენიშნეს განმცხადებლის დაზიანება, მხოლოდ ამყარებს განმცხადებლის მტკიცებას შემდეგ განცდილ არასათანადო მოპყრობაზე.

ევროპული სასამართლო ასევე არ იზიარებს მთავრობის არგუმენტს იმის შესახებ, რომ განმცხადებლის პრეტენზია არ არის სარწმუნო, ვინაიდან მას განცხადება არასათანადო მოპყრობის შესახებ პროკურორის, მოსამართლის ან სხვა პირთა წინაშე დაკავების პირველ დღეებშივე არ გაუკეთებია; საგულისხმოა, რომ მან ალბათ იმიტომაც ვერ გაბედა ბრალდებათა წამოყენება, რომ იმყოფებოდა იმ პირთა კონტროლქვეშ, რომელთაც მის მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო ადანაშაულებდა. გარდა ამისა, დაკავების დროს განმცხადებელს არ იცავდა ადვოკატი. უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნმა დვალისიშვილმა არასათანადო მოპყრობის შესახებ მას შემდეგ განაცხადა, რაც გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლდა, პროკურატურას კი საავადმყოფოდან განწერისთანავე მიმართა.

ზემოთ ხსენებულ გარემოებათა და იმ დროისთვის საქართველოს პოლიციაში არასათანადო მოპყრობის შემაშფოთებელი მაჩვენებლების გათვალისწინებით ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

(ბ) გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობა: უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა, რომ განმცხადებლის ბრალდებები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით შესაბამისმა ორგანოებმა გამოიძიეს და სწრაფად გაატარეს გარკვეული საგამოძიებო ღონისძიებანი, მათ შორის მოწმეთა დაკითხვა, თუმცა ევროპული სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ გამოძიება იყო ყოველმხრივი და ეფექტიანი. მათ არ შეუძლიათ ყურადღების მიღმა დატოვონ ის ფაქტი, რომ განმცხადებლის დაზიანებათა ხარისხისა და მიზეზის დასადგენად გამოძიებამ საქმეში არ ჩართო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. პროკურატურა დაეყრდნო განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების დროს მომზადებულ ორ სამედიცინო დასკვნას, მიუხედავად იმისა, რომ მათ სიზუსტესა და სანდოობასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული ეჭვები.

2005 წლის 28 დეკემბრის პირველი დასკვნა, რომელშიც აღნიშნული იყო ჩალურჯება განმცხადებლის მარჯვენა თვალზე და ნაკანრი ცხვირზე, დაწერა სასწრაფო დახმარების ექიმმა პროკურორის თანდასწრებით განმცხადებლის გარეგანი დათვალელების შემდეგ. ამასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის სამედიცინო გამოკვლევა უნდა ჩატარდეს პოლიციელებისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების გარეშე, რათა დაცულ იქნეს დამოუკიდებლობისა და სიზუსტის სტანდარტი. რაც შეეხება 2006 წლის 21 მარტის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მეორე დასკვნას, ის შეიცავს დაზიანებათა დეტალურ აღწერას, მაგრამ არ იძლევა მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ სარწმუნო განმარტებას; შესაბამისად, ვერ გადაჭრის ძირითად საკითხს, კერძოდ, შეიძლებოდა თუ არა განმცხადებელს მრავლობითი დაზიანება სხეულის სხვადასხვა ნაწილზე მხოლოდ ერთხელ დაცემით მიეღო, როგორც ამას პოლიციელები ამტკიცებდნენ. საგულისხმოა, რომ საგამოძიებო ორგანოებმა

არ დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, რათა შეემოწმებინათ პოლიციელების იმ ჩვენებათა უტყუარობა, რომელთა მიხედვით მოცემულ ადგილზე ბეტონის ფილები არსებობდა. ასევე შესაბამისმა ორგანოებმა არ გასცეს პასუხი კითხვაზე, თუ როგორ შეიძლებოდა განმცხადებელს დაჩნეული დაზიანებანი დაცემის შედეგად მიეღო. საქმეში მონაწილე პოლიციელთა დაკითხვა იყო ზედაპირული – ყოველი მათგანის ჩვენება შაბლონური, რომელთა თანახმად, მათ არ მიუღიათ მონაწილეობა არასათანადო მოპყრობაში. არ ყოფილა მცდელობა იმისა, რომ უფრო მიზანმიმართული კითხვები დაესვათ პოლიციელებისთვის; ასევე გაუგებარია, განმცხადებლის მიერ დასახელებული მესამე პოლიციელი მ.კ. საერთოდ დაიკითხა თუ არა.

ევროპული სასამართლო მიუთითებს მოცემულ საქმეში შესაბამისი ორგანოების მიერ მტკიცებულებათა შეფასების შესაბამო მიდგომაზე. აშკარაა, რომ პროკურატურისა და შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებანი ძირითადად დაეფუძნა ინციდენტში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს, განმცხადებლის აღიარებით ჩვენებასა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების დროს ჩატარებული წინასწარი გამოძიების შედეგებს. ევროპული სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ რატომ დაეყრდნენ პასუხისმგებელი ორგანოები განმცხადებლის აღიარებით ჩვენებას, რომელიც, როგორც თავად განმცხადებელმა აღნიშნა, ფიზიკური ზეწოლის ქვეშ მისცა; ამასთანავე, პროკურატურამ და სასამართლოებმა გაიზიარეს პოლიციელთა ჩვენებები, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ისინი შესაძლოა ყოფილიყო სუბიექტური, შედგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: პროცედურული ნაწილის დარღვევა;

კონვენციის მე-3 მუხლი: მატერიალური ნაწილის დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 12 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

შენიშვნა: 1. განმცხადებელი ასევე ასაჩივრებდა **კონვენციის მე-6 მუხლის** დარღვევას უსამართლო მსჯავრდებისა და სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის გამო, რაც დაუშვებლად იქნა ცნობილი; **2. კონვენციის მე-13 მუხლის** სავარაუდო დარღვევის ცალკე განხილვის საჭიროება არ არის.

ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

JANIASHVILI V. GEORGIA³⁵
N35887/05; 27.11.2012

პოლიციელების მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენება დაკავებისას / პატიმრობის არაადამიანური პირობები თბილისის №5 და №7 დაწესებულებებში / სათანადო სამედიცინო დახმარების არარსებობა: დაუშვებელია

ფაქტები:

პირველი სისხლის სამართლის საქმე: განმცხადებელი გივი ჯანიაშვილი იძებნებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ. 2004 წლის 13 მაისს ის დააკავეს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, როდესაც ვალეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით საქართველოს ტერიტორიის დატოვებას აპირებდა. იმავე წლის 16 მაისს ადიგენის რაიონულმა სასამართლომ მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, აღნიშნული გადაწყვეტილება 2004 წლის 2 ივნისს ძალაში დატოვა თბილისის საოლქო სასამართლომ. ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილების ძირითად მიზეზად დაასახელა მიმალვის საფრთხე, რომელიც გამომდინარეობდა ბ-ნი ჯანიაშვილის მცდელობისგან, უნებართვოდ გადაეკვეთა საზღვარი. სასამართლო მიუთითებდა, რომ განმცხადებელი 2005 წლის 20 იანვრიდან გადიოდა იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობას მკვლელობის ფაქტზე აღძრული სხვა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში; შესაბამისად, მას

³⁵ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-114784%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-114784%22]})

არ ჰქონდა უფლება, სამედიცინო დაწესებულების თანხმობის გარეშე დაეტოვებინა ქვეყანა.

2004 წლის 13 აგვისტოს თბილისის საოლქო სასამართლომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა 2004 წლის 14 სექტემბრამდე გადანიჭა. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნული იყო, რომ, „ბრალდების განსაკუთრებული სიმძიმიდან გამომდინარე, ბრალდებულს შეიძლება ხელი შეეშალა სიმართლის დადგენაში, დამალოდა მართლმსაჯულებას ან განეგრძო დანაშაულებრივი საქმიანობა“. 2004 წლის 13 სექტემბერს თბილისის საოლქო სასამართლომ ბ-ნი ჯანიაშვილის წინასწარი პატიმრობის ვადა კიდევ ორი თვით გააგრძელა. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ორი მიზეზით ასხნა: ბრალდების განსაკუთრებული სიმძიმე და განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობის შესაფასებლად სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება; 2004 წლის 13 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა 2005 წლის 14 იანვრამდე გააგრძელა. 2005 წლის 3 მაისს ასპინძის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი და განმცხადებელი გათავისუფლდა.

მეორე სისხლის სამართლის საქმე: 2005 წლის 9 მაისს განმცხადებლის წინააღმდეგ საქმე აღიძრა ნარკოტიკული ნივთიერების შექენისა და შენახვის დანაშაულთან დაკავშირებით. ის დააკავეს 2005 წლის 12 მაისს. იმავე წლის 15 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. თბილისის საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში იმ მოტივით დატოვა, რომ განმცხადებელს მძიმე დანაშაული ედებოდა ბრალად. 2006 წლის 20 ივლისს რუსთავის საქალაქო სასამართლომ ბ-ნი ჯანიაშვილი წარდგენილი ბრალდებით დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განმცხადებელმა გაასაჩივრა მისი დაკავებისას არაპროპორციული ძალის გამოყენება და წინასწარი პატიმრობის კანონიერება, ასევე – მე-5 და მე-7 პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული პირობები და არასათანადო სამედიცინო დახმარება.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი: (ა) განმცხადებლის დაკავება 2005 წლის 12 მაისს მთავრობის შეფასებით, ამ ნაწილში

ბ-ნი ჯანიაშვილს არ ჰქონდა ამონურული მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები. განმცხადებელს არ გაუკეთებია კომენტარი მთავრობის ამ განცხადებაზე. ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ, საქმის მასალების მიხედვით, ბ-ნი ჯანიაშვილს არ გაუსაჩივრებია თბილისის პროკურატურის 2005 წლის 29 დეკემბრის დადგენილება მის მიმართ დაკავებისას არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ. შესაბამისად, საჩივარი ამ ნაწილში დაუშვებლად გამოცხადდა; **(ბ) ციხის საკნების სავარაუდო გადატვირთულობა:** ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ საქართველოში პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით, საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, საკნების გადატვირთულობა, როგორც პენიტენციური სისტემის ზოგადი სტრუქტურული პრობლემა, არ მოითხოვს სისხლის ან სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სრულ ამონურვას, მაგრამ საჭირო იყო, რომ განმცხადებელს რომელიმე პასუხისმგებელი უწყებისთვის მაინც მიემართა (ციხის ადმინისტრაცია, სასამართლო, პროკურატურა და ა.შ.) იმის თაობაზე, რომ პატიმრობის პირობები მას შეურაცხყოფდა ან ლახავდა მის ღირსებას. ეროვნულ დონეზე ასეთი საბაზისო ქცევის გარეშე ევროპული სასამართლოსთვის რთულია განმცხადებლის პრეტენზიების სანდოობის შეფასება, უფრო მეტიც, ისინი ამკარად გაბათილდა მთავრობის მიერ მოწოდებული დოკუმენტური მტკიცებულებებით. განმცხადებელს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები და არგუმენტები მათ საპირწონედ, ამიტომ მისი საჩივარი ამ ნაწილში არის დაუშვებელი; **(გ) ციხეში სათანადო სამედიცინო დახმარების გაუწევლობა:** მთავრობამ სრულად მიაწოდა ევროპულ სასამართლოს საქმის მასალები ჩატარებული მკურნალობის დასადასტურებლად. ამის პასუხად ბ-ნმა ჯანიაშვილმა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მისთვის გაწეული სამედიცინო დახმარება არ იყო ადეკვატური, მისი ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუარესდა და მის სიცოცხლეს გარდაუვალი და რეალური საფრთხე დაემუქრა. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის გაუარესების ფაქტი, რომელიც საწყის სტადიაზე წარმოშობდა გარკვეულ ეჭვს მკურნალობის ადეკვატურობასთან დაკავშირებით, არ არის საკმარისი სახელმძინფოს ვალდებულების დარღვევის დასადაგენად, თუკი სხვა

მხრივ დადგინდა, რომ ეროვნულმა ორგანოებმა დროულად მიმართეს ყველა სამედიცინო ზომას, რათა ხელი შეეშალათ სადავო დაავადების გართულებისათვის. სამედიცინო დოკუმენტები ადასტურებს, რომ ბ-ნ ჯანიაშვილს ციხის საავადმყოფოში სახელმწიფოს ხარჯებით ჩაუტარდა სრული სამედიცინო გამოკვლევა და მკურნალობა, მათ შორის სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულების სპეციალისტების მონაწილეობით. შესაბამისად, საჩივარი ამ ნაწილშიც აშკარად დაუსაბუთებელია.

კონვენციის მე-5 მუხლი

წინასწარი პატიმრობის გაგრძელება დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე: დარღვევა

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: განმცხადებლისთვის შეფარდებული წინასწარი პატიმრობის მართებულობასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ 2004 წლის 16 მაისისა და 2 ივნისის გადაწყვეტილებათა გამოტანის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა მისი მიმალვის საფრთხე, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა საქმის გარემოებებს; ამის საპირისპიროდ, მომდევნო სასამართლო გადაწყვეტილებანი, რომლებიც გამოტანილია 2004 წლის 13 აგვისტოს, 13 სექტემბერსა და 13 ნოემბერს, აბსტრაქტული ცნებებით არის ფორმულირებული.

ბოლო გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება, დაედგინათ კონკრეტული ფაქტების არსებობა, რომლებიც გაამართლებდა წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებას და განეხილათ ალტერნატიული არასაპატიმრო ზომები. ერთადერთი საფუძველი, რომელსაც დაეყრდნო ეროვნული სასამართლო – განმცხადებლისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება – ასევე არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან სასამართლოს არ განუმარტავს, რატომ ეწინააღმდეგებოდა სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება ალტერნატიულ არასაპატიმრო ზომას. შესაბამისად, აშკარად დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, რომლებიც უმთავრესად ემყარებოდა სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის პერიფრაზირების სტერეოტიპულ ფორმულას, განმცხადებელი წინასწარ პატიმრობაში დარჩა თითქმის ერთი წლის განმავლობაში, რაც არ ითვლება გონივრულ მიდგომად.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: დაუშვებელია;

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლის დარღვევა: 600 ევრო მატერიალური ზიანისთვის და 1000 ევრო ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

შენიშვნა: საჩივარი კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის ნაწილში ცნობილია დაუშვებლად.

მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

MIKIASHVILI V. GEORGIA³⁶

N18996/06; 9.10.2012

პოლიციელების მიერ არაადამიანური მოპყრობა: დარღვევა/ ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ციხის თანამშრომლების მიერ არასათანადო მოპყრობა: არ არის დარღვევა/ ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: 2005 წლის 30 ოქტომბერს განმცხადებელ გიორგი მიქიაშვილს ბრალად წაუყენეს პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის განწვევა მოვალეობის შესრულების დროს განზრახ ხელის შეშლის გამო. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ორმა პოლიციელმა დაახლოებით 20:15 საათზე დაინახა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ქუჩაში მირბოდა მობილური ტელეფონით ხელში და მას უკან მისდევდა ორი ქ-ნი (ისინი აღმოჩნდნენ მისი მეუღლე და მეგობარი). ვიდრე მამაკაცი ჩაჯდებოდა ქუჩის ბოლოს გაჩერებულ ავტომანქანაში, პოლიციელებმა ის შეაჩერეს და ჰკითხეს, რატომ მირბოდა და ვის ეკუთვნოდა მობილური ტელეფონი. ამ დროს განმცხადებელმა

³⁶ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Mikiashvili%22%2C%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%5D%2C%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%5D%2C%22itemid%22:%5B%22001-113741%22%5D%7D>

და მისმა მეგობარმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციელებს. პოლიციამ ვერ შეძლო მათი დამშვიდება და ჩხუბის დროს განმცხადებელმა და მისმა მეგობარმა მათ შემოახიეს პერანგები და სვიტერები. პოლიციელებმა დამატებითი ძალა გამოიძახეს და რამდენიმე კოლეგის მისვლის შემდეგ შეძლეს თავდამსხმელთა დაკავება. დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანის შემდეგ თავდამსხმელები განაგრძობდნენ პოლიციელთა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, კერძოდ, პროცედურული საკითხების გადასაწყვეტად მისულ გამომძიებელს განმცხადებელმა მარცხენა თვალში მუშტი ჩაართვა. 2006 წლის 22 ივნისს ბ-ნი მიქიაშვილი დამნაშავედ ცნო სასამართლომ და ერთი წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე განმცხადებელმა გაასაჩივრა პოლიციელების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი არასათანადო მოპყრობა, რომელიც 2005 წლის 29 ოქტომბერს მოხდა, აგრეთვე – ციხის პერსონალის მიერ ჩადენილი 2006 წლის 14-15 აგვისტოს. მან ასევე მოითხოვა, დაედგინათ, რომ ხსენებულ ფაქტებზე არ არსებობს ეფექტიანი გამოძიება.

განმცხადებლის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა 2005 წლის 29 ოქტომბერს

(ა) მატერიალური ასპექტი: ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ სადავო საკითხს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განმცხადებლის დაზიანება, რომელიც დადასტურებულია სამედიცინო დასკვნით, გაჩნდა მისი დაკავებისა და პოლიციელებთან ჩხუბის დროს. განმცხადებლის ფიზიკურ დაზიანებათა რაგვარობის გათვალისწინებით, სასამართლო მათ საკმარისად მძიმედ მიიჩნევს, რომ მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში მოექცეს. აქედან გამომდინარე, მთავრობას ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დამატებითი არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ ძალის გამოყენება განმცხადებლის დაკავებისას და დროებითი მოთავსების იზოლატორში განწესებისას არ იყო გადამეტებული.

ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მთავრობის არგუმენტზე, რომლის თანახმად,

ძალა გამოიყენეს კანონიერად, განმცხადებლის დაუმორჩილებელი ქცევის საპასუხოდ. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, იქცეოდა აგრესიულად და არ დაემორჩილა პოლიციის ბრძანებას, სასამართლო მზად არის, აღიაროს, რომ ამ გარემოებებში პოლიციელებს დასჭირდათ ფიზიკური ძალის გამოყენება; თუმცა სასამართლოს არ შეუძლია, ყურადღების მიღმა დატოვოს ის ფაქტი, რომ განმცხადებელს აღენიშნებოდა მძიმე ჰემატომები კისერსა და მთელ ზურგზე, თავის დაზიანება და ტვინის შერყევა. სასამართლო ასევე შენიშნავს განმცხადებლისა და პოლიციელების მიერ მიღებულ დაზიანებებს შორის განსხვავებას – ორივე პოლიციელი, ნ.ჭ. და გ.ა., საავადმყოფოდან იმავე დღეს განერეს.

სასამართლო ვერ გაიზიარებს იმ არგუმენტს, რომ აღნიშნულ დაზიანებას გამოიწვევდა დასაშვები ძალის გამოყენება. უტყუარ მტკიცებულებათა ნაკლებობა გამოყენებული ძალის ზუსტი სახეობისა და ხარისხის შესახებ, სამედიცინო დასკვნა, მიყენებული დაზიანების ტიპი, განმცხადებლის დეტალური და თანმიმდევრული განცხადებები, ისევე როგორც მთავრობის მხრიდან სარწმუნო და დეტალური განმარტების უქონლობა დაზიანებების მიზეზებთან დაკავშირებით, იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ დაზიანება იყო პოლიციის მხრიდან გადამეტებული და არაპროპორციული ძალის გამოყენების შედეგი. აქედან გამომდინარე, დადგინდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

(ბ) პროცედურული ასპექტი: ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ 2005 წლის 29 ოქტომბერს, განმცხადებლის დაკავებისას, პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტებასთან დაკავშირებული სისხლის სამართალწარმოება მხოლოდ 2005 წლის 20 დეკემბერს დაიწყო, რაც ნიშნავს ორი თვით დაგვიანებას. ეს შეუთავსებელია დროული გამოძიების ჩატარების ვალდებულებასთან, ვინაიდან არსებობს საფრთხე იმისა, რომ დროის გასვლასთან ერთად არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული სამხილები გაქრება და დაზიანებები მოშუშდება.

სასამართლო აცხადებს, რომ ზოგიერთი აუცილებელი ნაბიჯის გადადგმა დაგვიანდა, რამაც გაართულა ან საერთოდ შეუძლებელი გახადა პროკურატურის მიერ ამ სავარაუდო ინციდენტის

დეტალური გამოძიება. არსებითი ხასიათის ხარვეზი ამ კუთხით იყო განმცხადებლისთვის სამედიცინო შემოწმების დაგვიანებით ჩატარება.

სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებლის დაზიანება პირველად ნახსენებია ციხის ექიმების მიერ 2005 წლის 29 და 31 ოქტომბერს შედგენილ ორ სამედიცინო დასკვნაში. თუმცა ეს დასკვნები შედგენილია მხოლოდ განმცხადებლის გარეგანი დათვალიერების საფუძველზე, რითაც დეტალურად ვერ დადგინდებოდა დაზიანების შესაძლო მიზეზები. განმცხადებლის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, პირველი საფუძვლიანი სამედიცინო გამოკვლევა მას მხოლოდ ინციდენტიდან ორ თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ ჩატარდა. ეს აშკარად ეწინააღმდეგება შესაბამისი ეროვნული ორგანოებისა და მთავრობის მტკიცებას იმის შესახებ, რომ სამედიცინო გამოკვლევის დაგვიანებით ჩატარება აიხსნება იმ ფაქტით, რომ განმცხადებელმა მის მიმართ გამოჩენილი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ დროულად და სათანადო წესით არ განაცხადა.

მსგავსი შეცდომა დაფიქსირდა განმცხადებლის ფსიქიატრიული გამოკვლევის დროსაც, რომელიც, განმცხადებლის ადვოკატის 2005 წლის 26 დეკემბრის შუამდგომლობის მიუხედავად, მხოლოდ 2006 წლის მარტში ჩატარდა.

ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს გარკვეულ შეუსაბამობებს, რომლებიც ასუსტებს გამოძიების სანდოობასა და ეფექტიანობას, კერძოდ, საგამოძიებო ორგანოებს არ შეუწავლიათ განმცხადებლის განცხადება დაკავებისას მის წინააღმდეგ ხელკეტის გაუმართლებელი გამოყენების შესახებ. მათ საჭირო ყურადღება არ მიაქციეს განმცხადებლის დაზიანების შესახებ მომზადებულ სამედიცინო დასკვნას და შესაბამისად არ განმარტეს.

ევროპული სასამართლო მიუთითებს ეროვნული სასამართლოების არაერთგვაროვან მიდგომაზე მტკიცებულებათა შეფასებების ნაწილში. მათი გადაწყვეტილებები ძირითადად პოლიციელთა ჩვენებებს ეფუძნება. განმცხადებლის განცხადება მათთვის არ იყო სანდო, ვინაიდან ის ასახავდა პირად აზრს და ბრალდებას. ამის საპირისპიროდ, პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა ეროვნულ სასამართლოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ

შესაძლოა ისინი სუბიექტური ყოფილიყო, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით მიცემული. გამოძიებას უნდა დაედგინა, ეკისრებოდათ თუ არა პოლიციელებს პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის ბრალდებების საფუძველზე. შესაბამისად, გამოძიება, მთლიანობაში, არ იყო ყოველმხრივი, ადეკვატური და ეფექტიანი. დადგინდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული დარღვევა ამ ნაწილში.

სავარაუდო არასათანადო მოპყრობა 2006 წლის 14-15 აგვისტოს

(ა) მატერიალური ასპექტი: ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ შიდა სამართალწარმოებისას არ იყო უზრუნველყოფილი 2006 წლის 14-15 აგვისტოს ციხის პერსონალის მიერ განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ხელშესახებ მტკიცებულებათა მოპოვება. ბ-ნი მიქიაშვილის ვერსია მოვლენათა განვითარების შესახებ გამოძიების მიერ დაკითხულმა არც ერთმა მოწმემ არ დაადასტურა. მისი ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები ეჭვს ბადებს შესაბამისი ორგანოების წინაშე. პრეტენზია სამედიცინო დაწესებულებაში მის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ერთადერთხელ, ომბუდსმენის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, გამოთქვა. 2006 წლის 17 აგვისტოს, ადვოკატის თანდასწრებით გამოძიებლის მიერ დაკითხვისას, უარყო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული წინა ჩვენება. სასამართლო ასეთ არათანმიმდევრულობას უცნაურად მიიჩნევს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთელი სამართალწარმოების განმავლობაში განმცხადებელს წარმოადგენდა ადვოკატი.

ევროპული სასამართლო მტკიცებულებათა არარსებობის გამო მოკლებულია შესაძლებლობას, განმცხადებლის მტკიცების საფუძველზე გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით დაადგინოს სადავო არასათანადო მოპყრობა. კონვენციის მე-3 მუხლი ამ ნაწილში არ დარღვეულა.

(ბ) პროცედურული საკითხი: ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ დავის საგანს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული გამოძიება დროულად დაიწყო და

გატარდა საჭირო და გადაუდებელი საგამოძიებო ღონისძიებები, როგორებიცაა: განმცხადებლის სამედიცინო შემოწმება და სხვადასხვა მოწმის დაკითხვა. აღნიშნულის მიუხედავად, გამოძიება წარიმართა არსებითი ხარვეზებით: ყველა საგამოძიებო ღონისძიება იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ გატარდა. იმ დროისთვის სამინისტრო პასუხისმგებელი იყო სასჯელაღსრულების სისტემაზე. მისი დასკვნები გენერალურმა პროკურატურამ ყოველგვარი დამატებითი მოკვლევის გარეშე, უბრალოდ, დაადასტურა. ეს ინსტიტუციური კავშირი გამომძიებლებსა და განმცხადებლის მიერ დასახელებულ ინციდენტში მონაწილე პირებს შორის, სასამართლოს შეფასებით, წარმოშობს ლეგიტიმურ ეჭვს გამოძიების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია, უგულებელყოს ის ფაქტი, რომ, განმცხადებლის ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადების მიუხედავად, პროკურორმა საჭიროდ არ მიიჩნია მისი განმეორებით დაკითხვა. არ უცდია აღნიშნული სიტუაციის გამოსწორება 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებაში, უბრალოდ, მხედველობაში არ მიიღო განმცხადებლის ბრალდებების შემცველი თავდაპირველი განცხადება. უფრო მეტიც, პროკურორი შემოიფარგლა მხოლოდ ციხის იმ თანამშრომლების პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებით, რომლებიც, სავარაუდოდ, არასათანადოდ მოეპყრნენ განმცხადებელს, არ შეისწავლა არსებული სამედიცინო მტკიცებულებანი და გადაწყვეტილებაში წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ არ განმარტა დაზიანების წარმოშობის მიზეზები.

უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენათა ოფიციალური ვერსია ინციდენტის თვითმხილველი პატიმრების წერილობითი ჩვენებებითაც არის გამყარებული. ყველა მათგანი იმ დროისთვის დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ იყო დასაქმებული. მოწმეთა ჩვენებების ასეთი თანხვედრა სწორედ მსგავსი დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას.

დაბოლოს, პროკურატურას განმცხადებლისთვის არ უცნობებია გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ, რის გამოც ის გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა: არ ჰქონდა ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე და წაერთვა შესაძლებლობა, შიდა სასამართლოს წინაშე გაესაჩივრე-

ბინა აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერება და წარედგინა პრეტენზია გამოძიების ხარვეზებთან დაკავშირებით.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ შესაბამისმა ორგანოებმა არ ჩაატარეს 2006 წლის 14-15 აგვისტოს ინციდენტის გარემოებათა დამოუკიდებელი და დეტალური გამოძიება. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი.

კონვენციის მე-5 მუხლი:

წინასწარი პატიმრობის შეფარდება დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე: არ არის დარღვევა

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა: განმცხადებელმა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით წამოაყენა, რომ 2005 წლის 31 ოქტომბრისა და 7 ნოემბრის განჩინებანი, რომელთა საფუძველზეც მას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, არ იყო საკმარისად დასაბუთებული. თავისი ფუნქციის შესრულებისას სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი არ იყოს სტერეოტიპულად ფორმულირებული ან დასკვნების სახით მოწოდებული და დასაბუთება არ შეიძლება იყოს დეკლარაციული ხასიათისა, ზოგადი ან აბსტრაქტული.

წინამდებარე საქმის გარემოებათა შესწავლისას ორი მოტივი, რომელთაც პროკურატურა დაეყრდნო პატიმრობის შეფარდების მოთხოვნისას და გაიზიარა ეროვნულმა სასამართლომ, იყო განმცხადებლის მიერ მოწმეებზე გავლენის მოხდენისა და მიმალვის რისკები, გამომდინარე ბრალდების სიმძიმიდან.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მიმალვის საფრთხე არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მოსალოდნელი განაჩენის სიმძიმეზე დაყრდნობით, არამედ უნდა გაანალიზდეს ბევრი დამატებითი ფაქტორი, რომლებმაც შეიძლება დაადასტუროს ან გააქარწყლოს მსგავსი საფრთხის არსებობა. ასეთი დასაბუთების გარეშე ევროპული სასამართლო არ არის მზად, მიმალვის საფრთხე მიიღოს როგორც ძლიერი მოტივი. ამასთან, მას არ შეუძლია გამორიცხოს მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის რისკი, ვინაიდან ძირითადი მოწმეები

მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში განმცხადებლის მეგობრები იყვნენ.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ განმცხადებელი მალე წარდგა სასამართლოს წინაშე – რვა თვეზე უადრეს პერიოდში. ყველა გარემოების გათვალისწინებით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ დარღვეულა.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: მატერიალური ასპექტის დარღვევა განმცხადებლის მიმართ პოლიციის მიერ არაადამიანური მოპყრობის გამო 2005 წლის 29 ოქტომბერს;

კონვენციის მე-3 მუხლი: პროცედურული ასპექტის დარღვევა განმცხადებლის მიმართ 2005 წლის 29 ოქტომბერს არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობის გამო;

კონვენციის მე-3 მუხლი: არ დარღვეულა მატერიალური ასპექტი განმცხადებლის მიმართ ციხის თანამშრომლების მიერ 2006 წლის 14-15 აგვისტოს სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის გამო;

კონვენციის მე-3 მუხლი: პროცედურული ასპექტის დარღვევა განმცხადებლის მიმართ ციხის თანამშრომლების მიერ 2006 წლის 14-15 აგვისტოს სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობის გამო.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: არ არის დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 12 000 ევრო არა-მატერიალური ზიანისთვის;

შენიშვნა: კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-13 მუხლის ცალკე განხილვის საჭიროება არ იყო.

**რამიშვილი და კოხრეიძე
საქართველოს წინააღმდეგ
RAMISHVILI AND KOKHREIDZE V.
GEORGIA
N1704/06; 27.01.2009**

**სასამართლო დარბაზში ბრალდებულების გან-
თავსება „რკინის გალიაში“, ხმაურსა და ნილ-
ბიანი გუშაგების გარემოცვაში: დარღვევა**

იხ. გვ. X

**GARIBASHVILI V. GEORGIA
ღარიბაშვილი საქართველოს
წინააღმდეგ³⁷
№118030/03; 29.10.2008**

**პოლიციელების მიერ არასათანადო მოპყრობა
განყოფილებაში: არ არის დარღვევა /ამ ფაქტზე
ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა**

ფაქტები: 2001 წლის 23 მაისს განმცხადებელი რობერტ ღარიბაშვილი დააკავეს 14 წლის გოგონას გაუპატიურების ფაქტზე. იმავე წლის 12 დეკემბერს სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2002 წლის 23 მაისს განმცხადებელმა საჩივრით მიმართა გენერალურ პროკურატურას მის საქმეში არსებულ სხვადასხვა პროცედურულ დარღვევასთან დაკავშირებით და მოითხოვა სამართალწარმოების განახლება. არასათანადო მოპყრობის თაობაზე განცხადება მას არ გაუკეთებია.

2004 წლის მაისში განმცხადებელმა კიდევ ერთხელ მიმართა გენერალურ პროკურატურას მოთხოვნით, ხელახლა განეხილა საქმე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. ის მიუთითებდა არასათანადო მოპყრობაზე რუსთავის პოლიციის განყოფილებაში და ფულის გამოძალვაზე ქ. რუსთავის პროკურატურის გამოძიებლის, ბ-ნი მ-ს, მხრიდან. განმცხადებელმა მტკიცებულებათა სახით წარადგინა ამონაწერები თბილისის №1 დაწესებულების სამედიცინო ჟურნალიდან, რომლებიც ადასტურებდა, რომ საჩვენებელი

³⁷ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/raribashvili.pdf>

თითები ორივე ხელზე დეფორმირებული ჰქონდა მოტეხილობათა გამო.

2004 წლის 24 მაისს გენერალურმა პროკურატურამ განცხადება დაუსაბუთებლად მიიჩნია და განსახილველად არ მიიღო. განმცხადებლის მიერ გასაჩივრების შემდეგ, 2004 წლის 28 ივლისს, თბილისის რაიონულმა სასამართლომ უცვლელად დატოვა მისი დადგენილება. შემდეგ ეს ორივე გადაწყვეტილება 2004 წლის 5 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა იმ მოტივით, რომ გაუპატიურების საქმის გამოძიების განახლებაზე უარის გადაწყვეტილებას არ უძღოდა განმცხადებლის მიერ წაყენებულ ბრალდებათა გამოძიება. მან პროკურატურას დაავალა კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებათა განხორციელება, მათ შორის განმცხადებლისა და მის მიერ დასახელებული მოწმის, ბ-ნი ბ-ს დაკითხვა.

2005 წლის 27 აპრილს ქ. რუსთავის პროკურატურამ გადაწყვიტა, დაეკითხა განმცხადებელი, თუმცა ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა თანამშრომლობაზე, ვინაიდან, მისი თქმით, მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ერთ-ერთი მონაწილე გამოძიებელი იმ დროისთვის ქ. რუსთავის პროკურატურის თანამშრომელი იყო. იმავე დღეს პროკურატურამ დაუსაბუთებლობის მოტივით არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა საქმის ხელახალი გამოძიების თაობაზე.

2004 წლის 28 დეკემბერს განმცხადებელმა გენერალურ პროკურატურას მოსთხოვა, აღედრა სისხლის სამართლის საქმე არასათანადო მოპყრობის, გამოძალვისა და ექსპერტის დასკვნის გაყალბების ფაქტებზე, რომლებიც გამოძიებელმა მ-მ ჩაიდინა. 2004 წლის 31 დეკემბერს მითითებულმა უწყებამ აღნიშნული მოთხოვნა უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა. 2005 წლის 5 დეკემბერს თბილისის რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

2006 წლის 24 იანვარს განმცხადებლის მიერ ევროპული სასამართლოსთვის წარდგენილი საჩივრის მთავრობასთან კომუნიკაციების შემდეგ ქართლის საოლქო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღდრა განმცხადებლის 2004 წლის 28 დეკემბრის საჩივრის საფუძველზე,

რომელიც 2001 წლის 23-25 მაისს მის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ეხებოდა.

2006 წლის 27 იანვარს გენერალურმა პროკურატურამ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურას ჩამოართვა სისხლის სამართლის საქმე და გამოსაძიებლად ქ. თბილისის პროკურატურას გადასცა. 2007 წლის 15 მარტს ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, საქმე დაეხურა, რადგან, მიუხედავად ყველა შესაძლო საგამოძიებო მოქმედების ამოწურვისა, ვერ იქნა მოპოვებული საქმის ობიექტური მტკიცებულებანი, რომლებიც ბრალდებას დაადასტურებდა. ეს გადაწყვეტილება ბ-ნმა ღარიბაშვილმა გაასაჩივრა ორი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ – უშედეგოდ.

განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე ჩიოდა, რომ 2001 წლის 23-25 მაისს მას არასათანადოდ მოეპყრნენ რუსთავის პოლიციაში და კომპეტენტურმა ორგანოებმა სათანადოდ არ გამოიძიეს აღნიშნული ინციდენტი.

(ა) ბრალდება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით: ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი მოიცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფასეულობას და წამებასა და არაჰუმანურ ან დამამცირებელ მოპყრობაზე აბსოლუტურ აკრძალვას აწესებს. სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას დაკავებულ პირთა ფიზიკური ხელშეუხებლობა. რადგან მოცემულ საქმეზე პასუხისმგებელმა უწყებამ ყოველმხრივი და ეფექტიანი გამოძიება არ ჩაატარა, არ არსებობს მოპოვებული მტკიცებულებანი, რომლებიც გამოავლენდა, რომ 2001 წლის 23-25 მაისს განმცხადებელს არასათანადოდ მოეპყრნენ რუსთავის პოლიციის განყოფილებაში. მწირი სამედიცინო მასალისა და განმცხადებლის ბრალდებათა საფუძველზე ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია, დაადგინოს არასათანადო მოპყრობის ფაქტი „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტით.

(ბ) არასათანადო მოპყრობის გამოძიება: ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებლის ბრალდებანი ეროვნულ დონეზე მოიცავდა საკმაოდ კონკრეტულ ინფორმაციას – არასათანადო მოპყრობის აღწერას, თარიღს,

ადგილს, დამნაშავეთა ვინაობას, კავშირს ჩადენილ ძალადობასა და ჯანმრთელობის პრობლემებს შორის და ა.შ., – რომ მიჩნეულიყო სათანადო საჩივრად, რომელზე რეაგირება და ეფექტიანი გამოძიების წარმოება აღნიშნული ორგანოების ვალდებულებას წარმოადგენდა.

მეორე საკითხი, რომელიც უნდა დადგინდეს, არის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კომპეტენტური ორგანოები ვალდებულნი იყვნენ, გამოეძიებინათ განმცხადებლის პრეტენზიები. ეს პერიოდი დაიწყო 2004 წლის მაისში, როდესაც განმცხადებელმა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით პირველად შეიტანა საჩივარი, და დასრულდა 2007 წლის 6 სექტემბერს, როდესაც შიდა სასამართლოებმა საბოლოოდ დაადასტურეს გამოძიების დასრულება. ამ პერიოდს – 3 წელსა და 4 თვეს –სასამართლო ყოფს 2 ეტაპად: 2006 წლის 24 იანვრამდე და 2006 წლის 24 იანვრის შემდეგ.

2006 წლის 24 იანვრამდე პერიოდის მიმართ ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა მოითხოვა გაუპატიურების საქმის გადასინჯვა, მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის გამოძიება და გამომძიებელ მ-სთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, წინასწარი გამოძიება განმცხადებლის მიმართ ძალადობის ფაქტზე არ იყო დამოუკიდებელი, კერძოდ, გამოძიებას აწარმოებდა რუსთავის პროკურატურა, რომლის თანამშრომელიც იყო ბ-ნი ღარიბაშვილის მიერ დამნაშავედ დასახელებული პირი ბ-ნი მ., მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ინტერესთა ასეთ აშკარა კონფლიქტს, მეტიც, გამოძიება იყო ცალმხრივი, რადგან თავად განმცხადებელი არ დაუკითხავთ. აღნიშნული ხარვეზი შეამჩნია უზენაესმა სასამართლომ, მაგრამ ვითარება არც ამის შემდეგ გამოუსწორებიათ; ასევე გამომხატურება არ მოჰყოლია განმცხადებლის მოთხოვნას, აღედრათ საქმე ბ-ნი მ-ს წინააღმდეგ.

განმცხადებლის ბრალდებათა მსგავსი გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება მიჩნეული იყოს გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებულ „სრულყოფილ“ გამოძიებად. ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ გამოძიება, რომელსაც

დაეყრდნენ კომპეტენტური ორგანოები, რათა უარი ეთქვათ განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე, აშკარად იყო მოკლებული საჭირო დამოუკიდებლობასა და ყოველმხრივობას. ეს სიტუაცია, რომელიც გაგრძელდა 2004 წლის მაისიდან 2006 წლის იანვრამდე, სასამართლოსათვის საკმარისია, რომ დაადგინოს განმცხადებლის მიერ წამოჭრილ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეროვნული ორგანოების მიერ ეფექტიანი გამოძიების წარმოების ვალდებულების უგულებელყოფა.

2006 წლის 24 იანვრის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოების დაწყება გენერალურმა პროკურატურამ მხოლოდ იმის შემდეგ გადაწყვიტა, რაც მთავრობას განმცხადებლის მიერ ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივრის შესახებ ეცნობა.

ევროპული სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე ჩამოართვა საოლქო პროკურატურას, რომლის წევრიც იყო გამომძიებელი ბ-ნი მ. და გადასცა ქ. თბილისის პროკურატურას, რომელიც არ წარმოადგენდა განმცხადებლის მიერ დასახელებულ პირთა ქმედებაზე პასუხისმგებელ ორგანოს. მეორე: სასამართლო უარყოფს განმცხადებლის არგუმენტს, რომ იგი არ დაკითხულა ქ. თბილისის პროკურატურის მიერ, რადგან ის საწინააღმდეგოს ამტკიცებდა თავის 2006 წლის 20 აგვისტოს წერილში; მაგრამ ის ფაქტი, რომ ქ. თბილისის პროკურატურა უმეტესწილად დაეყრდნო ქ. რუსთავის პროკურატურისა და პოლიციის ინფორმაციას, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი კავშირი ჰქონდათ განსახილველ მოვლენებთან და თავად არ მოიძიეს ინფორმაცია მოწმეებისგან ან არ დააპირისპირეს განმცხადებელი ბ-ნი მ-ს, ბ-ნი ა-სა და ბ-ნი გ-ს, რომელთა მიმართაც მან პირდაპირი ბრალდებები წამოაყენა, ეწინააღმდეგება ეფექტიანი გამოძიების პრინციპებს.

სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტსაც, რომ თბილისის პროკურატურამ არ დაკითხა თბილისის №5 ციხის ექიმი, რომელმაც, განმცხადებლის მტკიცებით, გასინჯა ეს უკანასკნელი და უარი განაცხადა, ჩაენერა მის სხეულზე აღმოჩენილი იარების ნიშნები. ბოლოს, ნაცვლად იმისა, რომ მოეთხოვა განმცხადებლის ჯანმ-

რთელობის მდგომარეობის დამოუკიდებელი და ზედმინევენიტი სამედიცინო გამოკვლევა, თბილისის პროკურატურამ საკმარისად მიიჩნია მხოლოდ ციხის სამედიცინო ჟურნალის შემოწმება.

ევროპული სასამართლო წუხს, რომ ზემოხსენებული გამოძიების დასრულება შიდა სასამართლოებმაც ზეპირი მოსმენის გარეშე დაადასტურეს. საქმის მასალები არ იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ჩატარდა გამჭვირვალე და შეჭიბრებითი ხასიათის წერილობითი პროცესი.

ზემოთ აღწერილი ხარვეზების გათვალისწინებით, რომლებიც ადგილობრივი ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიების პროცესში გამოვლინდა, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ გამოძიება არ იყო ეფექტიანი.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: არ არის მატერიალური ასპექტის დარღვევა;

კონვენციის მე-3 მუხლი: პროცედურული ასპექტის დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: არ ყოფილა მოთხოვნილი.

დავითიანი საქართველოს წინააღმდეგ³⁸

DAVTIANI V. GEORGIA
N73241/01; 27.07.2007

პოლიციელების მიერ ელექტროშოკის გამოყენებით წამება პოლიციის განყოფილებაში: არის დარღვევა/ ამ ფაქტის ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

თბილისის N1 დანესებულებაში არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: არ არის დარღვევა

ფაქტები: 1999 წლის 10 მარტს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის ფაქტზე. იმავე წლის

14 ივნისს დააკავეს და მოგვიანებით დამნაშავედ ცნეს ძებნილი, განმცხადებელი კარენ დავთიანი, რომელიც 2005 წლის 9 სექტემბერს გაათავისუფლეს პირობით ვადამდე. განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოს მიმართა იმ მიზეზით, რომ 1999 წლის 17 ივნისს, წინასწარი პატიმრობის დროს, ის აწამეს ელექტროშოკის გამოყენებით; არაადამიანურად და დამამცირებლად ეპყრობოდნენ სასჯელის მოხდის პერიოდშიც.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი: ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალები არ შეიცავს ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლებიც „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტით დაასაბუთებდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას; თუმცა, როდესაც პირი ირწმუნება, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ან სხვა სახელმწიფო მოხელეებმა მის მიმართ კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო ქმედებები ჩაიდინეს, აღნიშნული დებულება კონვენციის პირველ მუხლთან ერთად (ეს უკანასკნელი წევრ-სახელმწიფოებს თავ-თავისი იურისდიქციის ფარგლებში ყველა პირისათვის კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფას ავალდებულებს) მოითხოვს ოფიციალური და ეფექტიანი გამოძიების წარმოებას, პასუხისმგებელ პირთა გამოვლენასა და დასჯას, წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კანონიერი აკრძალვა პრაქტიკულად უშედეგო იქნებოდა.

კონვენციის მე-3 მუხლის ეს პროცედურული ასპექტი განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც ევროპული სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან მიმართებით ეროვნულ დონეზე დროული და ეფექტიანი რეაგირების არარსებობის პირობებში.

განმცხადებლის მიერ სასამართლოსათვის მიწოდებული დეტალური ინფორმაცია, რომელიც აღწერს ბ-ნი დავთიანის მიმართ სხვადასხვა დროს განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ადგილს, დროს, ხანგრძლივობას, პროცესს, წარმოდგენილი მტკიცებულებები ასევე ქმნის იმ ვარაუდის საფუძველს, რომ განმცხადებელმა პატიმრობის პერიოდში შესაძლოა განიცადა კონვენციის მე-3 მუხლის საპირისპირო მოპყრობა;

³⁸ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-76531%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-76531%22]})

ევროპულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს, მოჰყვა თუ არა შედეგად ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მხრიდან განმცხადებლის მიერ სხვადასხვა დროს წარდგენილ საჩივრებს სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიება.

განმცხადებლის 1999 წლის 9 ნოემბრის

საჩივარი: 1999 წლის 9 ნოემბერს ბ-ნმა დავითიანმა საჩივრით მიმართა რაიონულ პროკურორს 1999 წლის 17 ივნისის ღამეს რაიონული პოლიციის განყოფილებაში მის მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და ელექტროშოკით წამების ფაქტთან დაკავშირებით. ბ-ნი დავითიანი მოითხოვდა, რომ დაეკითხათ მისი ბებია, რომელსაც გაანდო მომხდარი, და ასევე – პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც აწამა და რომლის ამოცნობასაც თავად შეძლებდა. განმცხადებლის საჩივრის საფუძველზე არ ჩატარებულა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და არც მოთხოვნილი ამოცნობა, არც ბებია დაუკითხავთ. გამოძიებელი, რომელსაც დაევალა განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით მოკვლევის წარმოება, შეხვდა ბ-ნ დავითიანს და დაკითხა პოლიციის ორი პასუხისმგებელი ინსპექტორი. პოლიციის თანამშრომლები ირწმუნებოდნენ, რომ არ მომხდარა არაადამიანური მოპყრობის ფაქტი. გამოძიებელმა დაკითხა განმცხადებლის საკნის გუშაგი და იზოლატორის ხელმძღვანელი, რომლებმაც განმცხადებელი 1999 წლის 18 ივნისს მიიღეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბ-ნ დავითიანს ან მის ახლობლებს სავარაუდო წამების ფაქტებთან დაკავშირებით საჩივარი არ წარუდგენიათ; აგრეთვე ექიმს არ შეუმოწმებია სხეულის სავარაუდო დაზიანებები, ვინაიდან მას ამის შესახებ არ განუცხადებია. გამოძიებელი დაკმაყოფილდა აღნიშნულ პირთა მოსაზრებების შეკრებით; განმცხადებლის 1999 წლის 9 ნოემბრის პრეტენზიების დასაბუთებულობის დამადასტურებელი ან უარყოფილი გადანყვეტილება არ ყოფილა მიღებული. საქმის მასალებიდან არ დასტურდება მთავრობის არგუმენტი, რომ ბ-ნი დავითიანი უარს აცხადებდა, ეთანამშრომლა გამოძიებასთან. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ის ფაქტი, რომ მან იმ გამოძიებელთა აცილება მოითხოვა, რომლებიც მისი საქმის გამოძიებას აწარმოებდნენ, არ შეიძლება შეფასდეს როგორც საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმა. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ საგამოძიებო

მოქმედებათა ჩატარება და ადრეულ ეტაპზევე შეწყვეტა რაიმე გადანყვეტილების მიღების გარეშე, კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, არ მიიჩნევა სრულყოფილ და ეფექტიან გამოძიებად; მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი იმ დროისთვის დაავადებული იყო ფსიქიკური აშლილობით და, როგორც მთავრობა ირწმუნებოდა, გულჩათხრობილი და საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი გახლდათ.

განმცხადებლისა და მისი დედის 2003 წლის თებერვალსა და მარტში წარდგენილი საჩივრები:

აღნიშნულ საჩივრებს საფუძვლად დაედო 2002 წლის ივლისიდან ნოემბრამდე ბ-ნი დავითიანის მიმართ თბილისის N1 დაწესებულებაში გამოყენებული სავარაუდო არაადამიანური მოპყრობა. აღნიშნულ ორ საჩივარზე რეაგირებისთვის იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის მოკვლევის ჯგუფმა განმცხადებელს დამატებითი ახსნა-განმარტება მოსთხოვა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. დაკითხვისას განმცხადებლის ბებია დაადასტურა, რომ 2002 წლის სექტემბერში პაემნის ოთახში შვილიშვილთან შეხვედრისას მან სხეულზე ცემის კვალი შენიშნა, თუმცა გამოძიებამ აჩვენა, რომ მითითებულ დღეს პაემანი არ შემდგარა. გამოძიების ფარგლებში დაინიშნა ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. მსჯავრდებულმა ექსპერტს განუცხადა, რომ 2002 წლის ნოემბერში მას მუშტებით, წიხლებითა და სკამით უმოწყალოდ სცემეს და, გარდა ამისა, მან თვითონაც მიიყენა დაზიანება. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ განმცხადებლის სხეულზე აღმოჩენილი ნაწიბურები წარმოადგენდა ბასრი საგნით მიყენებული ისეთი ჭრილობების კვალს, რომლებიც სხეულზე მისთვის ადვილად ხელმისაწვდომ ადგილას შეინიშნებოდა. დაკითხნენ ასევე N1 დაწესებულების უფროსი, მთავარი ექიმი, ინსპექტორი და განმცხადებელთან ერთად საკანში მყოფი სხვა პატიმრები. დაკითხულმა პირებმა უარყვეს განმცხადებლის მიმართ ძალადობის ფაქტების არსებობა. 2003 წლის 2 აპრილს მიიღეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

ევროპულ სასამართლოს მხედველობიდან არ გამორჩენია ის ფაქტი, რომ განმცხადებელი, რომელსაც ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები, ბასრი საგნის, დანის, გამოყენებით სხეულს ისერავდა;

ამდენად, დედის საჩივარში მითითებული განმცხადებლის სხეულზე აღმოჩენილი ქრილობები შესაძლოა ავტოტრავმული ყოფილიყო, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა ექსპერტიზისას თავადაც აღიარა თვითდაზიანების ფაქტი; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საჩივარში გამოთქმული სხვა პრეტენზიები ეხებოდა განმცხადებლის მიმართ ძალადობის ფაქტებს, ჩადენილს ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და მათი დავალებით იმავე საკანში მყოფი პატიმრების მიერ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების მცდელობას, ნათელი მოეფინა სწორედ ამ უკანასკნელი ფაქტებისათვის, განმცხადებელი მოვლენებისა და თარიღების არათანმიმდევრულობასა და მათთან თანამშრომლობაზე უარს უპირისპირებდა.

ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთ პირობებში განმცხადებელმა არ შეიძლება სამართლიანად დაადანაშაულოს ხელისუფლება გამოძიების არასრულყოფილად წარმოების გამო. სინამდვილეში საგამოძიებო ორგანო მოკლებული იყო იმ მთავარ მტკიცებულებებს, რომელთა მიწოდებაც მისთვის მხოლოდ ბ-ნ დავითიანს შეეძლო. გარდა ამისა, ევროპული სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელმა არ გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობა, გაესაჩივრებინა 2003 წლის 2 აპრილის დადგენილება საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. მას არც ევროპული სასამართლოს წინაშე წარმოუდგენია წერილობითი არგუმენტები და მტკიცებულებანი მთავრობის მოსაზრებების საპირწონედ.

2004 წლის 15 მარტის საჩივარი: აღნიშნულ საჩივარში განმცხადებელი იუსტიციის მინისტრის წინაშე ასაჩივრებდა თბილისის N1 დაწესებულებაში მის მიმართ განხორციელებული ცემის, დაცინვის, დამცირებისა და სხვადასხვა ინტრიგის მოწყობის ფაქტებს.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი არც ამჯერად დაეხმარა ხელისუფლებას განცხადების საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ჯეროვნად წარმართვაში, მეტიც, მან შეცვალა საჩივარში გამოხატული მოსაზრებები, უარყო წარდგენილი პრეტენზიები და გამოძიებას არ

მიანოდა რაიმე სახის ინფორმაცია დამნაშავეთა გამოსავლენად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნ დავითიანს ევროპული სასამართლოსთვის არ განუმარტავს ასეთი უკანდახვევის მიზეზი. მას არ უთქვამს, რომ ამგვარად ზეწოლის ან დაშინების გამო მოქმედებდა და არც ერთ ეტაპზე არგუმენტები მთავრობის პოზიციისთვის არ დაუპირისპირებია. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ, განმცხადებლის მერყევი პოზიციის მიუხედავად, 2004 წლის აპრილში იუსტიციის მინისტრმა N1 დაწესებულების ადმინისტრაციას მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ზომების მიღება დაავალა. შესაბამისად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მხრიდან ხელისუფლების დადანაშაულება მისი საჩივრის საფუძველზე სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიების ჩაუტარებლობის გამო საფუძველს მოკლებულია.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: (ა) არ არის დარღვევა პატიმრობისას განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ნაწილში; (ბ) დარღვევა 1999 წლის 9 ნოემბრის საჩივართან დაკავშირებით სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიების არარსებობის გამო; (გ) არ არის დარღვევა სხვა საჩივრებთან დაკავშირებით გამოძიების არარსებობის გამო.

შენიშვნა: არ არის კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევა.

41-ე მუხლი: 3 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

დანელია საქართველოს წინააღმდეგ³⁹

DANELIA V. GEORGIA

N68622/01; 17.01.2007

აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით ელექტროშოკით წამება დროებითი დაკავების იზოლატორში: არ არის დარღვევა/ ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი:

განმცხადებელ დავით დანელიას 2000 წლის 1 ოქტომბრამდე ეკავა დაკავებულთა და მსჯავრდებულთა ზედამხედველის თანამდებობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო დანესებულებაში. 2000 წლის 1 ოქტომბრის ღამეს, განმცხადებლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, თორმეტმა მსჯავრდებულმა, რომელთა შორისაც ეკონომიკისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრი გ. აბსანძე იყო, 30-მეტრიანი გვირაბის გავლით ორგანიზებული გაქცევა განახორციელა. 2000 წლის 1 ოქტომბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მეორე დღეს განმცხადებელი, როგორც ექვმიტანილი, დააკავეს და მოათავსეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში. 2000 წლის 3 ოქტომბერს მას ბრალი დაედო სამსახურებრივ გულგრილობაში, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია.

ბ-ნი დანელიას თქმით, 2000 წლის 1, 2 და 3 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ბრალის აღიარებისთვის მის მიმართ ჩაიდინეს ძალადობა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ელექტროშოკის გამოყენებისას ყველაზე დაბალი სიხშირის ძაბვაც კი მას აუტანელ ტკივილებს აყენებდა. ყვირილის ჩასახშობად მას სახეზე კაუჩუკის აირწინაღს აფარებდნენ. განმცხადებელი გონებას კარგავდა, მაგრამ ცივი წყლითა და ფეხის დარტყმით აფხიზლებდნენ და ელექტროშოკის გამოყენებას განაგრძობდნენ. ამის გარდა, მას ფეხის ქუსლებზე კონდახს ურტყამდნენ. წამებისას პოლიციელები მისგან პატიმრების გაქცევაში მონაწილეობის აღიარებას მოითხოვდნენ; ბ-ნი დანელიას უნდა ეთქვა, რომ ის დაეხმარა მსჯავრდებულებს ციხის ტერიტორიის დატოვებაში, სანაცვლოდ კი მნიშვნელოვანი თანხა აიღო. 2001 წლის 13 ოქტომბერს განმცხადებელი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და განუსაზღვრა

ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც პირობითი მსჯავრით შეუცვალეს და გამოსაცდელ ვადად სამი წელი დაუდგინეს. ბ-ნმა დანელიამ ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა წამების ფაქტი და სათანადო რეაგირების არარსებობა.

სამართალი: კონვენციის მე-3 მუხლი: (ა) მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტი

აღნიშნული დებულებით დაცული უფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებას. ის ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა პატიმრისათვის უზრუნველყოს ადამიანის ღირსების შესაბამისი პირობები, რათა განსაზღვრულმა სასჯელმა უარეს განსაცდელში არ ჩააგდოს და არ დათრგუნოს იმ ზომამდე, რომ აღემატებოდეს პატიმრობისათვის დამახასიათებელი ტანჯვის ჩვეულებრივ დონეს; ამასთან, სავარაუდო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი ევროპული სასამართლოს წინაშე შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა იყოს გამყარებული, „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტის დაცვით.

განმცხადებელი ირწმუნება, რომ 2000 წლის 1-დან 3 ოქტომბრამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში არაერთხელ სცემეს კონდახით, რომელსაც ფეხის ტერფებზე ურტყამდნენ; ის ასევე აწამეს ელექტროშოკის გამოყენებით; თუმცა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციისა და სხვა უტყუარ მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში, რაც შედეგია ხელისუფლების არათანმიმდევრული ქმედებებისა, მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოსაზრებებისა და სახალხო დამცველის მტკიცებების საფუძველზე შეუძლებელია სადავო ფაქტების დადგენა. შესაბამისად, განმცხადებლის მიმართ კონვენციის მე-3 მუხლი პატიმრობის პერიოდში არ დარღვეულა; თუმცა, როდესაც პირი ირწმუნება, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ან სხვა სახელმწიფო მოხელეებმა მის მიმართ ჩაიდინეს კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო ქმედებები, აღნიშნული დებულება კონვენციის პირველ მუხლთან ერთად (ეს უკანასკნელი წევრ-სახელმწიფოებს თავ-თავისი იურისდიქციის ფარგლებში ყველა პირისათვის კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებას

³⁹ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-139102%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-139102%22]})

აკისრებს) მოითხოვს ოფიციალური და ეფექტიანი გამოძიების წარმოებას, პასუხისმგებელ პირთა გამოვლენასა და დასჯას. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კანონიერი აკრძალვა, პრაქტიკულად, უშედეგო იქნებოდა. ამით ისარგებლებდნენ სახელმწიფო მოხელეები, ფეხქვეშ გაეთელათ იმ პირთა უფლებები, რომლებიც მათ კონტროლს ექვემდებარებიან.

კონვენციის მე-3 მუხლის ეს პროცედურული ასპექტი განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც ევროპული სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, ეროვნულ დონეზე დროული და ეფექტიანი რეაგირების არარსებობის პირობებში მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურ ასპექტთან მიმართებით.

(ბ) საჩივრის პროცედურული ასპექტი: 2000 წლის 10 ოქტომბერს ბ-ნი დანელიას წამების ფაქტზე მისი ინტერესების დამცველმა საგამოძიებო ორგანოებს მიმართა. დაზიანების ხარისხის დასადგენად მან ასევე მოითხოვა დამოუკიდებელი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. გამომძიებელმა იმავე წლის 11 ოქტომბერს გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვით დაცვის მხარის მიერ დასახელებულ ექსპერტებს არ ჰქონდათ შესაბამისი ლიცენზია და ამ მოტივით სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზა ადვოკატის მონაწილეობის გარეშე დაინიშნა. განმცხადებელმა უარი თქვა ექსპერტიზის ამ სახით ჩატარებაზე. მთავრობა ევროპული სასამართლოს წინაშე სწორედ ამ ფაქტზე აპელირებდა, როდესაც აცხადებდა, რომ განმცხადებელი მათთან არ თანამშრომლობდა, რამაც გამოძიების ჩატარებას ხელი შეუშალა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნული კანონმდებლობა ფიზიკურ პირს საშუალებას აძლევს, მოითხოვოს ექსპერტის აცილება; განმცხადებლის მიერ ამ უფლებით სარგებლობის ფაქტი მას არ უნდა ართმევდეს საჩივრის სრულად და ეფექტურად გამოძიების უპირობო შესაძლებლობას. მით უმეტეს, განმცხადებელს შეეძლო გაეპროტესტებინა გამოკვლევა, რომელსაც სახელმწიფო ექსპერტი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ატარებდა და არც მისი ადვოკატი ესწრებოდა. შესაბამისად, ევროპული სასამართლო არ იზიარებს მთავრობის პოზიციას ამ ნაწილში.

ევროპულმა სასამართლომ შეაფასა 2000 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებაც, რომლითაც განმცხადებელს უარი ეთქვა დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებაზე. ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა პროცესში მონაწილე მხარის უფლებას, ექსპერტიზა საკუთარი ხარჯებით ჩაეტარებინა. ეს უფლება არ გულისხმობდა ხელისუფლების მხრიდან რაიმე ნებართვის გაცემას. ადვოკატის მიმართვის მიზანი მხოლოდ ცნობის მიწოდება იყო ექსპერტიზის დანიშვნისა და მასში დასმული საკითხების შესახებ; უფრო მეტიც, ასეთი ექსპერტიზის დასკვნა სავალდებულო წესით სისხლის სამართლის საქმეს უნდა დართოდა და სხვა მტკიცებულებებთან ერთად შეფასებულიყო; მაგრამ ადვოკატის განცხადება გამომძიებელმა განიხილა როგორც ნებართვის გაცემის მოთხოვნა და იმ მოტივით უარყო, რომ მასში მითითებულ ექსპერტებს არ ჰქონდათ შესაბამისი ლიცენზია. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული კანონმდებლობით ასეთი უფლებამოსილება გამომძიებელს აშკარად არ ჰქონდა; უფრო მეტიც, იმ დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ექსპერტს მოეთხოვებოდა სპეციალური ცოდნა, საექსპერტო დაწესებულებაში მუშაობა ან შესაბამისი ლიცენზია. გამომძიებელი დაუპირისპირდა არა იმ კვლევითი ინსტიტუტის ლიცენზიის უქონლობას, რომელშიც დაცვის მხარის მიერ დასახელებული სპეციალისტები მუშაობდნენ, არამედ – უშუალოდ ამ პირთა სერტიფიცირების საკითხს. თუმცა საქმის მასალებიდან არ ჩანს, რატომ ხდიდა გამოძიება ამ ფაქტს სადავოდ. სისხლის სამართლის საქმე არ შეიცავს რაიმე სახის მტკიცებულებას, რომელიც დაადასტურებდა შესაბამისი სერტიფიკატის არარსებობას; სამაგიეროდ, საქმის მასალებში არსებობს 2005 წლის 2 ნოემბრით დათარიღებული ლიცენზირების სამსახურის მიერ გაცემული წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ სასამართლო მედიცინის დარგში ლიცენზიები მხოლოდ 2002 წლის იანვრიდან გაიცემოდა. აქედან გამომდინარე, იმის დასადგენად, იყო თუ არა დაცული კანონის მოთხოვნები, გამოძიების წინაშე ერთადერთი საკითხი იყო გასარკვევი: ფლობდნენ თუ არა დასახელებული ექსპერტები შესაბამის სამედიცინო ცოდნას? ამ ნაწილში კი არ არის მტკიცებულებანი წარმოდგენილი. შესაბამისად, არ არსებობს ადეკვატური რეაგირება განმცხადებლის მოთხოვნაზე.

ევროპულმა სასამართლომ ასევე შეაფასა ბ-ნი თ-ს საპასუხო წერილი, რომლის ადვოკატისათვის გადაცემის ფაქტი მხარეთა შორის კამათს იწვევდა. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლის ადვოკატმა 2002 წლის 18 ოქტომბერს საქმის გამოძიებლისგან მიიღო წერილი, რომლის თანახმად, დაცვის მხარისთვის ნებადართული იყო საკუთარი ხარჯებით დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება, თუკი აღნიშნულის შესახებ საქმის გამოძიებელს შეატყობინებდნენ. განმცხადებელი აცხადებდა, რომ ამის შესახებ მან მხოლოდ ორი წლის შემდეგ გაიგო. მთავრობა თავდაპირველად არ უარყოფდა ამ კონტრარგუმენტს ევროპული სასამართლოს წინაშე და მხოლოდ 2005 წლის 2 ნოემბერს აღნიშნა პირველად, რომ სადავო საპასუხო წერილის შესახებ ადვოკატს იმავე დღეს ეცნობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ფაქტი ისაა, რომ ადვოკატმა განახორციელა ის ქმედებანი, რომლებიც, მთავრობის მოსაზრების შესაბამისად, 2000 წლის 14 ოქტომბრის წერილის დაუყოვნებლივ მიღებისას უნდა განეხორციელებინა; მაგრამ ამას არ მოჰყოლია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა არათანმიმდევრული ქმედების გამო, არც სხვა საპროცესო მოქმედება (წინასწარი დაკავების იზოლაციის პასუხისმგებელ პირთა დაკითხვა; განმცხადებლის დაკითხვა; დაპირისპირება და სხვ.) წარდგენილი საჩივრის პასუხად გამოძიების სანარმოებლად.

საგამოძიებო მოქმედებათა არარსებობის გამო ევროპული სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი.

კონვენციის მე-13 მუხლი: იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს უარი უთხრეს დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე და ხელისუფლებამ არ მიიღო რაიმე სახის საგამოძიებო ზომა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასადგენად არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო კონვენციის მე-13 მუხლით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: (ა) არ არის დარღვევა მატერიალურ ნაწილთან მიმართებით; (ბ) დარღვევა პროცედურულ ნაწილთან მიმართებით.

კონვენციის მე-13 მუხლი: დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 3000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

იხ. აგრეთვე: *Chahal v. United Kingdom*, 70/1995/576/662, 15 November, 1996; *Berktaş v. Turkey*, №22493/93, 1 March 2001; *Farbutuhs v. Lithuania*, № 4672/02, 2 December 2004; *Poltoratskiy v. Ukraine*, № 38812/97, 29 April, 2003; 28 October 1998; *Martinez Sala and others v. Spain*, N 58438/00, 2 November, 2004. *Bouyid v. Belgium*; no. 23380/09; 28 September 2015; *El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 39630/09, 13 December 2012; *Balçık and Others v. Turkey*, no. 25/03, 29 November 2007, and *Rehbock v. Slovenia*, no. 29462/95, 28 November 2000; *Punzelt v. the Czech Republic*, no. 31315/96, 25 April 2000; *Stasaitis v. Lithuania*, no. 47679/99, 21 March 2002; *Panchenko v. Russia*, no. 45100/98, 8 February 2005; *Nikolov v. Bulgaria*, no. 38884/97, 30 January 2003, *Smirnova v. Russia*, nos. 46133/99 and 48183/99; *Šuput v. Croatia*, no. 49905/07, 31 May 2011; *Klamecki v. Poland*, no. 25415/94, 28 March 2002; and *Galushvili v. Georgia*, no. 40008/04, 17 July 2008; *Böke and Kandemir v. Turkey*, nos. 71912/01, 26 968/02 and 36397/03, 10 March 2009; *Aysu v. Turkey*, no. 44021/07, 13 March 2012; *Matko v. Slovenia*, no. 43393/98, 2 November 2006; *Iljina and Sarulienė v. Lithuania*, no. 32293/05, 15 March 2011. *Klamecki v. Poland*, no. 25415/94, 28 March 2002; *Malikowski v. Poland*, no. 15154/03, 16 October 2007; *Sarban v. Moldova*, no. 3456/05, 4 October 2005, *Narin v. Turkey*, no. 18907/02, 15 December 2009; *Mikheyev v. Russia*, no. 77617/01, *Denis Vasilyev v. Russia*, no. 32704/04, 17 December 2009; *Asllani v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 24058/13, 10 December 2015; *Parnov v. Moldova*, no. 35208/06, 13 July 2010, *Selahattin Demirtaş v. Turkey* no. 14305/17, 20 November 2018; *Krasniqi v. Croatia*, no. 4137/10, 10 July 2012; *Horváth v. Slovakia*, no. 5515/09, 27 November 2012; *Nadrosov v. Russia*, no. 9297/02, 31 July 2008; *Karademir v. Turkey*, no. 32990/96, 30 October 2001; *Lopata v. Russia*, no. 72250/01, 13 July 2010; *Ognyanova and Choban v. Bulgaria*, no. 46317/99, 23 February 2006 9; *Orhan v. Turkey*, no. 25656/94, 18 June 2002; *Labita v. Italy*, no. 26772/95, 6 April

2000; *McKerr v. the United Kingdom*, no. 28883/95, 4 April 2000; *Ülkü Ekinçi v. Turkey*, no. 27602/95, 16 July 2002.

არაადამიანური მოპყრობა პენიტენციურ დაწესებულებაში

ეფექტიანი გამოძიება

გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ GABLISHVILI AND OTHERS V. GEORGIA⁴⁰

N7088/11; 21.02.2019

არაპროპორციული ძალის გამოყენება ციხიდან პატიმართა გაქცევის მცდელობის აღსაკვეთად: დარღვევა/ ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები: გიორგი გაბლიშვილი, რომიკ კასიანოვი, ზურაბ გაჩეჩილაძე და გიორგი მჭედლიძე სასჯელს იხდიდნენ რუსთავის N1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. 2009 წლის 30 მარტს, გაქცევის მცდელობისას, ისინი ამავე დაწესებულების ეზოში დააკავეს. მათ განაცხადეს, რომ ღია კარის მეშვეობით დატოვეს ციხის ტერიტორია და გადმოხტნენ მაღალი კედლიდან; ამ დროს მათ თავს დაესხნენ ციხის თანამშრომლები და სასტიკად სცემეს ხის ჯოხებითა და რკინის მილებით. 2009 წლის 10 ნოემბერს პირველმა, მეორე და მესამე განმცხადებელმა გენერალურ პროკურორს მიმართეს არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების მიზნით. 2010 წლის 3 მარტს მათ შეუერთდა მეოთხე განმცხადებელი. 2009 წლის 29 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლომ ყველა განმცხადებელი დამნაშავედ ცნო ციხიდან გაქცევის მცდელობაში. მეორე და მესამე განმცხადებელი ასევე დამნაშავეებად ცნეს ციხის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის განწვევაში. გადანყვეტილება ძალაში დატოვეს ზემდგომმა ინსტანციებმა. ყველა ეტაპზე განმცხადებლები ხაზს უსვამდნენ მათ მიმართ ძალადობის გამოყენებას, თუმცა ეს განცხადებები

სასამართლომ უპასუხოდ დატოვა. 2014 წლის 21 ივლისს განმცხადებლებს შეატყობინეს მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ. განმცხადებლებმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრეს მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობა და ეფექტიანი გამოძიების არარსებობა.

სამართალი: კონვენციის მე-3 მუხლი:

(ა) საჩივრის მატერიალურ-სამართლებრივი

ასპექტი: დაზიანებების ხარისხის გათვალისწინებით ევროპული სასამართლო მიიჩნევს საკმარისად სერიოზულად, რომ მოექცეს კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მთავრობას. ამ უკანასკნელმა უნდა წარმოადგინოს დამაჯერებელი ახსნა-განმარტება მათ წარმოშობასთან დაკავშირებით. მხარეებმა წარმოადგინეს განსხვავებული ვერსიები: განმცხადებლები სამედიცინო მტკიცებულებებზე დაყრდნობით აცხადებდნენ, რომ მათ სცემეს 2009 წლის 30 მარტს და მომდევნო დღეს. ოფიციალური ვერსიის თანახმად კი, რომელიც ციხის თანამშრომლების ჩვენებებს ეყრდნობოდა, დაზიანებანი შესაძლოა გაჩენილიყო ორმეტრიანი კედლიდან გადახტომის შედეგად, როდესაც განმცხადებლები ციხიდან გაქცევას ცდილობდნენ ან/და მათ დასაკავებლად პროპორციული ძალის გამოყენებისას.

ევროპული სასამართლოსთვის მთავრობის ვერსია უაღრესად დაუჯერებელია, კერძოდ ის არგუმენტი, რომ თითოეულმა განმცხადებელმა მრავლობითი დაზიანება სხეულის სხვადასხვა ნაწილში ორმეტრიანი კედლიდან ერთხელ საკუთარი ნებით გადახტომის შედეგად მიიღო. ანალოგიურად, შეუსაბამოა მეორე არგუმენტიც პირველსა და მეოთხე განმცხადებლებთან მიმართებით, ვინაიდან მათ ბრალად არ ედებოდათ ციხის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის განწვევა, განსხვავებით მეორე და მესამე განმცხადებლისგან.

სასამართლო-სამედიცინო დასკვნისა და დაზიანებათა რაგვარობის მხედველობაში მიღებით, ასევე განმცხადებელთა დეტალური და თანმიმდევრული განცხადებების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო ადგენს,

⁴⁰ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-189956%22%5D%7D>

რომ მოცემული დაზიანებანი გამოწვეული იყო არასათანადო მოპყრობით პირველი და მეოთხე განმცხადებლების მიმართ დაკავებისას ან/და მომდევნო დღეს.

ევროპული სასამართლო აფასებს, იყო თუ არა მეორე და მესამე განმცხადებლების დაზიანებანი გამოწვეული ფიზიკური ძალის გამოყენებით და იყო თუ არა ეს აუცილებელი კონკრეტულ გარემოებებში.

ვინაიდან ციხის რამდენიმე თანამშრომელმა აღიარა, რომ პირველსა და მეოთხე განმცხადებელს არ გაუწევიათ წინააღმდეგობა, ევროპული სასამართლოსთვის წონადია ამ თანამშრომელთა ჩვენება, რომ მეორე და მესამე განმცხადებლები არ დაემორჩილნენ მათ ბრძანებებს.

ევროპული სასამართლო აცნობიერებს იმ სირთულეებს, რომელთა წინაშეც არიან სახელმწიფოები, რომ დაიცვან წესრიგი და დისციპლინა პენიტენციურ დაწესებულებებში, ასევე იმასაც, დაკავებულთა დაუმორჩილებლობის ერთი შემთხვევა როგორ შეიძლება გადაიზარდოს ამბოხში; დაზიანებანი, რომლებიც მიიღეს განმცხადებლებმა, არ არის მძიმე და არ იმოქმედებს მათს ჯანმრთელობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში დაზიანებების ხარისხი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ისინი მიღებულია პროპორციული ძალის გამოყენების შედეგად. მოვლენები, რომლებიც ახლდა გაქცევის მცდელობას, სპონტანურად განვითარდა. შესაბამისად, ციხის თანამშრომლებმა ალბათ ვერ შეძლეს, მიეღოთ ზომები, რომ თანმხლები დაზიანება ნაკლები ყოფილიყო.

აღნიშნულის გათვალისწინებით ევროპული სასამართლო ვერ დაასკვნის, „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტით, რომ ციხის თანამშრომლებმა მეორე და მესამე განმცხადებლების მიმართ გადამეტებული ძალა გამოიყენეს. ევროპული სასამართლო უყურადღებოდ არ ტოვებს იმ ფაქტს, რომ, განმცხადებელთა თქმით, მათი ცემა ციხის საკანში ამბოხის შემდეგაც გაგრძელდა; თუმცა მწირი სამედიცინო მტკიცებულებებით ვერ ხერხდება დაკავებისას ძალის გამოყენების შედეგად მიღებულ დაზიანებათა და არაადამიანური მოპყრობით გამოწვეულის გამიჯვნა. ევროპული სასამართლოს თვალსაზრისით, გონივრული

ეჭვის მიღმა სტანდარტით ვერ დადგინდება, რომ განმცხადებელს სცემეს კარცერში. ეს ვითარება კი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ეფექტიანად არ გამოიძია განმცხადებელთა საჩივარი.

(ბ) საჩივრის პროცედურული ასპექტი: ხელისუფლებამ მიიღო სხვადასხვა საგამოძიებო ზომა, თუმცა ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ გამოძიება იყო საკმაოდ დამოუკიდებელი, ყოველმხრივი და ეფექტიანი.

ყველა საგამოძიებო ღონისძიება განხორციელდა სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ. იგივე სამინისტრო იყო პასუხისმგებელი პენიტენციურ სისტემაზე. მის დასკვნებს ამტკიცებდა გენერალური პროკურორი დამატებითი გამოძიების ჩატარების გარეშე. ინსტიტუციური კავშირი გამოძიებელსა და იმ პირთა შორის, რომელთაც განმცხადებელი ასახელებდა, როგორც ინციდენტის მონაწილეებს, ევროპული სასამართლოს შეფასებით, იწვევს ლეგიტიმურ ეჭვებს გამოძიების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

ის ფაქტი, რომ პროკურორს არ უცდია, კრიტიკულად შეეფასებინა გამომძიებლის დასკვნა სადავო შემთხვევასთან დაკავშირებით, ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების ეფექტიანობას. ასევე არ შეესაბამება სასამართლო ექსპერტიზა განმცხადებელთა დაზიანებების შესახებ დამოუკიდებლობის სტანდარტების მოთხოვნებს, რადგან ის ჩატარდა იმ გამომძიებლის თანდასწრებით, რომელსაც მოგვიანებით განმცხადებლები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებდნენ.

იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ ჩაატარა სასამართლო ექსპერტიზა განმცხადებელთა დაზიანებების თაობაზე, ევროპული სასამართლო გვერდს ვერ აუვლის ოფიციალური გამოძიებისა და შესაბამის მოწმეთაგან ჩვენების ჩამორთმევის ხანგრძლივობას.

პროკურორის გადანყვეტილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ ეყრდნობოდა ციხის თანამშრომელთა ჩვენებებს. პროკურორს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია იმ პირების

ჩვენებათა სანდოობა, რომლებიც შესაძლოა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას განიზრახავდნენ. ამასთან, მათი დაკითხვა იყო ზერელე, თითოეული მათგანის განცხადება – შაბლონური: ისინი აცხადებდნენ, რომ თვითონ არასათანადოდ არ მოჰყვრობიან ხსენებულ პირთ, ხოლო ფიზიკური ძალა, რომელიც განმცხადებელთა დაკავებისას გამოიყენეს, იყო აუცილებელი. ასევე აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად სასამართლო სამედიცინო დასკვნის ძლიერი მტკიცებულებითი ღირებულებისა, გამოძიებას არც კი უცდია მისი გამოყენება.

გარდა ამისა, გაურკვეველია, ხელისუფლებამ გამოკითხა თუ არა პოტენციურად მნიშვნელოვანი მოწმეები, მაგალითად: ციხის დაცვის თანამშრომელი, რომელსაც, განმცხადებელთა თქმით, ციხის უფროსისგან დავალებული ჰქონდა დაკავების შემდეგ მათთვის ესროლა; გამომძიებელი, რომელმაც, სავარაუდოდ, განმცხადებლებს თავდაპირველ განცხადებათა გაკეთება აიძულა, ან დ.ჩ. – ციხის უფროსი, რომელმაც, სავარაუდოდ, ინციდენტის შემდეგ მალევე მოინახულა განმცხადებლები და სიჩუმის სანაცვლოდ შეწყნარებას დაჰპირდა. სახელმწიფოს არ წარმოუდგენია ზემოთ აღნიშნულ პოტენციურ მოწმეთა განცხადებების რაიმე ასლი, როგორც გამოძიების ნაწილი.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ ხელისუფლებამ 2009 წლის 30 მარტის ინციდენტთან დაკავშირებით ვერ შეძლო დამოუკიდებელი, საფუძვლიანი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება. შესაბამისად, კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი ყველა განმცხადებლის მიმართ დაირღვა.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი: პროცედურული ნაწილის დარღვევა ყველა განმცხადებლის მიმართ;

კონვენციის მე-3 მუხლი: მატერიალური ნაწილის დარღვევა მხოლოდ პირველისა და მეოთხე განმცხადებლის მიმართ;

კონვენციის 41-ე მუხლი: 6000 ევრო თითოეულს პირველისა და მეოთხე განმცხადებლისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანისთვის და 3000 ევრო თითოეულს მეორისა და მესამე განმცხადებლისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანისთვის.

მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

MIKIASHVILI V. GEORGIA
N18996/06; 9.10.2012

იხ. გვერდი X

ციხის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობა: არ არის დარღვევა/ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

ALIEV V. GEORGIA

ალიევი საქართველოს წინააღმდეგ
№522/04; 13.01.2009

პატიმრის მიმართ სავარაუდო არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: დარღვევა

იხ. გვერდი X

დავთიანი საქართველოს წინააღმდეგ⁴¹

DAVTIANI V. GEORGIA
N73241/01; 27.07.2007

თბილისის N1 დანესებულებაში არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა: არ არის დარღვევა

იხ. გვერდი X

⁴¹ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-76531%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-76531%22]})

შამაივი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ SHAMAYEV AND 12 OTHERS V. GEORGIA AND RUSSIA⁴² N36378/02; 12.4.2005;

ეროვნებით ჩივენ პირთა ექსტრადიციის რუსეთში და არაადამიანური მოპყრობის რისკები ამის შედეგად: არ არის დარღვევა;

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა ექსტრადიციის აღსასრულებლად გამოყენებული გზის გამო: დარღვევა;

ფაქტები: განმცხადებლები 2002 წლის აგვისტოში დააკავეს საქართველოში და წაუყენეს ბრალდებები, მათ შორის საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო; ისინი მოათავსეს წინასწარი დაკავების იზოლატორში. მათი სისხლისსამართლებრივი დევნა რუსეთში სხვადასხვა დანაშაულის გამო მიმდინარეობდა, რომელთაგან ერთ-ერთი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. რუსეთის ხელისუფლებამ მათი ექსტრადიციის მოითხოვა. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა კრძალავს პირის ექსტრადიციის ქვეყანაში, სადაც მას სიკვდილით დასჯა ემუქრება, საქართველოს გენერალური პროკურატურა შესაბამისი გარანტიების მოპოვებას შეეცადა. უწყების წარმომადგენლები რუსეთის მხარემ დაარწმუნა, რომ განმცხადებლები სიკვდილით არ დაისჯებოდნენ, რადგან რუსეთს ბოლო ექვსი წელი მორატორიუმი ჰქონდა გამოცხადებული სასჯელის ამ სახეზე და, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საერთო სასამართლოებს ეკრძალებოდათ მისი გამოყენება; ასევე განმცხადებლები არ დაექვემდებარებოდნენ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. 2002 წლის ოქტომბერში საქართველოს ხელისუფლებამ მათ 5 განმცხადებლის ექსტრადიციის დასთანხმდა. რამდენიმე მათგანის ექსტრადიციის უზრუნველსაყოფად განმცხადებლების საკნიდან გამოყვანისას სპეციალურმა დანაყოფმა ფიზიკური ძალა ისეთ გარემოებებში გამოიყენა, რომ ეს შემდეგ სხვადასხვა კუთხით კონვენციის დარღვევის გასაჩივრების საფუძველი გახდა. 2002 წლის 4 ოქტომბერს რუსეთის ხელისუფლებას

გადასცეს ხუთი განმცხადებელი, მიუხედავად ევროპული სასამართლოს მითითებისა რეგლამენტის 39-ე წესის საფუძველზე, რომ ამ პირთა ექსტრადიციისგან თავი შეეკავებინათ. რუსეთში ექსტრადირებულ განმცხადებლებს იზოლაციის პირობებში ამყოფებდნენ. ევროპულმა სასამართლომ რუსეთის მთავრობისგან განმცხადებლების სასარგებლოდ მოიპოვა გარანტიები და პირობა, რომ არ ექნებოდა შეზღუდული მათთან კორესპონდენცია და ადგილზე შეხვედრა. საქართველოს მიმართ გამოყენებული დროებითი ღონისძიება გაუქმდა და იმჯერად ეს მექანიზმი ევროპულმა სასამართლომ რუსეთის მიმართ გამოიყენა, კერძოდ, რეგლამენტის 39-ე წესის საფუძველზე რუსეთის მთავრობას მიუთითა, რომ ექსტრადირებული პატიმრების ადვოკატებისთვის უნდა დაერთოთ ნება, რომ მათ სასამართლო მოსმენის მოსამზადებლად ციხეში შეხვედროდნენ. რუსეთის ხელისუფლებამ არ შეასრულა ეს მითითება და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა იმ ადვოკატთა უფლებამოსილება, რომლებიც განმცხადებლებს წარადგენდნენ. სხვა განმცხადებელთა ექსტრადიციის, რომელიც საქართველოს მთავრობას 2002 წლის ნოემბერში უნდა განეხორციელებინა, ადგილობრივმა სასამართლოებმა შეაჩერეს. ორი განმცხადებელი რუსეთის ხელისუფლებამ 2004 წლის თებერვალში მას შემდეგ დააკავა, რაც ისინი თბილისში გაუჩინარდნენ. ფაქტების დასადგენად ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა საქართველოსა და რუსეთში ვიზიტი განეხორციელებინა. რადგან რუსეთის ხელისუფლებისგან რეაგირება არ ყოფილა, ვიზიტი მხოლოდ საქართველოში შედგა.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი: წინასწარი პრეტენზია: რუსეთის მთავრობა დავობდა, რომ შეუძლებელი იყო ამ საქმის არსებითი განხილვა; ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა განმცხადებელთა საჩივრის ლეგიტიმურობას და მოითხოვდა სამართალწარმოების შეწყვეტას. სიმართლეს შესაბამებოდა ის ფაქტი, რომ ექსტრადირებულ განმცხადებლებს არ ჰქონდათ ხელი მოწერილი იმ ადვოკატების რწმუნებულებათათვის, რომლებიც მათ სასამართლოში წარმოადგენდნენ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს აიხსნებოდა საგანგებო გადაუდებელი ვითარებით და არ შეიძლებოდა მათ წინააღმდეგ გამოყენებულიყო განმცხადებლებმა მოგვიანებით დაადასტურეს, რომ ეთანხმებოდნენ თავიანთი

⁴² [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:\[%22%-22CASE%20OF%20SHAMAYEV%20AND%20OTHERS%20v.%20GEORGIA%20AND%20RUSSIA%22%22\],%22language-isocode%22:\[%22ENG%22\],%22documentcollectionid%22:\[%-22JUDGMENTS%22\],%22itemid%22:\[%22001-68790%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22%-22CASE%20OF%20SHAMAYEV%20AND%20OTHERS%20v.%20GEORGIA%20AND%20RUSSIA%22%22],%22language-isocode%22:[%22ENG%22],%22documentcollectionid%22:[%-22JUDGMENTS%22],%22itemid%22:[%22001-68790%22]})

წარმომადგენლების ქმედებებს სასამართლოს წინაშე. ამასთან, რუსეთის ხელისუფლებამ განმცხადებლების მიერ საჩივრის წარდგენის ობიექტური შემთხვევების ყველა შესაძლებლობა მოსპო, როდესაც არ დაემორჩილა მითითებას დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ.

დასკვნა: წინასწარი პრეტენზია უარყოფილია.

რუსეთში ექსტრადიციის შედეგად სიკვდილით დასჯისა და არაადამიანური მოპყრობის რისკები: ექსტრადიციის მოთხოვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე საქართველოს ხელისუფლება ეცადა, გარანტიები მოეპოვებინა რუსეთის ხელისუფლებისგან, რომ განმცხადებლები დაცული იქნებოდნენ ამ რისკებისგან. ექსტრადიცია განხორციელდა რუსეთის გენერალური პროკურატურისგან მკაფიო გარანტიების მიღების პირობით. საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონდა საფუძველი, ეჭვი შეეტანა მათ სანდოობაში. ისინი დასთანხმდნენ მხოლოდ იმ განმცხადებლების ექსტრადიციაზე, რომელთა ვინაობის დადგენა შესაძლებელი იყო, რომელთაც დაკავებისას, სავარაუდოდ, ჰქონდათ რუსეთის პასპორტები და მათთვის არ იყო განსაზღვრული სიკვდილით დასჯა რუსეთში. ექსტრადირებული განმცხადებლების ფოტოები და მათი საკნები, ციხეში გაკეთებული ვიდეოჩანაწერები და სხვადასხვა სამედიცინო მტკიცებულება, რომლებიც წარმოადგინა რუსეთის ხელისუფლებამ, არ მიუთითებს, რომ განმცხადებლები ექსტრადიციის შემდეგ კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობას დაექვემდებარნენ. ორ განმცხადებელს, რომელთაც წერილობითი ურთიერთობა ჰქონდათ სასამართლოსთან, ასეთი საჩივარი არ წარმოუდგენია. სავარაუდოდ, განმცხადებლების უმეტესობა მოკლებული იყო შესაძლებლობას, რუსეთში ექსტრადიციის შემდგომი ვითარების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინათ ევროპული სასამართლოსთვის ან თავიანთი წარმომადგენლებისთვის. მათი ადვოკატები დავობდნენ, რომ ეროვნებით ჩეჩენი პატიმრების მიმართ ძალადობა ხორციელდებოდა და ეს ხდებოდა მხოლოდ ჩეჩენთში შეიარაღებული კონფლიქტიდან გამომდინარე. მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებანი არ მიუთითებდა, რომ განმცხადებლები პერსონალური მდგომარეობის გამო შესაძლოა კონვენციის მე-3 მუხლთან

შეუსაბამო მოპყრობას დაექვემდებარებოდნენ. არ შეიძლება გამოირიცხოს შესაძლებლობა, რომ განმცხადებლები მართლაც იმყოფებოდნენ არაადამიანური მოპყრობის რისკის წინაშე, თუმცა მათ არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებანი, რომლებიც წარსულის შედეგებს დაადასტურებდა; ხოლო მხოლოდ არაადამიანური მოპყრობის შესაძლებლობა თავისთავად არ წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას თავისი რუსი კოლეგებისგან გარანტიები ჰქონდა მოპოვებული. უფრო მოკლედ: საქმის გარემოებანი არ იძლევა საფუძველს, „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტით დასკვნისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ექსტრადიციის გადაწყვეტილების მიღებისას არსებობდა აშკარა სარწმუნო საფუძველი, რომ ექსტრადიციის შედეგად განმცხადებლები აღმოჩნდებოდნენ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პიროვნული და ნამდვილი საფრთხის წინაშე.

დასკვნა: კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა საქართველოს მიერ ხუთი განმცხადებლის მიმართ.

ბ-ნი გაგლოვის ექსტრადიციის საკითხი: სასამართლომ შეისწავლა იმ განმცხადებლის საქმე, რომლის ექსტრადიციის ბრძანებას 2002 წლის ნოემბერში მოეწერა ხელი, გასაჩივრების შედეგად კი პროცესი შეჩერდა; 2002 წლის ნოემბრის თანმდევი მოვლენების გათვალისწინებით, საქმის მასალებზე დაყრდნობით, რომლებიც ევროპულმა სასამართლომ თავისი ინიციატივით მოიპოვა, დადგინდა, რომ შეფასება, რომლითაც ხელისუფლებამ ექსტრადიციის გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა, იმ დროისათვის აღარ იყო საკმარისი კონვენციით აკრძალული არაადამიანური მოპყრობის ყველა რისკის გამოსარიცხავად.

დასკვნა: კონვენციის მე-3 მუხლი დაირღვევა, თუკი 2002 წლის ნოემბერში მიღებული გადაწყვეტილება ბ-ნი გაგლოვის ექსტრადიციის შესახებ აღსრულდება.

განმცხადებლების **საკნიდან გამოყვანა ძალის გამოყენებით მათი ექსტრადიციის უზრუნველსაყოფად:** განმცხადებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს საკნიდან გამოყვანას და შეიარაღებული იყვნენ სხვადასხვა ნივთით, მათ შორის

აგურებითა და მეტალის ობიექტებით. ხელკეტებით აღჭურვილი სპეციალური დანაყოფის თხუთმეტი წევრის მონაწილეობა შეიძლება განხილულ იქნეს აუცილებლობად უნესრიგობის თავიდან აცილებისა და უსაფრთხოებისათვის; მაგრამ ხელისუფლების დამოკიდებულებამ და გზამ, რომელიც მათ აირჩიეს ექსტრადიციის აღსასრულებლად, განმცხადებლებს წინააღმდეგობისკენ უბიძგა. ჯერ ერთი, ისინი არ ყოფილან ოფიციალურად ინფორმირებული ექსტრადიციის შესახებ; მეორეც, ციხის ზედამხედველებმა მათ ცრუ მიზეზით მოსთხოვეს საკნის დატოვება; ბოლოს, განმცხადებლებმა, რომელთაც ჰქონდათ შიშის რეალური საფუძველი, რომ დაექვემდებარებოდნენ არაადამიანურ მოპყრობას და მათ სიცოცხლეს საფრთხე შეექმნებოდა, თავი იგრძნეს საფანგში მომწყვდეულებად. ასეთ გარემოებებში ფიზიკური ძალის გამოყენება არ შეიძლება პატიმრების ქცევით იყოს გამართლებული. პროცედურული გარანტიების არარსებობა, განმცხადებლების იგნორირება (არც კი შეატყობინეს, რა ბედი ეწოდათ), დისტრესი და გაურკვევლობა, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ, გზა, რომლითაც ექსტრადიციის აღსრულება გადაწყვიტა ხელისუფლებამ, პრობლემას თავისთავად კონვენციის მე-3 მუხლის ქრილში აყენებს. საგულისხმოა, რომ მენტალურ ტანჯვასთან ერთად სპეციალური ძალების მიერ ზოგიერთი განმცხადებლისათვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებანი იყო ძალიან სერიოზული, მაგრამ სამედიცინო შემონმება და მკურნალობა არ ჩატარებულა. სწორედ ეს ტანჯვა შეადგენს არაადამიანურ მოპყრობას.

დასკვნა: კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა თერთმეტი განმცხადებლის მიმართ იმ მოპყრობის გამო, რომელიც მათ განიცადეს 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს.

კონვენციის მე-2 მუხლი – არაფერი ადასტურებს მტკიცებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ექსტრადიციის გადაწყვეტილების მიღებისას არსებობდა მნიშვნელოვანი და სათანადოდ დასაბუთებული სარწმუნო მიზეზები, რომ განმცხადებლები სასჯელის აღსრულებას სასამართლოს გარეშე დაექვემდებარებოდნენ.

დასკვნა: არ არის დარღვევა 5 ექსტრადირებული განმცხადებლის მიმართ.

ექსტრადიციის აღსრულება ისე, რომ მომჩივნებს არ შეატყობინეს ამ ზომის შესახებ: დარღვევა

მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლები ექსტრადიციის მიზნით არ ყოფილან დაკავებული. ისინი დააკავეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით.

დასკვნა: მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: არ არის დარღვევა.

მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი: საქართველოს ხელისუფლებამ არ შეატყობინა განმცხადებლებს, რომ მიმდინარეობდა მათი ექსტრადიციის პროცესი; განმცხადებელთა ადვოკატებს ხელი არ მიუწვდებოდათ ექსტრადიციის მასალებზე კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საწინააღმდეგოდ. ამ ფაქტმა მათ ასევე უფლება წაართვა, პატიმრობა ექსტრადიციის კონტექსტში გაესაჩივრებინათ, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით.

დასკვნა: კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი: დარღვევა ყველა განმცხადებლის მიმართ;

კონვენციის მე-13 მუხლი მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთად: განმცხადებლების 2002 წლის ოქტომბერში ექსტრადირებისას მათი ადვოკატები არ ყოფილან ინფორმირებული ექსტრადიციის მიმდინარე პროცესის შესახებ; პასუხისმგებელმა პირებმა გაუმართლებლად შეაფერხეს მათი მხრიდან სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენება, რაც თეორიულად ხელმისაწვდომი იყო მათთვის.

დასკვნა: კონვენციის მე-13 მუხლი მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთად: დარღვევა ყველა განმცხადებლის მიმართ.

კონვენციის 34-ე მუხლი ექსტრადიციის შემდეგ განმცხადებლები იზოლაციაში აღმოჩნდნენ. რუსეთის ხელისუფლებამ მათ წარმომადგენლებს არ დართო მონახულების ნება, მიუხედავად ევროპული სასამართლოს მკაფიო მითითებისა, რომ ასე არ მოქცეულიყო. ევროპულმა სასამართლომ ასევე ვერ შეძლო

მათ დასაკითხავად და ფაქტების დასადგენად ვიზიტის განხორციელება. ექსტრადირებულ განმცხადებლებთან მხოლოდ წერილობითი კომუნიკაციის საფუძველზე ევროპული სასამართლო არ იყო იმ მდგომარეობაში, რომ არსებითად განეხილა რუსეთის წინააღმდეგ საჩივარი. მტკიცებულებათა მოპოვების პროცესი ჩაიშალა. სირთულეებმა, რომელთა წინაშეც განმცხადებლები ექსტრადირაციის შემდეგ აღმოჩნდნენ, მათ არსებითად შეუშალა ხელი გასაჩივრების უფლების ეფექტიან განხორციელებაში, რომელიც კონვენციის 34-ე მუხლით არის გარანტირებული. სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის დარღვევით საქართველომ უარი თქვა თავისი ვალდებულების შესრულებაზე.

დასკვნა: კონვენციის 34-ე მუხლი: დარღვევა ყველა განმცხადებლის მიმართ.

შენიშვნა: ამ საქმეში ექსტრადირებული განმცხადებლები ასევე მოითხოვდნენ რუსეთის მიერ კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის დადგენას, ვინაიდან ისინი იზოლაციაში იმყოფებოდნენ, წარმომადგენლებთან კონტაქტის გარეშე. ევროპულმა სასამართლომ ვერ შეძლო აღნიშნულის დადგენა, რადგან ვიზიტი ვერ განხორციელდა, ხოლო წარდგენილი მასალები მწირი იყო. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი ბარიერების შექმნითა და ევროპული სასამართლოსთვის ხელის შეშლით რუსეთმა **კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან** მომდინარე მოვალეობანი დაარღვია.

ევროპულმა სასამართლომ რუსეთის მიერ 7 განმცხადებლის მიმართ **კონვენციის 34-ე მუხლის** დარღვევაც დაადგინა შემდეგი საფუძვლით: მართალია, ევროპული სასამართლო წერილებს უგზავნიდა ექსტრადირებულ განმცხადებლებს, მაგრამ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მათ არ ჰქონდათ მიმონერის თავისუფლება, რომ დაეზუსტებინათ საჩივრის დეტალები. უფრო მეტიც, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, რუსეთში ის განმცხადებლები დაეკითხა, რომლებიც სასამართლოს დელეგაციის თბილისში ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე გაუჩინარდნენ და რუსეთის ხელისუფლებამ 3 დღის შემდეგ დააკავა. რუსეთის მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა ხელი შეუშალა განმცხადებლების მიერ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ეფექტიან რეალიზებას.

იხ. აგრეთვე: *Orhan v. Turkey*, no. 25656/94, 18 June 2002; *Calan v. Turkey* no. 46221/99, 14 December 2000, *Čonka v. Belgium*, no. 51564/99, 5 February, 2002 *Bozano v. France*, no 9990/82, 18 December 1986, *Nsona v. the Netherlands*, 63/1995/569/655 28 November 1996, *Caloc v. France*, no. 33951/96, 1 January 2000 *Chahal v. United Kingdom*, 70/1995/576/662, 15 November, 1996; *Berktaş v. Turkey*, №22493/93, 1 March 2001; *Farbutys v. Lithuania*, № 4672/02, 2 December 2004; *Poltoratskiy v. Ukraine*, № 38812/97, 29 April, 2003; *Assenov and others v. Bulgaria*, N90/1997/874/1086; 28 October 1998; *Martinez Sala and others v. Spain*, N 58438/00, 2 November, 2004. *Ognyanova and Choban v. Bulgaria*, no. 46317/99, 23 February 2006; *Antipenkov v. Russia*, no. 33470/03, 15 October 2009; *Buntov v. Russia*, no. 27026/10, 5 June 2012; *Identoba and Others v. Georgia*, no. 73235/12, 12 May 2015; *Matko v. Slovenia*, no. 43393/98, 2 November 2006; *Osman Karademir v. Turkey*, no. 30009/03, 22 July 2008; and *Lopata v. Russia*, no. 72250/01, 13 July 2010; *Thuvo v. Cyprus*, no. 3869/07, 4 April 2017; *Berliński v. Poland*, nos. 27715/95 and 30209/96, 20 June 2002; *Kurnaz and Others v. Turkey*, no. 36672/97, 24 July 2007; *Spinov v. Ukraine*, no. 34331/03, 27 November 2008; *Barta v. Hungary*, no. 26137/04, 10 April 2007; *Gömi and Others v. Turkey*, no. 35962/97, 21 December 2006; *Sapožkovs v. Latvia*, no. 8550/03, 11 February 2014; *Tali v. Estonia*, no. 66393/10, 13 February 2014 *Tüzün v. Turkey*, no. 24164/07, 5 November 2013.

წარუმატებლობა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

ეფექტიანი გამოძიება

იდენტობა და სხვაები – საქართველო⁴³

IDENTOBA AND OTHERS -GEORGIA № 73235/12 ;12.5.2015

ხელისუფლების ორგანოების წარუმატებლობა მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვაში, მათში აღძრული შიში და ტანჯვა და ინციდენტის ეფექტიანი გამოძიე-

⁴³ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22Identoba%22%22%22documentcollectionid%22%3A%22GRAND-CHAMBER%22%22CHAMBER%22%22itemid%22%3A%22001-154400%22%7D>

ბის არარსებობა – თავდამსხმელების დისკრიმინაციული მოტივის დაუდგენლობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები არიან არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“, რომელიც საქართველოში დაარსდა ლგბტ საზოგადოების მხარდასაჭერად, და 14 პირი. 2012 წლის 17 მაისს პირველი განმცხადებლის ორგანიზებით თბილისში გაიმართა ჰომოფობიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდა დაახლოებით 30 პირი, მათ შორის – განმცხადებლები. ღონისძიების დროს მათ თავს დაესხა და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კონტრაქციის მონაწილეთა უფრო დიდმა ჯგუფმა. ბოლოს პოლიციამ დააკავა ოთხი განმცხადებელი. ერთი მათგანი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს ოცი წუთით და სამს საპატრულო პოლიციის მანქანით ატარებდნენ, რათა ისინი მოერიდებინათ შემთხვევის ადგილისთვის და ძალადობისგან დაეცვათ. ამ მოვლენების შემდეგ განმცხადებლებმა არაერთი საჩივრით მიმართეს პროკურატურას, რათა დაეწყოს გამოძიება კონტრდემონსტრანტების მიერ დისკრიმინაციული შეუწყნარებლობის მოტივით განხორციელებული თავდასხმის ფაქტებზე. განმცხადებლები აგრეთვე მოითხოვდნენ პოლიციის თანამშრომელთა უმოქმედობის ფაქტების გამოძიებას, რადგან მათ ვერ შეძლეს დემონსტრაციის მონაწილეების დაცვა თავდასხმებისგან. ორი განმცხადებლის სხეულის დაზიანების ფაქტებზე 2012 წელს დაიწყო ორი გამოძიება, რომლებიც დღემდე უშედეგოდ გრძელდება. ცამეტი განმცხადებელი ფიზიკური პირი (მეორიდან მეთოთხმეტის ჩათვლით) დავობდა, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა ისინი კონტრდემონსტრანტების ძალადობრივი თავდასხმებისგან 2012 წლის 17 მაისის მშვიდობიანი მსვლელობისას ვერ დაიცვეს და არ ჩაატარეს ამ ინციდენტის ეფექტიანი გამოძიება, რაც გულისხმობდა თავდამსხმელების დისკრიმინაციული მოტივის დადგენას.

სამართალი – კონვენციის მე-3 მუხლი მე-14 მუხლთან ერთად:

(ა) მიაღწია თუ არა განმცხადებლებზე განხორციელებულმა თავდასხმამ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს?

საქართველოში ლგბტ პირების უფლებათა შესახებ სხვადასხვა ანგარიშის გათვალისწინებით ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ისინი მოწყვლად მდგომარეობაში არიან. მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მეტნაკლებად გავრცელებული მიდგომაა ქართული საზოგადოების გარკვეულ წრეებში. ეს გამოიკვეთა იმ ფონზე, როდესაც 2012 წლის 17 მაისის ინციდენტს დისკრიმინაციული იერი ჰქონდა და განმცხადებლები, როგორც დისკრიმინაციის სამიზნე ჯგუფი, დაუცველნი აღმოჩნდნენ.

ჰომოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართული მსვლელობის მონაწილეთა, მათ შორის ცამეტ განმცხადებელსა და ორ რელიგიურ ჯგუფს – „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირსა“ და „წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საძმოს“ – შორის მომხდარი დაპირისპირების დროს, ეს უკანასკნელი მიმართავდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას განმცხადებლების მიმართ მათთვის „პიდარასტების“, „გარყვნილების“ და ა.შ. წოდებით. კონტრდემონსტრანტების რეპლიკების ჰომოფობიური კონოტაცია ასევე აშკარა გახდა, როდესაც ისინი ზიზღით ხევდნენ და ანადგურებდნენ ლგბტ დროშებსა და პლაკატებს. განრისხებული კონტრდემონსტრანტები შეკრების მონაწილეების მიმართ მიმართავდნენ მუქარას, მათ შორის სიცოცხლის მოსპობისას – „გასრესის“ და „ცოცხლად დაწვისას“. სიტყვიერ თავდასხმას მოჰყვა ფიზიკური თავდასხმა რამდენიმე განმცხადებელზე.

ასეთ ვითარებაში ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხი – მიაღწია თუ არა განმცხადებლებს სხეულის გარკვეული სიმძიმის დაზიანება – ნაკლებად რელევანტურია. ცამეტივე მათგანი სიძულვილის ენისა და აგრესიის სამიზნე გახდა, რასაც მთავრობა არც ხდის სადავოდ. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლები გარშემორტყმული იყვნენ განრისხებული ბრბოთი, რომელიც მათ რაოდენობრივად აღემატებოდა და სიკვდილით ემუქრებოდა, ხოლო შიგადაშიგ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადადიოდა, რაც მეტყველებს განხორციელებული მუქარის რეალურ ხასიათსა და მკაფიო ჰომოფობიურ განწყობაზე, როგორც დამამძიმებელ გარემოებაზე, საკმარისი იყო, რომ არსებულ ვითარებას ძლიერი შიში და მღელვარება აღეძრა. სიტყვიერი თუ ზოგჯერ

გამოყენებული ფიზიკური შეურაცხყოფის მიზანი აშკარად განმცხადებლების დაშინება იყო, რათა მათ შეეწყვიტათ ლგბტ საზოგადოების მიმართ თავიანთი მხარდაჭერის საჯარო გამოხატვა. განმცხადებლების ემოციური მდგომარეობა კიდევ უფრო უნდა დაემძიმებინა იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ მსვლელობის დაწყებამდე დაპირებული დაცვა პოლიციისაგან არ იქნა დროულად და ადეკვატურად უზრუნველყოფილი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლების მიმართ ჩადენილი საქციელი მათში ინვევდა შიშს, ტანჯვასა და დაუცველობას, რაც არ შეესაბამება ადამიანის ღირსების პატივისცემას და აღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რომელსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-3 მუხლი მე-14 მუხლთან ერთად.

(ბ) უზრუნველყვეს თუ არა სახელმწიფო ორგანოებმა განმცხადებლების სათანადო დაცვა?

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და პოლიციის ორგანოები სათანადო წესით იყვნენ ინფორმირებულნი ლგბტ საზოგადოების მიერ თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე მსვლელობის გამართვის განზრახვის შესახებ. ორგანიზატორებმა მოითხოვეს, რომ პოლიციას ჰომოფობიური და ტრანსფობიური იდეოლოგიის მქონე მოსახლეობის მოსალოდნელი პროტესტისგან მათი დაცვა უზრუნველყო. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ლგბტ საზოგადოების მიმართ მტრული დამოკიდებულების ისტორიას, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ – ან უნდა სცოდნოდნენ – იმ რისკების შესახებ, რომლებიც საზოგადოების აღნიშნული მონყვლადი ჯგუფის მიერ საჯარო მსვლელობის ჩატარებას უკავშირდებოდა, შესაბამისად, მათ ეკისრათ გაძლიერებული სახელმწიფო დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება.

ის ფაქტი, რომ ისედაც მცირერიცხოვანი საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, თავიდანვე, სიტყვიერი თავდასხმების დაწყებისას, გაემიჯნენ აქციაზე მყოფ დემონსტრანტებს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ქმნიდა ვითარებას, რომ დაძაბულობა გადაიზრდებოდა ფიზიკურ

დაპირისპირებაში. ბოლოს და ბოლოს, როდესაც პოლიციის თანამშრომლებმა ჩარევა გადანყვიტეს, განმცხადებლები და სხვა მონაწილეები უკვე სიტყვიერადაც შეურაცხყოფილი იყვნენ და ფიზიკურადაც. ნაცვლად იმისა, რომ აღეკვეთათ ყველაზე აგრესიულ კონტრდემონსტრანტთა ქცევა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მსვლელობის მშვიდობიანი გაგრძელება, პოლიციის დაგვიანებული ჩარევა იმ განმცხადებელთა დაკავებასა და ევაკუაციაშიც გამოიხატა, რომლებიც თავად წარმოადგენდნენ მსხვერპლს და დაცვას საჭიროებდნენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ 2012 წლის 17 მაისს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ცამეტი განმცხადებლის ადეკვატური დაცვა კერძო პირების მიერ განხორციელებული სიძულვილით მოტივირებული თავდასხმებისგან.

(გ) ჩატარდა თუ არა ამ ინციდენტის ეფექტიანი გამოძიება?

მსვლელობის მონაწილეებმა, მათ შორის ცამეტმა განმცხადებელმა, კონტრდემონსტრანტების მიერ არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის მიმართ პოლიციის უმოქმედობასთან დაკავშირებით საჩივარი ინციდენტის მეორე დღესვე, 2012 წლის 18 მაისს, შეიტანეს. იმავე წლის 3 და 5 ივლისს განმცხადებლებმა კვლავ მოითხოვეს გამოძიების დაწყება. მიუხედავად ამისა, შესაბამისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, ინციდენტის გარემოებების ამომწურავი და მნიშვნელოვანი გამოძიების ნაცვლად, გაურკვეველი მიზეზებით შეამცირეს გამოძიების ფარგლები და მხოლოდ ორი განმცხადებლისთვის მიყენებულ სხეულის დაზიანების ფაქტზე აღძრეს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საქმეები. ამ საქმეებზე გამოძიება ორ წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა, მაგრამ – უშედეგოდ. ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროისთვის გამოძიება კვლავ საწყის ეტაპზე იყო და განმცხადებლებს დაზარალებულის სტატუსიც კი არ ჰქონდათ მინიჭებული. ერთადერთი მიღწეული შედეგი ორი კონტრდემონსტრანტისთვის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის ადმინისტრაციული წესით დაახლოებით 45 ევროს ოდენობის ჯარიმის დაკისრება იყო; თუმცა განმცხადებლების

მიმართ ჩადენილი გაუმართლებელი ძალადობის დონისა და აგრესიის გათვალისწინებით ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი მსუბუქი ადმინისტრაციული სანქცია არ არის საკმარისი, რომ სახელმწიფომ კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე თავისი პროცედურული ვალდებულება შეასრულოს. მისი შეფასებით, არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე ნორმა, რომლებიც გამოძიების დასაწყებად უფრო შესაფერის სამართლებრივ საფუძვლად გამოდგებოდა, სახელდობრ: ცემა, სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა და შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფა. გარდა ამისა, თავდამსხმელთა ვინაობის დადგენაც იყო შესაძლებელი. ჯერ ერთი, უკვე ცნობილი იყო ფაქტი, რომ კონტრდემონსტრანტები წარმოადგენდნენ რელიგიურ ორგანიზაციებს – „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირსა“ და „წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საძმოს“. ასევე შეტაკების ვიდეოჩანაწერებზე აღბეჭდილია ამ ორი რელიგიური ჯგუფის ყველაზე აგრესიული წარმომადგენლების მკაფიო გამოსახულებები.

რაც მთავარია, ადგილობრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობა გარკვევით მიუთითებს, რომ დანაშაულის ჩადენა სქესობრივი ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გამოძიება ამ მიმართულებით უნდა ჩაეტარებინათ და მიეღოთ ყველა გონივრული ზომა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული ჰომოფობიური მოტივის გამოსავლენად. აუცილებელი იყო 2012 წლის 17 მაისს მომხდარი თავდასხმის დისკრიმინაციული საფუძვლის სრული გამოძიება, ერთი მხრივ, ლგბტ საზოგადოების მიმართ არსებული მტრული დამოკიდებულებისა და, მეორე მხრივ, თავდამსხმელების ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოხატვის გამო. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მკაცრი მიდგომის გარეშე დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი ყველა დანაშაული გაუთანაბრდება ორდინარულ დანაშაულს, რომელიც სიძულვილით განპირობებულ დანაშაულთა მიმართ დუმილით თანხმობის ან წაქეზების ტოლფასი იქნება.

სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული იყვნენ, დაეცვათ დემონსტრაციის მონაწილენი, მათ შორის განმცხადებლები, რაც მათი მხრიდან არ მომხდარა. ხელისუფლების ორგანოების წინაშე დადგა პროცედურული ვალდებულების საკითხი, გამოეძიებინათ 2012 წლის 17 მაისის ინციდენტთან დაკავშირებული სამართალდარღვევანი და ხაზი გაესვათ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა და ჰომოფობიური ძალადობის ჩამდენ პირთა გამოაშკარავების აუცილებლობისთვის. სრულფასოვანი გამოძიების არარსებობის პირობებში ქვეყნისთვის რთული იქნება, რომ მომავალში უზრუნველყოს მშვიდობიანი დემონსტრაციების დაცვა. ეს კი ძირს უთხრის სახელმწიფოს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის მიმართ საზოგადოების ნდობას.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლი მე-14 მუხლთან

ერთად: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: ორგანიზაცია

„იდენტობას“ 1500 ევრო, ორ განმცხადებელს – თითოეულს 4 000-4 000 ევრო; ორ განმცხადებელს – თითოეულს 3 000-3 000 ევრო; დანარჩენ განმცხადებლებს – თითოეულს 2 000 ევრო.

შენიშვნა: აგრეთვე დადგინდა **კონვენციის მე-11 მუხლის მე-14 მუხლთან ერთად დარღვევა; იხ. წინამდებარე პუბლიკაციის 1-ლი ნაწილი**

იხ. აგრეთვე: Milanović v. Serbia, no. 44614/07, §§ 84 and 89, 14 December 2010; Gäfgen v. Germany, no. 22978/05, 1 June 2010, Eremia v. the Republic of Moldova, no. 3564/11, 28 May 2013; East African Asians v. the United Kingdom, nos. 4403/70, 14 December 1973, Farbutuhs v. Latvia, no. 4672/02, 2 December 2004; T.M. and C.M. v. the Republic of Moldova, no. 26608/11, 28 January 2014; Stoica v. Romania, no. 42722/02, 4 March 2008; Mudric v. the Republic of Moldova, no. 74839/10, 16 July 2013.

მუხლი 5

მუხლი 5.1

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა. მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლოს მიერ;

ბ. კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შესრულებლობისათვის ანდა კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

გ. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენისა თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

დ. არასრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელი ბრძანებისა ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

ე. პირის კანონიერი დაპატიმრება გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მანანალის კანონიერი დაპატიმრება;

ფ. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, აგრეთვე იმისა, ვის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებანი მისი გაძევების (დეპორტაცია) ან გადაცემისათვის (ექსტრადიცია).

დაკავება კანონით დადგენილი წესით

არქანია საქართველოს წინააღმდეგ
ARKANIA V. GEORGIA
N2625/12 ; 25.06.2020

პირის დაკავება ოფიციალური დოკუმენტის გაფორმების გარეშე: დარღვევა

იხ. გვ. X

ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ
BAISUEV AND ANZOROV V. GEORGIA⁴⁴
N39804/04; 18.12. 2012

დაკავება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლისა და დოკუმენტურად გაფორმების გარეშე: დარღვევა

დაკავება თავისუფლების აღკვეთის მიზნების განმარტების გარეშე: დარღვევა

ფაქტები:

განმცხადებლები – ადამ ბაისუევი და რუსტამ ანზოროვი არიან ჩეჩნური წარმოშობის რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც თბილისში ლტოლვილების სტატუსით ცხოვრობდნენ. მათი განცხადებით, 2002 წლის 7 დეკემბერს, დილაადრიან, პოლიციელები მივიდნენ მათთან სახლში, დაკითხეს, გაჩხრიკეს მათი საცხოვრებელი ორდერის წარდგენის გარეშე, წაიღეს მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და უთხრეს, წაჰყოლოდნენ პოლიციის განყოფილებაში. იქ განმცხადებლებს გადაუღეს ფოტოები, დაუსვეს კითხვები ჩეჩნეთის რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით და აუღეს თითის ანაბეჭდები; 3 საათის შემდეგ გაათავისუფლეს და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები დაუბრუნეს.

⁴⁴ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22CASE%20OF%20BAISUEV%20AND%20ANZOROV%20v.%20GEORGIA%22%22%7D,%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%22%7D,%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%22%7D,%22itemid%22:%5B%22001-115302%22%7D%7D>

მთავრობა არ დაეთანხმა განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილ ვერსიას. მათ განაცხადეს, რომ 2002 წლის 7 დეკემბერს პოლიციის თანამშრომლები განმცხადებელთა სახლში მივიდნენ თბილისში რეგისტრაციის გარეშე მცხოვრები ადამიანების პირადობის შემოწმების მიზნით; სთხოვეს მათ ნაპყლოდნენ პოლიციის განყოფილებაში, სადაც მათი პირადობისა და ლტოლვილის ბარათები შეამოწმეს. მთავრობამ უარყო განმცხადებელთა სახლის ჩხრეკისა და სხვა საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების ფაქტი. მთავრობის განცხადებით, განმცხადებლებმა სულ 30 წუთი დაჰყვეს პოლიციაში.

განმცხადებლების არაერთგზისი მოთხოვნის შემდეგ, 2005 წელს, დაიწყო წინასწარი გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, რომელიც გულისხმობდა 2002 წლის 7 დეკემბერს ჩეჩენური წარმოშობის რუსეთის მოქალაქეების უკანონო მიყვანას პოლიციაში. მთავრობამ იკისრა ვალდებულება ევროპული სასამართლოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ, თუმცა ეს პირობა არ შეუსრულებია.

განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე ასაჩივრებდნენ მათი დაკავების კანონიერებას.

სამართალი: მე-5 მუხლის პირველი პუნქტი:

ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ მხარეთა დავის საგანია პოლიციაში განმცხადებლების ყოფნის ხანგრძლივობა. განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ იქ დაჰყვეს 3 საათი, მთავრობამ კი მიუთითა 30 წუთი. ოფიციალური დოკუმენტის არარსებობის პირობებში უპირატესობა ენიჭება განმცხადებლის პოზიციას, ვინაიდან მთავრობის ვალდებულებაა წარმოადგინოს დეტალური ახსნა-განმარტება და მტკიცებულებანი.

განმცხადებელთა ვერსია მათი დაკავების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით დადასტურებულია სხვა ჩეჩენი ლტოლვილების მიერ, რომლებიც წაიყვანეს იმავე სამმართველოში, აგრეთვე – განმცხადებელთა მუდმივი პრეტენზიებით შიდა სამართალწარმოების პროცესში. ამონარიდები შესაბამისი საერთაშორისო ანგარიშებიდან აგრეთვე მიუთითებს 2002 წლის 7 დეკემბერს 100 ჩეჩენი მოქალაქის დაკავებასა და დაკითხვაზე. მთავრობამ ვერ წარმოადგინა განმცხადებელთა

დაკავებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები ან რაიმე მტკიცებულება. შესაბამისად, სასამართლოსთვის მისაღებია პოზიცია, რომ განმცხადებლები პოლიციის განყოფილებაში 3 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

ევროპულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, „აღეკვითათ თუ არა თავისუფლება“ განმცხადებლებს დროის ამ მონაკვეთში. მის ხელთ არსებული ინფორმაციის სიმწირისა და ოფიციალური ჩანაწერების არარსებობის გამო შეუძლებელია დეტალურად გაირკვეს განმცხადებელთა დაკავების გარემოებანი. მიუხედავად ამისა, სასამართლოსთვის ეჭვგარეშეა, რომ განმცხადებლებს ჩამოართვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და წაიყვანეს პოლიციაში, სადაც ისინი დაკითხეს. მათთვის არ დაუდვიათ ხელბორკილები, არ მოუთავსებიათ საკანში; თუმცა მათ არ შეეძლოთ თავისუფლად დაეტოვებინათ პოლიციის შენობა.

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში იძულების ელემენტის არსებობის გათვალისწინებით, და დაკითხვის შედარებით მოკლე პერიოდის მიუხედავად, განმცხადებლებს აღკვეთილი ჰქონდათ თავისუფლება კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით.

სასამართლომ უნდა გაარკვიოს, იყო თუ არა განმცხადებელთა დაკავება თვითნებური.

მოცემულ საქმეზე მთავრობამ მიუთითა პოლიციის აქტის მე-8 მუხლზე და პრეზიდენტის N634 დეკრეტის მე-3 და მე-5 მუხლებზე, როგორც განმცხადებელთა დაკავების სამართლებრივ საფუძვლებზე. სასამართლო არ მიიღებს აღნიშნულ არგუმენტს ორი ხარვეზის გამო: პირველი – არც ერთი დოკუმენტი არ არის დაკავების საფუძველი მსგავს შემთხვევებში; მეორე – მთავრობა ვერ ამტკიცებს, რომ იმ პირობებში, როდესაც განმცხადებლებმა წარმოადგინეს პირადობისა და ლტოლვილის მოწმობები პოლიციის მოთხოვნისთანავე, ნამდვილად არსებობდა პოლიციაში მათი გადაყვანის საჭიროება.

შესაბამისად, არ დასახელებულა საფუძველი, რომელიც განმცხადებელთა თავისუფლების აღკვეთას კონვენციის მე-5 მუხლით გათვალის-

წინებულ საგამონაკლისო შემთხვევებში მოაქცევდა; მეტიც, განმცხადებელთა თავისუფლების აღკვეთა საერთოდ არ იყო დოკუმენტურად გაფორმებული. ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ, თავისუფლების აღკვეთის რეალური ხანგრძლივობის მიუხედავად, პირის დაკავება, რომელიც არ არის ოქმში აღნიშნული, წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი გარანტიების სრულ უგულებელყოფას და მიუთითებს ამ დებულების არსებით დარღვევაზე.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მთავრობის არგუმენტზე, რომელიც საქართველოში იმ დროისთვის არსებულ უსაფრთხოების ამოცანას ეხება და აღნიშნავს, რომ შესაბამის ორგანოებს უწევდათ მკაცრი კონტროლის დაწესება საქართველოს ტერიტორიაზე უცხო პირთა შემოსვლასა და ყოფნაზე. ეს გულისხმობდა პირთა ვინაობისა და სამართლებრივი სტატუსის გაძლიერებულ დადგენას. ევროპული სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ საქმის განსაკუთრებულ გარემოებათა გათვალისწინების შემთხვევაშიც კი მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი არ იძლევა პირის თავისუფლების უფლებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს შორის ბალანსის საშუალებას. მთავრობის არგუმენტი არ ეთავსება პრინციპს, რომლის თანახმად, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს გამონაკლისთა ამომწურავ სიას და მხოლოდ მათი ვინაობა ინტერპრეტაცია შეესაბამება მე-5 მუხლის მიზნებს.

აქედან გამომდინარე, განმცხადებელთა დაკავებას არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, თვითნებურია და, შესაბამისად, დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი: მოცემულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელთა მდგომარეობა 2002 წლის 7 დეკემბერს იყო თავისუფლების აღკვეთა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით. ის ფაქტი, რომ მათ დაკავებისას თუ გათავისუფლებისას არ გადასცეს დაკავების მიზეზთა ამსახველი დოკუმენტი, ამყარებს განმცხადებელთა ბრალდებას, რომ ისინი იყვნენ სრულ გაურკვევლობაში. ჩატარებული დაკითხვა და სხვა საგამოძიებო ქმედებანი კიდევ უფრო აძნელებდა ამ მდგომარეობას. შესაბამისად,

დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ელემენტარული გარანტია – ყოველმა პირმა იცოდეს, რატომ აღეკვეთა თავისუფლება.

დასკვნა:

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;
კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი: დარღვევა;
კონვენციის 41-ე მუხლი: 500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 100 ევრო განუელი ხარჯებისა და დანახარჯებისათვის.

კაკაბაძე და სხვები – საქართველო ⁴⁵ KAKABADZE AND OTHERS - GEORGIA №1484/07; 02.10.2012

სასამართლოს ეზოში მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების დაკავება 3 საათის განმავლობაში და 30-დღიანი პატიმრობის შეფარდება, რომელიც არ ეფუძნებოდა საკმარისად მკაფიო და განჭვრეტად სამართლებრივ ნორმებს და განხორციელდა თვითნებურად: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები – ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი და დავით დალაქიშვილი იყვნენ ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები. 2006 წლის 29 ივნისს ისინი შეიკრიბნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში და გამართეს საპროტესტო აქცია სატელევიზიო არხ „202“-ის მფლობელების – შალვა რამიშვილისა და დავით კობხიძის მიმდინარე სასამართლო პროცესთან დაკავშირებით. მათ მოითხოვეს ბრალდებულების, როგორც უკანონოდ დაკავებულების, დაუყოვნებლივ განთავისუფლება და მოუწოდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, „არ გამხდარიყო [შს მინისტრის] კრიმინალური ქმედებების თანამონაწილე“. პირველმა განმცხადებელმა დამცინავად მიმართა შს მინისტრ ვ.მ-ს და „ლავერენტი ბერიას ნაბიჭვარი“ უწოდა. მისი სიტყვა

⁴⁵ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Kakabadze%22%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22itemid%22:%5B%22001-113300%22%22%22%7D>

გაგრძელდა დაახლოებით სამ წუთს, რის შემდეგაც სასამართლოს მანდატურის თანამშრომლებმა წინასწარი გაფრთხილების ან განმარტების გარეშე განმცხადებლები ძალის გამოყენებით დააკავეს.

2006 წლის 29 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ქ-ნმა ე. ტ-მ საჯარო და ზეპირი მოსმენის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლების 30 დღით დაპატიმრების შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე. განკარგულებაში აღნიშნული იყო, რომ ის არ საჩივრდებოდა. ზემოთ მითითებული სამართლებრივი ნორმის მოქმედება მოგვიანებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა. განმცხადებლებმა საჩივრით მიმართეს უზენაეს სასამართლოს. ამ უკანასკნელმა 2006 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო დებულების შეჩერება განმცხადებლებს ავტომატურად არ აძლევდა უფლებას, გაესაჩივრებინათ დაკავების კანონიერება; თუმცა იმის აღიარებით, რომ მათი პატიმრობა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, იყო ადმინისტრაციული სახდელი, საჩივარი შეიძლებოდა განხილულიყო ასკ-ის 279-ე მუხლის საფუძველზე. მოსამართლემ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება კანონიერად ცნო და მას სრულად დაეთანხმა. განმცხადებლები მხოლოდ პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ გათავისუფლდნენ. ევროპული სასამართლოს წინაშე სხვა სავარაუდო დარღვევებთან ერთად მათ გაასაჩივრეს პატიმრობის კანონიერება.

სამართალი: კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განმცხადებელთა დაკავება და სააპელაციო სასამართლოს სამორიგეო ოთახში ჩაკეტვა, ისევე როგორც მათთვის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ პატიმრობის შეფარდება, შეადგენს თავისუფლების აღკვეთის უწყვეტ მდგომარეობას კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. ეს პერიოდი შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: 1. მოსამართლის წინაშე განმცხადებელთა წარდგენამდე; 2. მოსამართლის მიერ მათი დაპატიმრების სანქციის გაცემის შემდეგ – 2006 წლის 29 ივნისის განკარგულების საფუძველზე.

განმცხადებელთა თავისუფლების აღკვეთის პირველ ეტაპთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მისაღებია არგუმენტი, რომ დაკავება ექცევა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებში, ვინაიდან დაკავების საფუძველი გახდა სამართალდარღვევების – საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს შეურაცხყოფის სავარაუდო ჩადენა. თუმცა პატიმრობის კანონიერების შეფასებისას ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დაკავების თანმხლებ გარემოებებზე და ადგენს, რომ განმცხადებლების ჩაკეტვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამორიგეო ოთახში არ შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას.

თუკი ევროპული სასამართლო გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ განმცხადებლები დააკავეს ასკ-ის საფუძველზე და მათი დაკავება იმ დროისთვის შესაბამებოდა ადმინისტრაციული პატიმრობისთვის დაშვებულ 3-საათიან ლიმიტს, მაინც ჩნდება აშკარა პრობლემა – რამდენად ჰქონდათ მანდატურებს დაკავების განხორციელების უფლებამოსილება. ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ მანდატურები არ შედიოდნენ იმ მოხელეთა სიაში, რომელთაც ენიჭებათ უფლებამოსილება, განახორციელონ ადმინისტრაციული დაკავება კოდექსის თანახმად. მეორე მხრივ, როგორც განმცხადებელთა დაკავების ოქმებიდან ირკვევა, მათი დაკავება უკავშირდებოდა „სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 76-ე მუხლს, კერძოდ მის „ვ“ ქვეპუნქტს, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს მანდატურებს, დააკავონ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფაში ეჭვმიტანილი პირები „სამართალდამრღვევთა პოლიციისთვის გადაცემის მიზნით“; თუმცა აღნიშნული დებულება არადგენს დროის ლიმიტს, რომლის განმავლობაშიც დაკავებული პირი შეიძლება იმყოფებოდეს პატიმრობაში, ვიდრე ის წარდგება სასამართლოს წინაშე. შესაბამისად, ამ საკითხზე არ ყოფილა განმარტება, თუ რომელი შიდასამართლებრივი ნორმის საფუძველზე უზრუნველყვეს მანდატურებმა განმცხადებელთა დაკავება და მათი ჩაკეტვა სამორიგეო ოთახში 3 საათის განმავლობაში მაინც. სასამართლო შენიშნავს, რომ ქართველმა კანონმდებელმა განმცხადებელთა 2006 წლის 29 ივნისის დაკავების შემდეგ საბოლოოდ მხოლოდ

2006 წლის 29 დეკემბერს განსაზღვრა შესაბამისი სამართალდარღვევის ჩადენაში ექვმიტანილი პირის დაკავების ხანგრძლივობის მაქსიმალურად მისაღები პერიოდი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელშიც საკმარისად ვერ დარწმუნდა სასამართლო, არის შემდეგი: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 76-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც დააკავეს განმცხადებლები (ან სსსკ-ის 208-ე მუხლით, რომლის თანახმადაც დამტკიცდა მათი ბრალეულობა), იყო თუ არა ლეგიტიმური განმცხადებლების დაკავება სასამართლოს შენობის გარეთ? ამ დებულებათა ფორმულირება ზღუდავს როგორც მანდატურების მიერ დაკავების უფლებამოსილების გამოყენების, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს შეურაცხყოფის ტერიტორიულ ფარგლებს, ვინაიდან ეხება მხოლოდ სასამართლოს შენობის შიგნით მათს განხორციელებას. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს აქვს სერიოზული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რამდენად შეეძლოთ განმცხადებლებს წინასწარ განესაზღვრათ, რომ აქციას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში მოჰყვებოდა მათი დაკავება ზემოთ ხსენებული დებულებების მიხედვით. ევროპული სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა იყოს იმდენად ხარისხიანი, რომ მისი გამოყენება იყოს განჭვრეტადი, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობის ყოველგვარი საფრთხე.

განმცხადებელთა თავისუფლების აღკვეთის მე-2 ეტაპთან – მათ 30-დღიან პატიმრობასთან – დაკავშირებით ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ მათ შეუფარდა სასჯელის ეს ზომა 2006 წლის 29 ივნისის განკარგულებით მითითებული სამართალდარღვევების გამო. შესაბამისად, ის ექვევა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებში; თუმცა თავმჯდომარეს არასოდეს განუმარტავს, ჰქონდათ თუ არა მანდატურებს უფლებამოსილება, დაეკავებინათ განმცხადებლები სასამართლოს შენობის გარეთ და ანალოგიურად: ითვალისწინებდა თუ არა პასუხისმგებლობას სასამართლოს შენობის გარეთ ჩადენილი ქმედება მითითებული შიდასახელმწიფოებრივი ნორმებით. მისი დასკვნები ძირითადად ეფუძნებოდა მანდატურთა

მოხსენებით ბარათებს, განკარგულება კი არ შეიცავდა დეტალურ განმარტებას; იყო გასაოცრად ლაკონიური და განამტკიცებდა თავმჯდომარის აშკარად მცდარ განცხადებას იმის შესახებ, რომ განმცხადებლებმა ჩაიდინეს ეს ქმედება „სასამართლოს შენობის შიგნით, მის ცენტრალურ შესასვლელში“. ნათელია, რომ მოსამართლე გულგრილად ეკიდებოდა განმცხადებლების დაკავების როგორც ფაქტობრივი გარემოებების, ასევე სამართლებრივი საფუძვლების შესწავლას. ის იყენებდა თავის უფლებამოსილებას თვითნებობისაგან დასაცავად ევროპული კონვენციით განსაზღვრული ელემენტარული საპროცესო გარანტიების საწინააღმდეგოდ.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელთა დაკავება 3 საათის განმავლობაში არ ეფუძნებოდა საკმარისად მკაფიო და განჭვრეტად შიდასამართლებრივ ნორმებს და 30-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს თვითნებურად, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის გარეშე.

დასკვნა:

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა
კონვენციის 41-ე მუხლი: 6 000 ევრო თითოეულ განმცხადებელს არამატერიალური ზიანისთვის; 5957 ევრო განმცხადებლებს ერთობლივად განუღო ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

შენიშვნა: ასევე დადგენილია კონვენციის შემდეგი მუხლების დარღვევები: **მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მე-6 მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად, მე-11 მუხლი, მე-7 ოქმის მე-2 მუხლი. იხ. წინამდებარე პუბლიკაციის ნაწილი 1-ლი.**

იხ. აგრეთვე *Kandzhov v. Bulgaria*, no. 68294/01, 6 November 2008; *Skalka v. Poland*, no. 43425/98, 27 May 2003; *Janowski v. Poland*, no. 25716/94, 21 January 1999; *Altuğ Taner Akçam v. Turkey*, no. 27520/07, 25 October 2011; *Amann v. Switzerland*, no. 27798/95, 16 February 2000; *Dink v. Turkey*, no. 2668/07, 6102/08, 300 79/08, 7072/09 and 7124/09, 14 September 2010; *Nilsen and Johnsen v. Norway*, no. 23118/93, 25 November 1999; *Ukrainian Media Group v. Ukraine*, no. 72713/01, 29 March 2005; *Christians against Racism and Fascism v. the United Kingdom*, no. 8440/78, 16 July 1980; *Hyde Park and Others v. Moldova*, no. 6991/08 and 15084/08, 14 September 2010; *Plattform "Ärzte für das Leben" v*

. *Austria*, no. 10126/82, 21 June 1988. *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, no. 46477/99, 7 June 2001; *Stanimirović v. Serbia*, no. 26088/06, 18 October 2011; *Iliya Stefanov v. Bulgaria*, no. 65755/01, 22 May 2008, and *Foka v. Turkey*, no. 28940/95, § 75, 24 June 2008; *Salayev v. Azerbaijan*, no. 40900/05, 9 November 2010; *Farhad Aliyev v. Azerbaijan*, no. 37138/06, 9 November 2010; a *Boris Popov v. Russia*, no. 23284/04, 28 October 2010). *Vasileva v. Denmark*, no. 52792/99, 25 September 2003.

პატიმრობის კანონიერება

**გიგოლაშვილი საქართველოს
წინააღმდეგ
GIGOLASHVILI V. GEORGIA⁴⁶
N18145/05; 08.07. 2008**

**ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა
სასამართლოს განჩინების გარეშე იმ
მოტივით, რომ დაცვის მხარე ეცნობა საქმის
მასალებს: დარღვევა**

ფაქტები: 2003 წლის 6 დეკემბერს განმცხადებელი დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შენახვის ბრალდებით. სასამართლომ იმავე წლის 8 დეკემბერს მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბ-ნი გიგოლაშვილი ამ დროისათვის უკვე იყო პირობით ვადამდე გათავისუფლებული წინა მსჯავრდების გამო და შეუფარდა პატიმრობა 3 თვის ვადით. მოგვიანებით განმცხადებელს სხვა პირებთან ერთად წაუყენეს ბრალდება იარაღის უკანონო ტარებისთვის, ყაჩაღობასა და მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის. 2004 წლის 4 მარტს თბილისის საოლქო სასამართლომ განმცხადებლის პატიმრობა გააგრძელა იმავე წლის 5 მაისამდე.

2004 წლის 29 აპრილს ბრალდების მხარემ ბრალდებულებს შეატყობინა გამოძიების დასრულების შესახებ და შესთავაზა საქმის მასალების გაცნობა. იმავე წლის 13 მაისს განმცხადებელმა გაასაჩივრა გამოძიების

ნაადრევად დასრულება და ის ფაქტი, რომ გრძელდებოდა მისი პატიმრობაში ყოფნა 2004 წლის 5 მაისის შემდეგაც შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. რაიონულმა პროკურორმა არ დააკმაყოფილა საჩივარი. მისი შეფასებით, გამოძიების გაგრძელების მოთხოვნა გულისხმობდა საქმის გაჭიანურების მცდელობას, ხოლო პატიმრობაში დარჩენა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ დაცვის მხარე ეცნობოდა საქმის მასალებს.

2004 წლის 8 ივლისს სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცა უზენაეს სასამართლოს. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ სამი ბრალდებული და მათი წარმომადგენლები საქმის მასალებს ეცნობოდნენ 2004 წლის 30 აპრილიდან 7 ივლისამდე. დაცვის მხარე ამტკიცებდა, რომ სინამდვილეში მათ საქმე შეისწავლეს 30 აპრილსა და 1 მაისს, ორსაათ-ნახევარში; თუმცა იმის დაშვებითაც კი, რომ გამოძიებლის მიერ შედგენილი ოქმი იყო სარწმუნო და საქმის გაცნობა მათ დაასრულეს 28 ივნისს, განმცხადებელი არანაკლებ 10 დღის გამავლობაში მაინც უკანონო პატიმრობაში რჩებოდა, რადგან ის არც მითითებული თარიღის შემდეგ გაუთავისუფლებიათ.

2004 წლის 27 ოქტომბერს უზენაესმა სასამართლომ დადებითად გადაწყვიტა საქმის დასაშვებობისა და განმცხადებლის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გაგრძელების საკითხები; ამ ეტაპზევე უარი ითქვა განმცხადებლის პატიმრობის კანონიერების საფუძვლიან შეფასებაზე. 2005 წლის 6 მაისს მან საქმე განსახილველად გაუგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს. ამ უკანასკნელის წინაშე განმცხადებელმა კვლავ გაასაჩივრა უკანონო პატიმრობაში ყოფნა, თუმცა – უშედეგოდ.

2006 წლის 5 ივლისს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თავის ბრძანებაში აღნიშნა, რომ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, წინასწარი პატიმრობის დასაშვები ვადა იყო არა უმეტეს 24 თვისა, რომელიც განმცხადებელს 2006 წლის 8 ივლისს ეწურებოდა; შესაბამისად, თავმჯდომარე იყენებდა თავის პრეროგატივას, როგორც გამონაკლისი, პატიმრობა ამ ვადის შემდეგ გაეხანგრძლივებინა. შედეგად, ბ-ნი გიგოლაშვილის პატიმრობის ვადა გაგრძელდა 2006 წლის 8 ნოემბრამდე.

⁴⁶ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%2218145/05%22%5D,%22languageiso-code%22:%5B%22ENG%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22,%22DECISIONS%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-87402%22%5D%7D>

თბილისის საოლქო სასამართლომ 2006 წლის 22 დეკემბრის განაჩენით განმცხადებელი მსჯავრდებულად ცნო ზემოთ აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენის გამო და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით. განაჩენის თანახმად, პატიმრობის ვადის ათვლა დაიწყო განმცხადებლის დაკავების დღიდან – 2003 წლის 6 დეკემბრიდან.

სამართალი – კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტი: ბრალდებულთა დაკავება კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის ან მათი მდგომარეობის მარეგულირებელი წესების გარეშე – იმ შედეგით, რომ მათ თავისუფლება აღეკვეთებათ განუსაზღვრელი ვადით, სასამართლოს ნებართვის გარეშე შეუთავსებელია სამართლებრივი განსაზღვრულობისა და თვითნებობისაგან დაცვის პრინციპებთან, რომლებიც წარმოადგენს კონვენციისა და სამართლის უზენაესობის საერთო ხაზს.

ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ, 2004 წლის 4 მარტის სასამართლო ბრძანებით, განსაზღვრული პატიმრობის ვადა ამოიწურა 2004 წლის 5 მაისს და ამ თარიღის შემდეგ განმცხადებელი პატიმრობაში დარჩა სასამართლოს თანხმობის გარეშე, რაც გაგრძელდა 2004 წლის 27 ოქტომბრამდე.

პირველი – 2004 წლის 5 მაისიდან 7 ივლისამდე განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა მხოლოდ საქმის მასალების შესწავლის მოტივით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, რომელიც შესაძლოა შეესაბამებოდა შიდა კანონმდებლობას, მაგრამ ასეთი საფუძველი მიუღებელია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისთვის. საგულისხმოა, რომ შემდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა მითითებული დებულების კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტთან შეუსაბამობა.

მეორე – 2004 წლის 8 ივლისიდან 27 ოქტომბრამდე – დაპატიმრება ოფიციალურად გამართლებული იყო იმ ფაქტით, რომ საქმე განსახილველად გადაეგზავნა სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო ბრალდებულის საქმის განხილვა და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. პრობლემა წარმოიშვა სხდომის ჩატარების ვადასთან დაკავშირებით. კანონის თანახმად, საქმის დასაშვებობის საკითხი უნდა განხილულიყო 14-დღიან ვადაში ან „რთული საქმეების“ შემთხვევაში იმავე მოსამართლის მიერ

ბოლო საქმეზე გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. თუმცა ამ უკანასკნელს დრო არ ჰქონია შეზღუდული „ბოლო“ საქმის გადასაწყვეტად. კანონი არ ითხოვდა სასამართლოს ბრძანებას ბრალდებულის დაკავების შესახებ და არც ადგენდა ვადას პატიმრობის ამ ფაზისთვის. ამგვარი სამართლებრივი ხარვეზი იწვევდა ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ბრალდებულთა თვეობით დაკავების პრაქტიკას.

2004 წლის 5 მაისიდან 27 ოქტომბრამდე, 5 თვისა და 24 დღის განმავლობაში, არ არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებლის დაპატიმრების შესახებ. ის ფაქტი, რომ განმცხადებელი და მისი ადვოკატი სწავლობდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რომლებიც შემდეგ საბრალდებო დასკვნასთან ერთად სასამართლოს გადაეგზავნა განსახილველად, არ წარმოადგენდა განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელების „კანონიერ“ საფუძველს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის მიზნების შესაბამისად.

დასკვნა:

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ც“

ქვეპუნქტი: დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: არ ყოფილა

მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურება.

**მინდაძე და ნემსიტსვერიძე
საქართველოს წინააღმდეგ
MINDADZE AND NEMSITSVERIDZE V.
GEORGIA
№21571/05; 01.06.2017**

**ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა
სასამართლოს განჩინების გარეშე
მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ
პირველი ინსტანციის სასამართლოსთვისაა
გადაგზავნილი**

საქმე: დარღვევა

იხ. გვ. X

ჭანკოტაძე – საქართველო⁴⁷

TCHANKOTADZE - GEORGIA

№15256/05; 21.06.2016

ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა სასამართლოს განჩინების გარეშე მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვისაა გადაგზავნილი

საქმე: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ბ-ნი ზურაბ ჭანკოტაძე 2002 წლის 12 მარტიდან 2004 წლის 13 მარტამდე იყო სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს (CAA) თავმჯდომარე. 2004 წლის 16 მარტს მთავარმა პროკურატურამ ის დააკავა და სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენების ბრალდება წაუყენა, კერძოდ მას ბრალად ედებოდა ორი ეპიზოდი: (ა) მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმება „მომსახურების საფასურის“ შესაგროვებლად სამოქალაქო ავიაციის სამ კომპანიასთან 2003 წლის 28 მარტსა და 13 აგვისტოს, რომელიც, ბრალდების ვერსიით, სინამდვილეში წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეჩერებული სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული „რეგულირების საფასურის“ შენიღვას და (ბ) ფაქტი, რომ რეგულირების საფასურს აგრეთვე იღებდა სამოქალაქო ავიაციის სხვა რვა კომპანიისგან განმცხადებლის მიერ 2003 წლის 25 ნოემბერს უკანონოდ გამოცემული N1 ბრძანების საფუძველზე.

2004 წლის 19 მარტს თბილისის რაიონულმა სასამართლომ ბ-ნ ჭანკოტაძეს შეუფარდა 3-თვიანი პატიმრობა. იმავე წლის 14 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლომ განმცხადებლის პატიმრობის ვადა გააგრძელა 2004 წლის 16 სექტემბრამდე. 2004 წლის 20 სექტემბერს საბრალდებო დასკვნა და საქმის მასალები გადაეცა რაიონულ სასამართლოს. ბ-ნი ჭანკოტაძე ეროვნულ დონეზე ამტკიცებდა, რომ 2004 წლის 16 სექტემბრიდან უკანონოდ იყო დაპატიმრებული და ითხოვდა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

2005 წლის 16 მარტს გაიმართა წინასასამართლო სხდომა, რომელზეც წინასწარი პატიმრობის

არაკანონიერებასთან დაკავშირებით განმცხადებლის საჩივარზე პასუხგაუცემლად სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

ბ-ნი ჭანკოტაძე ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მისი პატიმრობა 2004 წლის 16 სექტემბრიდან – წინასწარი პატიმრობის 5-თვიანი ვადის გასვლიდან – 2005 წლის 16 მარტამდე, საქმის სასამართლოში წარდგენამდე, უკანონო იყო.

სამართალი: კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მან არაერთხელ დაადასტურა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, მათ შორის – საქართველოს წინააღმდეგ არსებულ საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა ბრალდებულთა წინასწარ პატიმრობაში ყოფნას მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ საბრალდებო დასკვნა უკვე წარდგენილი იყო სასამართლოში. ბრალდებულთა პატიმრობა კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების ან მათი მდგომარეობის მარეგულირებელი გამოკვეთილი წესების გარეშე იმ შედეგით, რომ მათ შეიძლება სასამართლოს უნებართვოდ თავისუფლება განუსაზღვრელი ვადით აღკვეთით, შეუთავსებელია სამართლებრივი განსაზღვრულობისა და თვითნებობისგან დაცვის პრინციპებთან, რომლებიც კონვენციისა და სამართლის უზენაესობის საერთო გზაა.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 417-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების მიხედვით, მას შემდეგ, რაც პროკურატურამ შეწყვიტა გამოძიება და სისხლის სამართლის საქმის მასალები გადასცა სასამართლოს განსასჯელად, ამ უკანასკნელს შეეძლო გაემართა წინასასამართლო სხდომა და აღკვეთის ღონისძიების გაგრძელების საკითხი გადაეწყვიტა, მაგრამ პრობლემა წარმოიშვა ასეთი სხდომის გამართვის დროის გამო. სსსკ-ის 419-ე მუხლის თანახმად, სხდომა უნდა გამართულიყო თოთხმეტი დღის განმავლობაში ან „რთული საქმეების“ შემთხვევაში იმავე მოსამართლის მიერ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში, მაგრამ მოსამართლე ასეთი „საბოლოო“ საქმის გადაწყვეტისას არ ყოფილა ვადით შეზღუდული. ასეთ შემთხვევაში არც ბრალდებულის პატიმრობის შესახებ მოსამართლის

⁴⁷ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-163799%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-163799%22]})

ბრძანების გაცემის დრო და არც შეფარდებული პატიმრობის ნორმატიული ვადა სსსკ-ით არ ყოფილა განსაზღვრული. ამგვარი საკანონმდებლო ვაკუუმით იყო გამოწვეული სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე თვეების განმავლობაში ბრალდებულთა წინასწარი პატიმრობა.

აქედან გამომდინარე, ექვსი თვის განმავლობაში – 2004 წლის 16 სექტემბრიდან 2005 წლის 16 მარტამდე – არ არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც დაემყარებოდა განმცხადებლის პატიმრობა. ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საქმე და საბრალდებო დასკვნა სასამართლოს გადაეგზავნა, არ აკმაყოფილებს პატიმრობის დარჩენილი პერიოდის „კანონიერების“ მოთხოვნებს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით.

დასკვნა:

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა
კონვენციის 41-ე მუხლი: 20 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის; 15 000 ევრო განეული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

შენიშვნა: აგრეთვე დადგენილია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა გამამტყუნებელი განაჩენის დაუსაბუთებლობის გამო. იხ. წინამდებარე პუბლიკაციის ნაწილი 1-ლი.

რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ RAMISHVILI AND KOKHREIDZE V. GEORGIA

N1704/06; 27.01.2009

ბრალდებულის პატიმრობა სასამართლოს განჩინების გარეშე მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვისაა გადაგზავნილი საქმე: დარღვევა

იხ. გვ. X

ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ⁴⁸

**ASSANIDZE V. GEORGIA
N71503/01; 8.04.2004**

პატიმრობის გაგრძელება, მიუხედავად საბოლოო და სავალდებულო გამამართლებელი სასამართლო გადაწყვეტილების არსებობისა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი თენგიზ ასანიძე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის ყოფილი მერი და უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი. 1993 წლის 4 ოქტომბერს კერძო საწარმოში – ბათუმის თამბაქოს კომბინატში ფინანსური მაქინაციებისა და იარაღის უკანონო შენახვისა და ტარებისთვის მას მსჯავრი დაედო 1994 წლის 28 ნოემბერს და შეეფარდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1999 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა შეინყალა და სასჯელის დარჩენილი ორი წელი შეუცვალა გამოსაცდელი ვადით. მიუხედავად ამისა, არ გაათავისუფლეს და მის წინააღმდეგ ახალი პროცესი დაიწყო ადამიანის გატაცებაში კრიმინალური ჯგუფის დახმარების ბრალდებით.

2000 წლის 2 ოქტომბერს აჭარის უმაღლესმა სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბ-ნმა ასანიძემ განაჩენი გაასაჩივრა და 2001 წლის 29 იანვარს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ის გამართლა. ეს გადაწყვეტილება იყო საბოლოო და არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. სასამართლომ აჭარის ადგილობრივ ხელისუფლებასაც მიმართა ბრძანებით განმცხადებელი დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ. ცენტრალური ხელისუფლება არაერთხელ ეცადა როგორც სამართლებრივი, ასევე პოლიტიკური არხების გამოყენებით გაეთავისუფლებინათ განმცხადებელი; თუმცა ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას ბ-ნი ასანიძე კვლავ საპრობილეში იმყოფებოდა.

განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე ჩიოდა, რომ ის იყო კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის მსხვერპლი, პრეზიდენტის მიერ 1999 წლის 1 ოქტომბერს შეწყალების მიუხედავად, და 2001 წლის 29 იანვრის გამართლების შემდეგ მისი პატიმრობა იყო თვითნებური.

⁴⁸ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Assanidze%22%22%22itemid%22:%5B%22001-61875%22%5D%7D>

სამართალი: კონვენციის 1-ლი მუხლი: განმცხადებლის საჩივარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს იურისდიქციით კონვენციის პირველი მუხლის ქრილში ექცევა. ცენტრალური ხელისუფლება არაერთგზის ეცადა განმცხადებლის განთავისუფლების მიღწევას სამართლებრივი და პოლიტიკური არხების გამოყენებით, მაგრამ – უშედეგოდ. ეროვნული სისტემის მიხედვით, გასაჩივრებული საკითხების გადაწყვეტა უშუალოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ევალებოდა, თუმცა, კონვენციის მიხედვით, პასუხისმგებელი, როგორც სახელმწიფო, იყო მხოლოდ საქართველო იყო.

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი:

(ა) პატიმრობის პერიოდი 1999 წლის 1 ოქტომბერს, პრეზიდენტის შეწყალების შემდგომ

ევროპული სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც ექვემდებარება გადასინჯვას ადმინისტრაციულ სასამართლოებში. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ 1999 წლის 1 ოქტომბერს გამოცემული შეწყალების აქტი ბათუმის თამბაქოს კომბინატმა დაუყოვნებლივ გაასაჩივრა შიდა სასამართლოებში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, მისი აღსრულება შეჩერდა და შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2000 წლის 11 ივლისს, მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კომბინატის მიერ ბოლო ინსტანციაში შეტანილი საკასაციო საჩივარი გააუქმა. ამავე დროს 1999 წლის 11 დეკემბერს განმცხადებელს წარედგინა ბრალდება სისხლის სამართალწარმოების მეორე პროცესში, რის გამოც გახდა შეუძლებელი მისი განთავისუფლების უზრუნველყოფა.

ევროპული სასამართლო 1999 წლის 1 ოქტომბრიდან 11 დეკემბრამდე პერიოდზე აცხადებს: განმცხადებლის შეხედულებით, ექვსთვიანი ვადის ათვლა დაიწყო 1999 წლის 1 ოქტომბრიდან, როდესაც გამოიცა პრეზიდენტის შეწყალება, ხოლო, მთავრობის მოსაზრებით, 2000 წლის 11 სექტემბრიდან, როდესაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბათუმის თამბაქოს კომბინატის საკასაციო საჩივარი. რომელი თარიღიც უნდა იქნეს მიჩნეული, პატიმრობის პირველ პერიოდთან დაკავშირებით სასამართლო ადგენს, რომ

საჩივარი სასამართლოსთვის წარდგენილი იყო 6-თვიანი ვადის დარღვევით – 2001 წლის 2 ივლისს. აქედან გამომდინარე, საჩივრის ეს ნაწილი მიუღებელია.

შესაბამისად, ევროპული სასამართლო განმცხადებლის საჩივარს პატიმრობის მხოლოდ იმ პერიოდის მიმართ განიხილავს, რომელიც 2001 წლის 29 იანვრიდან დაიწყო.

(ბ) პატიმრობის პერიოდი 2001 წლის 29 იანვრიდან დღემდე

ის, რომ თავისუფლების აღკვეთა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დაშვებულ ერთ-ერთ კატეგორიაში ექცევა, არ არის საკმარისი: დაკავებული ან დაპატიმრებული პირი უნდა სარგებლობდეს კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სხვადასხვა გარანტიით ისეთი მოცულობით, როგორც მისი გამოყენება შეიძლება. აქედან გამომდინარე, მე-5 მუხლის დებულებანი მოითხოვს, რომ პატიმრობა განხორციელდეს „კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად“, აგრეთვე ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციის მე-5 მუხლის სფეროში გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს თავისუფლების აღკვეთის დროისთვის მოქმედი კანონმდებლობის პროცესუალურსა და მატერიალურ მოთხოვნებს.

კონვენცია, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს ეროვნულ კანონმდებლობაზე, მაგრამ ის ასევე მოითხოვს, რომ თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებს, სახელდობრ პირთა თვითნებობისგან დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქვეყნის ხელისუფლებას, განსაკუთრებით სასამართლოებს, ევალებათ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტება და გამოყენება, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ეროვნული კანონმდებლობის დაუცველობა წარმოადგენს კონვენციის დარღვევას და ევროპულ სასამართლოს შეუძლია და ვალდებულია განიხილოს, შესრულდა თუ არა სახელმწიფო კანონი.

წინამდებარე საქმის მიხედვით, აჭარის ხელისუფლების ორგანოებმა განმცხადებელი კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ძალით დააპატიმრეს 1999 წლის 11 დეკემბრიდან,

ანუ იმ დღიდან, როდესაც მას ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის ახალ საქმეზე; თუმცა ეს სიტუაცია დასრულდა იმით, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2001 წლის 29 იანვარს განმცხადებელი გაამართლა და გასცა მისი დაუყოვნებელი განთავისუფლების ბრძანება. მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმე არ განახლებულა და არც მისი პატიმრობის გაგრძელების რაიმე ბრძანება გაცემულა, ის კვლავ დაპატიმრებული იყო. მისი თავისუფლების აღკვეთა 2001 წლის 29 იანვრიდან არ ემყარებოდა რაიმე საკანონმდებლო ნორმას ან სასამართლო გადაწყვეტილებას. შესაბამისად, შეუძლებელია გამართლებული იყოს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტით.

თუ რამდენად შეესაბამება განმცხადებლის პატიმრობა კონვენციის მე-5 მუხლის მიზანს (თვითნებობისაგან დაცვას), ამასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დაუჯერებელია, სახელმწიფოში, რომელიც სამართლის უზენაესობას ემყარება, გრძელდებოდეს პირის თავისუფლების აღკვეთა, განთავისუფლების შესახებ სასამართლოს ბრძანების მიუხედავად.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ხელისუფლების ცენტრალურმა ორგანოებმა თავადაც რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ არ არსებობდა განმცხადებლის პატიმრობის საფუძველი. ცენტრალური ხელისუფლების სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოები პირდაპირ უცხადებდნენ აჭარის ხელისუფლებას, რომ განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთა იყო თვითნებური, თუმცა მათი მრავალი შეხსენება და მოწოდება უპასუხოდ დარჩა.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ პირის განუსაზღვრელი და განუჭვრეტელი ვადით პატიმრობა, რომელიც არ ემყარება კანონის დებულებას ან სასამართლო გადაწყვეტილებას, არ შეესაბამება სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს, არის თვითნებური და ეწინააღმდეგება სამართლის უზენაესობის ფუნდამენტურ ასპექტებს.

შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ 2001 წლის 29 იანვრის შემდგომ განმცხადებლის პატიმრობა თვითნებურია და არღვევს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს.

დასკვნა:

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა 2001 წლის 29 იანვრის შემდეგ;

საქართველოს დაევალა განმცხადებლის **სასწრაფო განთავისუფლება;**

კონვენციის 41-ე მუხლი: 150 000 ევრო 2001 წლის 29 იანვრიდან ამ გადაწყვეტილების გამოტანამდე მიყენებული ზიანისთვის; 5000 ევრო განუელი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

შენიშვნა: 1. განმცხადებელი ასევე ასაჩივრებდა პატიმრობის ადგილს, რომელიც, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, იყო უკანონო, და იმ გარემოებას, რომ სრულ იზოლაციაში იმყოფებოდა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: ვინაიდან მან დაადგინა, რომ განმცხადებლის პატიმრობა იყო თვითნებური, საჩივრის განხილვა მისი პატიმრობის ადგილის კანონიერებისა და ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით არააფერს შემატებს იმ დარღვევას, რომელიც უკვე დადგინდა; **2.** ასევე დაადგინა, რომ 2001 წლის 29 იანვრის სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი; **3.** 2001 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა; კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-13 მუხლის ძრილში ამ საკითხის ცალკე განხილვის საჭიროება არ არის.

მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

MIKIASHVILI V. GEORGIA
N18996/06; 9.10.2012

წინასწარი პატიმრობის შეფარდება
დასაბუთებული სასამართლო
გადაწყვეტილების გარეშე: არ არის დარღვევა

იხ. გვ. X

იხ. აგრეთვე: *Nakhmanovich v. Russia*, no. 55669/00, 2 March 2006; *Stašaitis v. Lithuania*, no. 47679/99, 21 March 2002; *Grauslys v. Lithuania*, no. 36743/97, 10 October 2000; *Baranowski v. Poland*, no. 28358/95, 28 March 2000; *Khudoyorov v. Russia*, no. 6847/02, 8 November, 2005; *Nakhmanovich v. Russia*, no. 55669/00, 2 March 2006; *Stašaitis v. Lithuania*, no. 47679/99, 21 March 2002; *Grauslys v. Lithuania*, no. 36743/97, 10 October 2000; *Peltier v. France*, no. 32872/96, 21 May 2002; *Craxi v. Italy*, no. 34896/97, 5 December 2002;

მუხლი 5.2

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.

ბრალდებულისთვის ინფორმაციის მიწოდება

**BAISUEV AND ANZOROV V. GEOGIA
N39804/04; 18.12. 2012**

დაკავება თავისუფლების აღკვეთის მიზეზების განმარტების გარეშე: დარღვევა

იხ. გვ. X

**შამაივი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ
SHAMAYEV AND 12 OTHERS V. GEORGIA
AND RUSSIA
N36378/02; 12.4.2005;**

ექსტრადიციის აღსრულება ისე, რომ განმცხადებლებს არ შეატყობინეს ამ ზომის შესახებ: დარღვევა

იხ. გვ. X

იხ. აგრეთვე: Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, 30 August 1990 ; X. v. the United Kingdom, no. 7215/75, Dec. 12.10.1978; Khlaifia and Others v. Italy; 16483/12; 15.12.2016; Čonka v. Belgium; no. 51564/99, 5 February 2002; Van der Leer v. the Netherlands; 21203/10; 31.07; 2012; Grubnyk v. Ukraine; 58444/15; 17.10.2020; Saadi v. the United Kingdom, 37201/06; 28.02.2008.

მუხლი 5.3

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

ამ მუხლის 1-ლი (გ) პუნქტით გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად, დაკავებულსა თუ დაპატიმრებულ პირს დაუყოვნებლივ წარუდგენენ მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს, რომელიც აღჭურვილია უფლებით, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით.

წინასწარი პატიმრობის გაგრძელება დასაბუთების გარეშე

**მინდაძე და ნემსიტსვერიძე
საქართველოს წინააღმდეგ
MINDADZE AND NEMSITSVERIDZE V.
GEORGIA
№21571/05; 01.06.2017**

წინასწარი პატიმრობის გაგრძელება დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე: დარღვევა

იხ. გვ. X

**ჭიჭინაძე საქართველოს
წინააღმდეგ
LASHA TCHITCHINADZE V. GEORGIA
№35195/05; 7.06. 2016**

წინასწარი პატიმრობის გაგრძელება დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე: დარღვევა

ფაქტები: 2005 წლის 19 თებერვალს დააკავეს განმცხადებელი ლაშა ჭიჭინაძე და 21 თებერვალს

ბრალი წაუყენეს თაღლითობის რამდენიმე შემთხვევის გამო. იმავე წლის 22 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის კოლეგიამ არ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა მისთვის პატიმრობის შეფარდების შესახებ და განმცხადებელი გაათავისუფლა. ეს გადაწყვეტილება 25 თებერვალს შეცვალა უზენაესი სასამართლოს სააპელაციო პალატამ და ბ-ნ წიქინაძეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. გადაწყვეტილება ეფუძნებოდა წარდგენილი ბრალდების სიმძიმეს, რომელიც, უზენაესი სასამართლოს შეფასებით, ქმნიდა განმცხადებლის მიმალვის საფრთხეს. 2005 წლის 18 მაისს თბილისის რაიონული სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ მოისმინა პროკურორის არგუმენტი, რომ გამოძიების დასასრულებლად საჭირო იყო დამატებითი დრო და განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა გაახანგრძლივა კიდევ ორი თვით – 2005 წლის 22 ივლისამდე. 2005 წლის 23 მაისს თბილისის რაიონული სასამართლოს სააპელაციო პალატამ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

2005 წლის 15 ივნისს განმცხადებელმა იშუამდგომლა, რომ წინასწარი პატიმრობა აღკვეთის უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეეცვალათ. პროკურორმა მხარი დაუჭირა ამ მოთხოვნას. 2005 წლის 9 ივლისს თბილისის რაიონულმა სასამართლომ ბ-ნი წიქინაძე გაათავისუფლა გირაოს საფუძველზე, რომელიც შეადგენდა 5000 ლარს. სასამართლომ გაითვალისწინა განმცხადებლის დადებითი დახასიათება და ის ფაქტი, რომ მან სრულად აუნაზღაურა დაზარალებულ მხარეს მიყენებული ზარალი.

ბ-ნმა წიქინაძემ ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა თავისი პატიმრობის კანონიერება.

სამართალი: კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა 2005 წლის 25 თებერვალს და გირაოს საფუძველზე განთავისუფლდა 2005 წლის 9 ივლისს. გასაჩივრებული წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობამ მთლიანად შეადგინა ოთხი თვე და ცამეტი დღე.

ვინაიდან პატიმრობის ხანგრძლივობა არ არის აშკარად გადაჭარბებული, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ მისი გონივრულობა არ შეიძლება

შეფასდეს განყენებულად, ინდივიდუალური გარემოებების მხედველობაში მიღების გარეშე. პატიმრობის გახანგრძლივება გამართლებულია მისი ნამდვილად საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, და ის გადაწონის ინდივიდუალური თავისუფლების პატივისცემას. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის დადგენისას ევროპული სასამართლო ხელმძღვანელობს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული მიზეზებით და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით. ეს გადაწყვეტილებები უნდა შეიცავდეს „სათანადო“ და „საკმარის“ დასაბუთებას და უნდა მიემართებოდეს საქმის კონკრეტულ გარემოებებს, რათა თავისუფლების აღკვეთა გაამართლოს. პატიმრობის ნებისმიერი ვადის გამოყენება, როდენ ხანმოკლეც უნდა იყოს, საჭიროებს დამატებულ დასაბუთებას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია: პროცესის წარმართვისას აუცილებელია „განსაკუთრებული გულისხმიერების“ გამოჩენა.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესმა სასამართლომ 2005 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა მხოლოდ წარდგენილ ბრალდებათა სიმძიმეზე დაყრდნობით, რომელიც, უზენაესი სასამართლოს შეფასებით, per se ქმნიდა განმცხადებლის მიმალვის საფრთხეს. უზენაესმა სასამართლომ არ შეაფასა განმცხადებლის არგუმენტები მისი განთავისუფლების სასარგებლოდ და არც ერთი სხვა შესაბამისი ფაქტორი, რომელსაც შეეძლო დაედასტურებინა ან გაებათილებინა მისი მიმალვის საფრთხის არსებობა.

იმ დროისთვის საქართველოში მოქმედი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მძიმე დანაშაული თავისთავად წარმოადგენდა საფუძველს წინასწარი პატიმრობისთვის და საჭირო აღარ იყო სხვა ფაქტორებზე მითითება, რომლებიც გამართლებდა ასეთი ზომის მიღებას. აღნიშნული მიდგომა შეუთავსებელია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებთან.

2005 წლის 18-სა და 23 მაისს მიღებული გადაწყვეტილებებით, თავდაპირველი პატიმრობის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით ევროპული

სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოებს უნდა გამოეჩინათ „განსაკუთრებული გულისხმიერების“ უფრო მაღალი ხარისხი, ვინაიდან სამი თვის გასვლის შემდეგ მხოლოდ გონივრული ეჭვის არსებობა, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა დანაშაული, ვეღარ იქნებოდა საკმარისი პატიმრობის გაგრძელების სასამართლოებლად. ეროვნული სასამართლოები შემოიფარგლნენ ზოგადი და აბსტრაქტული განცხადებით, რომ პატიმრობის ხანგრძლივობა აუცილებელი იყო გამოძიების მიზნების უზრუნველსაყოფად.

2005 წლის 25 მარტს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მიხედვით – ეროვნულ სასამართლოებს უნდა განეხილათ, იქნებოდა თუ არა საკმარისი აღკვეთის უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენება. კანონის ეს მოთხოვნა განმცხადებლის მიმართ არ შესრულდა.

აღწერილი გარემოებანი საკმარისია ევროპული სასამართლოსთვის, რომ დაასკვნას შემდეგი: ეროვნულმა ორგანოებმა განმცხადებელს შეუფარდეს და გაუგრძელეს პატიმრობა იმ საფუძვლებზე დაყრდნობით, რომლებიც არ იყო „რელევანტური“ და „საკმარისი“.

დასკვნა:

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: დარღვევა;
კონვენციის 41-ე მუხლი: 1000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

ჯანიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

JANIASHVILI V. GEORGIA⁴⁹
N35887/05; 27.11.2012

წინასწარი პატიმრობის გაგრძელება დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებით: დარღვევა

იხ. გვ. X

⁴⁹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-114784%22%5D%7D>

ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ

PATSURIA V. GEORGIA⁵⁰
N30779/04; 6.11.2007

წინასწარი პატიმრობის გაგრძელება დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებით: დარღვევა

ფაქტები: 2004 წლის 28 აპრილს გენერალურმა პროკურორმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფოს აქციათა 90%-ის არამიზნობრივად ხარჯვისა და საბანკო დოკუმენტების გაყალბების ფაქტზე. იმავე წლის 5 მაისს განმცხადებელ გია ფაცურიას ბრალდება წაუყენეს და დააკავეს.

2005 წლის 11 თებერვალს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დაიწყო საქმის არსებითი განხილვა, 17 თებერვალს განმცხადებელი დამნაშავედ ცნო საბუთების გაყალბების მცდელობაში და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2006 წლის 13 თებერვალს თბილისის საოლქო სასამართლომ აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა.

განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მისი პატიმრობის ხანგრძლივობა, რომელიც აღემატებოდა კონსტიტუციით დადგენილ ცხრათვიან პერიოდს, იყო უკანონო.

სამართალი – კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი 2004 წლის 5 მაისს დააპატიმრეს და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი პირველი ინსტანციის სასამართლომ 2005 წლის 17 თებერვალს გამოიტანა. აქედან გამომდინარე, მისი პატიმრობის ვადა კონვენციის მე-5 მუხლის 1 (c) პუნქტის მიზნებისათვის ცხრა თვე და თორმეტი დღეა.

ვინაიდან პატიმრობის ვადა არ არის აშკარად გადაჭარბებული, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მის გონივრულობას განყენებულად ვერ შეაფასებს. ევროპული სასამართლო, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახულ მიზეზებსა და განმცხადებლის მიერ წამოჭრილ არგუმენტებზე დაყრდნობით, წყვეტს, გამართლებულია თუ არა პატიმრობის გაგრძელება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის. ეს გადაწყვეტილებები უნდა

⁵⁰ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-83070%22%5D%7D>

შეიცავდეს „სათანადო“ და „საკმარის“ მიზნებს და ასახავდეს მოცემული საქმის სპეციფიკას, რომ თავისუფლების შეზღუდვა გაამართლოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პატიმრობის ვადის გაგრძელების ნებისმიერი პერიოდი, განურჩევლად მისი ხანგრძლივობისა, მოითხოვს სათანადო დასაბუთებას პასუხისმგებელი ეროვნული ორგანოსგან, რომელმაც უნდა გამოიჩინოს „განსაკუთრებული გულისხმიერება“ ამ პროცესის განხორციელებისას.

მოცემულ საქმეზე განმცხადებლის პატიმრობის ვადა 2004 წლის 8 მაისის, 13 მაისისა და 6 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილებებით გაგრძელდა. აქედან გამომდინარე, განმცხადებლის პატიმრობის ხანგრძლივობის შესაფასებლად სასამართლო ამოწმებს ამ გადაწყვეტილებებში მითითებულ მიზეზებს, ასევე განმცხადებლის არგუმენტებს, რომლებიც განთავისუფლების შესახებ მის შუამდგომლობაშია მოცემული.

2004 წლის 8 მაისის სასამართლო გადაწყვეტილება აყალიბებს დაპატიმრების გაგრძელების მიზანშეწონილობის მიზეზებს, როგორებიცაა: (ა) საქმის მასალები იწვევს ეჭვს, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა დანაშაული; (ბ) მტკიცებულებანი შეგროვებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით; (გ) სასჯელის სიმკაცრე განაპირობებდა მიმალვის საფრთხეს და (დ) საქმის მასალები ქმნიდა განმცხადებლის მიერ გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფრთხეს.

პირველ მიზეზთან დაკავშირებით სასამართლო შენიშნავს: დანაშაულის ჩადენის მიმართ გონივრული ეჭვის არსებობა დაკავების კანონიერების აუცილებელი პირობაა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (c) პუნქტის მიზნებისათვის, მაგრამ ეს შეიძლება არ იყოს საკმარისი პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად. ასეთი გადაწყვეტილება საჭიროებს უფრო მყარ საფუძველს, რათა დაადასტუროს არა მარტო გონივრული ეჭვის ნამდვილად არსებობა, არამედ საჯარო ინტერესის სხვა ელემენტებისაც, რომლებიც, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, გადანონის თავისუფლების უფლებას, ვინაიდან მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ძირითადი მიზანია ბრალდებულის პირობითი განთავისუფლება სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას.

მართალია, 2004 წლის 8 მაისის ბრძანება შედარებით მოკლე პერიოდს ეხება – განმცხადებლის პატიმრობის პირველ სამ თვეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ნებისმიერი ხანგრძლივობის პატიმრობაზე ვრცელდება. ეს დებულება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს უპირობოდ უშვებს წინასწარ პატიმრობას, თუ ხანმოკლეა.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ პატიმრობის ავტომატური შეფარდება სამი თვით მხოლოდ კანონით დადგენილი პრეზუმფციის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა ბრალდებათა სიმძიმეს მიმალვის, ხელახალი სამართალდარღვევის ჩადენის ან მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის ჰიპოთეტური საფრთხეების გამო, არ შეესაბამება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს. აქედან გამომდინარე, მოცემული საქმის მასალებს რომ დაუბრუნდეთ, ის ფაქტი, რომ 2004 წლის 8 მაისის ბრძანება ეხებოდა განმცხადებლის პატიმრობის საწყის პერიოდს, არ ათავისუფლებს ეროვნულ ხელისუფლებას ვალდებულებისგან, წარმოადგინოს ამ ღონისძიების დამაჯერებელი გამამართლებელი დასაბუთება. სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ 2004 წლის 8 მაისს, განმცხადებლის დაკავებიდან სამ დღის შემდეგ, პრეზუმფცია უნდა ყოფილიყო განმცხადებლის განთავისუფლების სასარგებლოდ.

ბრძანებაში მითითებულ მეორე მიზეზთან – შეგროვებული მტკიცებულებების კანონიერება – დაკავშირებით ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ პატიმრობის გონივრულობის შესაფასებლად ირელევანტურია.

მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ეს შეიძლება იყოს დაპატიმრების კანონიერი საფუძველი. მიუხედავად ამისა, მაინც არ შეიძლება მოსალოდნელი საბოლოო განაჩენის სიმძიმეს დაეფუძნოს და რამდენიმე სხვა რელევანტურ ფაქტორთან მიმართებით უნდა შეფასდეს.

2004 წლის 8 მაისის პატიმრობის ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ სასჯელის სიმკაცრე per se განაპირობებს მიმალვის საფრთხეს. სასამართლომ ეს საფრთხე არ განიხილა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ კონტრარგუმენტებთან დაკავშირებით – თანამშრომლობა პროკურატურასთან, დოკუმენტაციის ნებაყოფლობითი წარდგენა და მოთხოვნისთანავე დაკითხვაზე

გამოცხადება, მისი სანდოობა და კარგი რეპუტაცია და სხვ. ასევე არ გადაუმოწმებია სავარაუდო სასჯელის სიმკაცრე სასამართლოს საქმის სხვა გარემოებებთან მიმართებით, რომლებიც დაადასტურებდა ან გააბათილებდა მიმალვის საფრთხეს. ამიტომ ეს ფაქტორი წინამდებარე საქმეში არ იყო საკმარისად დასაბუთებული.

კიდევ ერთ ფაქტორთან – ქეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის საფრთხე – მიმართებით სასამართლო შენიშნავს, რომ ეს არგუმენტი ბრმად იყო მოყვანილი და არ უკავშირდებოდა კონკრეტულ გარემოებებს. ეს რისკი ნამდვილად არ გამოდგება რელევანტურ ელემენტად თავისუფლების აღკვეთის გონივრულობის შესაფასებლად, მაგრამ არ შეიძლება დადგინდეს დაუსაბუთებლად, აბსტრაქტული განცხადებების საფუძველზე.

2004 წლის 13 მაისის სააპელაციო გადაწყვეტილებასთან მიმართებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ პატიმრობის ღონისძიების გამოყენება მხოლოდ ბრალდებების სიმძიმეზე დაყრდნობით დამტკიცდა და სხვა შესაძლო საფუძვლების არსებობა მის საპირწონედ არ განხილულა. ეს გადაწყვეტილება, ისევე როგორც 2004 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება, არ ითვალისწინებდა განმცხადებლის საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს. ეს მიდგომა, სავარაუდოდ, გამომდინარეობდა სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან, მაგრამ, სასამართლოს შეფასებით, ის არ შეიძლება გამართლებულ იქნეს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებით. ასევე ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომელსაც ეროვნულმა სასამართლომ პატივი უნდა სცეს პატიმრობის მიზანშეწონილობის დასაბუთებისას კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ვინაიდან დაპატიმრებული პირი შეიძლება მოგვიანებით გამართლდეს ან, როგორც ეს მოცემულ საქმეში მოხდა, მსჯავრდებულად ნაკლებად მძიმე დანაშაულის გამო ცნონ.

თბილისის საოლქო სასამართლოს წინაშე 2004 წლის 13 მაისს განმცხადებლისა და პროკურატურის დასაბუთებათა შედარების საფუძველზე ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელი ცდილობდა პროკურატურის დაუსაბუთებელი ვარაუდების გასაქარწყლებლად დაემტკიცებინა, რომ მისი მიმალვის ან მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის ჰიპოთეტური საფრთხეც კი არ არსებობდა. ამასთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ თავისუფლების აღკვეთის საკითხზე მტკიცების ტვირთის გადატანა

დაპატიმრებულზე, ნიშნავს კონვენციის მე-5 მუხლის თავდაყირა დაყენებას.

სასამართლო განსაკუთრებით შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ რაიონულმა სასამართლომ პატიმრობის ვადა 2004 წლის 6 დეკემბრამდე გააგრძელა. იმის ნაცვლად, რომ გამოეჩინა „განსაკუთრებული გულისხმიერება“ შვიდი თვის მანძილზე გაჭიმული პატიმრობის მიმართ, მან გამოიტანა სტანდარტული და შაბლონური გადაწყვეტილება; გამოიყენა ფორმა, წინასწარ დაბეჭდილი ტექსტითა და აბსტრაქტული ტერმინებით.

საბოლოოდ სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით ხელისუფლება ვალდებულია პირის განთავისუფლების ან დაპატიმრების საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინოს სასამართლოს წინაშე მისი გამოცხადების უზრუნველყოფის სხვა ალტერნატიული ღონისძიებები. დებულება ქმნის არა მარტო „გონივრულ ვადაში სასამართლოსთვის წარდგენას ან საქმის განხილვის მიმდინარეობისას განთავისუფლების“ გარანტიებს, არამედ ადგენს კიდევ, რომ – „გათავისუფლება შეიძლება განპირობებული იყო სასამართლოს წინაშე გამოცხადების გარანტიებით“.

არც ერთ სადავო გადაწყვეტილებაში არ ყოფილა განხილული ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა, რასაც მკაფიოდ მოითხოვდა სსსკ-ის 152-ე მუხლის 1-ლი პუნქტი. ეროვნული სასამართლოს მიერ ამ საკითხის განუხილველობა ადასტურებს მის მიერ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობას.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებელს პატიმრობა შეუფარდეს და გაუგრძელეს იმ საფუძვლებით, რომლებიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „რელევანტურად“ და „საკმარისად“. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

დასკვნა:

კონვენციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი:

დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 1 500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 2 170 ევრო განუღი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

**სალინაძე და სხვები –
საქართველო⁵¹
SAGHINADZE AND OTHERS - GEORGIA
№18768/05; 27.05.2010**

**პატიმრობის შეფარდება დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებით: დარღვევა/
პატიმრობის გაგრძელება დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებით: დარღვევა**

ფაქტები: პირველი და მეორე განმცხადებლები, ბათალბი და ლია სალინაძეები არიან ცოლი და ქმარი; მათი ვაჟი – მესამე განმცხადებელი და მისი მეუღლე – მეოთხე განმცხადებელი; მეხუთე და მეექვსე განმცხადებლები არიან პირველი და მეორე განმცხადებლების ქალიშვილები. განმცხადებლები, გარდა მეოთხე განმცხადებლისა, არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები. პირველ განმცხადებელს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში ეკავა მაღალი თანამდებობა. 1994 წელს საქართველოს შს მინისტრმა მას შესთავაზა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი. პირველმა განმცხადებელმა, როგორც სამინისტროს თანამშრომელმა და თან დევნილმა, მიიღო კოტეჯი თბილისის გარეუბანში, სადაც ოჯახთან ერთად შესახლდა. განმცხადებლებმა დაიწყეს კოტეჯის მიმდებარე ტერიტორიით სარგებლობა; დარგეს ხილი და ბოსტნეული, მოაშენეს შინაური ფრინველები და ცხოველები. მოგვიანებით სალინაძეების ოჯახმა უსასყიდლოდ შეიფარა რვა უსახლკარო ნათესავი, რომლებიც ასევე აფხაზეთიდან იყვნენ დევნილნი. 1998 წელს პირველი განმცხადებელი პენსიაზე გავიდა. 2000 წლის 20 აპრილს სამინისტრომ გასცა წერილი, რომელიც ადასტურებდა პირველი განმცხადებლის მიერ კოტეჯისა და მიმდებარე ტერიტორიის ფლობის მართლზომიერებას. წერილის თანახმად, საკუთრება იყო დროებითი ხასიათისა, თუმცა პერიოდი არ ყოფილა დაკონკრეტებული.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახლად დანიშნულმა შს მინისტრმა გამოიძახა პენსიაზე გასული პირველი განმცხადებელი და სთხოვა, ეხელმძღვანელა ფეხბურთელ კახი კალაძის ძმის მკვლელობის გახმაურებული საქმის

გამოძიებისათვის. შს მინისტრის ბრძანებით, იგი დაანიშნურეს, მიანიჭეს პოლიციის პოლკოვნიკის წოდება და დანიშნეს დამოუკიდებელი საგამოძიებო ერთეულის უფროსად. პირველი განმცხადებლის ხელმძღვანელობით გამოვლინდა გარემოებანი, რომლებიც, სავარაუდოდ, პრობლემებს უქმნიდა ზოგიერთ მაღალჩინოსანს. 2004 წლის 30 მარტს გენერალურმა პროკურორმა ბ-ნმა ი. ო-მ პირადად სთხოვა პირველ განმცხადებელს, რომ შეეწყვიტა საქმის გამოძიება. მოგვიანებით აღნიშნული პირი გენერალური პროკურორის თანამდებობიდან შს მინისტრის პოსტზე გადაიყვანეს. სავარაუდოდ, ახლად დანიშნულმა მინისტრმა ჩამოაშორა პირველი განმცხადებელი კალაძის საქმეს და 2004 წლის 26 ივნისს დამამცირებელი ფორმით გააძევა კაბინეტიდან. 2004 წლის 13 ოქტომბერს ბ-ნმა სალინაძემ ეროვნული უშიშროების საბჭოს – საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს – გადასცა კონფიდენციალური ფაილი, ინფორმაციით ბ-ნი ი. ო-სა და სხვა მაღალჩინოსნების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ.

2004 წლის 25 ოქტომბერს პოლიცია მივიდა სალინაძეებთან ოჯახში და შს მინისტრის გაცემული ბეპირი განკარგულების საფუძველზე კოტეჯის დაცლა მოსთხოვა. განმცხადებელი არ დაემორჩილა ამ მოთხოვნას, რადგან პოლიციამ არ წარუდგინა სასამართლოს ბრძანება ან სხვა წერილობითი ნებართვა უძრავი ქონების ჩამორთმევის შესახებ. იგივე განმეორდა პოლიციის მეორე მცდელობისას. მესამედ უკვე ოჯახი შეიარაღებული სპეცდანიშნულების ძალების სამოცმა ნიღბოსანმა იძულების წესით გამოასახლა.

განმცხადებლებმა აღნიშნული ფაქტი სასამართლოში გაასაჩივრეს, მაგრამ –უშედეგოდ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირველ განმცხადებელს მფლობელობის აღდგენა შეეძლო კოტეჯის მესაკუთრისაგან, მოპასუხე სამინისტროსაგან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ კოტეჯის თავდაპირველი ფლობა ლეგიტიმური იქნებოდა. სასამართლომ შს სამინისტროს 2000 წლის 20 აპრილის წერილი არ მიიჩნია იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად და განმარტა, რომ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ჰქონდა კერძო პირებთან ასეთი ტიპის გარიგების დადების კომპეტენცია; ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროც იყო უფლებამოსილი, გადაეწყვიტა იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების საკითხი.

⁵¹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22Saghinadze%20And%20Others%22%2C%22documentcollectionid%22%3A%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%2C%22itemid%22%3A%22001-98885%22%7D>

იმის გათვალისწინებით, რომ კოტეჯი პირველი განმცხადებლისათვის ამ უკანასკნელს არ შეუთავაზებია, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ბინით დაკმაყოფილების გარანტია არ ვრცელდებოდა მოცემულ სიტუაციაზე. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სამინისტრო, როგორც კოტეჯის კანონიერი მფლობელი, უფლებამოსილი იყო, გამოესახლებინა სალინაძეების ოჯახი.

2006 წლის 2 ივნისს პირველ განმცხადებელს ბრალი წაუყენეს იარაღის უკანონო შენახვის, ოფიციალური დოკუმენტების მითვისების, პირისადმი არაადამიანური მოპყრობის, მტკიცებულებების გაყალბებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სხვა ფაქტების გამო. იმავე წლის 4 ივნისს დააკავეს, ხოლო 6 ივნისს ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. ბ-ნმა სალინაძემ პატიმრობის კანონიერება 2006 წლის 14 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. მაგრამ სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე უარი უთხრა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. 2006 წლის 29 ივნისს გამოძიება შეწყდა და პროკურორმა თბილისის საქალაქო სასამართლოს საბრალდებო დასკვნა და საქმის მასალები გადაუგზავნა. იმავე დღეს საქმის განმხილველმა მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პირველი განმცხადებლის გრძელვადიანი პატიმრობის საკითხი. მან გამოაქვეყნა სტანდარტული გადაწყვეტილება ერთგვერდიანი ნიმუშის მიხედვით, წინასწარ დაბეჭდილი სამოტივაციო ნაწილით. ცარიელ ადგილებში მოსამართლემ ჩაწერა ბრალდებულის სახელი, დანაშაულის აღწერა და აღკვეთის ღონისძიების სახე. სამოტივაციო ნაწილის შინაარსი ასეთია: „აღკვეთის ღონისძიების შერჩევასა გათვალისწინებულ იქნა როგორც ფორმალური, ისე ფაქტობრივი საფუძვლები. ბრალდებულს ბრალად ედება მძიმე დანაშაულის ჩადენა და აღკვეთის რომელიმე სხვა ზომის დაკისრება ვერ უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებს. სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიმჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების თავდაპირველად შეფარდებისას გათვალისწინებული არგუმენტების მხედველობაში მიღებით პროცესის ამ ეტაპზე აღნიშნული ზომის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი არ არსებობს“.

2007 წლის 22 თებერვალს პირველი განმცხადებელი პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს ზემდგომმა ინსტანციებმა.

სამართალი – კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი:

პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ სასამართლოს 6, 14 და 29 ივნისის გადაწყვეტილებანი, რომელთა საფუძველზეც პატიმრობა შეუფარდეს, არ იყო სათანადო წესით დასაბუთებული. ისინი შეიცავდა შაბლონურ ფრაზებსა და პროკურორის შუამდგომლობიდან ამოღებულ საქმის გარემოებებთან დაუკავშირებელ აბზაცებს.

(ა) 2006 წლის 6 და 14 ივნისის გადაწყვეტილებანი

პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც სასამართლომ გაიზიარა, იყო საფრთხე, რომ განთავისუფლების შემთხვევაში პირველი განმცხადებელი ისარგებლებდა თავისი – ყოფილი ძალოვანი მაღალჩინოსნის – ავტორიტეტით და შეეცდებოდა მხარეებზე ზეგავლენის მოხდენას. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ორივე ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში მითითებული დაკავების პერიოდი – 25 დღე (განმცხადებლის დაპატიმრების დღიდან, 2006 წლის 4 ივნისიდან, მისი პატიმრობის გადასინჯვამდე, იმავე წლის 29 ივნისამდე) – არ შეიძლება არაგონივრულად ჩაითვალოს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით.

(ბ) 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება:

ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ 2006 წლის 29 ივნისს პირველი განმცხადებლის პატიმრობაში დატოვებით თბილისის საქალაქო სასამართლომ, ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინა თავისი ვალდებულება, დაედგინა კონკრეტული ფაქტების არსებობა, რომლებიც გაამართლებდა პატიმრობის გახანგრძლივებას, და განეხილა ალტერნატიული ზომები, იმოქმედა სათანადო გულმოდგინების გარეშე და გამოსცა შაბლონური გადაწყვეტილება ზოგადი ტერმინებით. ამ გადაწყვეტილებით პირველი განმცხადებელი პატიმრობაში კიდევ 6 თვითა და 24 დღით დააბრუნეს, რაც არ შეიძლება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით გონივრულად ჩაითვალოს.

პატიმრობის საკითხის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე: არ არის დარღვევა

პატიმრობის გაგრძელება სასამართლო პროცესის შედეგად, რომელიც არ ეფუძნებოდა შეჯიბრებითობასა და თანასწორობას: დარღვევა

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი: პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ 2006 წლის 14-სა და 29 ივნისს ჩატარებული სასამართლო განხილვა

იყო უსამართლო, რადგან არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენები.

(ა) 2006 წლის 14 ივნისის სასამართლო პროცესი: 2006 წლის 14 ივნისს ჩატარებულ სამართალ-წარმოებასთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მთავრობის არგუმენტები, რომელთა თანახმად, 2006 წლის 6 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ (ზეპირი მოსმენა) მოისმინა პირველი განმცხადებლისა და მისი ორი ადვოკატის არგუმენტები. საქმის მასალა არ შეიცავს ისეთ ფაქტს ან ინფორმაციას, რომლებიც შეიძლება კითხვას იწვევდეს პროცესის შეჭიბველობისა და თანასწორობის თვალსაზრისით. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა ისიც, რომ პროკურორს არ უპასუხია პირველი განმცხადებლის საჩივარზე, რომელშიც მან პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება გააპროტესტა; შესაბამისად, პირველ განმცხადებელს არ შეუძლია იდავოს, რომ ზეპირი მოსმენის არარსებობის გამო მან მეორე მხარის არგუმენტების მოსმენისა და საჩივროების შემთხვევაში კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა 2006 წლის 14 ივნისს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე დაკარგა; დაბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებაში არის თბილისის საქალაქო სასამართლოს პასუხები პირველი განმცხადებლის მიერ წამოყენებულ ყველა მთავარ არგუმენტზე, ევროპულ სასამართლომ არ აქვს საფუძველი, რომ ეჭვი შეიტანოს შესაბამისი წერილობითი პროცედურის ეფექტიანობაში. შესაბამისად, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ამ ნაწილში არ დარღვეულა.

(ბ) 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო პროცესი

2006 წლის 29 ივნისის სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ის არ წარმოადგენდა შეჭიბველობით პროცესს, რომელზეც დაცული იქნებოდა ძალთა თანასწორობის პრინციპი. პროკურორს ჰქონდა პრივილეგია, სასამართლოსთვის საბრალდებო დასკვნითა და შუამდგომლობით მიემართა, რომლის შეწინააღმდეგების საშუალება განმცხადებლისთვის არც ზეპირად და არც წერილობით არ მიუციათ. გადაწყვეტილების ფორმაც კი – შაბლონი, რომელშიც დასკვნები წინასწარ იყო ჩაბეჭდილი, მიუთითებს იმაზე, რომ 2006 წლის 29 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე სათანადო წესების დაცვით არ განუხილავს. ამგვარად, ამ ნაწილში დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

დასკვნა:

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი: არ არის დარღვევა 2006 წლის 6 და 14 ივნისის გადაწყვეტილებებთან მიმართებით;

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი: დარღვევა 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებასთან მიმართებით;

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი: არ არის დარღვევა 2006 წლის 14 ივნისის სასამართლო პროცესთან მიმართებით;

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი: დარღვევა 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო პროცესთან მიმართებით;

კონვენციის 41-ე მუხლი: 15 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის; 752 ევრო განუვლი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

თუ კოტეჯის დაბრუნება შეუძლებელი იქნება, მოპასუხე სახელმწიფომ პირველი განმცხადებელი, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი, უნდა უზრუნველყოს შესაფერისი საცხოვრებლით ან გონივრული კომპენსაციით ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან 6 თვის ვადაში, ევროპული სასამართლო თავად დაადგენს მთავრობის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობას.

შენიშვნა: აგრეთვე დადგინდა **კონვენციის მე-8 მუხლისა (საცხოვრებლის პატივისცემის) და 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების) დარღვევა. იხ. წინამდებარე პუბლიკაციის ნაწილი 1**

გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

**GALUASHVILI V. GEORGIA⁵²
N40008/04; 17.07.2008**

პატიმრობის შეფარდება დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებით: არ არის დარღვევა

ფაქტები: 2004 წლის 26 ივნისს 3:35 საათზე მიღებული ანონიმური სატელეფონო ზარის საშუალებით ქ. თბილისის პოლიციის მთავარ დეპარტამენტს ეცნობა იმის შესახებ, რომ

⁵² <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22%-22CASE%20OF%20GALUASHVILI%20v.%20GEORGIA%22%22%7D,%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%7D,%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%7D,%22itemid%22:%5B%22001-87638%22%7D%7D>

განმცხადებელი თამაზ გალუაშვილი იყო შეიარაღებული და მართავდა ავტომატქანას თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ გამზირზე. სასწრაფოდ დაიგეგმა მისი დაკავების ოპერაცია. განმცხადებლის ჩხრეკის შედეგად აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა. ბ-ნი გალუაშვილი მაშინვე დააკავეს. იმავე წლის 29 ივნისს შეუფარდეს 3-თვიანი პატიმრობა. 2004 წლის 1 ივლისს თბილისის საოლქო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

2004 წლის 22 ნოემბერს რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო ტარებისა და შენახვის გამო დამნაშავედ ცნო, მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და ვადამდე პირობით გათავისუფლდა სასამართლო დარბაზიდან.

განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები მისი პატიმრობის შესახებ იყო დაუსაბუთებელი.

სამართალი: კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი:

2004 წლის 29 ივნისისა და 1 ივლისის სადავო გადაწყვეტილებები ეყრდნობა სამართალწარმოების სათანადოდ წარმართვის უზრუნველყოფის აუცილებლობას. ამ თვალსაზრისით ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღება გაამახვილეს მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეზე. ევროპული სასამართლო იზიარებს ამ პოზიციას, რომ სამართალწარმოების პირველ ეტაპზე ეს შეიძლება რელევანტური ელემენტი ყოფილიყო მიმალვის ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის სხვა სახის ხელის შემშლელი საფრთხეების შეფასებისას. უფრო მეტიც, 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა ამოღებული იარაღის შემონახვის აუცილებლობა, რათა დაედგინა, იყო თუ არა ის გამოყენებული სხვა დანაშაულთა ჩადენისას. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს იყო კიდევ ერთი მიზეზი განმცხადებლის პატიმრობის გასამართლებლად.

ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის არგუმენტებიც მისი განთავისუფლების სასარგებლოდ შეაფასა. ერთ-ერთი ასეთი არგუმენტი იყო სამსახურის ქონა, როგორც სასამართლოს წინაშე გამოცხადების გარანტია. ეს იყო სიყალბე, ვინაიდან, 2004 წლის 22 ნოემბრის განაჩენის

თანახმად, განმცხადებელი იმ დროისათვის უმუშევარი იყო. განმცხადებლის მეორე არგუმენტის თანახმად, ის დაავადებული იყო დიაბეტით, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი სამედიცინო მტკიცებულება 2004 წლის 3 სექტემბრამდე არ წარმოუდგენია. ციხეში თან არ წაუღია რაიმე მედიკამენტი და არც უცდია, რომ მიეწოდებინათ. გარდა ამისა, არც თვითონ მას და არც მისი ოჯახის წევრებს ამ საკითხზე ციხის სამედიცინო პერსონალისთვის არ მიუმართავთ.

დაბოლოს, განმცხადებლის საქმე განიხილეს სწრაფად, ხუთი თვის ვადაში, განსაკუთრებული გულისხმიერებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია წინასწარი პატიმრობის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

სასურველი იქნებოდა, ეროვნულ სასამართლოებს უფრო დეტალური დასაბუთება წარმოედგინათ განმცხადებლის პატიმრობის მიზეზების ასახვ-ნელად, თუმცა, არსებული საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, ეს არ შეადგენს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

დასკვნა:

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: არ არის დარღვევა

Aquilina v. Malta 25642/94; 29/04/1999; *Brogan and Others v. the United Kingdom*; *no. 11209/84; 11234/84; 11266/84; 11386/85; 29.10.1988*; *Pantea v. Romania*, **33343/96**; 03.06.2003; *Assenov and Others v. Bulgaria*; 24760/94; 28.10.1998; *Ladent v. Poland*, 11036/03; 18.03.2008; *De Jong, Baljet and Van den Brink v. the Netherlands*, 8805/79 8806/79 9242/81; 22.05.1984; *Aquilina v. Malta* ; 25642/94; 29/04/1999; *McKay v. the United Kingdom*; *543/03*; 3.10.2006; *Bergmann v. Estonia*; *Oral and Atabay v. Turkey*; 39686/02 23/06/2009; *Năstase-Silivestru v. Romania* 74785/01; 04/10/2007; *Gutsanovi v. Bulgaria* ; 34529/10 ; 15/10/2013; *İpek and Others v. Turkey*; 17019/02 30070/02; 03/02/2009; *Kandzhov v. Bulgaria*; 68294/01; 06/11/2008; *Vassis and Others v. France*; 62736/09; 27/06/2013; *S., V. and A. v. Denmark*; 35553/12 36678/12 36711/12; 22/10/2018; *Varga v. Romania*, 73957/01; 01/04/2008; *Viorel Burzo v. Romania*, 75109/01 12639/02; 30/06/2009; *Niedbala v. Poland*; 27915/95; 4/7/2000.

მუხლი 5.4 თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს და გასცემს მისი გათავისუფლების ბრძანებას, თუ დაპატიმრება უკანონოა.

სასამართლო პროცესის კანონიერება

**მინდაძე და ნემსიტსვერიძე
საქართველოს წინააღმდეგ
MINDADZE AND NEMSITSVERIDZE V.
GEORGIA
№21571/05; 01.06.2017**

ბრალდებულებისთვის სასამართლო განხილვამდე არ გადაუციათ პროკურატურის შუამდგომლობა პატიმრობის გაგრძელების შესახებ: არ არის დარღვევა

იხ. გვ. X

**საღინაძე და სხვები –
საქართველო
SAGHINADZE AND OTHERS - GEORGIA
№18768/05; 27.05.2010**

პატიმრობის საკითხის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე: არ არის დარღვევა

პატიმრობის გაგრძელება სასამართლო პროცესის შედეგად, რომელიც არ ეფუძნებოდა შეჯიბრებითობასა და თანასწორობას: დარღვევა

იხ. გვ. X

**რამიშვილი და კოხრეიძე
საქართველოს წინააღმდეგ
RAMISHVILI AND KOKHREIDZE V.
GEORGIA
N1704/06; 27.01.2009**

ერთ-ერთი მტკიცებულების – ვიდეორჩანანერის ხელმისაწვდომობის პრობლემა წინასწარი პატიმრობის საკითხის განხილვისას: არ არის დარღვევა

პატიმრობის საკითხის განხილვა იმ სასამართლოს მიერ, რომელიც არ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი/ პატიმრობის კანონიერების შესახებ საჩივარზე დაგვიანებული რეაგირება: დარღვევა

იხ. გვ. X

**შამაყვი და სხვები საქართველოსა
და რუსეთის წინააღმდეგ
SHAMAYEV AND 12 OTHERS V.
GEORGIA AND RUSSIA
N36378/02; 12.4.2005**

განმცხადებლებმა არ იცოდნენ მათ მიმართ ექსტრადიციის გამოყენების შესახებ და, შესაბამისად, ვერ შეძლეს მისი გასაჩივრება: დარღვევა

იხ. გვერდი X

იხ. აგრეთვე: *Depa v. Poland*, no. 62324/00, 12 December 2006; *Jabłoriski v. Poland*, no. 33492/96, 21 December 2000; *Nikolova v. Bulgaria*, no. 31195/96, *Wloch v. Poland*, no. 27785/95, 10 May, 2011; *hishkov v. Bulgaria*, no. 38822/97; 09/01/2003; *Stanev v. Bulgaria* no. 36760/06, 17/01/2012; *Yavuz v. Austria* no. 32800/96, 18 January 2000; *Garcia Alva v. Germany*, no. 23541/94, 13 February 2001; *Schiesser v. Switzerland*, N 7710/76 4 December 1979; *Howiecki v. Poland*, no. 27504/95, 4 October 2001, *Lebedev v. Russia*, no. 4493/04, 25 October 2007; *Neumeister v. Austria*, 27 June 1968; *D.N. v. Switzerland* no. 27154/95; 29/03/2000; *Bülbü v. Turkey*, no. 47297/99, 22 May 2007; *Kadem v. Malta*, no. 55263/00, 9 January 2003, *Mitev v. Bulgaria*, no. 40063/98, 22 December 2004.

პუბლიკაციის ავტორი: ელენე სიჭინავა

ელენე სიჭინავა არის არასამთავრობო ორგანიზაცია ილიას სამართლის ინსტიტუტის (ილიასის) თავმჯდომარე, ავტორი და პასუხისმგებელი პირი სხვადასხვა პროექტის განხორციელებაზე, მათ შორის, „საქართველოს სკოლებში სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების დანერგვის ხელშეწყობა“ (2021) „ადვოკატირება სკოლაში ბულინგის წინააღმდეგ სისტემის შესაქმნელად“ (2019) და სხვ.; როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის ექსპერტი, მონაწილეობდა საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთ პროექტში, მათ შორის, „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ გაეროს განვითარების ფონდი, (UNDP) 2017წ., „საპარლამენტო დემოკრატიის გაძლიერება საქართველოში“ გაეროს განვითარების ფონდი, (UNDP)) „საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება“, ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი (WFD) 2017-2018 წ., ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, გაეროს ბავშვთა ფონდი, (UNICEF) 2015წ., ადრეული და სკოლამდელი განათლების საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, გაეროს ბავშვთა ფონდი, (UNICEF), 2015წ. და სხვ.; როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტისა და იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის მონვეულ სპეციალისტსა და მთავარ სპეციალისტს, მომზადებული აქვს საკანონმდებლო ექსპერტიზა 900-ზე მეტ კანონპროექტთან დაკავშირებით (2012-2019წწ.), სამართლებრივ დახმარებას უწევდა მართლმსაჯულების მე-4 ტალღის რეფორმის განხორციელებას (კანონის უზენაესობა საქართველოში, (PROLOG), 2018 წ., ახორციელებდა სტრატეგიულ სამართალწარმოებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (2007-2009 და 2012 წწ.), არის სხვადასხვა პუბლიკაციის ავტორი ადამიანის უფლებათა სამართლისა და საპარლამენტო ზედამხედველობის საკითხებზე, არის დოკატთა ასოციაციის წევრი და ტრენერი ადამიანის უფლებების საკითხებზე.

